## შინაარსი

შესავალი 3

I მეთოდური სიძნელეები პიროვნების კვლევაში . 16

II პიროვნების თვისებები და ფიქსირებული განწყობა 28

III კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი 42

ა. ავტობიოგრაფია . 42

ბ. კითხვები კლინიკური საუბრისათვის 45

გ. შესაძლო პასუხები . . . 52

დ. ცალკეული კითხვის ქარაქტეროლოგიური ღირებულება . 77

ე. ცალკეული შესაძლო პასუხის ქარაქტეროლოგიური ღირებულება 92

IV პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი . . 108

რეზიუმე რუსულ ენაზე . 182

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ვლადიმერ ნორაკიძე, ამირან ტოპურია

# პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევის კონცეფტ-თეორიული მეთოდი

გამომცემლობა "მეცნიერება"

თბილისი

1984

88
15
86

შრომაში განხილულია პიროვნების ხასიათის შინაარსეულ-მოტივაციური ასპექტის კვლევის კრიტიკულ-ბიოგრაფიული მეთოდი. ნაჩვენებია ადამიანის ბიოგრაფიის, მისი ცხოვრების მსვლელობის ანალიზის, მისი მოთხოვნილებების, მიზნების, ინტერესების, ღირებულებების, წადილების დინამიკის, ტემპერამენტის და პიროვნების სხვა არსებითი თვისებების კრიტიკული საუბრით კვლევის გზები, აგრეთვე ამ მეთოდით მიღებული შედეგების შედარება განწყობის სტრუქტურის შესწავლის მეთოდებით (ფიქსირებული განწყობის მეთოდი, პროექციული მეთოდები) კვლევის მონაცემებთან. მეთოდის გამოყენების პრაქტიკა ნაჩვენებია ერთი კონკრეტული პიროვნების ხასიათის ყველა ძირითადი ასპექტის კვლევის შედეგების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის გზით.

ნ 0304000000 / М607(06)-84 219-84 გამომცემლობა "მეცნიერება", 1984

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე გამოკვლევა ეხება პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემას, რომელსაც ჩვენ მრავალი წლის მანძილზე ვსწავლობდით ფსიქოლოგიური მეთოდებით. მთელი ეს კვლევა ეფუძნება დ. უზნაძის განწყობის თეორიის ძირითად დებულებებს.

პიროვნების პრობლემის შესახებ თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში გამოქვეყნებულია მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა, მონოგრაფია, წარმოებს ინტენსიური კვლევა პიროვნების ბუნების თავისებურებისა და მისი კვლევის მეთოდების შესასწავლად. მიუხედავად ამისა, მკვლევართა შორის არ არსებობს თანხმობა პიროვნების ცნების განსაზღვრებაში. პიროვნების ცნებას თითქმის ყველა მკვლევარი განსხვავებულად განსაზღვრავს. გ. ოლპორტი[1], სისტემაში მოჰყავს რა პიროვნების ცნების შესახებ არსებული განსაზღვრებანი ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, იურისპრუდენციაში, ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, გამოყოფს 50-მდე განსხვავებულ განსაზღვრებას. პიროვნების ცნების დეფინიციათა განსხვავება ეხება არა მხოლოდ კვლევის ობიექტს, არამედ ამ ობიექტის კონცეპტუალიზაციას და ასახავს ავტორების შეუთანხმებლობას თეორიულ სფეროში.

ფსიქოლოგიაში ამჟამად არსებული განსაზღვრებებიდან ყველაზე ტიპურია: 1. პიროვნების უნივერსალური განსაზღვრა; ამ კონცეფციის მიხედვით, პიროვნება არის თანშობილი მიდრეკილებების, იმპულსების, ინსტინქტების, აგრეთვე გამოცდილების გზით შეძენილი თვისებების ჯამი. სიტყვა ჯამის ნაცვლად ხშირად იხმარება კომპლექსი, კონფიგურაცია, ერთობლიობა და სხვა. 2. მეორე სახის განსაზღვრებაში წინა პლანზე წამოწეულია ინდივიდის თვისებების ორგანიზაცია, მაგალითად, უორენისა და კარმიკელის მიხედვით, პიროვნება არის ადამიანის არსებითი თვისებების მთლიანობა, ორგანიზაცია მისი განვითარების ყველა სტადიაზე; ან კიდევ ასეთი განსაზღვრება- პიროვნება არის ინტეგრაციის, თვისებების ერთ მთლიან კონფიგურაციაში გაერთიანება, რომელიც ორგანიზმის ქცევას ანიჭებს განსაკუთრებულ ინდივიდუალურ მიმართულებას. 3. ცნობილია პიროვნების ცნების იერარქიული განსაზღვრებები, რომელიც ჯერ კიდევ ჯეიმსის მიერ წამოყენებული პიროვნების გაგების პრინციპების საფუძველზე განვითარდა. ამ შეხედულებების მიხედვით, არსებობს ინტეგრაციის დონეები, ფენები, რომელთა შორის ერთი ფენა ყველაზე წამყვანი,ყველა ცალკეული ფენის მაინტეგრირებელია. 4. აღსანიშნავია, აგრეთვე,წმინდა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრება, რომელიც გამოთქმულია პიროვნებათა შორის განსხვავებულობის ცნებებში. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორის აზრით, ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წევრი ერთნაირად რომ მოქმედებდეს, ფიქრობდეს, გრძნობდეს, მაშინ პიროვნე-

---

1 Allport G. Personality A Psychological Interpretation. N.Y.1937.

ბა არ.ასრულებდა, ამიტომ პიროვნება წარმოადგენს ორგანიზებულ სისტემას-ჩვევათა, მიდრეკილებათა და გრძნობათა ერთიანობას, რაც რომელიმე ჯგუფის ცალკეულ წევრს განასხვავებს იმავე ჯგუფის სხვა წევრისაგან.5. ცნობილია წმინდა ბიჰევიორისტული განსაზღვრებები, რომლებიც გამოთქმულია პიროვნების გარემოსთან ადაპტაციის ტერმინებში. მაგალითად, პიროვნება არის ჩვევათა იმ სისტემების ინტეგრაცია, რომელიც დამახასიათებელია ინდივიდისათვის თავის გარემოსთან შეგუების პროცესში.

ამჟამად ყველაზე პოპულარულია და პიროვნების კვლევის პრაქტიკაში გამოყენებულია განსაზღვრება, რომელიც ემყარება ოლპორტის მიერ მოცემულ დეფინიციას. პიროვნება წარმოადგენს ინდივიდის შიგნით იმ ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიკურ ორგანიზაციას, რომლებიც განსაზღვრავენ მის თავისებურ უნიკალურ შეგუებადობას გარემოსთან. ასეთ განსაზღვრებაში ხაზგასმულია, რომ პიროვნების გარემოსთან შეგუება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც რეაქტიული ადაპტაცია, ისე, როგორც ეს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს მიმართ იგულისხმება, არამედ იგი მოიცავს შემოქმედებით ქცევას, თვითრეალიზაციას, მიზნებისათვის ბრძოლას, ე.ი. გულისხმობს აქტიურ ადაპტაციას.

პიროვნების მკვლევარების მიერ ფსიქოლოგიური მეცნიერების ასპექტში ცენტრალურ პრობლემად მიჩნეულია პიროვნების სტრუქტურის პრობლემა. თითქმის ყველას მიერ ხაზგასმულია, რომ პიროვნების ცნების საბოლოო განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის ბუნების ზუსტი მეთოდებით შესწავლის შემდეგ და შეუძლებელია, მას უსწრებდეს. ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტად მიჩნეულია კონკრეტული, რეალური, მრავალ სოციალურ დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანი, ადამიანი, როგორც ქცევის სუბიექტი. ადამიანი, როგორც ქცევის სუბიექტი, წარმოადგენს ფსიქოლოგიური სისტემების ორგანიზაციას, რომელიც განაპირობებს მის სოციალურ გარემოში მიზანშეწონილ, აქტიურ ქცევას. იგულისხმება, რომ პიროვნების მრავალრიცხოვანი და განსხვავებული გამოვლენა დეტერმინირებულია უფრო ცენტრალური და სტაბილური სტრუქტურით. ეს სტრუქტურა წარმოადგენს პიროვნების ყოველგვარი ქცევის საფუძველს: ფსიქოლოგიურ მიმდინარეობათა შორის პიროვნების პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვაობა სწორედ სტრუქტურის შემქმნელი, პიროვნების მრავალი თვისების მასტრუქტურებელი ძირითადი ფაქტორის განსხვავებულ გაგებაში მდგომარეობს.

მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩასახვის პერიოდიდანვე შემჩნეული იყო, რომ პიროვნება გარემოსთან დამოკიდებულებაში მჟღავნდება როგორც მთლიანობა, იგი წარმოადგენს სისტემებისაგან შედგარ სტრუქტურას. ეს სტრუქტურა გარკვეულ ზოგადფსიქოლოგიურ კანონზომიერებას ექვემდებარება: რომ პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების შესასწავლად აუცილებელია ფსიქიკის სტრუქტურის ზოგადი კანონების ცოდნა, რომ ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება გარკვეული ფაქტორებითაა განპირობებული. პიროვნების სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორების, ამ სტრუქტურის ტიპოლოგიის პრობლემა შეადგენს პი-

როვნების ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ძირითად ღერძს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მკვლევარების მიერ წამოყენებული იყო პიროვნებაში მოცემულ მრავალი თვისებისა და ფუნქციის მაორგანიზებელი ცენტრალური ფაქტორის ცნება, როგორიცაა ასოციაციის, ნებელობის, ენერგიის, სენტიმენტის, მიდრეკილებების, ტემპერამენტის, განცდათა კომპლექსის, გეშტალტ-კვალიტეტის, მეტაფიზიკური პერსონალის, ძირითადი ღირებულებების, თვისებათა კონფიგურაციის, ინტროვერსია-ექსტრავერსიის, მოტივის და სხვა მრავალი ცნება. ამ ცნების ნიადაგზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიხედვით ვერ მოხერხდა პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემების გადაჭრა. აღნიშნული ცნებების ოპერირების ნიადაგზე დასტურდება პიროვნებაში რეალურად არსებული ცალკეული სისტემები, მაგრამ ამ სისტემების უფრო ზოგადი პრინციპის საფუძველზე გაერთიანება და მთლიანი პიროვნების დახასიათება ვერ ხერხდება. პიროვნების კვლევის არსებული მეთოდებით სწავლობენ პიროვნების ერთ ასპექტს და არა იმთავითვე მოცემულ პიროვნებას, როგორც მთლიანობას[2].

ახლა ვნახოთ, როგორ წყდება პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემები საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმდინარეობაში-განწყობის ფსიქოლოგიაში.

დ. უზნაძე 1940 წელს თავის "ზოგად ფსიქოლოგიაში" წერდა: "ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური გამოვლინების ძირითად წყაროს ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა, ანუ სინამდვილესთან ურთიერთობა წარმოადგენს. პირდაპირი უშუალო კავშირი მხოლოდ ასეთს რეალურ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის არსებობს; და ფსიქოლოგია, რომელიც თავის ამოცანას ადამიანის ფსიქიკის შესწავლაში ჭვრეტს, თავის ამოსავალ წერტილად მხოლოდ აქტიური სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობას, რეალური ადამიანის პრაქტიკას უნდა სახავდეს. ამიტომ ფსიქოლოგია გვერდს ვერ აუვლის სუბიექტის, მთლიანი ადამიანის პიროვნების ცნებას. ფსიქიკის-პიროვნების სპეციფიკური "ორგანოს" - სტრუქტურისა და კანონზომიერების გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ რომ იგი მოწყვეტილი განიხილებოდა მისი მატარებლისა და მწარმოებლის, მთლიანი პიროვნების ცნებიდან, თუ რომ მოძებნილი არ იქნებოდა ის ფაქტორი, რომელიც სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობის აქტში ისახება და ფსიქიკური პროცესების სახით იშლება. ამიტომ მთლიანი პიროვნების პრობლემა ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგიის ამოსავალ პრობლემად უნდა ჩაითვალოს[3].

დ. უზნაძე და მისი მოწაფეები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ექსპერიმენტულად სწავლობენ იმ ფაქტორს, რომელიც სუბიექტის სინამდვილე-

----------

2 В.Г.Н о р а к и д з е . Типы характера и фиксированная установка. Тбилиси, 1966.

3 დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 37.

სთან ურთიერთობაში ისახება და პიროვნების ქცევაში გამოვლენილი ფსიქიკური პროცესების სახით იძლევა. ამ ფაქტორს რ. უზნაძე "განწყობა" უწოდა. განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით, ფსიქიკური ცხოვრების მრავალ ასპექტს ერთ მთლიან სტრუქტურაში აერთიანებს კონკრეტული სუბიექტი, რომელიც ყოველი თავისი აქტივობის მომენტში მოცემულია როგორც განწყობა, ანუ მთლიანი სუბიექტის ისეთი მომართვა, ისეთი დინამიკური მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს სწორი ასახვისათვის აუცილებელ ფსიქიკურ მოქმედებათა აღმოცენებას და აქტუალიზებული განცდების ქცევის ერთ მთლიან სტრუქტურაში ჩამოყალიბებას. ქცევის სტრუქტურა - "განწყობის" სტრუქტურასთან ერთიანობაშია მოცემული, ქცევის სტრუქტურა ყალიბდება განწყობის სტრუქტურის კანონების, მისი არსებითი ნიშნების მიხედვით. ქცევაში ჩართული და ერთი მთლიანობის სახით ორგანიზებული მრავალი თვისება განწყობის გამოვლენას წარმოადგენს, ამიტომ პიროვნება, ყოველ გარკვეულ მომენტში, როგორც აქტიური სუბიექტი, წარმოადგენს განწყობას და ამ განწყობასთან ერთიანობაში მოცემული ფსიქიკური განცდებისა და თვისებურებების (დიდი პიროვნული დონის განწყობების) სისტემას, რომელნიც განწყობის ნიადაგზე ქცევის ერთ სტრუქტურაში არიან მოქცეულნი.

ქცევის განწყობასთან ერთიანობაში განხილვა გულისხმობს იმასაც, რომ ქცევა და მისი კომპონენტები მჭიდრო კავშირში არიან ამ განწყობის წარმომქმნელ ფაქტორებთან-გარემოსთან და მოთხოვნილებებთან. ისინი ამ ფაქტორების ურთიერთობის პროდუქტს წარმოადგენენ. ქცევა პიროვნების მოთხოვნილებათა სისტემაშია ჩართული, ამის გამო იგი პიროვნებისათვის გარკვეულ აზრის, მნიშვნელობის მატარებელია, ე.ი. მოტივირებულია.

ქცევის სტრუქტურა ექვემდებარება განწყობის ზოგად კანონზომიერებას, მაგრამ ეს სტრუქტურა კონკრეტული ინდივიდის სტრუქტურაცაა, იგი ყოველ გარკვეულ მომენტში ყალიბდება, ზოგად კანონებთან ერთიანობაში მყარი, ინდივიდისათვის სპეციფიკური ფიქსირებული განწყობების, თვისებურებების, როგორც დისპოზიციების გავლენითაც; ამიტომ ეს სტრუქტურა ყოველთვის ზოგადიცაა და ინდივიდუალურიც, რაც საფუძვლად ედება როგორც პიროვნების სტრუქტურის, ისე ამ სტრუქტურის კომპონენტების ტიპოლოგიის პრობლემის გადაჭრას.

განწყობის ცნების ნიადაგზე შეიძლება პიროვნების სტრუქტურის ფაქტორების, ამ სტრუქტურის ფენომენოლოგიური ბუნებისა და ტიპოლოგიის პრობლემის მართებული გადაჭრა. განწყობის ცნება შესაძლებლობას იძლევა პიროვნების სტრუქტურის ეს სამი აუცილებელი მომენტი განვიხილოთ მთლიანობაში, როგორც ერთი მთლიანობის სამი აუცილებელი ასპექტი, რომელნიც ერთმანეთს ავსებენ და მოცემული სინამდვილის ყოველმხრივ ასახვას ხელს უწყობენ[4].

------------

[4] В.Г.Норакидзе. Типы характера и фиксированная установка, с.38–42.

თუ განწყობის ფსიქოლოგიის ასპექტში განვიხილავთ პიროვნებას, მას შეიძლება მიეცეს შემდეგი განსაზღვრება: პიროვნება არის განწყობის სტრუქტურით განპირობებული შინაგანი არსებითი ძალების დინამიკური ორგანიზაცია. განწყობის სტრუქტურა ვლინდება, როგორც ქცევის განმსაზღვრელი შინაგანი მზაობა, დისპოზიცია, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების შინაგანი ძალების ერთიანობას, "შინაგანი კავშირების" ჩამოყალიბებას. პიროვნების კვლევა, პირველ რიგში, უნდა წარიმართოს განწყობის სტრუქტურის შესწავლის მიმართულებით.

ფსიქოლოგიური მეთოდებით დადგენილი ზემოთ აღნიშნული დებულების გათვალისწინებით ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ჩატარებულია ინტენსიური კვლევითი მუშაობა.

დ. უზნაძის ფიქსირებული განწყობის მეთოდით განწყობის ზოგადფსიქოლოგიური და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა დააყენა საკითხი განწყობის ცნების ტიპოლოგიური ღირებულების შესახებ: თუ განწყობა პიროვნების ქცევის მარეგულირებელი ცენტრალური დისპოზიციური ფაქტორია, გარემოსთან აქტიური მიზანშეწონილი ადაპტაციის მექანიზმი, მაშინ პიროვნების მთლიანობის გამომხატველი ხასიათის სტრუქტურა გარკვეულ ასახვას უნდა პოულობდეს განწყობის სტრუქტურაში.

ფიქსირებული განწყობისა და კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით ადამიანთა დიდი რიცხვის ინტენსიური კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პიროვნების ხასიათის თვისებების გარკვეულ კომპლექსს ფიქსირებული განწყობის სრულიად გარკვეული ტიპი შეესაბამება. დადასტურდა ხასიათის სამი ძირითადი ტიპი-დინამიკური განწყობის მქონე ჰარმონიული, სტატისტიკური განწყობის კონფლიქტური და ვარიაბილური განწყობის იმპულსური ადამიანის ტიპები, მათი ქვეტიპები.

გამოკვლევებით უეჭველად დადასტურდა, რომ განწყობის ცნებას მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს პიროვნების ხასიათის ტიპოლოგიისათვის, რომ არსებობს გარკვეულ პიროვნულ თვისებათა კომპლექსი, რომელიც ამა თუ იმ განწყობის სუბიექტისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, რათა დამტკიცებულიყო, რომ განწყობა ღრმა და აუცილებელი კატეგორიაა ტიპოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, რომ მას სხვა ცნებებთან შედარებით უპირატესობა აქვს პიროვნების სტრუქტურის შესწავლისათვის, საჭირო გახდა სხვა მიმართულებითაც გადაშლილიყო კვლევითი მუშაობა. ასეთი მუშაობა წარიმართა როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული კვლევის ასპექტში. თეორიულ კვლევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე ფრანგიშვილის შრომები, რომლებშიც გარკვეულია განწყობის თეორიის ასპექტში პიროვნების თეორიული პრობლემები, აგრეთვე საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს განწყობის ფსიქოლოგიაში განვითარებული პიროვნების თეორიას საბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ყველაზე ცნობილ იმ კონცეფციებს შორის, რომელნიც სწავლობენ პიროვნების პრობლემას[5]. მეორე მიმართულება იყო ამ თეორიულ

---------

5 А.С.Прангишвили. Психологические очерки. Тб.,1975.

გამოკვლევებთან თანხმობაში განვითარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები.

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ექსპერიმენტული კვლევის შედეგებზე.

ფსიქოლოგიაში თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემებზე არსებობს როგორც ფუნდამენტური თეორიული გამოკვლევები, ისე სპეციალური ექსპერიმენტული ფსიქომეტრული და ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ხდება პიროვნების ტიპებისა და ხასიათის თავისებურებათა კომპლექსის კვლევა. თუ განწყობის ცნებას პიროვნების ფსიქოლოგიის სხვა ცნებებთან შედარებით უფრო ღრმა და ფართო მნიშვნელობა აქვს, მაშინ უნდა გამოირკვეს, რა მიმართულებაა ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილი განწყობის სტრუქტურის ტიპებსა და პიროვნების იმ თვისებათა სისტემას შორის, რომელიც მკვლევარების მიერ დგინდება საკმაოდ ზუსტი კვლევის მეთოდებით, ამისათვის საჭირო იყო იმის ჩვენება, აისახება თუ არა განწყობის სტრუქტურაში პიროვნების ხასიათისათვის ნიშნეული იუნგისა და აიზენკის მიერ დადგენილი ინტროვერსია და ექსტრავერსია, აგრეთვე ემოციის სტაბილობა და ლაბილობა, მურეის მიერ მითითებული პიროვნული თვისებები (ოცი თვისება), აგრეთვე რორშახის მიერ დადგენილი ხასიათის ნიშნები, კრეჩმერ, განცდის ტიპი და სხვ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელი გახდა ფიქსირებული განწყობის მეთოდებით კვლევის მონაცემებსა და საერთაშორისო მასშტაბით მიღებული ფსიქომეტრული და ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდებით პიროვნების კვლევის შედეგების ურთიერთშემოწმების რთული და რაოდენობრივი ანალიზი[6].

აიზენკის მიერ ინტროვერსიის და ექსტრავერსიის ფსიქომეტრული მეთოდით კვლევის შედეგების, ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილ ტიპოლოგიასთან მიმართების საკითხით პირველად დაინტერესდა კანადის ალბერტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრა[7]. ამ კათედრის კვლევის შედეგები ასახულია ჯონ ჰრიცუკის სადოქტორო დისერტაციასა და გამოკვლევაში დ. ჯენზენის განწყობის ცნების ინტეგრაციული ბუნების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა პარიზში ფსიქოლოგიის საერთაშორისო ჟურნალში 1972 წელს[8]. ამავე საკითხზე ჩვენ მიერ ჩატარებული უფრო ფართო და შრომატევადი გამოკვლევების შედეგები ძირითადად დაემთხვა კანადელი ფსიქოლოგების გამოკვლევის მონაცემებს. დადასტურდა, რომ 1. დინამიკური განწყობის ადამიანების უმრავლესობას ახასიათებს ინტერესების ექსტრავერტული მიმართულება, 2. რაც უფრო ტლანქია და მტკიცე განწყობა, მით უფრო მატულობს ინტროვერსიის რაოდენობრივი მაჩვენებლები. 3. სტატიკური განწყობის სუბიექტების დიდი უმრავლესობა ინტროვერტულია. 4. მტკიცე, ტლანქი, დინამიკური განწყობის ადამიანებს, რომლებშიც შეჭრილია ვარიაბილობა და ლაბილობა, ახასიათებთ

-----------

6 В.Г.Норакидзе. Методы исследования характера личности. Тб., 1975.

7 J.Hritzuk, A comparative and experimental of the psychology of set. University of Alberta. 1968.

8 M.L.Janzen An investigation on the integral nature of the Soviet concept of set International journal of psychology, 1972.vol.7,N4, 207-218.

ისტერიული ნევროზისადმი მიდრეკილება, ხოლო სტატიკური განწყობის ადამიანები ინტროვერტები და დისთიმიკები არიან.

ინტროვერსია-ექსტრავერსიისა და განწყობის ქარაქტეროლოგიურ ტიპებს შორის მაღალი კორელაცია სრულიად გასაგებია ფსიქოლოგიურადაც. განწყობის ტიპოლოგიაში დადგენილია, რომ 1) დინამიკური განწყობის სუბიექტები ნაკლებად ემორჩილებიან ფიქსაციის ფაქტორს, ამიტომ ადვილად შეუძლიათ ახალ შეცვლილ სიტუაციაში გადანაცვლება, ახალი განწყობის შემუშავება, არ სჭირდება საკუთარი ყოველი ნაბიჯის ობიექტივაცია, განცდების ანალიზი, განუწყვეტელი თვითკონტროლი. მათი ქცევა მიმდინარეობს ბუნებრივი რიტმით, გარემოსთან ადეკვატურად, ამიტომ დინამიკური განწყობის პიროვნებას სხვა თვისებებთან ერთად უფრო ახასიათებს ექსტრავერსია, იგი უფრო ობიექტურია, მიმართულია გარეთ, მიზანშეწონილი აქტივობის შერჩევისათვის ნაკლებად საჭიროებს ნებელობის ძალისხმევას, თვითკონტროლს: განწყობის დინამიკური ბუნება ხელს უწყობს ქცევის პლასტიკურად მიმდინარეობას. 2) სტატიკური განწყობის სუბიექტი უფრო მეტად ექვემდებარება ფიქსაციის ფაქტორს, რიგიდულია, ამიტომ უძნელდება ახალ სიტუაციაში ადეკვატური განწყობის შემუშავება, იძულებულია ხშირად მიმართოს ობიექტივაციის აქტს, მოახდინოს თავისი იმპულსების ობიექტივაცია, რის გამოც იგი მიმართულია შიგნით, ინტროსპექტულია, ავლენს გონებრივი აქტივობის მაღალ დონეს, იგი ობიექტივაციის დონეზე უფრო ცხოვრობს. ამიტომ სტატიკური განწყობის კონფლიქტურ პიროვნებას სხვა თვისებათა შორის უფრო ახასიათებს ინტროვერსია – მიმართულია შიგნით, სუბიექტურია, ობიექტივაციის დონეზე ავლენს აქტივობას, თვითკონტროლს, რის ნიადაგზეც იმუშავებს გარემოს შესატყვის განწყობას. 3) ვარიაბილური განწყობის იმპულსურ პიროვნებას ერთი და იგივე პირობებში შეუძლია გამოავლინოს სხვადასხვა ფორმის განწყობის მოქმედების უნარი, მასში შესუსტებულია ხასიათის ლოგიკა; ამიტომ გარემოსთან შეგუების პროცესი აკონსტანტურია, ამის შესატყვისად ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის გამოვლენა ვარიაბილურია.

ამრიგად, ამ კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ინტროვერსია, ექსტროვერსია და ისეთი ზოგადი ფაქტორი, როგორიცაა ნევროტიზმი, არ შეიძლება, ჩაითვალოს პიროვნების ტიპოლოგიის ძირითად ფაქტორად, ისინი უფრო წარმოადგენენ პიროვნების განწყობის სტრუქტურის ერთ-ერთ კომპონენტს, მათი წარმოშობა განსაზღვრულია განწყობით, როგორც ადაპტაციის ძირითადი მექანიზმით. კვლევის ეს შედეგები უფლებას გვაძლევს, განწყობის სტრუქტურის შესწავლის კომპლექსურ მეთოდში შევიტანოთ აიზენკის კითხვარიც, რომლითაც შესაძლებელია გამოვავლინოთ განწყობის სტრუქტურის შესატყვის თვისებათა შორის რა ადგილი უჭირავს ინტროვერსია-ექსტრავერსიას.

ანალოგიური შედეგები მივიღეთ თემატიკური აპერცეფციის ტესტებითა და ფიქსირებული განწყობის მეთოდით კვლევის მონაცემების ურთიერთმიმართე-

ბის ანალიზის შედეგადაც, თემატიკური აპერცეფციის ტესტები პიროვნება-ში იწვევენ ფანტაზიის ხატს. ფანტაზიის მოქმედება, კი, უზნაძის განწ-ყობის თეორიის მიხედვით, ეფუძნება პიროვნების განწყობას, განსაკუთ-რებით მის არარეალიზებულ ფიქსირებულ განწყობებს. ფანტაზიის აქტივაცი-ას განაპირობებს ასეთი განწყობის რეალიზაციის ტენდენცია–პიროვნების ყველა ძალის მიმართვა ამ განწყობის სარეალიზაციოდ, რომელთა განაღდე-ბას ხელს უშლის რეალური სინამდვილე. ფანტაზიის ხატები წარმოადგენენ სწორედ ასეთი განწყობის გამოვლენას. ფანტაზიის მოქმედების ამგვარი გაგება შესაძლებლობას იძლევა თემატიკური აპერცეფციის მეთოდით შევის-წავლოთ პიროვნების განწყობის შინაარსი–გამოვიწვიოთ ფანტაზიის ხატები და მათი ანალიზის ნიადაგზე დავადგინოთ ქცევის ფარული მოტივები.

ჩვენი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ხასიათის ტიპები, რომელ-იც დადგენილია ფიქსირებული განწყობის მეთოდით და გამოხატავს ხასია-თის ფორმალურ-სტრუქტურულ ასპექტს, მაღალ კორელაციაშია პიროვნების იმ თვისებებთან, რომელიც დადგენილია თემატიკური აპერცეფციის ტესტებით. გამოირკვა, რომ განწყობის მეთოდით დადგენილი პიროვნების ხასიათის სტ-რუქტურაში გარკვეული კანონზომიერებით თავსდება შესატყვისი მოტივები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი პიროვნული წრის განწყობის შინაარსეულ მხარეს. ამ ორი მეთოდით კვლევის შედეგებს შორის მიმართება ასეთია: 1) პლასტიკურ-დინამიკური განწყობის შემთხვევაში თემატიკური აპერცეფ-ციის მეთოდით გამოვლენილი თვისებების შინაარსი გამოხატავს გარემოს-თან პიროვნების ადაპტაციის მაღალ დონეს, კომუნიკაციური თვისებების განვითარებას, ე.წ. აფილაციის–მეგობრული კავშირების ძიების, გულღია-ობის, ექსტრაცეფციის ტენდენციას, სოციალურ ქცევაში ობიექტურობას, მო-ქმედებაში სიმტკიცეს, ინტენსიობას, ენერგიას–გარემოსთან დამოკიდებუ-ლებაში პლასტიკურობას, ფიქსაციის ფაქტორის ადვილად დაძლევის უნარს, ოპტიმისტური ემოციური განცდების ადვილ აღმოცენებას. 2) როდესაც დინა-მიკურ განწყობაში შეჭრილია სიტლანქე, პიროვნებაში თავს იჩენს ახალი შინაარსები, რომელიც განწყობის ამ ფორმალური ასპექტის შესატყვისია. 3) რაც უფრო სტატიკური, კონსტანტური და სტაბილურია პიროვნების განწ-ყობა თემატიკური აპერცეფციის ტესტების მონაცემების მიხედვით, მით უფ-რო ძლიერია პიროვნებაში სენზიტივობის, პესიმისტური ემოციების, ავტო-ნომიის, ეგოცენტრიზმის, სუბიექტურობის, ფარული აგრესიის, სოციალური ინტროვერსიის გამომხატველი მოტივები: ასეთ პიროვნებას ახასიათებს მრავალი ფარული, შეკავებული მოთხოვნილებები და არარეალიზებული ფიქსი-რებული განწყობები, რაც განპირობებულია განწყობის სტატიკურობით, გარემოსთან ადაპტაციის, თვითრეალიზაციისა და მიზნების მიღწევისათვის საჭირო საშუალებათა გამოძებნის დიდი სიძნელით. 4) რაც უფრო ვარიაბი-ლურია და სტაბილური პიროვნება, თემატიკური აპერცეფციის ტესტებში მით

'უფრო ვლინდება ასეთი განწყობის შესატყვისი თავისებურებანი: მძლავრი იმპულსურობა, პრეტენზიის მაღალი დონე, მიუღწევლობის შემთხვევაში დე-პრესია ან ექსპანსიურობა, სუბიექტურობა, სენზიტივობა, კრიტიკისათვის შეუვალობა, ჭარბი პროექციულობა, ალოგიკურობა ქცევაში, ამავე დროს, ში-ნაგანი შეშფოთებების ფონზე, მაღალი იდეებისათვის ბრძოლის ტენდენცია, რომელიც შერწყმულია აგრესიასა და დომინანტობასთან. 5) თუკი პიროვნე-ბის განწყობა ვარიაბილობასთან ერთად ლაბილურიცაა, მაშინ თავს იჩენს ფსიქიკური ენერგიის დაქვეითება, ჭარბი პლასტიკურობა-საცხოვრებელი ად-გილის, მეგობრის, პროფესიის ცვლილებისადმი მიდრეკილება, ხასიათში არათანმიმდევრულობა, ნარცისიზმი, შინაგანი სისუსტე, სხვისაგან დახმა-რების ძიება, პროექციულობა, ჭარბი პლასტიკურობა, იმპულსურობის, ექს-ცენტრული, ისტერიული ქცევის, ფანტაზიების, უცნაური იდეების გამომ-ხატველი შინაარსები.

ამრიგად, განწყობის ტიპების შესატყვისი ხასიათის თვისებები, რო-მელიც დადასტურებულია ჩვენ მიერ კლინიკურ-ბიოგრაფიული და თემატიკური აპერცეფციის მეთოდით, ძირითად ხაზებში, ერთმანეთს ემთხვევა; აღნიშნუ-ლი ტესტების მონაცემები ასახულია განწყობის სტრუქტურაში.

განწყობის სტრუქტურასთან მაღალ კორელაციაში აღმოჩნდა ცნობილი რო-რშახის მელნის ლაქების მეთოდით დადასტურებული პიროვნების რიგი თვისე-ბებისა. როშახის ტესტების საფუძველზე მიღებული მასალის განწყობის ფსიქოლოგიის ინტერპრეტაცია შესაძლებლობას იძლევა, ვწვდეთ არა მხოლოდ აღქმაში მელნის ლაქების სტრუქტურების პროცესის რაგვარობას, არამედ გავიგოთ აღქმის პროცესში წარმოშობილი წარმოდგენათა ასოციაციის, ფანტა-ზიის ხატების აღმოცენებისა და მიმდინარეობის ბუნება, რომელიც არსე-ბითი მნიშვნელობისაა როშახის მეთოდში.

წარმოდგენათა ასოციაციის აღმოცენების განწყობისეული საფუძველი, რომელიც დადასტურებულია დ. უზნაძის მიერ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ როშახის მეთოდით მოქმედებაში მოყვანილი ასოციაციები ავლენენ წარსულში ფიქსირებულ, ზოგჯერ დიდი პიროვნული წონის არარეალიზებულ განწყობებს. იგივე შეიძლება ითქვას ფანტაზიის ხატებზე, რომელიც აღ-მოცენდება როშახის მელნის ლაქების ჭვრეტის დროს. როშახის ტესტები წარმოადგენენ სწორედ ისეთ რეალურ სიტუაციას, რომელიც იწვევს ფანტა-ზიის აქტუალიზაციას; ამ მეთოდით გამოწვეული ფანტაზიის ხატების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ვწვდეთ პიროვნების ღრმა ფენებს, გამოვარკვიოთ მისი სტრუქტურის მნიშვნელოვანი მხარეები, და, რაც მთავარია, იგი იძ-ლევა საკმაოდ სანდო ცნობებს პიროვნების იმ ძალების ბუნების შესა-ხებ, რომელიც აუცილებელია განწყობის რეალიზაციისათვის – კერძოდ, რო-გორია ინტელექტის, როგორც ხასიათის თვისების თავისებურება, როგორია ინტელექტუალური ინტერესები, რეალობის გრძნობა, ემოციისა და ფანტა-ზიის მოქმედება, მოქმედებითი ენერგია, თვითრეგულაციის უნარი და

ა.შ. რამდენად ჯანმრთელია ეს ძალები, რა ბუნებისაა პიროვნების ნევროზული ტენდენციები, რამდენად კომპენსირებულია ისინი პიროვნების დადებითი ძალებით. ამ მეთოდით მიღებული მასალები ამდიდრებს და აღრმავებს ცოდნას პიროვნების სტრუქტურის შესახებ და ძირითად ხაზებში ეთანხმება ფიქსირებული განწყობის მეთოდით მიღებულ მონაცემებს[9].

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დინამიკური, კონსტანტური, სტაბილური განწყობის სტრუქტურის მქონე ჰარმონიული პიროვნების როშახის ტესტზე პასუხები, უმრავლეს შემთხვევაში, შეესატყვისება ასეთი განწყობის სტრუქტურას. ასეთ ადამიანებში, როშახის მონაცემების მიხედვითაც, ჭარბობს ჯანმრთელი ემოციები. ზუსტი ფორმების ასოციაციების, ცხოველებზე ხატების ასოციაციების და ე.წ. პოპულარული პასუხების ნორმალური რაოდენობა ადასტურებს, რომ ასეთი ადამიანისათვის დამახასიათებელია მაღალი ადაპტაციის უნარი, რომლითაც ხდება სხვა სუსტი მხარეების კომპენსაცია, კერძოდ, გონებრივი მოქმედების სამ კომპონენტს შორის (მთლიანობითი პასუხი, დიდი დეტალების შემჩნევა, მცირე დეტალებისადმი ყურადღების წარმართვა, დისოციაციის კომპენსაცია). ამიტომ ასეთი განწყობის მქონე პიროვნებაში, მაშინაც კი, როდესაც მიცემულია გონებრივი მოქმედების და ხასიათის ტენდენციებს შორის დისჰარმონია, იგი ყოველთვის დაძლეულია სხვა დადებითი ტენდენციებით (რეალობის აღქმის მაღალი დონე, მძლავრი შემოქმედებითი ენერგია და სხვა).

აქრომატული ფერების ნიადაგზე ხატების წარმოშობის იშვიათობა (სიღრმე, პერსპექტივა) უჩვენებს, რომ ასეთი განწყობის პიროვნებაში იშვიათია ნევროზული სახის კონფლიქტები, შეშფოთებანი. ზოგჯერ ასეთ პიროვნებებში შეინიშნება კომპენსირებული ან შეკავებული ნევროზული ტენდენციები განპირობებული არასრულფასოვნების გრძნობებით, პირადი ცხოვრების გზაზე შექმნილი არარეალიზებული ფიქსირებული განწყობები, რომლებიც, როგორც უნიკალური მოვლენები, დამახასიათებელია ცალკეული ინდივიდისათვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში, პასუხების ურთიერთმიმართებების ანალიზის ნიადაგზე, დასტურდება, რომ პიროვნების სტრუქტურა ძირითადად მთლიანია, ჰარმონიული და ჯანმრთელი.

რაც შეეხება სტატიკურ, ტლანქ კონსტანტური განწყობის კონფლიქტურ სუბიექტებს, მათი უმრავლესობა ხშირად აძლევს ფორმისაგან მოწყვეტილ ქრომატიული ფერის ასოციაციას. ხშირია ფერი-ფორმის პასუხები, შედარებით მცირეა ფორმა-ფერის და ე.წ. პოპულარული პასუხები; დამახასიათებელია ფორმის აღქმის არასიზუსტე, აბსტრაქტული და რიგიდული პასუხები; ყოველივე ეს მიუთითებს ემოციურ ლაბილობაზე, დისფორიული ემოციების, აუტისტური მდგომარეობის ბატონობაზე პიროვნებაში. ხშირად ადგილი აქვს ინტელექტის ძირითად კომპონენტებს შორის დისოციაციას, უფრო ხშირია აბსტრაქტუ-

---

9 В.Г.Н о р а к и д з е . Методы исследования личности, с.158-211.

ლი, სინდისური წვრთის მომენტები, რომლებიც ზოგჯერ ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს და გამოხატავენ ერთგვარ აბსოლუტურ დამოკიდებულებას ცხოვრების პრაქტიკისადმი. იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებაში ჭარბადაა მოცემული შემოქმედებითი ფანტაზია (მოძრაობის პასუხები), მაშინ პიროვნება ავლენს მძლავრ შინაგან ენერგიას, ახერხებს შინაგანი წუხილების, კონფლიქტური განცდების ფანტაზიაში კათარზისს და საკუთარი ქცევის, განცდების რეგულაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მძიმე ნევროზს ან ფსიქოტური განცდების ბატონობას. რორშახის მეთოდი ავლენს პიროვნების რიგ უნიკალურ თვისებებს, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული კონფლიქტური პიროვნებისათვის, ყოველივე ეს ავსებს და ამდიდრებს კონფლიქტური სუბიექტის ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილ ფორმალურ-სტრუქტურული ასპექტისათვის ნიშნეულ თავისებურებებს.

ამ სახის კვლევა მიმდინარეობს სხვა მეთოდებითაც, - წარმოებს პიროვნების სხვა მკვლევარების მიერ დადგენილი ფსიქომეტრული და ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდებით (კეტელის მრავალფაქტორიანი კითხვარი, მინესოტის პიროვნების ყოვლისმხრივი კვლევის მეთოდი და სხვ.) დადასტურებული პიროვნების ცალკეული სისტემების განწყობის სტრუქტურასთან მიმართების განხილვა. ამ მიმართებით კვლევითი მუშაობის გაღრმავების მიზნით შედგენილია სპეციალური კითხვარი, ე.წ. კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი, რომელიც იკვლევს პიროვნების განწყობის სტრუქტურის შინაარსეულ-მოტივაციურ მხარეს, კერძოდ, ქცევის მოტივებს, ცხოვრების ძირითად ღირებულებებს, მიზნებს, სოციალურ განწყობებს (წინამდებარე შრომაში ძირითადში ვეხებით ამ მეთოდის ფსიქოდიაგნოსტიკურ ღირებულებას).

ჩვენი კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სხვა ავტორების მიერ ზემოთ აღნიშნული სისტემები - ინტროვერსია და ექსტრავერსია, ემოციური სტაბილობა და ლაბილობა, მურეის მოთხოვნილების ინტეგრატები, რორშახის მიერ დადგენილი პიროვნების განზომილებები და სხვა ამ კატეგორიის მოვლენები წარმოადგენენ პიროვნების განწყობის ფორმალურ და შინაარსეული ასპექტებით განპირობებულ პიროვნების ხასიათის სტრუქტურის ცალკეულ კომპონენტებს, ეს სისტემები ასახულია განწყობის სტრუქტურაში. აღნიშნული სისტემების კვლევის მეთოდები კი წარმოადგენენ განწყობის სტრუქტურის კვლევის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის გზებს, ხერხებს. ამ პრინციპის გათვალისწინებით არის შედგენილი კომპლექსური ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდი.

პიროვნების ფსიქოლოგიაში ყველაზე ცნობილი ფსიქომეტრული მეთოდების ამოსავალი პრინციპია პიროვნების ცალკეული სისტემების, როგორც ამას უწოდებენ, ფაქტორების გამოყოფა, მათი გაზომვა, ინტერპრეტაცია და ამ გაზომილი სისტემების გაერთიანების ნიადაგზე მთლიანი პიროვნების აგება; ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდებშიც არაა დაძლეული ეს პრინციპი. პრაქ-

ციული მეთოდებიც ძირითადად პიროვნების "ანატომიას" სწავლობენ, პიროვნების ძირითადი ინტეგრალების გამოყოფის და მათი გაერთიანების საფუძველზე განიხილავენ პიროვნების ქცევის თავისებურებას. ყველა ასეთ შემთხვევაში იგნორირებულია კვლევის ობიექტის ბუნება, კერძოდ, ის, რომ პიროვნება წარმოადგენს განუყოფელ მთლიანობას, სტრუქტურას, და რომ ეს სტრუქტურა არაა ცალკეული სისტემების უბრალო გაერთიანება, ჯამი, ან კიდევ აგრეგატი; უგულებელყოფილია, რომ პიროვნებას გააჩნია მისი ყველა სისტემის მარეგულირებელი ცენტრალური მოდუსი - განწყობა; განწყობის ბუნება ქარაქტეროლოგიის ასპექტში გულისხმობს თავისი სტრუქტურის ტიპოლოგიური და უნიკალური თავისებურების შესატყვისი პიროვნების სისტემებს. პიროვნების კვლევის დროს ამოსავალი უნდა იყოს სწორედ ამ მოდუსის მთლიანი სტრუქტურის შესწავლა პიროვნების ყველა სხვა კომპონენტთან მიმართებაში.

ჩვენი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ განწყობის ფორმალური სტრუქტურული ასპექტის კვლევა შესაძლებელია ფიქსირებული განწყობის მეთოდებით, მისი სტრუქტურის მოტივაციური და სხვა ცალკეული კომპონენტების კვლევა კი განწყობის ცნების ნიადაგზე გააზრებული ზემოთ აღნიშნული ფსიქოდიაგნოსტიკური და ფსიქომეტრული მეთოდებით. ამ უკანასკნელთა მონაცემები მაღალ კორელაციაშია ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილ მონაცემებთან; ეს კი შესაძლებლობას იძლევა პიროვნების სტრუქტურის ზოგადფსიქოლოგიური, ტიპოლოგიური და უნიკალური ბუნება განვიხილოთ ერთიანობაში.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ისიც დადასტურდა, რომ ამ მეთოდების მონაცემები ავსებენ ერთმანეთს და იძლევიან შესაძლებლობას შევქმნათ პიროვნების საკმაოდ სრული ქარაქტეროლოგიური პორტრეტი[10]. ასეთი პორტრეტის შექმნის ძირითადი პრინციპია: განწყობის, სტრუქტურის დისპოზიციური ბუნების და მასთან ერთიანობაში მყოფი ცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების ურთიერთმიმართების ანალიზი—პიროვნების განცდებისა და ქცევის გარემოსთან ადეკვატურობის, ადაპტაციის სიძნელისა თუ სიადვილის, , საკუთარი მიზნების მიხედვით მოქმედების (თვითრეალიზაციის გზების ძებნაში პლასტიკურობა და რიგიდულობა), შინაგანი კონფლიქტების, ნევროზული და ფსიქოტური განცდების და სხვა ამ კატეგორიის მოვლენების—პიროვნების თვისებად ქცეული განწყობის სტრუქტურასთან მიმართებაში განხილვა. ასეთ პრინციპზე დაფუძნებული პიროვნების კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ არა მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის ინდივიდუალური თავისებურება, არამედ ახლად შექმნილ სიტუაციაში პიროვნების მოსალოდნელი ქცევის პროგნოზირება, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად განწყობის

---------------

10 В.Г.Н о р а к и д з е. Методы исследования установки как бессознательного психического. Монография "Бессознательное", под ред. А.С.Прангишвили, А.Е.Шерозия, Ф.А.Бассина, 1978, с.611–622.

თეორიის ასპექტში პიროვნების შესწავლის მეთოდების დადგენის მიმართებით ჩატარებული ინტენსიური კვლევითი მუშაობისა, აღნიშნული პრობლემა არ შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად; ჯერ კიდევ ბევრი თეორიული და მეთოდიკური საკითხია გასარკვევი, ბევრი სიძნელეა დასაძლევი.

## I

## მეთოდური სიძნელეები პიროვნების კვლევაში

პიროვნების ფსიქოლოგიაში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პიროვნების, როგორც ინდივიდუალობის ფსიქოლოგიური პორტრეტის, შექმნა დიდ მეთოდიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. პიროვნება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მთლიანობას, გარკვეულ სტრუქტურას. ეს სტრუქტურა დანაწევრებულია, ე.ი. შეიცავს ნაწილებს, აიგება ცალკეული კომპონენტებისაგან, მაგრამ, როგორც ეს დადასტურებულია ფსიქოლოგიაში, ცალკეული ნაწილები, მაგალითად, ფსიქიკური მოქმედებები, თვისებები, ქცევის მოტივები, ღირებულებების სისტემა და სხვა, მთლიანად დამოკიდებულია მთელზე; მათი გამოვლენის თავისებურება განსაზღვრულია მთელის ბუნებით. მაგალითად, შეიძლება ზუსტი ექსპერიმენტებით და ტესტებით შეისწავლო ადამიანის ცალკეული ფსიქიკური პროცესების ბუნება, დაადგინო ძირითადი ფსიქიკური თვისებებიც (აგრესია, დომინანტობა, აფილაცია და ა.შ.), მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები – დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები, მაგრამ როცა დადგება საკითხი მთლიანი პიროვნების სტრუქტურის დახასიათებისა, მკვლევარი განიცდის უმწეობას, ნაწილები ცნობილია, შეუძლია მათი ზუსტი დახასიათება, მაგრამ მთლიანთან მიმართებაში მათი განხილვა არ ძალუძს, რადგან ეს მთელი, სტრუქტურა უცნობია, X-ია. თანამედროვე ფსიქოლოგიის ენით რომ ვთქვათ, სტრუქტურა, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, უშუალო დაკვირვებას, ტესტირებას, ექსპერიმენტს არ ემორჩილება, მას უნდა წვდე, მისი გამოვლენის, ცალკეული კომპონენტების (დამოკიდებული ცვლადების) შესწავლის გზით. მაგრამ დამოკიდებული ცვლადები იმდენად ბევრია, მრავალრიცხოვანი, რომ, პირველ რიგში, ისინი მოითხოვენ რედუცირებას, სხვადასხვა საშუალებით (ფაქტორალური ანალიზი და სხვა) ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადების გამოყოფას, და ამის შემდეგ მათი შეჯამების ან სინთეზის გზით პიროვნების სტრუქტურის ბუნების შესახებ სათანადო დასკვნის მიღებას.

კვლევის ასეთი გზა მეცნიერულად გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია მოვლენის არსის უშუალო შესწავლა, ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გზა, მოვლენის არსის გამოვლენის ანალიზის გზა; მისი ცალკეული ცვლადების ბუნების კანონზომიერების შესწავლა. ბუნებისმეტყველურ მეცნიერებას კვლევის ამ გზით უზარმაზარი, პრაქტიკულად ღირებული მიღწევები აქვს მოპოვებული. საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მოვლენის არსის ცოდნის გარეშეც მხოლოდ მისი მოქმედებაში გამოვლენის კანონზომიერების შესწავლის გზითაც, შესაძლებელია სამყაროს საიდუმლოების მრავალი ასპექტის შემეცნება და ამ სფეროში მიღწევების პრაქტიკაში გამოყენება. პიროვნების შესწავლაში ფსიქოლოგიური მეცნიერებაც მიმართავდა და ამჟამადაც მიმართავს საბუნებისმეტყველო მეცნიერების მე-

თოდს. ეს მეთოდი პიროვნების ფსიქოლოგიაში ძირითად ორი მიმართულებით-თაა განვითარებული; ერთია – პიროვნების ცენტრალური ბირთვის – მისი განცდებისა და ქცევის განმსაზღვრელი ბუნების შესახებ გარკვეული კონცეფციის ან ჰიპოთეზის შექმნა და ამის ნიადაგზე მეცნიერული კვლევის წარმართვა; ჰიპოთეზის სახით დაშვებული პიროვნების სტრუქტურის შესატყვისი ცალკეული ფაქტების მოპოვება და მათი ანალიზის გზით მთლიანის შესახებ მსჯელობა. ამ გზას მიმართავდა კლასიკური ასოციაციური ფსიქოლოგია, გაგების ფსიქოლოგია და ნაწილობრივ ფსიქოანალიტიკური ფსიქოლოგიაც. ასეთი კვლევის კლასიკური ნიმუშია ფულიეს, მალაპერის, რიბოს და გაგების ფსიქოლოგიის კორიფეების დილთაის და შპრანგერის გამოკვლევები. მეორე გზაა-თავიდანვე საკითხისადმი ანალიზური მიდგომა, ფაქტორალური ანალიზის მეთოდით ხალხის მეტყველებაში ასახული პიროვნების თვისებების სიიდან ყველაზე ძირითადი ფაქტორების შერჩევა და მათგან შედგენილ თვისებათა კონფიგურაციის მიხედვით ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური სტრუქტურის დახასიათება (კეტელი, გილფორდი, აიზენკი). დაახლოებით ამავე გზას მიმართავს ყველა ის მკვლევარი, რომელიც პიროვნების სტრუქტურის ცნებაში გულისხმობს თვისებათა ორგანიზაციას–ყოველი ადამიანის პიროვნების ორგანიზაცია უნიკალურია, ამ უნიკალური ორგანიზაციის თავისებურებას განაპირობებს ცალკეული უნიკალური ინდივიდისათვის სპეციფიკურ თვისებათა კონფიგურაცია (ოლპორტი და სხვა ე.წ. ჰუმანისტი ფსიქოლოგები). ფროიდი პიროვნების სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრინციპს სიცოცხლის საწყისში პოულობს. ლიბიდოს განვითარების შეფერხება, რეგრესია, ფიქსაცია, დაცვითი მექანიზმი – განდევნა, პროექცია და სხვა ამ სახის თვისებათა თავისებური მიმართება–კონფიგურაცია განაპირობებს უნიკალური ინდივიდის ძირითად კომპონენტებს შორის (ეგო, სუპერეგო) კონფლიქტის თავისებურებას; ყველა ფსიქოანალიტიკოსის ძირითად პრინციპად რჩება პიროვნების ერთი ან რამდენიმე წამყვანი შინაგანი იმპულსის ურთიერთობის ნიადაგზე პიროვნების ინტეგრაციის თუ დეზინტეგრაციის ბუნების დახასიათება (ჰორნი, სულივანი, იუნგი, ადლერი), ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულება აღბეჭდილია ერთგვარი ნაკლოვანებით. მათი აზრით, პიროვნების სტრუქტურის ნამდვილი ბუნების კვლევა ამჟამად მხოლოდ დასაწყის ფაზაში იმყოფება. აღნიშნავენ იმასაც, რომ პიროვნების კვლევის არსებული მეთოდები ჯერ კიდევ უძლურია შეისწავლოს პიროვნების სტრუქტურის ჭეშმარიტი ბუნება[1]. ეს მაშინ, როცა პიროვნებისა და მისი კვლევის მეთოდების შესახებ ცნობილი ფსიქოლოგების მიერ მრავალი კაპიტალური მონოგრაფია და აურაცხელი ცალკეული შრომაა გამოქვეყნებული, და, გარდა ამისა, ფსიქოლოგიაში ამ მი-

-------------

1 R.Heib. Psychologische Diagnostik:Eingürung und Jberblik.Handbuch der psychologie. 6.band.3-10.Gotingcn.1971.

მართულებით წარმართული კვლევის შედეგებს პრაქტიკაშიც აქვს საკმაოდ ფართო გამოყენება; ამის მიზეზია ის, რომ უშუალო დაკვირვების, ან წინასწარი კონცეპტუალური ანალიზის გზით პიროვნების სტრუქტურის შესახებ მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები არაა იმდენად დამარწმუნებელი და დამაჯერებელი, როგორც ამას ადგილი აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

როგორც ეს ცნობილია, ბუნებისმეტყველების დიდი მიღწევები ძირითადად გაიზომება არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ჩასწვდნენ მეცნიერები ბუნების მოვლენების არსს, მის ქვემდებარე სტრუქტურას, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორადაა შეფასებული მათი არსის გამოვლენანი–რა არსებითი და აუცილებელი კავშირია მოვლენათა შორის, ე.ი. რა კანონებს ემორჩილება ბუნების მოვლენები. სწორედ ეს კანონებია ძირითადი და მთავარი მსოფლიოს მთლიანობაში, მათი არსის გააზრება ფილოსოფოსთა სპეკულაციურ აზროვნებას აქვს მინდობილი. შეიძლება ითქვას, საკვლევი მოვლენის არსის სტრუქტურის დადგენის სიძნელე ან შეუძლებლობა ხელს არ უშლის ბუნებისმეტყველების განვითარებას და ტექნიკურ პროგრესს, რომელიც ეფუძნება მეცნიერების მიღწევებს. ბუნებისმეტყველებაში მომუშავე მეცნიერი მიმართულია გარე სამყაროსადმი. მოვლენათა შორის კავშირების დადგენა და ამის საფუძველზე ადამიანების მიერ ბუნების დაპყრობისა და გარდაქმნის პროცესი წარმოებს ზუსტი და ზოგჯერ უხეში მანიპულაციებით, რომელიც შეიძლება ზიანსაც კი აყენებდეს ბუნებას. ბუნებისმეტყველს შეუძლია დაკმაყოფილდეს მოვლენათა შორის არსებითი კავშირების ძიებით, თუ კვლევის შედეგები პრაქტიკაში პოულობს ზუსტ, ადეკვატურ გამოყენებას. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ადამიანის პიროვნების სტრუქტურის შესწავლის შემთხვევაში; ცნობილია, რომ ადამიანის კულტურის განვითარების დიდ გზაზე მეცნიერული აზრი მიმართული იყო გარე სამყაროსადმი, მხოლოდ გვიან შემობრუნდა იგი და ინტერესის საგნად გაიხადა ადამიანის შინაგანი სამყარო. მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ სულ მალე, XIX საუკუნეში ნაწილობრივ, და, უფრო მეტად, XX საუკუნეში აღმოაჩინა პიროვნება-ფსიქოლოგიაში დაგროვილი ურიცხვი ფაქტორების, კანონზომიერების ანალიზის ნიადაგზე შეამჩნია, რომ არსებობენ რაღაც ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ამ კანონზომიერებებს. ასეთი ფაქტორების ცოდნის გარეშე აზრს მოკლებულია ამ კანონების ცოდნა, და მათი პრაქტიკაში გამოყენება (პედაგოგიკა, თერაპია, შრომა და სხვა). ყოველივე ამის გამო კვლევით მიღებული მიღწევების თეორიული საფუძვლები ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული. ამავე დროს პიროვნების ფსიქოლოგიის მკვლევარნი თავიდანვე აღმოჩნდნენ თითქოს დაუძლეველი სიძნელის წინაშე. ბუნებისმეტყველებისაგან განსხვავებით, რომელსაც შეუძლია დაკმაყოფილდეს ბუნების ცალკეული კანონების – მოვლენათა შორის არსებითი და აუცილებელი კავშირების ცოდნით, განსაკუთრებით, მაშინ, თუ

კანონი ზუსტი აუცილებლობით იჩენს თავს ყველგან სამყაროში და ცალკეული მოვლენის გააზრება შეიძლება ამ კანონებთან მიმართებაში, პიროვნების მკვლევარი ფსიქოლოგი თავიდანვე მიხვდა, რომ მისი, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების, ერთ-ერთი განშტოების მკვლევარის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი პიროვნების მთლიანი სტრუქტურის ბუნების – მისი არსის წვდომას. ამას აუცილებელს ხდიდა არა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში განმტკიცებული, ტრადიციად ქცეული მისწრაფება მოვლენის გაგებისა და ახსნისა—მოვლენის შიდა ღრმად არსებული ფაქტორებით ამ კავშირების გააზრების, მიზეზთა მიზეზების შემეცნების ინტერესი, არამედ წმინდა პრაქტიკული ინტერესიც: ფსიქოდიაგნოსტიკაში, კლინიკურ ფსიქოლოგიაში მუშაობის, შემოქმედების, შრომის, თამაშის და ქცევის სხვა ფორმების შესწავლაში წარმატება შეუძლებელია პიროვნების შინაგანი ბუნების, მისი სტრუქტურის ზუსტი ცოდნის გარეშე.

ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ პიროვნება მთლიანობა-სტრუქტურაა. პიროვნების სტრუქტურის ცოდნას ეფუძნება უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობის, სოციალური დამოკიდებულებების გაგება. ადამიანებზე ზემოქმედების მეთოდების არჩევა. მათ გარდაქმნაზე ზრუნვის, ფსიქოთერაპიის, კლინიკური კონსულტაციის სფეროში მუშაობის პრინციპების შერჩევა, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ეხება ადამიანის პიროვნების შესწავლის თეორიას და პრაქტიკას. შეიძლება არ იცოდე ელექტრობის არსი, ბუნება, მაგრამ, მისი ბუნების გამოვლენის ანალიზის ნიადაგზე შესაძლებელია მის შესახებ ზუსტი მსჯელობა, პრაქტიკაში ადამიანთა სასარგებლოდ გამოყენება; პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართ ამის თქმა შეუძლებელია. არ არსებობს პიროვნების შესახებ ისეთი ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომლის პრაქტიკაში ზუსტი გამოყენება შეიძლებოდეს (ჩვენ ვლაპარაკობთ და ხაზს ვუსვამთ სიზუსტეს, როგორც ეს ბუნებისმეტყველებაშია ცნობილი. ფსიქოლოგიაში ასეთი სიზუსტე ზოგჯერ მიიღწევა ან მიღწეულია საღი გონებით, ინტუიციით, გამოცდილებით, როგორც ამას ადგილი აქვს ფსიქოთერაპევტულ პრაქტიკაში, და არა ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევითი მიღწევების გამოყენების გზით). მაგალითად, თანამედროვე ფსიქოთერაპიაში მკურნალობის საკმაოდ სანდო მეთოდად ითვლება ე.წ. "განცდათა კომპლექსების" გაცნობიერების, მათი კათარზისის მეთოდი; გამოირკვა, რომ ეს მეთოდი ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, ვიდრე ამას მოელოდა ფსიქოანალიტიკოსი. ეს მეთოდი კი დაფუძნებულია ფროიდის მიერ პიროვნების სტრუქტურის არასწორ გაგებაზე. მრავალი ასეთი მაგალითი შეიძლება იქნეს მოტანილი.

დ. უზნაძემ სწორად განჭვრიტა ფსიქოლოგიური მეცნიერების სიძნელეები, ფსიქოლოგიის მიერ წარმოებული ექსპერიმენტული კვლევა-ძიების ნაკლები ნაყოფიერების მიზეზები ადამიანის ბუნების შესწავლაში. მისი აზრით, ძირითადი მანკი ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებაში, განსაკუთრებით პიროვნების

ქცევის ბუნების გაგებაში, არის ის გარემოება, რომ ეს კვლევები ეფუძნება უშუალობის ჰიპოთეზებს"[2]. ისე როგორც ეს მიღებულია ბუნებისმეტყველებაში, ფსიქოლოგიაშიც დაშვებულია, რომ ფსიქიკური უშუალოდ ზემოქმედებს ფსიქიკურზე, ფსიქიკური მიზეზი ისევე ფსიქიკური ფენომენია, ფსიქიკურს შეუძლია უშუალო კავშირი დაამყაროს გარემოსთან, ფიზიკური და, საერთოდ, გარემოს მოვლენები უშუალოდ უკავშირდებიან ფსიქიკურს, ე.ი. უშუალობის ჰიპოთეზის პრინციპი, რომელიც გაბატონებულია ბუნებისმეტყველურ მეცნიერებებში, მთლიანად გაბატონებულია ფსიქოლოგიაში.

ემპირიული ფსიქოლოგიის მიხედვით, ფსიქიკურ ცხოვრებაში ბატონობს ე.წ. ემპირიული პრინციპი, რომლის მიხედვით, ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის სრული უფსკრულია. ორგანიზმს არ შეუძლია უშუალოდ ისარგებლოს გარემოს მონაცემებით; ცოცხალმა არსებამ რომ გამოყოს გარემოდან თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ობიექტი, მან უნდა მიმართოს "ცდასა და შეცდომებს", მოქმედების მრავალგზის განმეორების გზას, სანამ შემთხვევით არ "მიაგნებს" მიზანშეწონილ ქცევას. ამ პრინციპის მიხედვით, ცოცხალი არსების პირობები და ცხოვრების წესი განვითარების მოცემულ სტადიაში, წარმოადგენს წარსულში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მორეული წინაპრების მიერ ცდისა და შეცდომის გზით მიღწეულ შედეგს. ეს გაგება ვრცელდება ადამიანზედაც. ამგვარად, ამ ორ პოსტულატს ემყარება თანამედროვე ფსიქოლოგია, განსაკუთრებით ცხოველის ფსიქოლოგია.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არის ამ პრინციპების დაძლევის უნაყოფო ცდები (შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგია, გეშტალტფსიქოლოგია). როგორც ამას ნათლად უჩვენებს დ. უზნაძე, ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. აღნიშნულმა კონცეფციებმა ვერ გადალახეს უშუალობის ჰიპოთეზის პრინციპი. მაგალითად, გეშტალტფსიქოლოგიაში ემპირიზმის პრინციპის დაძლევა გამოიხატება მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურებაში, რომ როგორც ცხოველს, ისე ადამიანს გააჩნია რთულ პირობებში, მძიმე სიტუაციებში, ამოცანის, ცდისა და შეცდომის გარეშე სწორი გადაწყვეტის უნარი, მათთვის დამახასიათებელია ე.წ. წვდომის (Einfühlung) უნარი. მაგრამ ამ ფუნქციის აღნიშვნის იქით ეს მეხედულება არ წასულა, მისი ახსნა მას არ ჰქონია.

წინააღმდეგ ზემოთ აღნიშნული პრინციპისა, დ.უზნაძემ წამოაყენა ახალი დებულება, რომლის მიხედვით, ცნობიერების აქტების მიღმა არსებობს ფენომენი, რომლითაც გაშუქებულია ცნობიერება. ესაა განწყობა-სუბიექტის გარკვეული მდგომარეობა, მთლიანი მოდიფიკაცია, რომელიც წარმოიქმნება მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების შესაფერისი სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნილების ფონზე ობიექტის ასახვას, მოცემულია იმ ქცევის პროგრამა, ამოცანის გადაწყვეტის გეგმა, რო-

---

2 დ.უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1941 წ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქ. მოსაზ., IX, 1950.

მელიც ცნობიერი ქცევის აქტში უნდა გაიშალოს, ცნობიერ მოქმედებად იქცეს. განწყობა არის ცნობიერების აქტივობის აღმძვრელი და წარმმართველი; იგი თავის ბუნებით არაცნობიერი მდგომარეობაა; მაგრამ ერთიანობაშია ცნობიერებასთან, მისი მოკავშირეა, მისი სწორი, ადეკვატური მუშაობის წარმმართველი ფაქტორია. განწყობა ხასიათდება რიგი ზოგადფსიქოლოგიური და დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თვისებებით. მაგალითად, განწყობას ახასიათებს ფიქსირება-ერთხელ შექმნილი განწყობა უკვალოდ არ იკარგება, იგი განმტკიცდება და შესატყვის ან ანალოგიურ სიტუაციაში ხელს უწყობს მისი ახლად, ადვილად აღმოცენებას. პიროვნებაში მოცემულია დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები – პიროვნების თვისებების სახით. ამგვარი განწყობის ერთიანობა აყალიბებს პიროვნების ხასიათს-ადამიანის გარემოსადმი, თავისთავისადმი, საერთოდ სამყაროსადმი დამოკიდებულების თავისებურებებს. რაც მთავარია, განწყობით გაშუალებულია პიროვნების ფსიქიკური აქტები, მისი თავისებურების დაღით აღბეჭდილია პიროვნების მრავალფეროვანი აქტივობა.

პიროვნების განწყობა წარმოადგენს სტრუქტურულ მთლიანობას. ცნობილია, რომ მთლიანობის (რომელიც წარმოქმნილია სოციალური ან ბიოლოგიური ფაქტორებისა და სოციალურ-კულტურული გარემოს ერთიანობის ნიადაგზე) სტრუქტურის ცალკეული კომპონენტების, თვისებურების გაგება, მათი ბუნების ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მთლიანი სტრუქტურის ბუნებასთან მიმართებაში. მაგალითად, პიროვნების განწყობის დინამიკურობა მაშინ იქნება გასაგები, თუ იგი განხილული იქნება პიროვნების მთლიანი განწყობის სტრუქტურის, მის ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში (აგზნებადობა, სიმტკიცე, კონსტანტობა, სტაბილობა, ირადიაცია და ა.შ.). სწორედ პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევა, ამ სტრუქტურის თავისებურებასთან მიმართებაში პიროვნების ქცევისა და განცდების განხილვა, იძლევა ფართო პერსპექტივას პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლა წარემართოთ უფრო სწორი მიმართულებით, უფრო ადეკვატურად, ვიდრე ამას აკეთებს ის ფსიქოლოგია, რომელიც ეფუძნება უშუალობას და ემპირიულ ჰიპოთეზას.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში უკვე არის უშუალობის ჰიპოთეზის დაძლევის ცდები. ამტკიცებენ, რომ გარემოს გავლენა უშუალოდ არ იწვევს ქცევას, იგი გაშუალებულია სრულიად გარკვეული მექანიზმით, რომელიც მოქცეულია გარემოსა და ქცევას შორის, აერთიანებს გარემოსა და ქცევას. მაგალითად, საბჭოთა და უცხოეთის ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში გარემოსა და ქცევას შორის არსებული ვაკუუმის შესავსებად არსებობს აკცეპტორის (ანოხინი) უკუკავშირების, სქემის (ბარტლეტი), წარმოდგენის, პროგრამის და სხვა ანალოგიური ცნებები. მაგრამ თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის კვლევებში, წესით თუ უნებლიედ, ფაქტიურად იგნორირებულია შუალობის პრინციპი, ზოგჯერ იმის გამოც, რომ არსებული კონცეფციების მიხედ-

ვით შეუძლებელია. უშუალოდ მთლიანი სტრუქტურის წევრზე, იგი X-ია, რომ-ლის შემეცნება მხოლოდ და მხოლოდ ირიბი ანალიტიკური კვლევის გზითაა შე-საძლებელი (მიელინის არსის ცალკეული კომპონენტების ექსპერიმენტული კვ-ლევის გზით), არ არსებობს ისეთი ადეკვატური, ზუსტი ექსპერიმენტული მე-თოდი, რომლითაც შეიძლებოდეს სავარაუდოდ დაშვებული პიროვნების სტრუქტუ-რის ბუნების შესწავლა.

განწყობის ფსიქოლოგიის წინაშეც დგება ყველა ის სიძნელე, რომელიც აწუხებს თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიას. პირველ რიგში ეს თავს იჩენს პიროვნების ძირითადი ბირთვის-დამოუკიდებელი ცვლადის ბუნების კვ-ლევისას (როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული მეთოდური თვალსაზრისით), განწყობის ფსიქოლოგიის მიმართაც შეიძლება იგივე საკითხების დასმა, რაც გამოთქმული იყო სხვა კონცეფციების მიმართ: განწყობის ცნებაც ხომ ისეთ რეალობას ასახავს, რომელიც უშუალოდ ექსპერიმენტულ კვლევაში არაა მოცე-მული (განწყობა უშუალოდ არაა მოცემული); იგი პიროვნების არაცნობიერი მდგომარეობაა, რომლის ცალკეულ თვისებას, მთლიან სტრუქტურას ვწვდებით მისი ცნობიერებაში გამოვლენის გზით; მის შესახებ ვღებულობთ გარკვეულ დასკვნას ქცევაში გამოვლენის ანალიზის ნიადაგზე. ეს გარემოება ნათლად ჩანს განწყობის კვლევის კლასიკურ ექსპერიმენტში. ექსპერიმენტულად გა-მოწვეულ ილუზიაზე დაკვირვება გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ მის გა-მომწვევ ფაქტორზე-განწყობაზე. ისმის კითხვა, რამდენად სწორია ილუზიაზე დაკვირვების გზით ვიმსჯელოთ, რომ მისი საფუძველი განწყობაა, განწყო-ბა ის დამოუკიდებელი ცვლადია, რომელსაც ეფუძნება პიროვნების ხასიათი-სეული ქცევა? კითხვა უთუოდ სწორია. ასეთი კითხვა შეიძლება დავუყენოთ ყველა მეცნიერებას, განსაკუთრებით პიროვნების ფსიქოლოგიას.

აქ, წინასწარ ერთი გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში: უშუალო-ბის პოსტულატის საფუძველზე მომუშავე ფსიქოლოგისათვის ფაქტიურად არ დგას დამოუკიდებელი ცვლადის პრობლემა, რამდენადაც პიროვნების ცნება ამოი-წურება პიროვნების ორი წევრის ურთიერთობით (სტიმული-რეაქცია), სტიმუ-ლი შეიძლება იყოს შინაგანი (მოთხოვნილებები) და გარეგანიც. შინაგანი იმპულსები, თანდაყოლილი მიდრეკილებები, ინსტინქტები, დისპოზიციები, კულტურის მიერ ადამიანში ჩანერგილი ღირებულებები შეიძლება უშუალოდ წა-რმართავდეს ადამიანის დამოკიდებულებებს საკუთარ თავთან და გარე სამყა-როსთან, ან პირიქით, გარეგანი სტიმულები, სიტუაციები, ამ სიტუაციების ბუნება განაპირობებდეს მარტივსა და რთული ქცევის აქტებს, თვით ხასია-თისეულ ქცევასაც კი.

ასეთი კონცეფციის ნიადაგზე დამოუკიდებელი ცვლადის ძიება ნიშნავს იმ ძირითადი შინაგანის ან სიტუაციების სისტემების დადგენას, რომლითაც შესაძლებელია აღწერა, ზოგჯერ გაგება და ახსნაც იმ ფენომენებისა, რომე-ლნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ძირითად ცვლადთან, პიროვნების შე-

მიხედვაში მის სტრუქტურასთან. ამითაა განპირობებული სტრუქტურის კვლე-ვის ის კონცეფცია, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ნათქვამი–დაშვება სტ-რუქტურის შესახებ გარკვეული კონცეფციის და მისი ბუნების შემეცნებისათ-ვის ანალიტიკური მეთოდის წარმართვა, ან პირიქით, თავიდანვე ემპირიულ-ანალიტიკური კვლევის გზით ამ მთლიანის ნახვა. ყველა ამ შემთხვევაში კვლევის ძირითადი მიზანია, ფართო გაგებით, სტიმულისა და რეაქციის და მათი კავშირის, სტიმულზე რეაქციის დამოკიდებულების ანალიზი (მაგალი-თად, კულტურის მიერ ჩამოყალიბებული ღირებულებები განაპირობებენ ქცევის თა-ვისებურებას, ადამიანისათვის დამახასიათებელი შეიძლება იყოს თეორიული, ეკონომიკური, რელიგიური ან სხვა ამ კატეგორიის ქცევა). პიროვნების ფსი-ქოლოგიის მიზანია ამ ღირებულებების ანალიზი, მათი როგორც დამოკიდე-ბული ცვლადების შესწავლა. აიზენკის მიხედვით, პიროვნების მრავალ თვი-სებათა ფაქტორული ანალიზის ნიადაგზე ირკვევა, რომ არსებობს ორი ძი-რითადი პიროვნული ღირებულების დამოკიდებული ცვლადი–ინტროვერსია და ექსტრავერსია. ემპირიული ანალიტიკური გზით მიღებული ეს ორი ცვლადი ისე-თი ფაქტია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღიწეროს პიროვნების ტიპოლო-გიური ნიშნები.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე განწყობის ფსიქოლოგიაში. შეიძლება ითქვას, ეს ის კონცეფციაა, რომელმაც პირველად შუალობითი ჰი-პოთეზის ნიადაგზე სცადა ფსიქოლოგიის სისტემის აგება. განწყობა ის და-მოკიდებული ცვლადია, რომელიც თავის თავში შეიცავს როგორც სტიმულს, ისე რეაქციას. იგი ისეთი სტრუქტურული მთლიანობაა, რომელშიც ასახულია სიტუ-აცია (ობიექტი), რომელიც ზემოქმედებს სუბიექტზე (ობიექტი მოთხოვნილე-ბის აქტივობის პროცესშია ასახული), ამიტომ ნაგულისხმევი მიმდევნო მი-ზანშეწონილი რეაქცია გაიშლება განწყობაში ასახული პროგრამის მიხედვით. ის იმგვარი დამოკიდებული ცვლადია, რომელიც თავის თავში შეიცავს ცნო-ბიერების – განცდებისა და ქცევის აღმძვრელსა და წარმმართველ იმპულსებს (მოთხოვნილებასა და იმ ობიექტს, რომლისადმი მიმართულია მოთხოვნილება). ამიტომ მისი სტრუქტურის ბუნების კვლევა ნიშნავს პიროვნების, როგორც ქცევის სუბიექტის, ჭეშმარიტი არსის, მისი ფსიქოლოგიური ასპექტის შეს-წავლის საქმის სწორი მიმართულებით წარმართვას. რა თქმა უნდა, განწყო-ბის სტრუქტურის კვლევაც ვერ აცდება იმ პრინციპის გამოყენებას, რომელიც გაბატონებულია მეცნიერებაში. ისე როგორც ფსიქიკურ მოქმედებებს (მეხსი-ერებას, აზროვნებას), ფსიქოლოგი იკვლევს მათი ფუნქციობის პროცესში (მეხსიერების–დამახსოვრების და გახსენების პროცესში და ა.შ.), განწყო-ბის ბუნების კვლევაც წარმოებს მისი აქტივობის ქცევაში გამოვლენის პრო-ცესზე დაკვირვების გზით. აქ ჩნდება საკითხები, რომლებიც ეხება განწყო-ბის კვლევის მეთოდის ვალიდობას. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით საქ-მის ვითარებას, ყველა ეს ეჭვი შეიძლება დავძლიოთ. ჩვენ არ ვიცნობთ პი-

როვნების ქცევისა და განცდების განმსაზღვრელ, ცნობიერების პროცესების აღმძვრელი და წარმმართველი მექანიზმის შესახებ, იმგვარ კონცეფციას, რომელიც ასე მყარად ეფუძნებოდეს ადეკვატური ექსპერიმენტული კვლევის მედეგებს, ან მათ არსენალში იყოს ისეთი მეთოდი, რომელიც უშუალოდ წვდებოდეს პიროვნების რეალური დამოუკიდებელი ცვლადის ბუნებას. თუ ჩავუკვირდებით განწყობის ფსიქოლოგიაში არსებული კვლევის საერთო მიმართულებას, ნათელი გახდება, რომ აქ ძირითად მიახლოებაში დაძლეულია ის სიძნელე, რომელიც თავს იჩენს პიროვნების სტრუქტურის კვლევაში—ნაჩვენებია, რომ პიროვნების კვლევის ამოსავალი უნდა იყოს პიროვნების იმ ძირითადი, ცენტრალური ბირთვის (განწყობის) შესწავლა, რომელშიც იმთავითვე მოცემულია პიროვნების სტრუქტურის ყველა ის თავისებურება, რომელიც ხასიათის თვისებების სახით არიან ფიქსირებულნი პიროვნებაში და ვლინდებიან დამახასიათებელი განცდებისა და ქცევის სახით.

ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ფიქსირებული განწყობის მეთოდი იძლევა საშუალებას ვწვდეთ პიროვნების ფორმალურ-სტრუქტურული ასპექტის ძირითად სქემას; მას შემდეგ, რაც ასეთი სქემა (ჩონჩხი) "დაჭერილია", იხსნება საიმედო გზა ამ სქემისათვის ხორცის შესხმისა, ისეთი შინაარსის ძიებისა, რაც შეიძლება დამახასიათებელი იყოს პიროვნების სტრუქტურის ფორმალური ასპექტისათვის. მისი ასეთი ნიშნებით შევსება ამდიდრებს სტრუქტურას იმ დონემდე, რომ ვერ დაარღვევს მის მთლიანობას. კვლევა-ძიება იმ მიმართულებით ხდება, რომ მიღებულ იქნეს კონკრეტული პიროვნების პორტრეტი, რომელშიც ასახული იქნება პიროვნების ფორმალურ-სტრუქტურული და შინაარსეულ-მოტივაციური მხარეები ერთ მთლიანობაში. ამგვარად, პიროვნების სტრუქტურის სქემას ჩვენ ვწვდებით ფიქსირებული განწყობის მეთოდით—ამ გზით ვადგენთ პიროვნების ყოველგვარი ქცევის, მისი თვისებებისა და მოქმედებების აქტივობის განმსაზღვრელ ფუნდამენტურ საფუძველს, განწყობის ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურების სქემას, სხვა მეთოდებით კი ვქმნით ისეთ ექსპერიმენტულ სიტუაციებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია განწყობის ბუნების ყველა ასპექტის, კერძოდ, მისი შინაარსეულ-მოტივაციური ასპექტის რეალურ აქტივობაში გამოვლენა, და ამ აქტივობაზე უშუალო დაკვირვების გზით მისი ბუნების წვდომა. ყოველივე ეს პიროვნების სტრუქტურის კვლევის იგივე გზაა, რაც ცნობილია პიროვნების თანამედროვე, მოწინავე ფსიქოლოგიაში, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ჩვენ ანალიზურ მუშაობას ცარიელი ადგილიდან ან კიდევ საეჭვო ჰიპოთეზის ნიადაგზე კი არ ვიწყებთ, არამედ ვიკვლევთ ექსპერიმენტში უშუალოდ გამოვლენილი პირველადი ცვლადის, სტრუქტურის ბუნებას. კვლევის ამ გზამ ჩვენ შეგვაძლებინა არამხოლოდ რიგი ზოგადი კანონზომიერებების დადგენა, არამედ ცალკეული ინდივიდების—შემოქმედი ადამიანების—მხატვრების, მწერლების, სპორტსმენების და სხვა ინდივიდების ფსიქოლოგიური პორტრეტების

შექმნა. პორტრეტის შექმნის ძირითადი პრინციპია: დისპოზიციის სახით მოცემული განწყობის, როგორც არაცნობიერი ფსიქიკური სტრუქტურისა და მასთან ერთიანობაში მოცემული ცნობიერ-ფსიქიკურ ცხოვრებას შორის ურთიერთმიმართების, ანალიზი, იმის გარკვევა, თუ რამდენად არის პიროვნების განცდები და ქცევა, ადაპტაციის სიძნელე და სიადვილე, მიზანშეწონილი ქცევა, თვითრეალიზაციის გზების ძიებისას პლასტიკურობა და რიგიდულობა, შინაგანი კონფლიქტები და ა.შ. დაკავშირებული პიროვნების არსებით თვისებად ქცეულ განწყობის სტრუქტურასთან.

ჩვენი კვლევის მიზანია, წარმოვადგინოთ განწყობის, როგორც პიროვნების ქცევის აღმძვრელი და წარმმართველი ფსიქიკური ფენომენის - სტრუქტურის შესწავლის კომპლექსური - კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი, ვუჩვენოთ პიროვნების განწყობის სტრუქტურის მრავალ ასპექტში კვლევის, კვლევაში გამოყენებული მეთოდებით მიღებული მასალების რაოდენობრივი და რომელობითი ანალიზის ნიადაგზე პიროვნების მთლიანი სტრუქტურის პორტრეტის შექმნის გზები.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პიროვნების განწყობას აქვს თავისი ფორმალური ასპექტი (აგზნებადობა, სიმტკიცე, დინამიკურობა, სტატიკურობა, კონსტანტობა, სტაბილობა, ირადიაცია და ა.შ.), ნაგულისხმევია ამ ნიშნების მრავალ ასპექტში გამოვლენის შესაძლებლობა. განწყობა შეიძლება იყოს პირველადი (განწყობა, რომელიც იქმნება აქტუალური სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე), რომელიც განაპირობებს ადამიანის ყველა სახის აქტივობას, და აგრეთვე ფიქსირებული, რომელიც ხშირად მოცემულია არარეალიზებული სახითაც (განწყობა, რომელიც შემუშავდა სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე, რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით შეიძლება დარჩეს არარეალიზებული. განწყობის ასეთ მდგომარეობაში ყოფნას შეიძლება ჰქონდეს ქრონიკული ხასიათი, რაც განაპირობებს სიზმრების, ოცნებების, შინაარსების და ზოგჯერ არაადეკვატურ წევრიზე "განცდათა კომპლექსების" აღმოცენებას). რიგი ფიქსირებული განწყობებისა შეიძლება იქცნენ პიროვნების თვისებებად (დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები). ასეთ ფიქსირებულ განწყობებს, როგორც თვისებებს, ახასიათებს ზოგადობა, ამიტომ მათ აქვთ უნარი მრავალი გამოიზიანებელი აქციონ ფუნქციონალურად და განაპირობონ მყარი ექვივალენტური ქცევის ფორმების აღმოცენება და მიმდინარეობა. რაც უფრო განზოგადებულია დიდი პიროვნული წონის განწყობა, მით უფრო მეტი რაოდენობის განსხვავებულ ქცევებზე ახდენს იგი გავლენას. ასეთი განწყობები წარმოადგენენ პიროვნების ხასიათის ცენტრალურ თვისებებს. პიროვნების თვისებად შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ფიქსირებული განწყობები, რომელთა რეალიზაცია ხდება შესატყვის პირობებში, არამედ არარეალიზებული განწყობებიც-ისინი შეიძლება ხელს უწყობდნენ ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, რომე-

ლნიც განაპირობებენ შინაგან და გარეგან კონფლიქტებს, საერთოდ დეზინტეგრაციას. დიდი პიროვნული წონის განწყობებში იგულისხმება პიროვნების ღირებულებათა სისტემაც (მორალური, ეკონომიური, პოლიტიკური, ესთეტიკური, სოციალურ-ადამიანებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, რელიგიური და ა.შ.), ამგვარი ღირებულებები პიროვნებაში შეიძლება მოცემული იყოს ფიქსირებული განწყობების სახით, ისინი შესაძლოა განაპირობებენ პიროვნების მოტივაციურ სფეროს-ბიძგს აძლევენ ნებელობით თუ იმპულსურ მოქმედებას, განსაზღვრავენ როგორი შინაარსის მოტივის ნიადაგზე უნდა გაიშალოს პიროვნების ქცევა.

ამრიგად, პიროვნების განწყობის კვლევის პირველი უმნიშვნელოვანესი ასპექტია პიროვნების განწყობის ფორმალურ და შინაარსეულ მხარეთა კვლევა, – როგორია პიროვნების განწყობა ფორმის მიხედვით და რა დიდი პიროვნული წონის შინაარსის ფიქსირებული განწყობები ახასიათებს პიროვნებას (რა ურთიერთობაა ფორმასა და შინაარსს შორის, რა ფორმით ხდება ფიქსირებული განწყობების, როგორც თვისებების რეალიზაცია, როგორ იშლება პიროვნების ქცევა მრავალ განსხვავებულ სოციალურ დამოკიდებულებებში).

კვლევის მეორე მხარეა იმის დადგენა, თუ რა სახით ხდება პიროვნების განწყობის რეალიზაცია – იმპულსურად, თუ ობიექტივაციის დონეზე; რამდენადაა ჩართული განწყობის რეალიზაციაში ნებელობითი მოქმედება – აქვს თუ არა პიროვნებას ფიქსირებული პიროვნული თვისებების რეგულაციის უნარი; როგორია პიროვნების თვითრეგულაციის დონე (ნებელობის ფსიქოლოგიის ასპექტში ამ თვისებას ნებელობის პოზიტიური და ნეგატიური მოქმედების უნარს უწოდებენ). სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, რამდენად შეუძლია პიროვნებას იცხოვროს უმაღლესი სოციალური მოთხოვნილებების -მოვალეობის ნიადაგზე; როგორია პიროვნების თვითხატი, და რამდენად მონაწილეობს იგი ობიექტივაციის დონეზე საკუთარი ქცევის მართვაში.

პიროვნების სტრუქტურის მესამე ასპექტი, რომელიც არაა უშუალოდ დაკავშირებული განწყობის სტრუქტურასთან, შინაარსეულ და ფორმალურ მხარესთან, მაგრამ წარმოადგენს განწყობის რეალიზაციის პროცესში ჩართული ქცევის სტრუქტურის ერთ-ერთ კომპონენტს, ესაა პიროვნების ტემპერამენტი. ტემპერამენტი თანდაყოლილი თვისებაა, ტემპერამენტი წარმოადგენს მოთხოვნილების დინამიკურ ასპექტს, იგი ფაქტიურად შერწყმულია მოთხოვნილებასთან და მასთან ერთად არის განწყობის წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორი; ამიტომ განწყობის ყოველ ფორმას რეალიზაციის პროცესში თავისი დინამიკური ასპექტი შეესატყვისება. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ემოციურ-აფექტურ განცდებში, ისეთ ემოციებში, რომელიც თან ახლავს ქცევას. იგი ერთ-ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური კომპონენტია, რომელიც თავის დაღს ასვამს განწყობის ქცევაში რეალიზაციის პროცესს, განაპირობებს მის დინამიკურ მხარეს (აგზნებადობის ინტენსივობა, გადანაცვლება, ძვრადობა,

დისკრეტული და ევკლიდური შინაარსი, გამოსახულებითი მოძრაობები და სხვა), განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნების საქციელის სტილის ჩამოყალიბებაზე. პიროვნების ხასიათის პორტრეტის შექმნა შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული განწყობის ის თვისება, რომელიც რეალიზაციის დროს თავს იჩენს როგორც ტემპერამენტ-განწყობის სუბიექტური ფაქტორის-მოთხოვნილების დინამიკური ასპექტი (განწყობის მთლიანი სტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტი)[3].

ამრიგად, პიროვნების დონეზე განწყობის სტრუქტურის ანალიზი გულისხმობს განწყობის ფორმალურ მხარეს და მისი შინაარსეული მომენტების (დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები-თვისებები), ობიექტივაციის დონეზე რეალიზაციის თავისებურების (იმპულსურსა და ობიექტივაციის დონეზე ქცევის წარმართვა-თვითრეგულაცია და განწყობის დინამიკური ასპექტის-ტემპერამენტის თავისებურებების) შესწავლას. ყველა ეს მხარე არის განწყობის მთლიანი სტრუქტურის ცალკეული კომპონენტი-გამოხატავს ერთიანობაში მოცემული განწყობის სტრუქტურის ფორმალურ და შინაარსეულ კომპონენტებს.

განწყობის სტრუქტურა (განწყობის ცალკეული კომპონენტების ერთიანობა) ყოველთვის არაა ერთმნიშვნელოვანი. მის შემადგენელ კომპონენტებს შორის შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც სრულ ინტეგრაციას - ჰარმონიას, ისე დეზინტეგრაციას-შინაგან კონფლიქტებს. განწყობის სტრუქტურის რაგვარობის მიხედვით, პიროვნება შეიძლება იყოს ჰარმონიული ან კონფლიქტური-ისინი ყოველი ცალკეული ინდივიდუალობის შემთხვევაში შეიძლება ვლინდებოდნენ სრულიად სპეციფიკური, განუმეორებელი უნიკალური ნიშნებით. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული პრინციპის მიხედვით, მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს პიროვნების არა მხოლოდ ტიპოლოგიური ბუნება (განწყობის სტრუქტურის რომელ ტიპს მიეკუთვნება იგი), არამედ მისი, როგორც ინდივიდუალობის უნიკალური თავისებურებები (ყოველი ადამიანი გარკვეული ტიპია, მაგრამ ამავე დროს მას ახასიათებს უნიკალობა).

როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი კვლევა მიმართულია დავადგინოთ პიროვნების განწყობის სტრუქტურის, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის, შესწავლის ადეკვატური მეთოდი. ასეთ მეთოდად, პირველ რიგში, მივიჩნიეთ ფიქსირებული განწყობისა და კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი. კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს პიროვნების სტრუქტურის შინაარსეულ-მოტივაციური ასპექტი, კვლევა წარმოებს სამი მიმართულებით. 1. თვისებები-დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები. 2. პიროვნების, "მე"-ს მიზნები, ღირებულებები (ნებელობის ძალა, მისი ნეგატიური და პოზიტიური მხარეთა თავისებურება), რომლებიც შეიძლება განხილულ იქნენ, როგორც ობიექტივაციის დონეზე შემუშავებული პიროვნების თვისებები. 3.ემოციური დისპოზიციის ბუნება. 4.ამ თვისებათა ურთიერთობა და ფიქსირებულ განწყობის ტიპთან მათი დამოკიდებულება.

---

3 ე.ნორაკიძე,ტემპერამენტის ტიპები და ფიქსირებული განწყობა,თბ.1967.

## II

## პიროვნების თვისებები და ფიქსირებული განწყობა

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მეთოდის მთავარი დანიშნულებაა პიროვნების თვისებების კვლევა, ამიტომ საჭიროა უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ თვისებების ფსიქოლოგიურ ბუნებას, ვნახოთ, თუ რა კავშირი შეიძლება ქონდეს თვისებას ფიქსირებულ განწყობასთან. ჩვენ სამუშაო ჰიპოთეზად მივიღეთ თვისების შემდეგი დახასიათება: თვისება არის დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობა, რომელსაც ახასიათებს ზოგადობა, გააჩნია უნარი, ზემოქმედი სტიმულები, აქციოს ფუნქციონალურად ეკვივალენტური და განაპირობოს სპეციფიკური ქცევის აღმოცენება და მიმდინარეობა.

შევჩერდეთ უფრო დეტალურად ამ განსაზღვრების შინაარსზე. მკვლევარები შეთანხმებული არიან (ოლპორტი, კეტელი და სხვა) იმაში, რომ თვისებაზე პირდაპირი დაკვირვება შეუძლებელია (იგი არ არის მოცემული უშუალო დაკვირვებაში); ნაგულისხმევია, რომ თვისება გარკვეული სახის ჰიპოთეზაა (ისე როგორც ყველა სხვა სახის ამხსნელი, განმსაზღვრელი ტენდენცია), რომლის გარეშე ინდივიდის ქცევისათვის დამახასიათებელი თანმიმდევრულობის (კონსისტენტობის), სტაბილობის გაგება და ახსნა შეუძლებელია. ობიექტურ დაკვირვებას დაქვემდებარებული ქცევისათვის ნიშნეული შინაგანი ლოგიკის (თანმიმდევრულობა, სხვადასხვა ნიშანთა ერთობლიობა და ა.შ.) განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება თვისება. თვისება ჩამრევი ჰიპოთეზური ხასიათის მდგომარეობაა- აერთიანებს სტიმულსა და რეაქციას. სტიმული უშუალოდ კი არ გადადის ქცევაში, არამედ გაშუალებულია თვისებით, თვისება არის ერთგვარი დასკვნა, ქცევის ნიშნებზე (თანამიმდევრობა, სტაბილურობა და ა.შ.) დაკვირვების შედეგი.

თვისების ცნების შესახებ მრავალი განსხვავებული შეხედულება არსებობს. არიან ავტორები, რომლებიც სავსებით უარყოფენ თვისების რეალურ არსებობას, განსაკუთრებით მის ზოგადობას (ამ მხრივ ცნობილია 1928–1930 წლებში გამოქვეყნებული ჰარტ-ჰორნის და მაის გამოკვლევები, ამ მეცნიერებს დამაჯერებელი პასუხი გასცა თვისების რეალობის და ზოგადობის დამცველმა გ. ოლპორტმა)[1]. მაგალითად, აიზენკის აზრით, თვისება აღწერითი ცნებაა, იგი არის ქცევის ის დონე, რომლის საფუძველზე შეიძლება ემპირიულად დადგინდეს ტიპი (თვისებათა კონფიგურაცია), მისი დისპოზიციური ბუნების მეცნიერული დასაბუთება კი (მეცნიერებისათვის მიუწვდომელია)[2]. ამ საკითხზე შექმნილია მრავალი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელთა განხილვაც შორს წაგვიყვანდა. ჩვენ აქ შევჩერდებით თვისების იმ კო-

---

[1] Allport G. Personality. A Psychological interpretation.New-York, 1937

[2] Graumann C.F. Eigenschapten als Problem der Persönlichkeit-Forschung Handbuch der Psychologie. Gotingen.1960.4 bond.

ნცეფციაზე, რომელიც მიგვაჩნია მისაღებად და, რაც მთავარია, რომელიც უფრო შეესატყვისება პიროვნების სტრუქტურის შესახებ იმ კონცეფციას, რომლის საფუძველზე ვცდილობთ დავადგინოთ პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევის შედარებით ადეკვატური მეთოდი. თვისებების კონსტრუქტულ ცნებად მიღების აუცილებლობის საკითხზე არსებული გამოკვლევის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე დებულება;

1. თვისებას, როგორც ახსნით ცნებას, გააჩნია რეალური საფუძველი, რადგანაც მისი გულისხმობის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის შინაგანი ლოგიკა, კონსისტენტობა–ერთსა და იგივე სიტუაციაში ფორმით და შინაარსით მსგავსი ქცევის გამოვლენა, გაუგებარი დარჩება ერთნაირ პირობებში რატომ არის პიროვნება ზანტი ან მოქნილი, შურიანი, მეგობრული, აგრესიული და სხვა.

2. შემუშავებული თვისება ხასიათდება ზოგადობით, კეთილი პიროვნება სიკეთეს ამჟღავნებს არა მხოლოდ რომელიმე ერთ სიტუაციაში, არამედ ყველა სიტუაციაში. თვისება თანდათანობით იძენს ავტონომიურობას (ფუნქციონალური ავტონომია) და ამით აღწევს უაღრეს ზოგადობას. მაგალითად, ბავშვი თავდაპირველად იძენს პირადი სისუფთავის დაცვის თვისებას–დაიბანოს პირი, თავი, გაიხეხოს კბილები; ეს თვისება შემდეგ იქცევა ზოგად თვისებად–მოიშოროს ყოველგვარი ჭუჭყი, გახდეს, საერთოდ, სისუფთავის მოტრფიალე.

3. ის გარემოება, რომ თვისება განსაზღვრავს ქცევის კონსისტენტობას, იგივეობას, სტაბილობას, მიუთითებს მის დისპოზიციურ და დინამიკურ ბუნებაზე. თვისების ცოდნა შესაძლებლობას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ მოიქცევა სუბიექტი ახალ სიტუაციაში. თვისება არის გარკვეული ტიპური ქცევისა და განცდების გამოვლენის მზაობა, თვისება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მუდამ ნიშნავს რაღაცა სახის ხანგრძლივ ტენდენციას–მიმართულებას.

4. ობიექტური დაკვირვებით, კლინიკური საუბრით, ექსპერიმენტით, ტესტებით შეიძლება დავადგინოთ ყველა ის ნიშანი, რომელიც მიეწერება თვისების ცნებას. პიროვნების ქცევის ეს ნიშნები შეიძლება გაიზომოს, შესაძლოა მოვახდინოთ მათი ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. დადგენილი თვისებები შეიძლება გამოვიყენოთ პიროვნების სტრუქტურის ბუნების შესასწავლად.

5. პიროვნების ერთი რომელიმე თვისება არ არის იზოლირებული სხვა თვისებებისაგან. ერთი და იგივე თვისება განსხვავებულ სხვა სახის თვისებათა კომპლექსში განსხვავებულ ელფერს იძენს. აგრესია ბრძოლის ველზე, რომელიც შერწყმულია "მე"–ს მაღალ მიზნებთან (სამშობლოს დაცვა, ამასთან დაკავშირებული შეუდრეკელობა და ვაჟკაცობა), ინდივიდის მთლიანი ქცევის კონტექსტში იძენს "ჰუმანურობის" ნიშანს, ვიდრე აგრესია, რომელიც შერწყმულია ფრუსტრაციით გამოწვეული აფექტურობის ან ეგოიზმის თვისებასთან

და ა.შ. ამიტომ თვისების დისპოზიციური ბუნება შეიძლება გავიგოთ პიროვნების მთლიან სტრუქტურასთან, სხვა თვისებების კონფიგურაციასთან მიმართებაში.

6. თვისება განსხვავდება საზოგადოების კულტურაში გავრცელებული ეთიკური ნორმების გამომხატველი კატეგორიებისაგან; ამიტომ, ამ ნორმების მიხედვით, პიროვნული თვისებების შეფასება მიზანშეწონილია. ფსიქოლოგიაში თვისების შეფასება, როგორც კარგის ან ცუდის, მიუღებელია, მაგალითად, ისე როგორც ეს ხდება ეთიკაში ან სასამართლო პრაქტიკაში; აგრესია, როგორც თვისება, შეიძლება თანაარსებობდეს აფილაციის გვერდით; ფსიქოანალიტიკოსების გამოკვლევების მიხედვით, აგრესიის ტენდენციამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს გახდეს სამხედრო პირი, ყასაბი, ზედამხედველი ციხეში ან კიდევ ქირურგი, სადაც მისი აგრესია კმაყოფილდება ჰუმანურ საქმიანობაში, როგორიცაა ავადმყოფების მკურნალობა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ამიტომ თვისება განხილული უნდა იქნეს პიროვნების ზოგად სტრუქტურასთან მიმართებაში, მისი გამოვლენის თავისებურება განსაზღვრულია იმ მთელის ბუნებით, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ის წარმოადგენს.

7. პიროვნების თვისება შეიძლება შეფასდეს როგორც ინდივიდის კუთვნილება, როგორც ინდივიდუალური თავისებურება. შეიძლება არსებობდეს პიროვნების უნიკალური თვისებები, პიროვნება შეფასდეს ამ ზოგადი თვისებების ურთიერთმიმართების თავისებურების მიხედვით (ინტრაინდივიდუალური ანალიზი); თვისების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ადამიანთა შორის არსებული განსხვავება (ინტრაინდივიდუალური ანალიზი), შეიძლება თვისებები შევისწავლოთ მათი უნივერსალობის თვალსაზრისით, თუ რამდენადაა თვისება გავრცელებული და განაწილებული მთელ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ავტორი თვისებებს თვლის განწყობის (ატიტუდი) ანალოგიურ ცნებად. მაგალითად, ოლპორტის მიხედვით, განწყობა არის სუბიექტის ისეთი ფსიქონერვული მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ობიექტური სიტუაციით გამოწვეული რეაქციების მიმართულებასა და მისი მიმდინარეობის დინამიკაზე; განწყობა და თვისება ორივე გამოხატავს რეაქციისათვის უპირატესად განზოგადებულ მზაობას. ოლპორტის მიხედვით, რაც უფრო განზოგადებულია განწყობა, მით უფრო ჰგავს იგი თვისებას, მაგალითად, თუ ზედსართავი სახელი "კატეგორიული" გამოხატავს მზაობას, გარკვეულ სოციალურ-კულტურულ მოვლენას უპასუხოს ყოველთვის სპეციფიკური კონსისტენტური სახით, მაშინ კატეგორიული ქცევის გამომხატველი რადიკალიზმი არის განწყობა, თუ კატეგორიული გულისხმობს ობიექტთან დაუკავშირებელ მდგომარეობას, მაგალითად, ტემპერამენტს, მაშინ საქმე გვაქვს თვისებასთან. სხვა ავტორები აღნიშნავენ (დრობე), რომ განწყობა ყოველთვის გულისხმობს ობიექტს, თვისებას კი საჭიროა ასეთი ობიექტი გააჩნდეს

იმ მკვლევრების წინაშე, რომლებიც თვისებას მიაწერენ დისპოზიციურობას და ზოგადობას, საკითხი დგება თვისების მოტივაციური ბუნების შესახებ: – იგი ქცევის აღმძვრელი ძალაა, თუ იფარგლება მხოლოდ იმით, რომ მისგან დამოუკიდებლად აღძრულ ქცევას აძლევს მიმართულებას. ამ კითხვაზე მკვლევრებს შორის არ არის თანხმობა, მოვიყვანთ ოლპორტის აზრს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით დგას შემთანხმებლურ პოზიციაზე: "თვისებები არ აღძრავენ ქცევას, რადგანაც, როგორც დისპოზიციები, ისინი უნდა იქნენ "გაღვიძებულნი", ისე როგორც ყველა სხვა დისპოზიცია. ამავე დროს დისპოზიციას ახასიათებს "თვით აქტივობაც", ისინი აიძულებენ ინდივიდს, ეძიოს ისეთი სიტუაციები, რომლებიც შეესატყვისება სუბიექტის მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით პიროვნების ინტერესები, ამბიციები, ნევროზული ნიშნები, ფობიები, თავის დაჭერის მანერა, საყვარელი საქმიანობა, გემოვნებები და ა.შ. ყველა შემთხვევაში წარმოადგენენ ერთდროულად თვისებებსაც და მოტივებსაც. ამ საკითხის ზოგიერთი მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დამოუკიდებლად იმისა, თვისებას განვიხილავთ როგორც ქცევის კონსისტენტობის თუ მოტივაციის საფუძველს, ისინი ყოველთვის ფუნქციონალურად მოტივაციურ სისტემასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ამიტომ ოლპორტის ცნობილი პრინციპი "მოტივთა ფუნქციონალური ავტონომიისა", რომელმაც გენეტიკურ ასპექტში უნდა ახსნას ქცევის კონსისტენტურობა, შეიძლება უშუალოდ გამოვიყენოთ თვისების დახასიათებლად. მხოლოდ ამ გზით იქცევიან თვისებები პიროვნების ქცევის ორგანიზაციის განმსაზღვრელ შედარებით დამოუკიდებელ ფაქტორად. თვისებები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ფუნქციონალური ავტონომიის ძალით, წარმოადგენენ ძირითად აუცილებელ ერთეულებს პიროვნების ფსიქოლოგიური ბუნების კვლევისათვის.

თვისების ბუნების შესახებ არსებული მოსაზრებანი მიგვანიშნებს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს თვისების ბუნება და მისი გენეზისი დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის ასპექტში. ამ საკითხზე საინტერესო გამოკვლევა აქვს ალ. ფრანგიშვილს. მან ქართველი ფსიქოლოგების, კერძოდ, ჩვენი გამოკვლევის ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად უჩვენა მიზანშეწონილი ქცევის შინაგანი ლოგიკის – კონსისტენტობის, სტაბილობის, იგივეობის და სხვ. ფსიქოლოგიური საფუძვლები. მისი აზრით, ქცევის ამ ნიშნების ახსნა და გაგება შესაძლებელია განწყობის კანონზომიერების გათვალისწინების ნიადაგზე.

როგორც ჩვენი და სხვების გამოკვლევებიდან ჩანს, თვისებები წარმოადგენენ დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს, რომლებსაც გააჩნიათ ქცევის როგორც აღმძვრელი, ისე მიმართულების მიმცემი ძალა. თვისების ძირითად ნიშნებს, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, სავსებით იტევს განწყობის, კერძოდ, ფიქსირებული განწყობის ცნება. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ცალ-ცალკე თვისების ნიშნები ფსიქოლოგიური განწყობის ნიშ-

ნებთან მიმართებაში.

თვისების, "როგორც ქცევის ორგანიზაციის საფუძვლის, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ იგი აშუალებს სტიმულსა და ქცევას-სტიმული უშუალოდ არ გადადის ქცევაში", თუ როგორი იქნება ქცევა, მისი შინაარსისა და ფორმის თავისებურება განპირობებულია თვისების ან თვისებათა კონფიგურაციით. განწყობის ფსიქოლოგიაში თეორიულად და ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ პიროვნების განწყობა უფრო ზოგადი, შორს მწვდომი და ღრმად მდებარე ფენომენია, ვიდრე თვისება. იგი განაპირობებს არა მხოლოდ ხასიათისეულ ქცევას, არამედ ყველა სახის ქცევას; განწყობის ერთ-ერთი სახეობა - ფიქსირებული განწყობა ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ მთლიანი განწყობისათვის. ფიქსირებული განწყობის არსებობა უეჭველი ფაქტია, მისი შემუშავება და გამოწვევა შეიძლება ექსპერიმენტული გზით, შესაძლებელია ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაზე ვაწარმოოთ ობიექტური დაკვირვება, მოვახდინოთ მისი გამოვლენის რაოდენობითი და რომელობითი ასპექტების შეფასება, გაზომვა. ერთხელ ფიქსირებული განწყობა სტაბილურია, იგი ინახება, როგორც პიროვნების გარკვეული მიმართულებით მოდიფიკაცია, დისპოზიცია და თავს იჩენს მისი წარმომქმნელი ან ანალოგიური სიტუაციის ზემოქმედების შედეგად, გავლენას ახდენს ქცევის მიმდინარეობაზე. ფიქსირებული განწყობის ეს თვისება მიუთითებს მის დისპოზიციურ ბუნებაზე. ერთხელ ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს ზოგადობაც: ზ. ხოჯავამ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ფიქსირებული განწყობა მოქმედებს არა მხოლოდ ანალოგიურ, არამედ განსხვავებულ სიტუაციებზედაც; მაგალითად, თუ სუბიექტს შევუმუშავებთ უტოლო წრეების მიხედვით სიდიდეთა განსხვავების განწყობას, ასეთი განწყობის ნიადაგზე იგი ილუზორულად აღიქვამს არა მხოლოდ ტოლ წრეებს, არამედ ტოლ სამკუთხედებსაც, ტოლ ელიფსებს, ტოლ ხაზებს და ა.შ. მაშასადამე, განწყობას ახასიათებს გენერალიზაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა ხასიათდება კონსტანტობით, სიმტკიცით და სხვა ისეთი ნიშნებით, რომლებითაც აღბეჭდილია ადამიანის ქცევა. ეს ნიშნები განაპირობებენ ქცევის კონსისტენტობას, იდენტურობას, იგივეობას, სტაბილობას, ე.ი. ასრულებენ იმ ფუნქციას, რასაც მიაწერენ თვისებას.

ექსპერიმენტულად დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ განწყობა ის ფენომენია, რომელიც აერთიანებს სტიმულსა და რეაქციას, იგი იქმნება სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე და საფუძვლად უდევს ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. ამ მხრივ განწყობა ასრულებს იმ როლსაც, რასაც თვისებას მიაწერენ - მთლიანი (უნიტარული) განწყობა განსაზღვრავს ადამიანების მთელი ფსიქიკური ცხოვრების ინტეგრაციას, თვისების როლი კი ეკისრება მის ერთ-ერთ სახეობას-ფიქსირებულ განწყობას.

ფიქსირებული განწყობა მთლიანად არ ემთხვევა მოტივის ცნებას. იგი

შეიძლება ასრულებდეს მოტივის აღმძვრელისა და მიმართულების მიმცემ ფუნქციას. განწყობა შეიძლება შეიქმნას როგორც იმპულსურ დონეზე-სასიცოცხლო მოთხოვნილებისა და შესაბამისი სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე, აგრეთვე ობიექტივაციის დონეზეაც - "მე"-ს მოთხოვნილებისა (მაღალი მოთხოვნილებები) და იდეური სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე. ადამიანისათვის ძირითადად ეს უკანასკნელია დამახასიათებელი. ამ მხრივ ინდივიდუალურ განსხვავებულობასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი; "ზოგისათვის მაღალ მოთხოვნილებებს მეტი ძალა აქვს, ვიდრე ვიტალურ მოთხოვნილებებს, ზოგისათვის კი პირიქით. აქ გადამწყვეტი როლი ეკისრება თითოეული ინდივიდის წარსულს, იმ სიტუაციებს, რომლებშიც მათში ცხოვრება მიმდინარეობდა და რომლებშიც ისინი აღიზარდნენ, იმ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ მათთვის; ცხადია, ყოველივე ამის გამო თითოეულ ინდივიდს თავისი განსხვავებული ფიქსირებული განწყობები აქვს შემუშავებული, რომლებიც ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, ყოველთვის იჩენს თავს და შესაფერის პირობებში განსაზღვრული მიმართულებით მოქმედების მზაობას ედებიან საფუძვლად. ადამიანის პიროვნებას, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან. ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგისათვის მოთხოვნილებათა ერთი სისტემაა ენერგიის მთავარი წყარო და ზოგისათვის - მეორე...."როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგება, თუ როგორ მოიქცეს, შემდეგი გარემოება იჩენს თავს: იმ შესაძლო მოქმედებათაგან, რომელთაც მისი გონება ცნობს მიზანშეწონილად, მხოლოდ ზოგი იზიდავს მას, მხოლოდ ზოგიერთის მიმართ გრძნობს იგი მზაობას, მხოლოდ ზოგიერთს იწყნარებს როგორც შესაფერისს, როგორც ჭეშმარიტად მიზანშეწონილს. მოტივაციის აზრი სწორედ ამაში მდგომარეობს; იგი ისეთ მოქმედებას ეძებს და პოულობს, რომელიც პიროვნების ძირითადს, ცხოვრებაში განმტკიცებულ განწყობას შეეფერება. როდესაც სუბიექტი ქცევის ასეთ სახეობას მიაგნებს, იგი განსაკუთრებულად განიცდის მას: იგი ერთგვარ მიზიდულობას გრძნობს მის მიმართ, მისი შესრულებისათვის მზაობას განიცდის. ეს სწორედ ის განცდაა, რომელიც გადაწყვეტილების აქტის დროს იჩენს თავს და სპეციფიკური განცდის სახით ვლინდება, რომელიც "მე ნამდვილად მინდას" სახელწოდებით იყო ზემოთ დახასიათებული. ეს განცდა მიუთითებს, რომ სუბიექტს გარკვეული ქცევის განწყობა შეექმნა, გადაწყვეტის აქტი მოხდა, და ახლა საკითხი გადაწყვეტის შესრულებაში მოყვანას ეხება"[3].

დ. უზნაძის შრომიდან ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად მეტყველებს, თუ რა კავშირი აქვს დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს (დისპოზიციურ განწყობებს-თვისებებს) პიროვნების მოტივაციასთან. მოტივის შექმნა ქცევის შესაბამისი განწყობის შექმნას გულისხმობს, მაგრამ, როგორი

---

3 დ.უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 216, 1940 წ.

იქნება ასეთი განწყობის შინაარსი, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია პიროვნების მოთხოვნილებებისა და, განსაკუთრებით, წარსულში ფიქსირებული დიდი პიროვნული წონის განწყობების არსენალი; მაგალითად, თუ პიროვნებაში ფიქსირებულ განწყობათა შინაარსი უპირატესად სოციალური ხასიათისაა (აფილაციური, მორალმორალური და სხვ.), მაშინ, როცა მის წინაშე დადგება საკითხი როგორ მოიქცეს, უპირატესობა მისცეს ვიტალურ იმპულსებს, თუ "მე"-ზნეობრივ იმპულსებს, იგი აირჩევს მაღალ ზნეობრივ ქცევას-იდეურ სიტუაციაში შექმნილ განწყობას ნებელობა ადვილად ჩართავს დისპოზიციურ განწყობათა და მოთხოვნილებათა სისტემაში და ქცევა გაიშლება ასეთი განწყობის შესატყვისად. ამრიგად, დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები საფუძველია - ბიძგის მიმცემი და აღმძვრელი ფენომენია, რომელიც განაპირობებს, როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პიროვნებამ, რომელ მოთხოვნილებებს უნდა მიმართოს მან, რომ იდეურ სიტუაციასთან შეთანხმებით შეიქმნას განწყობა-მიიღოს გადაწყვეტილება და ეს განწყობა აქციოს პიროვნებისათვის აქტუალურად.

ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა აზრითი სიტუაცია იმ განწყობის გამოწვევას, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძვლის წარმოადგენს... აქვს თუ არა პიროვნებას სიტუაციის ზეგავლენით შესატყვისი განწყობის აქტუალიზაციის უნარი, ე.ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად; მაშასადამე, გამოდის, რომ, ის, რასაც ჩვეულებრივ ხასიათს უწოდებენ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს (დ.უზნაძე, "ზოგადი ფსიქოლოგია", გვ. 244). აქ დ. უზნაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პიროვნების თვისებების ერთობლიობა (ხასიათი) სხვა არაფერია, თუ არა ფიქსირებული დისპოზიციური განწყობები.

როგორც ვნახეთ, ეს განწყობები ხასიათდებიან იმ ნიშნებით, რომლებსაც მიაწერენ თვისებებს. როგორც გაირკვა, ამ შემთხვევაში თვისების ცნებასთან შედარებით დიდი პიროვნული წონის განწყობის ცნებას უპირატესობა აქვს. მისი შექმნა შესაძლებელია ექსპერიმენტულად, მისი მიმდინარეობა შეიძლება ვაქციოთ უშუალო დაკვირვების საგნად და, რაც მთავარია, ემპირიულად შეიძლება დავადასტუროთ, რომ ქცევის კონსისტენტობის, იდენტურობის, სტაბილობის საფუძველი მოთხოვნილებისა და სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე შექმნილი ფიქსირებული განწყობის ბუნებასთანაა დაკავშირებული, კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული ნიშნები (კონსტანტობა, სტაბილობა, ირადიაცია, გენერალიზაცია და სხვ.) განაპირობებს ქცევის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებებს.

განწყობის ცნება ნათელს ხდის თვისების წარმოქმნისა და მისი ფორმირების საკითხსაც. ამ მხრივ საინტერესოა მურის კონცეფცია თვისების ჩამო-

ყალიბების საკითხზე[4]. ამ ავტორის მიერ მოწოდებული თვისებების კლასიფიკაციას ფართოდ იყენებს ყველა ის ავტორი, ვინც სარგებლობს პიროვნების კვლევისას თემატიკური აპერცეფციის ტესტებით, მათ შორის ჩვენც. ეს საკითხი ჩვენ ვრცლად განვიხილეთ წიგნში "პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები". აქ მხოლოდ გვინდა დამატებით გავარჩიოთ მისი შეხედულება თვისების ბუნების საკითხზე. მურეის მიერ მოწოდებული მოთხოვნილების ცნება იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც თვისება. მურეის მიხედვით, მოთხოვნილება არის ჰიპოთეზური სახის მდგომარეობა, რომელიც ახდენს პერცეფციის, აპერცეფციის, გონების მოქმედების, კონაციის (ნებელობის) და ქცევის ორგანიზებას, არსებული არადამაკმაყოფილებელი სიტუაციის გარკვეული მიმართულებით გარდაქმნას, რათა უზრუნველყოს მიზანშეწონილი შეგუება. იგი იმპულსს აძლევს ორგანიზმს ეძიოს ან გაერიდოს, ყურადღება მიაქციოს და პასუხი გასცეს გარკვეული სახის პრესს. მან შეიძლება გამოიწვიოს ილუზორული პერცეფციები და ბოდვითი აპერცეფციები... იგი წარმართავს ქცევას გარკვეული მიმართულებით და მიჰყავს იგი ბოლომდე. ამრიგად, მოთხოვნილებისათვის დამახასიათებელია გონიერი ქცევის ტენდენცია (გარეგანი მდგომარეობის ტრანსფორმაცია), აქტივობის ტიპური მეთოდები (კუნთური მოძრაობები, აქტორები და სხვ.), ძებნა, გარიდება, შერჩევა, ყურადღება და რეაგირება რამდენიმე ტიპური პრესიდან ერთისადმი (გარკვეული კლასის ე.წ. კათექტირებული ობიექტებისადმი), ემოციისა და გრძნობის გამოვლენა-გარკვეული კმაყოფილების გამოხატვა მიღწევის შედეგად და უკმაყოფილებისა წარუმატებლობის გამო. ყველა ამ კომპონენტთა ერთიანობა ქმნის ე.წ. მოთხოვნილების ინტეგრატს: მოთხოვნილებების ინტეგრატი ან "კომპლექსი" არის ცნება, რომელსაც შეუძლია ახსნას ქცევა, მისი განმეორებადობა, კონსისტენტობა, იდენტიფიკაცია და სხვ., იგი არის შინაგანი კონსულტაცია, რომელიც ქმნის ერთგვარ არსს, რომლითაც წარმოებს მოთხოვნილებების რეალიზაცია. მურეის მიაჩნია, რომ მისი კონცეფცია მოთხოვნილების შესახებ სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ პრესისა და თემის ცნებას.

პრესი ის ობიექტია, რომელსაც აქვს გარკვეული წარმმართველი ძალა გამოიწვიოს მოთხოვნილება. იგი არ არის ინერტული ორგანიზმის მოთხოვნილებასთან, მასში იგულისხმება ყველა ის ობიექტი, სიტუაცია (შინაგანი და გარეგანი), რომელსაც შეუძლია ზიანი ან სარგებლობა მოუტანოს ორგანიზმს. თუმცა ორგანიზმი ხშირად ეძებს შესატყვის პრესს (პრესი შეიძლება იყოს წარმოსახული), უფრო ხშირად პრესი ხვდება ორგანიზმის ლტოლვას, მას გააჩნია გარკვეული პოტენცია გამოიწვიოს ქცევა. ქცევის განმსაზღვრელი მოთხოვნილებების ინტეგრატის უმაღლესი ფორმაა სპეციფიკური პრესი-მოთხო-

4. Murray H. Explcrution in Personality. New-York. 1038.

ვნილებების კომბინაცია. ასეთ კომბინაციას შეიძლება ეწოდოს თემა. თემა არის მორალური ქცევის დინამიკური სტრუქტურა. იგი არის პრესისა და მოთხოვნილებების ერთიანობა. იგი გამოხატავს გარემოსა და სუბიექტის ურთიერთობისას რეაგირების ზოგად ბუნებას. მაგალითად, სუბიექტი განიცდის წარუმატებლობას (პრესი), მას უჩნდება მოთხოვნილება მიღწევის, რის შედეგად სუბიექტი იწყებს ახალ კონტრმოქმედებას, რათა მიაღწიოს წარმატებას წარუმატებლობის შემდეგ. მოთხოვნილებათა ყოველი ინტეგრატი თემატიკური ტენდენციის შეკავების შემთხვევაში შეიძლება აისახოს ფანტაზიაში. ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება ისევ იქნეს აღძრული ისეთი პრესის მიერ, რომლის პოვნა (მიგნება) სუბიექტს შეიძლება "სურდეს" არაცნობიერად.

მურეის მიხედვით, სოციალურ გარემოში, კულტურაში არსებობს უამრავი ობიექტი (საგანი, პიროვნება, დაწესებულება, ორგანიზაცია და სხვ.), რომლებიც იწვევენ გარკვეულ სპეციფიკურ რეაქციას სუბიექტში, ე.წ. კათექტირებული ობიექტები" წარმოადგენენ დადებით ან უარყოფით პრესს, რომელთა მოთხოვნილებებთან კომბინაცია ქმნის თემას. სწორედ ასეთი თემების გამოვლენისათვის მოწოდებულია თემატიკური აპერცეფციის ტესტი.

პიროვნების თვისებების კვლევის დროს მურეი გამოყოფს მოთხოვნილებათა ორ ძირითად ჯგუფს: ვისცეროგენურსა და ფსიქოგენურს. ვისცეროგენური მოთხოვნილებები ემთხვევა ცნობილ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ფსიქოგენური მოთხოვნილებები ყოველთვის არ არიან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს თანდაყოლილიც. აქ შევჩერდებით ფსიქოგენური მოთხოვნილებების კლასიფიკაციაზე: 1. მოთხოვნილებები, რომლებიც დაკავშირებულია უსულო საგნებთან (შეძენის მოთხოვნილება, წესრიგის, შენახვის, შენარჩუნების, კონსტრუირების მოთხოვნილებები). 2. მოთხოვნილებები, დაკავშირებული ამბიციასთან (უპირატესობის, მიღწევის, აღიარების, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ყურადღების ცენტრში ყოფნის-თვითდემონსტრირების ტენდენციის სახით, მიუკარებლობის, საკუთარი ღირსების გრძნობის, სიამაყის, თავდაცვის და სხვ.); 3. ძალაუფლების, რომელიც გამოხატავს ძალაუფლებისათვის ბრძოლას ან მორჩილების ტენდენციას (დომინანტობა; პატივისცემა, შთაგონებადობა, ავტონომია, უნიკალობის ტენდენცია), 4. სადისტურ-მაზოხისტური (აგრესია, დამცირების, დასჯის სურვილი), 5. შეკავების-ინჰიბიციის მოთხოვნილებები, 6. ადამიანთა შორის სიმპათიის, სიყვარულის, ან მისგან განრიდების ტენდენცია (აფილაციის, უარყოფის, სხვების უგულებელყოფის, სხვებისაგან დახმარების მიღების და სხვისადმი დახმარების გაწევის მოთხოვნილება). ამას შეიძლება დაემატოს: გართობის, გაგების, ცნობისმოყვარეობის და სხვა.

მურეის შემოაქვს კიდევ სხვა მოთხოვნილებები, ტენდენციები, რომლებიც ეხებიან პიროვნების ემოციებს სუბიექტის გარემოსადმი და საკუთარი სულიერი სამყაროსადმი დამოკიდებულებებს (ინტროვერსია, ექსტრავერსია,

ინტრაცეპცია-ექსტრაცეპცია); ყველა ეს მოთხოვნილება დაკავშირებულია გარკვეულ პირებთან-მათი განხორციელების საშუალებებთან და ქმნიან მოთხოვნილებათა ინტეგრატს, რომელიც კონკრეტული პიროვნების დახასიათების დროს წარმოგვიდგება თემის სახით (გაბატონებულ მოთხოვნილებათა ინტეგრატი).

მურეის მიერ წამოყენებული თვისებების ფორმირების თეორია ინტერესს იწვევს იმ მხრივ, რომ მასში აშკარად ნაგრძნობია სპეციალური ლიტერატურის მიხედვით თვისების, როგორც ამხსნელი ცნების, შინაარსის უკმარობა. ნაგრძნობია, რომ თვისება შეუძლებელია მოვწყვიტოთ ის გარემოს, სიტუაციას (პრესს), რომლის წარმოქმნაში, ან მის გარემოების მიხედვით აღძვრაში გარკვეული როლი მიუძღვის. ამ ხარვეზების შესავსებად მას შემოაქვს პრესის, კათექტირებული ობიექტებისა და თემის ცნება; მაგრამ ისინი, როგორც ამხსნელი ცნებები, დამაჯერებლობას მოკლებულია. მოთხოვნილების ინტეგრატი (თვისება), პრესი, მათი კომბინაცია-თემა, მოკლებულია გარკვეულ სტრუქტურას, მთლიანობას, წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ცალკეული კომპონენტების ჯამს, არ ჩანს მათი მთლიანობა, რაც აუცილებელია ისეთი ცვლადისათვის (ძირითადი ცვლადი), რომელსაც ექსპლიკაციური დირებულება მიეწერება. რაც მთავარია, მურეის თეორია მთლიანად ემყარება უშუალობის პოსტულატს-პრესი უშუალოდ ზემოქმედებს მოთხოვნილებაზე, უერთდება მას და იწვევს გარკვეულ ქცევას. პრესისა და მოთხოვნილების ინტეგრატის კომბინაციით შექმნილი თემა მხოლოდ აღწერითი ცნებაა-მიუთითებს სუბიექტის გარკვეულ ცნობიერ და არაცნობიერ მდგომარეობაზე, მას ქცევის განმსაზღვრელი როლი არ ეკისრება და ვერც დაეკისრება. მაგრამ თვით განწყობის თეორიის თვალსაზრისით განვიხილავთ მურეის მიერ წამოყენებულ რიგ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ბუნების კვლევის გზების ძიების სწორი მიმართულებით წარმართვაში, ჩვენს წინაშე შეიძლება შემდეგი სურათი გაიშალოს:

განწყობის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებას წარმოადგენს, რომ გამღიზიანებელი (ყოველი სახის პრესი) უშუალოდ არ მოქმედებს ფსიქიკურზე, არც მოთხოვნილებაზე, როგორც ფსიქიკურ ფენომენზე; არამედ მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტზე, რეაქცია გაშუალებულია სუბიექტის განწყობით, რომელიც შექმნილია მოთხოვნილებისა და სიტუაციის (პრესის) ერთიანობის ნიადაგზე. პიროვნების ქცევის წარმმართველ ერთეულს წარმოადგენს განწყობა, რომელშიც ასახულია სიტუაციის შინაარსი, ამიტომ ქცევა გაიშლება იმ შინაარსის მიხედვით, რომელიც განწყობაშია ნაგულისხმევი. განწყობაში იმპლიციტე მოცემულია აქტივობის ის სქემა, რომელიც შემდეგი ქცევის აქტში უნდა განხორციელდეს აქედან გამომდინარე, პიროვნების თვისების წარმოქმნის ფაქტორად უნდა ვიგულისხმოთ განწყობის (პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია-მოთხოვნილებებისა და პრესის ერთიანობა-მთლიანი სტრუქტურა),

კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახეობა-ფიქსირებული განწყობა, რომლის ბუნება, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, შეიცავს ყველა იმ მახასიათებელს, რომელსაც თვისების მკვლევარები, კერძოდ მერეი, თვისების (მოთხოვნილებათა ინტეგრაციის) ცნებაში გულისხმობს. ამიტომ პიროვნების სტრუქტურის ცნების შესაბამისად მოთხოვნილებათა ინტეგრაციის კლასიფიკაცია, რომელიც დადგენილია მერეის მიერ, წარმოადგენს დიდი პიროვნული ნორმის (ღირებულების) ფიქსირებულ განწყობებს, რომელიც შექმნილია პიროვნების ბიოლოგიური (ვისცეროგენური) და სოციოგენური (მერეის მიხედვით ფსიქოგენური) მოთხოვნილებებისა და შესაფერისი გარემოსიტუაციების (ოჯახი, სკოლა, კულტურა და სხვა) ერთიანობის ნიადაგზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ პიროვნების ის თვისებები (მოთხოვნილებათა ინტეგრაციები), რომელიც მერეის მიერაა მოწოდებული და საყოველთაოდ გამოყენებულია თემატური აპერცეფციის ტესტებით პიროვნების კვლევის დროს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნილება, უკლებლივ, გამოხატავს პიროვნების გარკვეულ დამოკიდებულებებს საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, გარე სამყაროსთან, და ასახავს პიროვნების სუბიექტურ ორიენტაციას. ისინი ფაქტიურად წარმოადგენენ სოციოგენურ მოთხოვნილებებს (ამ კატეგორიის მოთხოვნილებების უმრავლესობას შოთა ჩხარტიშვილმა უწოდა სოციოგენური მოთხოვნილებები და მათი ბუნება განიხილა საბჭოთა ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებების, კერძოდ, განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით).

გარკვეულ სიძნელეს შეიცავს მერეის მიერ მოწოდებული თითოეული მოთხოვნილების გენეტიკურ ასპექტში განხილვა, მათი წარმომქმნელი კონკრეტული ფაქტორების დახასიათება. ეს მოითხოვს სპეციალურ ინტენსიურ მუშაობას. ნაწილობრივ, ასეთი კვლევის შედეგები წარმოდგენილია ამ შრომაში; მაგრამ, პრინციპულად, ფიქსირებული განწყობის ცნების ნიადაგზე სავსებით შესაძლებელია თვისებების წარმოქმნისა და გენეზისის შესწავლა. ცნობილია ის გარემოება, რომ ბავშვში, როგორც ადამიანის შვილში, გაუშლელი სახით მოცემულია სოციალური მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ შესაფერის აღმზრდელობით გარემოში (უზნაძის მიხედვით ასაკობრივ გარემოში), ამგვარი მონაცემები არ გააჩნია ცხოველს, ამიტომ შეუძლებელია მასში წარმოიშვას და განვითარდეს სოციოგენური მოთხოვნილებები. სწორედ ბავშვის აღმზრდელობით გარემოზე და, შემდეგში, იმ კულტურულ გარემოზე, სადაც მოღვაწეობს ადამიანი, არის დამოკიდებული-როგორი მოთხოვნილებები გაუჩნდება და გაძლიერდება მას, და, რაც მთავარია, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება რა სახის სოციალურ გარემოში მოხდება ე.ი. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის ნიადაგზე რა სახის ფიქსირებული განწყობები ჩამოყალიბდება სუბიექტს. დ. უზნაძის აზრით, "განწყობის აღმოცენება ობიექტური ფაქტორის, გარეშე სიტუაციის, ზემოქმედების გარეშე სრულიად შეუძლებელია. თითოეული ჩვენგანის განწყო-

ბათა დისპოზიციები, ჩვენი ხასიათი, გარემოს ზემოქმედების პირობებში ყალიბდება, მაგრამ, მეორე მხრივ, განწყობას მარტო გარემო ვერ შექმნის, რომ სუბიექტს გარკვეული მოთხოვნილებები არ ჰქონდეს. განწყობა სუბიექტურ ფაქტორს გულისხმობს, მოთხოვნილებებს, რასაკვირველია, თავისი ბიოლოგიური, ორგანული საფუძვლები აქვს, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებათა უმრავლესობა, მისი მოთხოვნილებათა მრავალსახეობა, მისი ისტორიული განვითარების პროცესშია შექმნილი: ადამიანის მოთხოვნილება უფრო მეტად მის ისტორიაზეა დამოკიდებული, ვიდრე მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე (ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 24). ბავშვის სოციალური მოთხოვნილება, რომელიც იღვიძებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში (ოჯახში, სკოლაში და სხვ.), შესატყვის პირობებში შეიძლება იქცეს პიროვნების თვისებად, მაგალითად, აფილაციის ფიქსირებულ განწყობად, გარკვეულ პირობებში მას მიენიჭოს დიდი პიროვნული წონა და იქცეს დისპოზიციურ განწყობად, ჩაერთოს "მე"-ს ღირებულებათა სისტემაში და გახდეს პიროვნების ქცევის მოტივაციის საფუძველი. ასევე შეიძლება ითქვას ყველა იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც მითითებულია მურეის მიერ. ამ მოთხოვნილებების საფუძველზე, შესატყვის გარემო პირობებში, შეიძლება ჩამოყალიბდეს დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები, მათ შეიძინონ ყველა ის ნიშანი, რომელიც ნიშანდობლივია პიროვნების თვისებისათვის.

პიროვნების თვისებების კვლევის პროცესში, პირველ რიგში, აუცილებელია შევისწავლოთ პიროვნების მისწრაფებები, მოთხოვნილებები, ინტერესები, იდეები, ღირებულებები და ა.შ. მათში შეიძლება ამოვიკითხოთ პიროვნების წამყვანი დისპოზიციური განწყობები. ამიტომ ჩვენ მიერ შემუშავებული კლინიკური საუბრის კითხვარში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ინტერესებისა და იდეალების სფეროს ემპირიული მონაცემების მიხედვით შესწავლას; მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვნახოთ თვისებებს-ფიქსირებულ დისპოზიციებს. ინტერესის ცნება გამოხატავს პიროვნების ცნობიერ, შეგნებულ დამოკიდებულებას ბუნებისა და კულტურის გარკვეული მოვლენების მიმართ (საგნები, ადამიანები, ინსტიტუტები, იდეოლოგია, მოვლენები, რომელიც მას უყვარს, იწვევს დადებით ემოციებს). ყოველდღიური დაკვირვების მიხედვით, პიროვნების თავისებურება აშკარავდება იმ ობიექტების მიხედვით, რომლისადმიც იგი იჩენს ინტერესს (აფასებს, მოსწონს ან უარყოფს). ზოგი მკვლევრის აზრით, პიროვნების პორტრეტის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნას, რის მიმართ იჩენს იგი განსაკუთრებულ ინტერესს - რომელი საგნების კულტურისა და ბუნების ობიექტებისადმი აქვს მას განსაკუთრებული მიზიდულობა. ინტერესის ობიექტების (მეგობრები, კულტურის საგნები და სხვ.) ხასიათი, მათი სოციალური ბუნების ანალიზი მნიშვნელოვან მასალას იძლევა პიროვნების ხასიათის თვისებების-დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობების შესასწავლად. ამიტომ ჩვენ მიერ შე-

დგენილ კლინიკური საუბრის კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ისეთ სფეროებს, რომლებიც აშკარად თავს იჩენს ქცევის კონსისტენტობა, იგივეობა; იდენტურობა; ყოველივე ეს გამოკვეთილად ჩანს პიროვნების ინტერესებში, რომელთა შესახებ საიმედო ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს თვითონ ცდისპირმა.

ფსიქიატრიული განწყობის მეთოდის ნიადაგზე შექმნილი კომპლექსური მეთოდის საშუალებით პიროვნების სტრუქტურის კვლევას უდავოდ უპირატესობა აქვს სხვა მეთოდებთან შედარებით. მაგრამ ამ უპირატესობის საჩვენებლად საჭიროა რიგი საკითხების გარკვევა. პირველ რიგში აუცილებელია ამ მეთოდის ვალიდობის დასაბუთება. აუცილებელია იმის ჩვენება, თუ ექსპერიმენტული მეთოდებით მიღებული კვლევის შედეგები რამდენად ასახავენ რეალურ სინამდვილეს, ტესტის ან ექსპერიმენტის მონაცემები რამდენად შეესატყვისება სუბიექტური გამოცდილების მონაცემებს, უშუალო აღქმის ნიადაგზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, სპეციალურ კლინიკურ დაკვირვებებს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ტესტის ან ექსპერიმენტის ვალიდობის შემოწმება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესატყვისება მათი მონაცემები პიროვნების შესახებ უშუალო გამოცდილებით - ან კლინიკური დაკვირვებით მიღებულ ჩვენ ცოდნას, ცნობილია, რომ ამ კრიტერიუმის გამოყენებამ პიროვნების თვისებების კვლევის რიგი მეთოდების ვალიდობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენა; გარდა ამისა, პიროვნების სტრუქტურის მიზანდასახული ასპექტის დასახასიათებლად აუცილებელია პიროვნების, როგორც ინდივიდუალობის, მთლიანობის შესწავლა: ეს მეთოდები ასახავენ როგორც სოციალური და პიროვნული ხასიათის კრიტერიუმებს, რომელთა მიმართ უფრო განცდილია პიროვნება, ასევე ისეთ დისპოზიციურ ასპექტებსაც, რომლითაც განსხვავდება პიროვნების ქცევის ფორმალურ ასპექტებს (ტემპერამენტის სიმძაფრე და სისწრაფე, ტემპერამენტი და სხვა. გარკვეული წესით მეთოდებით დადგენილი პიროვნების აქტიური მოტივების, განწყობის ფორმალურ-სტრუქტურული ასპექტებთან მიმართებაში განხილვა აუცილებელია პიროვნების რეალური, ადეკვატური ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად).

ამ ამოცანის გადასაწყვეტად განვიხილავთ კლინიკური საუბრის მეთოდის მეორე, განწყობის ფსიქოლოგიური მეთოდის გათვალისწინებით ისეთი კითხვარის შექმნა, რომელიც იკვლევს პიროვნების სტრუქტურის როგორც დინამიკურ, ისე ფორმალურ თავისებურებებს. კითხვარი გულისხმობს არა ალტერნატიულ პასუხებს (კი და არა), არამედ კლინიკური საუბრის ნიადაგზე, საუბარში შექმნილი სიტუაციების მიხედვით, ახალი დამატებითი კითხვების დასმას, მაგრამ, საქმე მხოლოდ ის არ დარჩება, რომ მივაგნო კითხვარში გათვალისწინებულ პიროვნულ თვისებას, მივაგნოთ პიროვნების სპეციფიკურ თავისებურებას. ცდისპირთან უშუალო კონტაქტი, ჩატარებული კლინიკური საუბარი, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების ცხოვრების გზის შესწავლასაც, უდავოდ გაარ-

კვლევს ფიქსირებული განწყობის მეთოდის ვალიდობას და შეიტანს ამ მეთოდით დადგენილ ტიპოლოგიაში გარკვეულ კორექტივს, აგრეთვე მოგვცემს შესაძლებლობას, ტიპოლოგიური ბუნების დადგენასთან ერთად, ვწვდეთ პიროვნების უნიკალურ თავისებურებასაც, მის ინდივიდუალობას, რაც უფრო სწორს გახდის კვლევით მიღებული მასალების ნიადაგზე შექმნილი პიროვნების ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

აღნიშნული მეთოდი იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ პასუხების კატეგორიზაცია-კლასიფიკაცია, გარკვეული კატეგორიის თვისებების გამოყოფა და ფიქსირებული განწყობის სტრუქტურის ტიპთან მიმართებაში განხილვა.

## III
## კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი

შრომაში წარმოდგენილი კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი შეიცავს შემდეგ განაყოფებს:

I. ავტობიოგრაფია. ავტობიოგრაფიის შედგენისას აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება: 1. ოჯახის და პირადი ცხოვრების ისტორია – დაწყებული ადრეული ბავშვობიდან – საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი; 2. მისწრაფებები, იდეალები, 3. სექსუალური ინტერესები; 4. მიზნები; 5. საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეფასება.

II. კითხვები კლინიკური საუბრისათვის. კლინიკური საუბრის მეთოდში შესული კითხვები მიმართულნი არიან ირგვლივ: ა. სოციალური მისწრაფებები, მოთხოვნილებები, ინტერესები, მოტივები, განცდები – ამ ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს დიდი პიროვნული ნიშნის ფიქსირებული განწყობები (თვისებები); ბ. ტემპერამენტი; გ. ნებელობის დინამიკა – ობიექტივაციის დონეზე ქცევის წარმართვის უნარი და თავისებურებები.

III. დამატებითი კითხვები. ამ კითხვებით უნდა დაზუსტდეს პიროვნების ძირითადი ღირებულებებისა და პრეტენზიების სფერო; პიროვნების დამოკიდებულებები საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, საერთოდ გარე სამყაროსთან (წარმავალი დიდი პიროვნული ნიშნის ფიქსირებული განწყობები).

კლინიკური საუბრის მეთოდით მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე დაზუსტდება როგორც მეთოდში შემავალი კითხვების დისკრიმინაციული მნიშვნელობები, ისე ამ კითხვებზე შესაძლო პასუხების ქარაქტეროლოგიური ღირებულებები.

### ა. ავტობიოგრაფია

ამ პროცედურის ძირითადი მიზანია საიმედო ინფორმაციის მიღება სუბიექტის წარსულზე და განვითარებაზე. ჩვენს მიზანს შეადგენს ყოველი ინდივიდი განვიხილოთ როგორც დროში გაშლილი მოვლენათა სერია, რომელშიც გამოვლინდება მიზეზობრივი კავშირები ადრეულ გაცდენებსა და გვიანდელ დისპოზიციებს შორის. პროცედურა: თუ ცდის ხელმძღვანელი დარწმუნდება იმაში, რომ ცდისპირი სიამოვნებით იღებს მონაწილეობას ცდაში და მაქსიმალურად ეცდება პასუხი გასცეს მის მოთხოვნებს-შეკითხვებს, მაშინ ის ცდისპირს განუმარტავს, რომ პირველი, რაც მან უნდა შეასრულოს, ეს არის მოკლე ანგარიშის მიცემა საკუთარი ცხოვრების შესახებ. ცდის ხელმძღვანელი შემდეგი ინსტრუქციით მიმართავს ცდისპირს – "მე მინდა, თქვენ დაჯდეთ, წაიკითხოთ ჩვენ მიერ მოწოდებული მასალა და ამის საფუძველზე დაწეროთ სულ მცირე ორი საათის განმავლობაში საკუთარი ავტობიოგრაფია. არაა აუცილებელი (ამას

ნურც ეცდებით), თქვენი ნაწერი გამოირჩეოდეს კარგი ლიტერატურული სტილით, არც მართლწერის წესების დაცვას აქვს ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა. ნუ შეწუხდებით ნაწერის გადათეთრებაზეც". ინსტრუქციის შემდეგ ცდის ხელმძღვანელი ცდისპირს აწვდის ავტობიოგრაფიის შესადგენად საჭირო ქვემოთ მოცემულ მონახაზს.

## 1. ოჯახის ისტორია

ა) მშობლები: 1. ეროვნება, განათლება, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, პროფესია, შეხედულებები ცხოვრებისეულ საკითხებზე, ტემპერამენტი, ჯანმრთელობის მდგომარეობა.

სადაც ცხოვრობდით და გაიზარდეთ, იმ ოჯახის საერთო ატმოსფერო-ოჯახის წევრებს შორის თანხმობა, უთანხმოება. როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ მშობლები თქვენს მიმართ (ნაზი, მოსიყვარულე, მზრუნველობითი, ბრძანებლობითი, მესაკუთრული, "მარიანი", გადაჭარბებულად მზრუნველი, გულგრილი და ა.შ.).

საყვარელი მშობელი (დედა, მამა). პრეტენზიები მშობლების შესახებ უსიამოვნება ან აღშფოთება, სიძულვილი. თქვენ რომელ მშობელს უფრო ჰგავხართ. დისციპლინა ოჯახში. რეაქცია დასჯაზე. მორალური დარიგებანი. ოჯახში ყველაზე მეტად რა გსიამოვნებდათ. ძმები და დები. დაბადების თარიღი. დახასიათება. ურთიერთსიყვარული. ურთიერთწყენა (ცუდი ურთიერთობა, სიძულვილი). კონფლიქტი. გრძნობდით თქვენს უპირატესობას ძმებთან და დებთან ან პირიქით.

ბ) ოჯახის უფრო ფართო წრე: დიდედები, პაპები, ნათესავები.

გ) საცხოვრებელი ადგილის დახასიათება-ფიზიკური გარემო ახალგაზრდობისას (ქალაქი, სოფელი, ბუნების თავისებურება).

## 2. პირადი ცხოვრების ისტორია

დაბადების თარიღი და ადგილი. დაბადება ბუნებრივად მოხდა თუ ხელოვნური ჩარევით. დაბადების პროცესი ხანმოკლე იყო თუ ხანგრძლივი. ძუძუსათან მოშორების დრო. პირველი განცდა, რომელიც გახსოვთ. ადრეულ წლებში თქვენი მოგონებები მშობლების შესახებ. გრძნობდით თუ არა თავს მშობლებთან ურთიერთობაში უშიშრად და მშვიდად.

ადრეული განვითარება: ნაადრევად განვითარებული თუ ჩამორჩენილი იყავით? როდის დაიწყეთ სიარული და ლაპარაკი?

1. გადატანილი ავადმყოფობანი: (ჩამოთვალეთ).

2. ჩვეულებები: ცერის წოვა, ფრჩხილების კვნეტა, ქვეშაგების დასველება, ენაბორძიკობა, კრუნჩხვები, ერთბაშად გაბრაზების პერიოდები, ში-

შები, კოშმარები, სიარული ძილის დროს, გრძნობების უეცარი ცვლილებები, საჭმლის მიმართ არჩევითობა (წუნიანობა, მომაბეზრებელი მომთხოვნელობა).

3. თამაში: რა სათამაშოები გიყვარდათ. რა თამაშები გიყვარდათ და როგორ თამაშობდით სხვა ბავშვებთან;

4. ოცნებები საკუთარი მეს (მომავლის) შესახებ. საყვარელი მწერლები, ზღაპრები და გმირები.

5. თქვენი საერთო დამოკიდებულება სხვებისადმი: თანამშრომლობითი, მორჩილი, აგრესიული (შეჯიბრებითი, მტკიცებითი). ხომ არ იყავით მშიშარა, ჭარბად გრძნობიერი, ცბიერი, აბეზარი, ეშმაკი, ვერაგი, ჯიუტი (ნეგატიური-რეზისტენტული).

## 3. სკოლის და ინსტიტუტის ისტორია

სკოლაში შესვლის ასაკი და დამთავრებისას აკადემიური მაჩვენებლები. საგნები, რომლებიც მოგწონდათ ან არ მოგწონდათ. საგნები, რომლებშიც მაღალი აკადემიური შეფასებები გქონდათ. მეგობრები (გყავდათ მრავალი თუ ცოტა, თუ საერთოდ არ გყავდათ).. შემთხვევითი იყო მეგობრობა თუ ღრმა. ხომ არ გახასიათებდათ კონკლიობა, დავა, ჩხუბი, უგუნებობა და განმარტოებით ყოფნა. კავშირი ჯგუფთან (ბავშვების, დიდების ჯგუფი სკოლაში და ინსტიტუტში), როგორ გიყვარდნენ ჯგუფში? უგულებელყოფილი ხომ არ იყავით ჯგუფის მიერ? რატომ? ამოჩემებული ჰყავდით, დაგცინოდნენ, შანტაჟს გიწყობდნენ, გაშინებდნენ? იყავით თუ არა: მორცხვი, მორჩილი, ამხანაგური, დარწმუნებული, პირველობის მოსურნე, ხმაურიანი, შემტევი (აგრესიული).

## 4. მისწრაფებები და იდეალები

გმირებისადმი თაყვანისცემა: იყო თუ არა კონკრეტული ადამიანები ან ისტორიული გმირები, რომელთა მიბაძვას ცდილობდით? განსაკუთრებით რა თვისებებს შესტრფოდით მათში?

## 5. სექსუალური ინტერესები

სქესის ისტორია: ა) ადრეულ ასაკში ცოდნა სქესის შესახებ. ცნობისმოყვარეობა სხეულისადმი, სქესთა შორის განსხვავებულობისადმი. რა აზრი გქონდათ თქვენს დაბადებაზე. სექსუალური დარიგება ვინ მოგცათ პირველად?

ბ) ადრეული ჩვეულებები: ონანიზმი, თამაშობდით თუ არა სექსუალურ თამაშობებს ამხანაგებთან, დებთან ან ძმებთან, თუ გქონდათ სურვილი გაყურებინათ სხვისი სიშიშვლისადმი ან გეჩვენებინათ საკუთარი სხეული.

ბ) მოზრდილობის ასაკში სექსუალური გამოცდილება. შეყვარებული იყავით? თუ არა? რამდენად ხშირად მოგსვლიათ შეყვარებულთან უსიამოვნება? რა ტიპის ქალი (ვაჟი) მოგწონდათ?

დ) სექსუალური ფანტაზია. ოცნებები იდეალურ მეუღლეზე. საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობის რა ფორმა არის (ან იყო) თქვენთვის სასიამოვნო.

ე) რა სახის ემოციები სდევდა თან თქვენს რომანტიკულ გატაცებას, თუკი ასეთი გქონიათ (მოუსვენრობა, წუხილი, ძლიერი სურვილი, სირცხვილი, სინდისის ქენჯნა, განწყობილების ერთბაშად შეცვლა, უკმაყოფილება).

ვ) როგორია თქვენი დამოკიდებულება ქორწინებისადმი.

6. მ ი ზ ნ ე ბ ი

თქვენი ცხოვრების შორეული და უახლესი მიზნები.

ბ. კითხვები კლინიკური საუბრისათვის

1) სოციალური მისწრაფებები, მოთხოვნილებები, ინტერესები, მოტივები, განცდები

1. გიყვარდათ თუ არა სკოლა?
2. როგორ ექცეოდით (ექცევით) ბიჭებს (გოგონებს) სკოლაში?
3. სკოლაში ყოფნისას გქონიათ თუ არა გატაცება?
4. ბიჭებს (გოგონებს) შორის რამდენი მეგობარი გყავდათ (ან გყავთ?)
5. რა აზრის იყვნენ თქვენზე სკოლაში (უმაღლეს სასწავლებელში); რა აზრის არიან თქვენზე ახლა დაწესებულებაში?
6. იყავით თუ არა ოდესმე წინამძღოლი, თუ არ ყოფილხართ, გსურდათ თუ არა ყოფილიყავით?
7. როგორ შეეწყვეთ სკოლას? თქვენთვის ადვილი იყო თუ ძნელი მეგობრის შეძენა?
8. ადვილად ექცევით თუ არა გარშემო მყოფთ, მათ მოთხოვნებს?
9. როცა უცხო ადამიანს ხვდებით მატარებელში ან სხვა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, იჩენთ თუ არა ინტერესს მათი ვინაობის, საქმიანობის მიმართ (მოიგონეთ თქვენი ცხოვრებიდან კონკრეტული მაგალითები).
10. რა არის თქვენი ძირითადი გასართობი (რითი ერთობით)?
11. საღამოს, როცა თავისუფალი დრო გაქვთ, რა საქმეს, ან გასართობს ირჩევთ ჩვეულებრივ? რას ისურვებდით – საღამოს გატარებას დამოუკიდებლად საყვარელი საქმის კეთებაში, ამხანაგებში ყოფნას, თუ რაიმე სხვას?
12. თქვენი აზრით, გაქვთ თუ არა რაიმე უპირატესობა სხვებთან შე-

დარებით? (ხომ არ თვლით, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, თქვენ უპირატე-სობა გაქვთ ადამიანთა უმრავლესობასთან შედარებით).

13. გიყვართ თუ არა (შეგიძლიათ თუ არა) შენიშვნები მისცეთ ადამიანს, რომელიც იმსახურებს ამას.

14. ცხოვრებაში ყველაზე უფრო რა დიდი შეცდომა დაგიშვიათ?

15. რა არის თქვენი ყველაზე ძირითადი ნაკლი?

16. რა არის თქვენი ძირითადი დადებითი მხარე? (საკუთარი თვალსაზრი-სით).

17. გიყვართ ცხოველები?

18. არსებობენ თუ არა ისეთი ცხოველები, ან სხვა რამ, რომლებიც თქ-ვენში შიშს, ზიზღს, ჟრუანტელს იწვევენ?

19. თქვენში დღის განმავლობაში (ან საერთოდ) რომელი სახის გრძნობე-ბი უფრო ჭარბობს – სასიამოვნო თუ უსიამოვნო (სიხარული, სიამოვნება, ბე-დნიერება, კმაყოფილება, თუ სევდა, დარდი, შიში, წუხილი, შური, ბრაზი).

20. რომელი სახის განცდები ჭარბობს თქვენში-დარწმუნებულობის (საკუ-თარი მე-ს ძალა, სიამაყე, თავმომწონეობა, საკუთარი თავის ღირსების გან-ცდა, უპირატესობის გრძნობა) თუ დაურწმუნებლობის (სინანულის, დარცხვენი-ლობის, თავმდაბლობის, ბრალიანობის, თავდაჭერილობის და სხვ.).

21. არის თუ არა შემთხვევები, რომ თქვენ ადამიანების მიმართ შეგიპ-ყრობთ სიძულვილის (ზიზღის, მტრობის, უნდობლობის) გრძნობა, თუ პირიქით, თქვენთვის უფრო დამახასიათებელია ადამიანის მიმართ სიმპათია (მოწონება, მადლიერება, კეთილგანწყობილება, აღტაცება, თაყვანისცემა).

22. ა) ხშირად ხომ არ გახასიათებთ უმიზეზოდ გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა?

ბ) ხომ არ შეგიძლიათ თქვათ თქვენს თავზე, რომ თქვენი ქცევა ძირითა-დად განისაზღვრება თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების ზნე-ჩვეულებებით?

გ) გგვრით თუ არა დიდ სიამოვნებას საზოგადოების (თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების) ყურადღების ცენტრში ყოფნა?

23. ყველაზე უფრო რითი ხართ დაინტერესებული (რა გაინტერესებთ)?

24. მოგწონთ (გიყვართ) თუ არა თქვენი საქმე (პროფესია)? ადვილად ხომ არ გაცვლიდით ახლანდელ პროფესიას სხვა საქმეზე?

25. როგორ მოხდა, რომ ეს საქმე აირჩიეთ? (დამოუკიდებლად, წიგნიდან ამოკითხვის შედეგად, უფროსების გავლენით და სხვა).

26. კიდევ სხვა რა სერიოზული ინტერესები გაქვთ?

27. რა საქმეს აკეთებთ, რა საქმე გამოგდით ყველაზე კარგად?

28. რისი ნიჭი გაქვთ ყველაზე უფრო (მექანიკური და ელექტრონული აპა-რატების კეთება, შეკეთების, არტისტული, ლიტერატურული, მათემატიკური თუ სხვა).?

29. რომელი მოთხოვნილების (სურვილის) დაკმაყოფილება გგვრით ყველაზე

მეტ სიამოვნებას ცხოვრებაში (კარგი სმა-ჭამა, ქეიფი-დროსტარება, პირადი ცხოვრების კარგად მოწყობა, სექსუალური ცხოვრება თუ მიღწევები სწავლაში, მეცნიერებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და სხვა).

30. რა გაგიკეთებიათ ისეთი, რომლითაც ყველაზე უფრო ამაყობთ?

31. ოდესმე რაიმე სახის კოლექცია შეგიგროვებიათ?

## 2. ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი

32. ა) ადვილად, მცირე საბაბით იწყებთ ღელვას, ადვილად გიჩნდებათ სიხარული, აღტაცება, თუ ამისათვის ძლიერი გამღიზიანებელია საჭირო? მცირე დაბრკოლება იწვევს თქვენში აღელვებას, თუ პირიქით, ხართ მშვიდი, აუღელვებელი?

ბ) თქვენში აღმოცენებული გრძნობები, მაგალითად, სიხარული, მწუხარება, გაბრაზება, თანაგრძნობა და სხვა ხანმოკლეა, თუ დიდხანს ისადგურებს თქვენში?

33. ა) თქვენში აღმოცენებული გრძნობები-სიხარული, მწუხარება, გაბრაზება მთლიანად გიპყრობთ, ხანგრძლივია, მოუშორებელი თუ მერყევი და ხანმოკლე?

ბ) ყოველი მოულოდნელი შთაბეჭდილება (ხმაური, კაკუნი და სხვა) თქვენში იწვევს შიშს, შეკრთომას, თუ პირიქით, ასეთი შთაბეჭდილებისადმი ხართ გულგრილი, მშვიდი?

გ) საშიშ პირობებში ხომ არ კარგავთ მოძრაობის უნარს? ხომ არ გიპყრობთ პანიკა, თუ, პირიქით, იჩენთ გამბედაობას, ხართ მშვიდი?

დ) თქვენში ადვილად აღმოცენდება შინაგანი მოუსვენრობა (გახასიათებს ტკივილის, ცხოვრების შიში; ქონების, საქმის, საკუთარი რეპუტაციის, სიბნელის, მიცვალებულის შიში და სხვა), თუ ყველაფერს ეპყრობით მშვიდად.

ე) ხშირად ხომ არ წუხხართ საკუთარ ჯანმრთელობაზე? თუ წუხხართ, რაში გამოიხატება ეს წუხილი?

34. ა) ადვილად იცვლით თუ ძნელად საცხოვრებელ ადგილს, სამუშაოს? ამხანაგს? საგნებს?

ბ) ხშირად ხომ არ გეცვლებათ ინტერესები?

გ) ცვალებადი ხომ არ ხართ სიყვარულში?

დ) შეგიძლიათ თუ არა სწრაფად მოიცილოთ ძველი და შეისისხლხორცოთ ახალი იდეები, შეეგუოთ ახალ ადამიანებს, კოლექტივს და სხვ.

35. შეგიძლიათ თუ არა მძიმე განცდების გარეშე ერთი საქმიდან მეორეზე გადასვლა?

## 3. ობიექტივაცია-ნებელობის დინამიკა

36. გაგაჩნიათ თუ არა შორეული მიზნები და უახლოესი კონკრეტული ამოცანები? რა მიზნებია ეს?

37. გყოფნით თუ არა ძალა დასახული მიზნის მისაღწევად?

38. ა) შეგიძლიათ თუ არა საკუთარი სურვილების შეკავება? რომელი სურვილების შეკავება შეგიძლიათ და რომლის ვერა?

ბ) ხომ არ გახასიათებთ დღეს გასაკეთებელი საქმის ხვალისათვის გადადება? (ხომ არ გითქვამთ ხოლმე "ნამდვილ მუშაობას მომავალი ორშაბათიდან დავიწყებ"?).

39. შეგიძლიათ თუ არა ყოველთვის ძლიერი აღელვების, შიშის, ტკივილების, ან დიდი სიხარულის დროს შეინარჩუნოთ გარეგნული სიმშვიდე?

40. გადაწყვეტილების გამოტანის დროს როგორია თქვენი განცდები – რაც გადაწყვიტეთ მისი შესრულება შეგიძლიათ, თუ ეჭვი გეპარებათ საკუთარი გადაწყვეტილებების სიმტკიცეში?

41. ხშირად ხომ არ გიხდებათ გადაწყვეტილების გამოტანა ყოველდღიური აქტების შესასრულებლად (დილით ადგომა, სმა-ჭამა, ყოველდღიური საქმიანობა და სხვა).

42. როგორ იქცევით, თუ გადაწყვეტილების შესრულებისას წინ ეღობებათ დიდი დაბრკოლებები? (თავს ანებებთ დაწყებულ საქმეს, თუ შეუპოვრად განაგრძობთ მის შესრულებას).

43. როგორ იქცევით, როცა აუცილებელია გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა (ახერხებთ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას, თუ არჩევთ ძველ გადაწყვეტილებაზე დარჩენას}?

44. ა) როგორ ეპყრობით საკუთარ ქცევას (ნამოქმედარს) მას შემდეგ, რაც იგი დამთავრებულია–ფიქრობთ, აანალიზებთ, ჯავრობთ, წუხხართ ქცევის შედეგებზე?

ბ) მარცხს აბრალებთ სხვას, თუ, პირიქით, საკუთარ თავს ადანაშაულებთ?

გ) ხშირად ხომ არ გაწუხებთ ფიქრი, რომ თქვენ ეს არ უნდა გეთქვათ, ეს არ უნდა გექნათ?

45. ხშირად ხომ არ გაქვთ განცდა, რომ თქვენ აკეთებთ იმას, რაც აუცილებელია, რაც სავალდებულოა, თუმცა იგი არ გიყვართ და უსიამოვნებასაც კი გგვრით?

46. ა) დაასახელეთ თქვენი მიზნებიდან ის სამი მიზანი, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ბ) დაასახელეთ ის სამი, რომლისადმი სიყვარულსაც ჩაუნერგავდით თქვენს უახლოეს ადამიანებს (შვილი, ძმა, და, და ა.შ.).

## 4. დამატებითი კითხვები

(ძირითადი ღირებულებები, პრეტენზიები, დამოკიდებულებები, იდეალები-დიდი პიროვნული წონის განწყობები)

47. აიღეთ ფანქარი, ქაღალდი და სწრაფად დაწერეთ ამ ქაღალდზე სახელი და გვარი იმ "დიდი" ადამიანებისა (მამაკაცების, ქალების), რომელნიც თქვენ უფრო გიტაცებთ (გაგიტაცეს). ისინი შეიძლება იყონ ცოცხალნიც და გარდაცვლილნიც. რა არის დამახასიათებელი თქვენ მიერ არჩეული (ჩამოთვლილი) პიროვნებისათვის, რის გამოც თქვენ ისინი მოგწონთ?

48. სწრაფად შექმენით მოთხრობა რომელიმე ცნობილი ადამიანის შესახებ.

49. ცდისპირს ვაძლევთ სუფთა ფურცელს და ვეუბნებით – "დააკვირდით ამ ფურცლის შუა ადგილს, წარმოიდგინეთ რაიმე სურათი (მოქმედება), აღწერეთ იგი".

50. შეგიძლიათ თუ არა საკუთარ თავზე თქვათ: მე მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ; რა გინდოდათ გაგეკეთებინათ, რა მიღწევები გინდოდათ გქონოდათ ცხოვრებაში და რას მიაღწიეთ?

51. რა არის თქვენი ოცნების საგანი? რაზე ოცნებობთ?
ხშირად ოცნებობთ თუ არა?

52. ა) თქვენი ცხოვრების იდეალური წარმართვისათვის რა პირობები მიგაჩნიათ ხელისშემწყობად (ჯანმრთელობა, ეკონომიკური უზრუნველყოფა, ქონება, სამუშაოთი კმაყოფილება, ოჯახური ბედნიერება?), ამ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელი არა გაქვთ თქვენ?

ბ) რა მიგაჩნიათ ყველაზე ცუდ (ხელისშემშლელ) პირობად თქვენი მიზნების მიღწევისათვის? (სიღარიბე, ავადმყოფობა, სხვაზე დამოკიდებულება, მორალურ-ეთიკური ფაქტორები თუ სხვ.).

ამის შემდეგ ცდისპირს ვუჩვენებთ კიბე-სკალას[1]

გ) თქვენი აზრით ამ კიბის რომელ საფეხურზე ხართ ამჟამად?

10
9
8
7
6
5
4
3
2
1
0

---

1 კილპატრიკისა და ქანტრილის თვითდაფუძნების სკალა.

სად იყავით თქვენ ამ ცკალზე ორი წლის წინ? ხუთი წლის წინ?
სად იქნებით 5 წლის შემდეგ?

53. ჩემ მიერ დასმული კითხვებიდან რომელი მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე უსიამოვნო კითხვად? (ამ კითხვით ფსიქოლოგი კიდევ ერთხელ მიმართავს ცდისპირს საუბრის ბოლოს).

54. გქონიათ თუ არა ცხოვრებაში ისეთი პერიოდი (პერიოდები), როცა არ გაგაჩნდათ ახალი მიზნები, კონკრეტული ამოცანები?

55. შეგიძლიათ თუ არა თქვათ საკუთარი თავის შესახებ, რომ თქვენთვის ძნელია მოწესრიგებული ცხოვრება იმიტომ, რომ თქვენი სურვილები ერთმანეთს ებრძვიან?

56. არის თუ არა თქვენი ცხოვრება ისე მოწყობილი, რომ იგი შემაწუხებელი შეშფოთების გარეშე მიმდინარეობდეს?

57. როცა პირდაპირ გიყურებენ თვალებში, ხომ არ გიჩნდებათ თვალის არიდების, თავის დახრის სურვილი?

58. ა) ხომ არ გაქვთ შემაწუხებელი გრძნობა, რომ ადამიანები არ იწონებენ თქვენს ქცევას, მათდამი თქვენს დამოკიდებულებას?

ბ) ხშირად ხომ არ ეკითხებით საკუთარ თავს "სწორად მოვიქეცი"?

59. ხშირად ფიქრობთ [illegible] იმაზე, როგორ გამოიყურებით, რა შთაბეჭდილებას მოახდენთ სხვებზე (აქცევთ თუ არა დიდ ყურადღებას საკუთარ გარეგნობას, ჩაცმულობას და სხვ.)?

60. გსიამოვნებთ თუ არა, როცა გთხოვენ სიტყვით გამოსვლას?

61. ხომ არ გახასიათებთ დაუფიქრებელი მოქმედება, გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება? შეიძლება თქვენზე ითქვას, "ბევრს ფიქრობს და ცოტას ლაპარაკობს"?

62. ხშირად გესიზმრებათ კოშმარები? პასუხის შემდეგ ცდისპირს ვთხოვთ მოგვიყვეს მის მიერ ბოლო დროს ნანახი ერთ-ერთი სიზმარი.

63. ადვილად გწყინთ პირადად თქვენი ან კიდევ თქვენი შრომის კრიტიკა?

64. გაწუხებთ თუ არა გრძნობა, რომ თქვენ სხვებზე უარესი ხართ?

კლინიკურ-ბიოგრაფიულ მეთოდში სულ 64 კითხვაა. ამ კითხვებზე დაყრდნობით იმართება კლინიკური საუბარი. თითოეული კითხვის მიზანია დავადგინოთ პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები. ყოველი კითხვა შეიცავს მრავალი განსხვავებული პასუხის შესაძლებლობას, ამიტომ, პასუხების თავისებურების მიხედვით, შეიძლება ვნახოთ იმ თვისებას, რომელიც სპეციფიკურია და დამახასიათებელია სუბიექტისათვის. მასალების ანალიზის ნიადაგზე შესაძლებელი გახდა გვეჩვენებინა: 1. 64 კითხვიდან თითოეული მათგანის ქარაქტეროლოგიური ღირებულება (კლინიკური საუბრის შედეგად პიროვნების რა თვისების დადასტურებისათვისაა იგი გამიზნული); 2. ცალკეული შესაძლო პასუხების ქარაქტეროლოგიური ღირებულება. მაგალითად: მე-14 კითხვა:

("ცხოვრებაში ყველაზე დიდი რა შეცდომა დაგიშვიათ?") შესაძლებლობას იძლევა პასუხების მიხედვით გამოვარკვიოთ პიროვნების შემდეგი თვისებები: იმპულსურობა, აგრესია, თანამიმდევრულობა ქცევაში, დამცირებულობის კომპლექსი, ინტერესების სიმტკიცე, ამბიციის დონე, აქტიურობა, პასიურობა, დომინანტობის ტენდენცია, ექსპლოზიურობა, მოთხოვნილებასა და საქმეს შორის შეუთანხმებლობა – კონფლიქტი, ობიექტივაციის დონე, უპირატესობის კომპლექსი, ემოციების შეკავების უნარი. ამ კითხვაზე თუ ცდისპირი პასუხობს "ერთხელ დედას მივაყენე შეურაცხყოფა, უზრდელი სიტყვებით მივმართე, გავბრაზდი და შევაშინე" .(მეორე პასუხი), ასეთი პასუხი მიუთითებს, რომ ცდისპირისათვის ნიშნეულია – იმპულსურობა, აგრესია, ფეთქადი რეაქციები (ექსპლოზიურობა) და შინაგანი კონფლიქტები, სინდისის ქენჯნა (იხ. შესაძლო პასუხების ქარაქტეროლოგიური შეფასება – 14,2), ამრიგად, შრომაში ხაზგასმულია – ყოველი ცალკეული კითხვა პიროვნების ხასიათის რომელი ასპექტის აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა, ამ შესაძლებლობიდან მისი კონკრეტული პასუხის მიხედვით, რომელი თვისებაა მისთვის სპეციფიკური. პასუხი ფასდება 3 ბალიანი ნიშნით; თუ თვისება სუსტადაა გამოვლენილი, ფასდება 1-ით. თუ საშუალო დონისაა – 2-ით, მკვეთრად გამოვლენილი თვისება –3-ით.

ფსიქოლოგი, რომელიც კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით იკვლევს პიროვნებას, მისი ყველა პასუხის ფსიქოლოგიური ანალიზისა და ბალების შეფასების შემდეგ გამოყოფს და შეადგენს იმ თვისებათა სიას, რომელიც ფასდება ყველაზე მაღალი ბალით. ამ პროცედურას აადვილებს შრომაში წარმოდგენილი თითოეული კითხვის და კითხვაზე შესაძლო პასუხების ქარაქტეროლოგიურ მნიშვნელობათა ფართო და საფუძვლიანად დამუშავებული სია. ამ მეთოდით პიროვნების შესწავლის შედეგად დადგენილი ხასიათის თვისებების ურთიერთმიმართების ანალიზი მკვლევარს შესაძლებლობას მისცემს იმსჯელოს პიროვნების, როგორც ტიპოლოგიური ბუნების (პიროვნების ხასიათის რომელ ტიპს მიეკუთვნება იგი), აგრეთვე მის უნიკალურ თავისებურებაზე, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს მისი განწყობის სტრუქტურის შინაარსეულ-მოტივაციური ასპექტების ანალიზის შედეგად.

კლინიკურ-ბიოგრაფიულ მეთოდში მოცემული კითხვების ვალიდობა დასაბუთებულია ჩვენი მრავალი წლის მუშაობის შედეგად. კითხვები, რომელთა დიდი ნაწილი ცნობილია ხასიათის კვლევის პრაქტიკაში, ჩვენ გამოვიყენეთ პიროვნების პრობლემის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში ("ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურსა და პათოლოგიურ შემთხვევებში", 1964 წ. პიროვნების ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა, 1968 წ.; "პიროვნების ხასიათის ტიპები და ფიქსირებული განწყობა" 1966 წ., "პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები" 1975 წ. ამ შრომაში ვეცადეთ ჩვენ მიერ ადრე გამოყენებული კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდისათვის მიგვეცა ისეთი სახე, რომ მისი გამოყენება ყველა ფსიქოლოგისათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომ

ში და ამით ხელი შეგვეწყო მათ წინაშე მდგარი რთული ფსიქოდიაგნოსტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ჩვენ ვეცადეთ კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდის გამოყენების ყველა ასპექტი განგვეხილა მისი პრაქტიკაში დანერგვის ასპექტში. ამ მიზნის მისაღწევად ავირჩიეთ მეტად რთული და ძნელი გზა – ამ მეთოდის გამოყენების საილუსტრაციოდ მოგვეცა ერთი პიროვნების ქარაქტეროლოგიური პორტრეტი, რომელშიც მოცემული იქნებოდა თითოეული კითხვის ქარაქტეროლოგიური ღირებულება და განწყობის ფსიქოლოგიის პრინციპების მიხედვით მათი ინტერპრეტაცია.

კლინიკურ-ბიოგრაფიული და ფიქსირებული განწყობის მეთოდებით სულ შესწავლილი იყო 200-მდე ჯანმრთელი და ნევროლოგიური დაავადებით შეპყრობილი სუბიექტი. მიღებული მასალების ანალიზის ნიადაგზე გამოყოფილ იქნა თითოეულ კითხვაზე მიღებული პასუხები. მოგვყავს ეს პასუხები.

## გ. შესაძლო პასუხები

1. 1. დიახ. 2. მინდოდა მალე მოვსულიყავი სკოლაში, მიხაროდა მეგობრებისა და მასწავლებლების ნახვა.

3. სკოლაში წასვლა მიყვარდა, რადგან იქ კარგი ამხანაგები მყავდა.

4. დილით ადრე ადგომა მეზარებოდა, თორემ სკოლა მიყვარდა.
მიყვარდა სწავლაც და ამხანაგებიც.

5. გატაცებული ვიყავი სწავლით, სკოლაში წასვლა დიდი სიხარული იყო ჩემთვის.

6. სკოლა კარგი იყო, მაგრამ ბავშვებს ვერ ვეგუებოდი, მაჯავრებდნენ, მაწყენინებდნენ.

7. სკოლა ზოგჯერ მიყვარდა, მიხაროდა იქ წასვლა, როცა გაკვეთილს კარგად ვყვებოდით, მაგრამ ზოგიერთი ბავშვი მეზარებოდა, ეს მაძულებდა სკოლას.

8. სწავლისა და აღზრდის მხრივ მიხაროდა სკოლაში სიარული. თუმცა სკოლა შორს იყო, თანაც ნაკლებ ყურადღებას მაქცევდნენ სკოლაში.

2. 1. ყველასთან კარგად ვიყავი, მათში ზოგი ახლობლები მეგობრები იყვნენ. ისინიც კი, ვინც სხვებთან ცუდად იყვნენ, ჩემთან კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

2. მიყვარდა ისეთ ბავშვებთან მეგობრობა, რომელნიც კარგად სწავლობდნენ, მუშაობდნენ, კარგი მიზნები ჰქონდათ.

3. ზოგს კარგად, ზოგს ცუდად, კარგს კარგად, ცუდს ცუდად.

4. საერთოდ კარგად, მაგრამ უფრო ჩემთვის ვიყავი, ხანდახან ხმას არავის გავცემდი.

5. ზოგს ვერ ვეგუებოდი, ვფიქრობდი, ცუდი უნდოდათ ჩემთვის, უნდოდათ

ჩემი დაბეზღება აწ სხვა.

6. ვფიქრობდი, რომ ბავშვები მე დამცინიან, შედარებით მათთან სუსტი ვიყავი, განზე ვიყავი დამდგარი, ერთხელ მცემეს, კედელზე მიმაჭეჭყეს.

7. ცუდად, მეგონა ყველა ჩემს წინააღმდეგ იყო, მეშინოდა, სულ მზად ვიყავი თავდაცვისათვის.

8. გოგოები? მაჯავრებდნენ, დამცინოდნენ, ფრიადოსნები ზევიდან დამყურებდნენ. დიდი წარმოდგენა ჰქონდათ თავის თავზე.

9. ბიჭებთან? არც ახლოს და არც შორს. უზრდელები იყვნენ, კინკლაობდნენ. ისეთები არ იყვნენ, რომ მათთან შემძლებოდა მეგობრობა.

10. გოგონები? მე ძალიან ცოტა ყურადღებას ვაქცევდი მათ.

3. 1. ყველასთან ამხანაგურად ვიყავი, არ მქონდა რაიმე დიდი გატაცება.

2. მქონდა ჩუმ-ჩუმად გატაცება, მაგრამ ამას არ შევუწუხებივარ.

3. შემიყვარდა ერთი გოგონა, კიდევაც გამოვუტყდი, ჩუმად ეხვედებოდით, შევფიცეთ ერთმანეთს სკოლის დამთავრების შემდეგ დავქორწინდებოდით, მაგრამ ეს არ მოხდა.

4. მომწონდა ჩემი თანაკლასელი გოგონა, სულ მასთან მინდოდა ყოფნა.

5. მორცხვი ვიყავი, მერიდებოდა გოგონების (ბიჭების), ხშირად ვფიქრობდი, რომ ისინი მაღლიდან დამყურებდნენ, უკადრისობდნენ ჩემთან ურთიერთობას.

6. დიდხანს მომწონდა, მიყვარდა კიდეც ერთი გოგონა, მაგრამ ეს მან არ იცოდა, ვერ გამოვუტყდი.

7. ჩუმად, მალულად მიყვარდა ახალგაზრდა მასწავლებელი, ჩემი გრძნობების შესახებ მან არაფერი იცოდა.

8. ერთი ბიჭი მომწონდა, ეს ახლო ამხანაგს გავანდე, მესიზმრებოდა კიდეც.

9. ხშირად მომწონდა სხვადასხვა ბიჭები, მაგრამ ცვალებადი ვიყავი. ერთბაშად, ვინც მომწონდა, იმის საქციელი არ მომეწონებოდა და შემზარდებოდა.

10. ძალიან წუნია ვიყავი, არავინ არ მომწონდა, ყველაში ვპოულობდი ცუდს, ამიტომ ვერავის შევეგუე, არც არავინ შემყვარებია.

4. 1. მეგობარი ერთი მყავს, მასთან ერთად ხშირად ვარ, საერთოდ ამხანაგი ბევრი მყავს, ყველასთან კარგად ვარ, გამორჩეული არა მყავს არავინ იმ ერთის გარდა.

2. რამდენიმე მეგობარი მყავს, სხვები ამხანაგებია, მეგობრები სულ ერთად ვართ, სხვა ამხანაგებთანაც კარგად ვარ, ვეხმარებით ერთმანეთს.

3. უფრო ჩემთვის ვარ, სახლში ყოფნა მირჩევნია, მაინცდამაინც ჯრიამულში გახვევა არ მიყვარს, ჩემთვის როცა ვარ, უფრო მსიამოვნებს.

4. მეგობრები ბევრი მყავდა, ამჟამად დამავიწყდა ზოგის სახე, სადაც ვარ, იქ ვიძენ ახალ ამხანაგს, ყოველთვის ერთთან ხომ არ ვიქნები.

5. თუ შევამჩნიე, რომ კაცი არაფერში გამომადგება, მასთან ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს.

6. მეგობრები, ამხანაგები ბევრი მყავდა, მაგრამ ბევრი მათგანი ეხლა არც კი მახსოვს.

7. არასოდეს არ მყოლია ნამდვილი მეგობარი, არავისი ნდობა არ შეიძლება, ყოველთვის სიფრთხილეს ვიჩენდი ადამიანების მიმართ.

8. მიყვარს ისეთი ადამიანებთან მეგობრობა, რომელიც ყველა საქმეში ამყვება.

9. მეგობრებში ბედი არა მაქვს, არც ერთმა მეგობარმა და ამხანაგმა არ გამიმართლა.

5. 1. არ ვიცი. არასოდეს არ მიფიქრია ამ საკითხზე.

2. სკოლაში ჩემზე ამბობდნენ, რომ ცელქია, მოუსვენარი, მაგრამ კარგი ბიჭია (გოგოა), ამხანაგურია.

3. მე მგონია, კარგი აზრის არიან ჩემზე, ცუდი აზრისა რომ იყვნენ, ადვილად შევამჩნევდი.

4. სკოლაში ჩემზე ფიქრობდნენ, რომ მე ვარ მონდომებული და ბეჯითი.

5. ყველა კარგი აზრისაა ჩემზე და მე მგონია, ყველა კარგად მექცევა.

6. მე ვფიქრობ, კარგი ავტორიტეტი მაქვს, ხშირად მეკითხებიან რჩევას. მათ ჩემდამი დამოკიდებულებაში ჩანს, რომ ცუდად არ მიყურებენ.

7. ყველანი ერთი აზრისა არ არიან, ზოგი კარგის, ზოგნი, ალბათ, ცუდის, ეს მე დიდად არ მაწუხებს.

8. ხშირად ვფიქრობ, რომ სხვები ცუდს ფიქრობენ ჩემზე.

9. ხშირად ვარ შეწუხებული იმის გამო, რომ ვეჭვობ, სხვები ცუდს ფიქრობენ ჩემზე, ჩემდამი დამოკიდებულებაში ვამჩნევ ცუდს, ბოროტ ზრახვებს.

10. თუ შევამჩნიე, რომ არ მაფასებენ, ასეთ ხალხს ახლოს არ გავეკარები.

11. მთელიან მზრუნველად სხვების მიმართ.

12. მთელიან გულუბრყვილო და მიმნდობ ადამიანად.

13. იჭვიანად და ეგოისტად.

14. თავდაჯერებულ ადამიანად.

6. 1. დიდი სურვილი წინამძღოლობის არ მქონია, მაგრამ თუ კი ამირჩევენ, წინააღმდეგი არ ვიყავი. წინათ მიხაროდა კიდეც, რადგანაც ვიცოდი, კარგად შემეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

2. ვყოფილვარ, ძალიან მომწონს წინამძღოლობა და დიდ სიამოვნებას მგვრის.

3. ძიეჭ ვცდილობ ვიყო ხელმძღვანელის როლში (სკოლაში, დაწესებულებაში და სხვა), ამას ვახერხებ კიდეც.

4. წინამძღოლობის სურვილი მაქვს, მაგრამ გავურბივარ, რადგან მეშინია არჩევნების დროს არ გავშავდე.

5. არ მინდა ხელმძღვანელის როლში ყოფნა, ძლიერ მაწუხებს მოვალეობა, მოუსვენარი ვხდები, ვშიშობ, რომ ვერ შევასრულებ დაკისრებულ მოვალეობას.

6. მე არ მსურდა ვყოფილიყავი ხელმძღვანელი, რადგან მეტად თავშეუკავებელი ვარ, მეშინია სხვებთან კონფლიქტების.

7. მე ხშირად ვიყავი განაწყენებული, იმის გამო, რომ მთვლიდნენ ისეთ კაცად, რომელსაც არ შეუძლია ხელმძღვანელობა.

8. მე მძაგს ყველა ის, ვინც ისწრაფვის ხელმძღვანელობისაკენ, ისინი მიმაჩნია პატივმოყვარე და მეტიჩარა ადამიანებად.

9. ჩემი ცხოვრების მსვლელობაში მე ხშირად მეცვლებოდა სურვილები, ზოგჯერ მძაფრა იყო.

10. სრულიად გულგრილი ვიყავი ხელმძღვანელის როლისადმი, მერჩია დავმორჩილებოდი სხვას, ვიდრე მეცადა სხვების დამორჩილება. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს.

7. 1. მაშინვე შევეწყვე სკოლას, ბავშვები, ამხანაგები ძმებივით დამესიენ და მაშინვე დავიწყე მათთან ურთიერთობა.

2. თანდათანობით შევეწყვე; მიუხედავად იმისა, რომ რუსულ სკოლაში მიმიყვანეს, რუსული კი არ ვიცოდი, მაინც მოვახერხე ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგების შეძენა. პირველად კი იუცხოვა ყველამ, მაგრამ მერე მსიამოვნებდა მათთან ყოფნა.

3. მასწავლებლებს კარგად შევეგუე, მაინტერესებდა სწავლა, გაკვეთილები, ვინც კარგად სწავლობდა და კარგები იყვნენ, მალე დამიახლოვდნენ.

4. ძალიან გამიძნელდა სასწავლებელთან შეგუება და მეგობრის პოვნა.

5. პირველად მახსოვს ვტიროდი, სახლში გაქცევა მინდოდა, დიდხანს არავის ვეკარებოდი, თავს არ ვწევდი. მერე თანდათანობით დავიწყე სწავლა, მასწავლებელი მეფერებოდა, დედა კი მიწყრებოდა, რომ ვერ ვახერხებდი სკოლასთან შეწყობას.

6. ვერ ვიტყვი, რომ მთლად კარგად, ვერ ვიტანდი, როცა ყურადღებას არ მაქცევდნენ, კარგად ვიყავი იმასთან, ვინც მე დამფასებდა, სხვებისაგან გამომარჩევდა.

8. 1. ადვილად, სრულებით არ მიჭირს, გავუგო ადამიანებს, ვიმეგობრო ადამიანებთან და შევეგუო მათ.

2. ჩემს ცხოვრებაში ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ არ მახსოვს, რომ გამჭირვებოდეს ადამიანებთან საერთო ენის პოვნა, შეგუება.

3. არ მიჭირს, მაგრამ არც მიადვილდება; დაკვირვება, მოსაზრება, ფიქრი მჭირდება, რათა გავუგო ადამიანებს, დავუახლოვდე, საბოლოოდ ამას ვახერხებ.

4. ძალიან მიჭირს ახალ პირობებთან შეგუება, დიდხანს შეიძლება ვიცხოვრო ახალ პირობებში, ისე რომ თავს ვგრძნობდე უცხოდ, ვერ დავამყარო ხალხთან კონტაქტი.

5. ვერ გეტყვით ზუსტად, ყოველგვარი პირობები, გარემო მალე მბეზრდება, ადვილად შევეგუები, მაგრამ სულ ერთ პირობებში, ერთი და იგივე ადამიანებში ყოფნა მოსაწყენია.

9. 1. როცა მატარებელში ან სხვაგან ადამიანებს ვხვდები, მაშინვე ვაკვირდები, რომელთან შეიძლება ურთიერთობა, საუბარი, მიყვარს გამოკითხვა, მოუსვენარი ვარ, სანამ არ გავიგებ მათ ვინაობას.

2. მეჯავრება ადამიანები, რომლებიც მგზავრობის დროს მიუკარებელნი, ენაჩავარდნილნი არიან.

3. შევხედავ ადამიანებს, თუ დავრწმუნდი, რომ მათთან არ ღირს ურთიერთობა, ჩუმად ვარ, თანაც ვუკვირდები, მინდა შევიტყო, ვინ რას წარმოადგენს.

4. მაინტერესებს, მაგრამ თვითონ მიჭირს ინიციატივის გამოჩენა, თუ სხვამ გამოიჩინა, დიდი სიამოვნებით ვამყარებ კონტაქტს.

5. მართალი გითხრათ არავითარი ინტერესი არა მაქვს მათთან ურთიერთობის, ხშირად დიდხანს მიმგზავრია ისე, რომ კარგად არც კი შემიხედია ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის.

6. დავინტერესდები უცხო ადამიანის ვინაობით, თუ იგი მომეწონა გარეგნულად.

7. ვინტერესდები თანამგზავრით, თუ შევამჩნიე რაიმე უცნაურობა.

8. თუ თვითონ არ დაინტერესდებიან ჩემით, მე ვცდილობ ისეთი რამე ვთქვა, მაგ., ანეკდოტი ან სხვა რამე, რომ მათი ყურადღება მივიქციო.

9. მწყინს, ზოგჯერ ვბრაზობ კიდეც, როცა ვერ ვახერხებ სხვების ყურადღების მიქცევას.

10. 1. ახლო ამხანაგებთან საუბრით, მასლაათით, ანეკდოტებით, ყველაზე უფრო მსიამოვნებს კარგი ხუმრობა. ძალიან მართობს სათავგადასავლო წიგნების კითხვაც.

2. თუ სახლში ვინმე ავიყოლიე, შემიძლია ვითამაშო ნარდი, ჭადრაკი არ მიყვარს, მძიმე თამაშია, მღლის.

3. მიყვარს ამხანაგებთან ან ჩემიანებთან გასეირნება, დროს ტარება.

4. მიყვარს წიგნის კითხვა, მარტო ოთახში ან სადმე ბაღში.

5. თუ მომეშვებიან, მარტო ყოფნა მირჩევნია, მარტო ფიქრში, ოცნებებში უფრო ვისვენებ.

6. ვერთობი სახლში საქმის კეთებით, შევაკეთებ გაფუჭებულ აპარატს, ან სხვა რამეს. მოკლედ რომ ვთქვათ ჩხირკედელაობით.

7. ვერთობი ტელევიზორის ყურებით. კარგ სურათს, შემიძლია მთელი დღე ვუყურო და დავისვენო, ტელევიზორის ყურების პროცესში ხშირად ჩავთვლემ კიდეც ხოლმე.

8. მირჩევნია მარტო ყოფნა გარინდულ მდგომარეობაში (ჩემთვის ვარ, არც ვფიქრობ, არც ვოცნებობ; ერთგვარ შინაგან სიცარიელესაც კი ვგრძნობ).

11. 1. უთუოდ ავირჩევ ამხანაგებში ყოფნას დროს მოსაკლავად.

2. უპირატესობას მივანიჭებდი ვაკეთო საყვარელი საქმე, დამოუკიდებლად, მარტო.

3. ვერთობი იმით, რომ ვზრუნავ ჩემს გარეგნობაზე, რომ ხვალ კარგად გამოვიყურებოდე, ყურადღება მივიქციო.

12. 1. უთუოდ მაქვს ისეთი აზრი, რომ მე ვჯობივარ ბევრ სხვას, რომლებიც ჩემზე წინ არიან. მე მათზე მაღლა ვდგავარ ცოდნითაც. ჭკუითაც, ნიჭითაც, მათ უპირატესობა მოიპოვეს მხოლოდ მოხერხებით, სხვისი დახმარებით.

2. მე ძლიერ მაწუხებს, რომ დაფასებული არა ვარ, ვიცი, რომ ბევრს ვჯობივარ, ეს სხვებმაც იციან, მაგრამ ყველას თავის თავი აწუხებს.

3. სხვებთან შედარებით უფრო მხიარული და კონტაქტური ვარ.

4. მე ვიცი, სხვებთან შედარებით ბევრი უპირატესობა მაქვს პატიოსნებაში, პირდაპირობაში, კაცობაში, ამასთან სრულიად არ მაწუხებს, თუ ვინ როგორ მაფასებს.

5. არასოდეს არ მიფიქრია ამაზე, მე მგონია არ მაქვს დიდი უპირატესობა სხვებთან, ჩემს ამხანაგებთან შედარებით, არც ჩემი ამხანაგებია დიდი ვინმეები.

6. პირიქით, მე განვიცდი, რომ არავითარი უპირატესობა არ მაქვს სხვებთან შედარებით. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ არაფრის მაქნისი ვარ.

7. მე მიხარია, როდესაც დამიჯერებენ, ჩემს აზრებს უპირატესობას მისცემენ, გაიზიარებენ.

8. ჩემს ტოლებთან შედარებით ყველაფერში ძლიერი ვარ.

9. სხვებთან შედარებით გულახდილი ვარ, არაფერი მაქვს დაფარული, მიჭირს პირადი საიდუმლოების შენახვა, ამიტომ ჩემთანაც ყველა გულახდილია.

13. 1. მერიდება შენიშვნების მიცემა, შეიძლება ვამჩნევდე, რომ ადამიანი ტყუის, მაგრამ მერიდება უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო.

2. ძალიან მიყვარს, მსიამოვნებს, როცა შენიშვნას ვაძლევ, განსაკუთრებით, როცა მართალი ვარ.

3. თუ გამოვიჭირე ვინმე შეცდომაში, არ ვაპატიებ, ვეტყვი, რომ მიხვდეს-მე მასზე უკეთ ვიცი საქმე.

4. გულგრილი ვარ სხვების შეცდომისადმი, თუ ეს მე არ მეხება.

5. ამას ვაკეთებ, მაგრამ არა მტრობით, არც იმისათვის, რომ ჩემი ძალა ვაჩვენო, უბრალოდ იმისათვის, რომ გამოვჩნდე, ნახონ, რომ მე აქ რაღაცას წარმოვადგენ.

14. 1. ისეთი მძიმე შეცდომა არ ჩამიდენია, რომ ღირდეს იმის მოგონება. შეიძლება ვინმეს ვაწყენინე, უხეში სიტყვა ვუთხარი, საქმე ბოლომდე არ მივიყვანე... საერთოდ მძიმე, დიდი შეცდომა არ მახსოვს, შეცდომის გასწორებას მალე ვახერხებ.

2. ერთხელ დედას მივაყენე შეურაცხყოფა, უზრდელი სიტყვით მივმართე,

გავბრაზდი და შევაშინე.

3. ერთი გოგონა მიყვარდა, მე წავიწიე მისკენ, გამკავეს, თორემ უნდა გამერტყა.

4. ერთბაშად ჩემთვის მოულოდნელად, ახლობელ ადამიანს შეურაცხყოფა მივაყენე, ისეთი სიტყვები ვუთხარი, რომელიც არ იყო სათქმელი, ჩემმა უტაქტო საქციელმა ძლიერ შემაწუხა, ახლაც მახსოვს.

5. ერთხელ ამხანაგს მაგრად წავეჩხუბე, იმავე დღეს მასწავლებელთანაც (ლექტორთანაც) ვიჩხუბე, ჩემმა საქციელმა შემაწუხა. სირცხვილის გამო იმ დღეს სახლშიც არ მივსულვარ.

6. ამხანაგების შეკრებაზე მივედი, არავინ ყურადღება არ მომაქცია, თითქოს იქ არ ვყოფილიყავი, ერთბაშად ავენთე, გამოვლანძღე ყველა, ყველას გაუკვირდა, ამან შემაწუხა.

7. ჩემს შეცდომად ვთვლი, რომ მიყვარდა უფროსი ადამიანი და თავი გავწირე მისთვის.

8. დავკარგე საყვარელი ადამიანი ჩემი უინიციატივობის გამო.

9. დავამთავრე ის დარგი, რომელიც ჩემი მოწოდება არ იყო.

10. არცერთი პროფესია არ მაკმაყოფილებს. ბევრჯერ შევიცვალე პროფესია.

15. 1. თვალსაჩინო ნაკლი არა მაქვს, ისე რაღაც ნაკლი ყველას აქვს.

2. თუ ეს ნაკლია, შეუპოვარი ვარ საქმეში, ეს ზოგჯერ ჩემს ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს.

3. ძლიერ მორცხვი ვარ, განსაკუთრებით უფროსებთან განვიცდი დიდ უხერხულობას. –

4. არამყარი, ცვალებადი ხასიათი მაქვს, გუნება მეცვლება ხშირად. დაუდევარი ვარ, ხშირად მინდა შევიცვალო ადგილი, სამუშაო.

5. მძიმედ განვიცდი ყოველგვარ მარცხს, მაგალითად წაგებას თამაშის დროს, სრულიად ვერ ვიტან წაგებას, შეიძლება ჩხუბიც დავიწყო.

6. ძალიან მიჭირს ამის თქმა – ტყუილი მიყვარს, ხშირად მერე ვიხლართები ჩემსავე ტყუილში. ამავე დროს მშიშარაც ვარ.

7. რაღაც ძალა მაკლია, მინდა ძლიერი ვიყო სწავლაში, საქმეში, მაგრამ ვერ ვახერხებ, კარგად ვიწყებ საქმეს, მაგრამ ძალა არ მყოფნის, ზოგჯერ გული ამიცრუვდება ხოლმე და თითქმის დამთავრებულ საქმეს თავს ვანებებ.

8. მშიშარა ვარ. ბავშვობიდან ასეთი ვარ. რაღა არ ვცადე. მაგრამ მაინც არაფერი არ გამომივიდა.

9. უნებისყოფო ვარ. ჩემთვის მნიშვნელოვანი საქმეც კი ვერ მიმყავს ბოლომდე.

10. უპასუხისმგებლო ვარ სამწუხაროდ.

11. თავის თავში ჩაკეტილობა, უხასიათობა, მუდმივი ნერვიულობა. აი, ჩემი ნაკლი.

16. 1. ჩემი დადებითი მხარეა ის, რომ მყავს კარგი მეგობრები, მეგობრებს ვუყვარვარ. მეც ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები. ვცდილობ მათთვის ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია.

2. კარჩაკეტილი კაცი არა ვარ, მე ბევრი მყავს ადამიანები, რომლებიც ჩემთვის თავს დადებენ, მეც ასეთი ვარ მათთვის.

3. მე მინდა დავეხმარო სხვებს, ვინმე გაჭირვებაში თუა, არაფერს დავიშურებ.

4. მე მიყვარს მათემატიკა, დიდხანს შემიძლია ჩემთვის ვიჯდე და ამოცანები ვიყვანო.

5. მიყვარს პოეზია, ლამაზი ოცნებები, კარგი ფიქრები მაქვს ადამიანებზე, მათ სიკეთეზე ვფიქრობ. საერთოდ მიყვარს ადამიანი.

6. კარგი ხმა მაქვს, სიმღერა კარგი ვიცი, გამოვდივარ კონცერტებში, სკოლაშიც გუნდი მყავდა.

7. მიუხედავად იმისა, რომ მიჭირს მატერიალურად, მაინც ყოველთვის კარგად ვარ ჩაცმული, არავის ვათქმევინებ, რომ სხვებზე უარესი ვარ.

8. ვარ კეთილი და გულუხვი, ამით ძალიან ვამაყობ.

9. ვარ მხიარული, შემიძლია მოწყენილი, უგუნებო მყოფნი გავამხიარულო.

10. მიზანსწრაფვა დასახული მიზნისათვის, შეუპოვარი ბრძოლა. თუ მე რამე მოვინდომე, ნამდვილად მივაღწევ.

11. არაფერს დადებითს არ ვხედავ ჩემში.

17. 1. ძალიან მიყვარს ყველა ცხოველი, განსაკუთრებით ძაღლი, ცხენი, მინდა სახლში მყავდეს კიდეც.

2. ისე რა, არ შემიძლია ითქვას, რომ მიყვარს, არც მძულს.

3. მართალი გითხრათ, არ მიყვარს. განსაკუთრებით კატა.

4. მძულს. ბავშვობისას კატა არ მიყვარდა, ხშირად ვაწვალებდი, დიდი სიმაღლიდან ვაგდებდი.

18. 1. ასეთი ცხოველი არ არსებობს. არც ერთი ცხოველის საგანგებოდ არ მეშინია.

2. საშინლად მეზიზღება გველი. გამოგიტყდებით, მეშინია კიდეც.

3. შიშის ჟრუანტელს მგვრის გველის დანახვა.

4. საკმარისია წარმოვიდგინო გველი, რომ შიშმა ამიტანოს.

5. ასეთი არსებები ბევრია, მეზიზღება ტარაკანი, თაგვი, საკმარისია თაგვი გამოძვრეს, ადგილს ვერ ვპოულობ, ზოგჯერ მაგიდაზე ავდივარ.

19. 1. ჩემში უფრო ჭარბობს სიამოვნების გრძნობა, რაც უნდა მიჭირდეს, თუ ჩემიანები ყველა კარგადაა, კარგ გუნებაზე ვარ.

2. ყოველთვის მდგრადი გუნება-განწყობილება მაქვს. თითქმის არ არსებობს, რომ ცუდ გუნებაზე ვიყო.

3. ყოველთვის ვცდილობ ვიყო კარგ გუნებაზე, დავძლიო ცხოვრებით გა-

მიწეული უკმაყოფილება. ხშირად ამას ვახერხებ კიდეც.

4. უფრო ჭარბობს სასიამოვნო მღელვარება, პატარა გამეხარდება, ადვილად არ მეწყინება.

5. არავისი არაფერი არ მშურს, სხვების კარგი მიხარია, რატომ უნდა ვიყო ცუდ გუნებაზე.

6. ჩემში ჭარბობს უსიამოვნო გრძნობა, საერთოდ დარდიანი კაცი ვარ, სულ რაღაცაზე ვწუხვარ.

7. მაწუხებს ცხოვრების შიში, უიმედობა. არაფრის იმედი არა მაქვს ცხოვრებაში.

8. დაურწმუნებელი კაცი ვარ, ყოველთვის მგონია, საქმე ცუდად მიდის, ამიტომ სულ ვდარდობ, ვწუხვარ.

9. დღის განმავლობაში ათასნაირი გრძნობები მომივლის, უფრო არასასიამოვნო მღელვარებაში ვარ ხოლმე.

10. ძალიან ხშირად მეცვლება გუნება-განწყობილება. უსიამოვნო მღელვარება ადვილად გადადის სასიამოვნოში.

11. ხშირად მაქვს შინაგანი სიცარიელის გრძნობა.

20. 1. მე ვიცი, რასაც მოვკიდებ ხელს, შევაკეთებ, დარწმუნებული ვარ, რომ მივაღწევ. საერთოდ ჩემთვის სიძნელეები არ არსებობს.

2. მე მეძახიან ამაყს, ალბათ იმიტომ, რომ ძნელად ვერავინ ვერაფერს შემაპარებს.

3. მე მინდა ძლიერი ვიყო. გავუსწრო სხვებს სწავლაში, სპორტში, თუ ვიშრომებ, ეს მე შემიძლია, ამის მაგალითები ბევრი მაქვს ცხოვრებაში.

4. ვგრძნობ, რომ გამაჩნია ძალა მიზნის განსახორციელებლად, თუ მოვინდომე, რას მიქვია წინააღმდეგობა?

5. ცუდა თავმომწონე არა ვარ, მაგრამ თავს არავის დავაჩაგვრინებ. ვისზე ნაკლები ვარ?

6. ვცდილობ, არ ვაწყენინო სხვას უცაბედი წამოსროლილი სიტყვებითაც კი.

7. ვცდილობ, რომ ყოველთვის კონტროლი გავუწიო საკუთარ ქცევას.

8. საშინელი დაურწმუნებლობა მაქვს, სულ ვფიქრობ, ვერ მივალ, ვერ გავაკეთებ, ვერ მივაღწევ.

9. ყოველთვის მაწუხებს სინანული, სულ ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში ბევრი შეცდომა ჩამიდენია, ვნანობ ამ შეცდომებს.

10. მაქვს სირცხვილის გრძნობა, როცა ადამიანები მიყურებენ, ვწითლდები, სიარულშიც ფეხი ამერევა ხოლმე.

21. 1. ზიზღის გრძნობა ჩემთვის უცხოა. პირიქით, მიყვარს ადამიანი.

2. მე მიყვარს ჩემიანები, განუწყვეტელ ზრუნვაში ვარ.

3. ძალიან ვენდობი ადამიანებს, იქამდისაც კი, რომ ზოგჯერ მეტად არასანდო სიტუაციაში მიჭირს უნდობლობა გამოვამჟღავნო.

4. ძალიან მაქვს სიბრალულის გრძნობა, საავადმყოფოში მუშაობას თა-ვი დავანებე, რადგან ვერ ავიტანე ადამიანების ტანჯვის ყურება. მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ მძიმე ავადმყოფს მარტო მხარდაჭერით ვერ დაეხმა-რები.

5. შიშის გრძნობა მიპყრობს, თუ ვხედავ უსუფთაო ადამიანს.

6. ზოგჯერ შემძულებია ადამიანი.

7. ერთბაშად შემძულებია ადამიანი, რომელიც ამჟღავნებს დაუფიქრებელ ქცევას, ან უზრდელობას.

8. თუ კი ვინმემ მაწყენინა, მაგალითად, შეურაცხყოფა მომაყენა, შემე-ზიზღება, ზიზღის გრძნობა არასოდეს მომცილდება.

9. ადამიანის მიმართ გამჩენია სრულიად უმიზეზო ზიზღისა და უნდობ-ლობის გრძნობა.

10. ეჭვები მაწვალებს, მიჭირს ადამიანს ვენდო, ამის საბუთი ბევრი მაქვს ყოველთვის. ჩემისთანა რომ იყოს ყველა, მაშინ მეც კარგად ვიქნები და ისინიც.

22. ა. 1. არასოდეს მეცვლება გუნება-განწყობილება უმიზეზოდ.

2. საკმაოდ ხშირად ხდება, რომ დღის განმავლობაში რაიმე გა-ნსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშეც მეცვლება ხოლმე გუნე-ბა-განწყობილება.

3. დიახ, პატარა რამ არის საკმარისი, რომ გუნება შემეცვა-ლოს. მაგალითად საკმარისია ოდნავ უხეში პასუხი მივიღო ჩემს შეკითხვა-ზე, რომ ცუდ გუნებაზე დავდგე.

4. საერთოდ ძალიან შთაბეჭდილებიანი ვარ. ჩემთვის შეიძლება ისეთი რამ გახდეს მიზეზი გუნება-განწყობილების შეცვლისა, რაც სხვისთ-ვის უმნიშვნელოა, რასაც სხვა ყურადღებასაც კი არ მიაქცევს.

ბ. 1. ჩვეულებრივ ჩემი ქცევა ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების ზნე-ჩვეულებებით განისაზღვრება.

2. ჩემი ქცევა სხვა ადამიანების ზნე-ჩვეულებებით განისაზ-ღვრება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ადამიანები ჩემთვის რაიმე ღირებულებას წა-რმოადგენენ.

3. ჩემი ქცევა არასოდეს არ განისაზღვრება სხვა ადამიანების ზნე-ჩვეულებებით.

4. არასოდეს, პირიქით, მე ყოველთვის მიჩნდება საწინააღმდე-გოს გაკეთების სურვილი.

გ. 1. დიახ, ძალიან დიდ სიამოვნებას განვიცდი-მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, რომ მე რაღაცას წარმოვადგენ.

2. არა, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, რაღაცნაირად აფო-რიაქებული ვხდები, მეშინია რამე არ შემეშალოს, და ცუდად არ გამოვჩნდე.

3. მიყვარს და სხვაგვარად არც შემიძლია, სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიმყოფები.

4. ძალიან, თუკი შევნიშნე, რომ ყურადღების ცენტრში არა ვარ, ასეთ საზოგადოებას ყოველთვის ვტოვებ და მივდივარ.

5. ჩემთვის სულ ერთია, ვიქნები თუ არა ყურადღების ცენტრში, რადგან ნაკლებად მაღელვებს, თუ რას ფიქრობენ ჩემზე სხვები.

6. როგორც კი ვიგრძნობ, რომ ყურადღების ცენტრში ვარ, მაშინვე ვწითლდები და მრცხვენია.

7. მე როგორც წესი-ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ, რადგან ჩემთან ურთიერთობა ყველას სიამოვნებს, ჩემზე ნაცნობები ამბობენ-საზოგადოების სული და გულიაო.

8. თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა ყურადღების ცენტრში ვარ.

23. 1. ყველაზე უფრო ჩემი პროფესია მაინტერესებს.

2. მიყვარს ისეთი საქმე, რომელიც მოითხოვს ადამიანებთან ყოფნას, ურთიერთობას. ვარ მასწავლებელი, მიხარია ბავშვების ჭრიამულში ყოფნა.

3. მომწონს ტურისტის პროფესია, კიდევაც ვეცდები გავხდე ტურისტი.

4. ვარ საბავშვო სახლში (სანატორიუმებში) კულტურული ცხოვრების, ექსკურსიების ორგანიზატორი (კულტმუშაკი), მაინტერესებს ასეთი საქმე.

5. საკუთარი სულიერი სამყაროს გაუმჯობესებით ბევრს ვმუშაობ ჩემს თავზე.

6. საინტერესო გამოჩენილი ადამიანებით, ყოველგვარი სიახლით.

7. მომწონს ვიყო ფიზიკოსი, კიდევაც ვაპირებ ფიზიკაში მუშაობას (სწავლას).

8. მოგზაურობა მიყვარს და მიტაცებს.

9. ნადირობა და სამხედრო საქმე.

10. მუსიკა და პოეზია მომწონს, მიტაცებს.

11. სპორტი, ჭიდაობა, კრივი, კარატე.

24. 1. ნამდვილად მიყვარს ჩემი საქმე.

2. ძლიერ მომწონს, გატაცებული ვარ ჩემი საქმით. არაფერზე არ გავცვლი მას.

3. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს, ახლა სხვა გზა არა მაქვს. იძულებული ვარ დავრჩე იქ, სადაც ვმუშაობ.

4. არ მიყვარს, უფრო მეტიც, ვერ ვიტან; შესაძლებლობა რომ მქონდეს, ადვილად გადავინაცვლებდი სხვა საქმიანობაზე, ისეთზე, რომელიც უფრო მომეწონებოდა, რომ არ მიყვარს, ამიტომაც არაფერს არ ვაკეთებ.

5. ის, რასაც ვაკეთებ, ჩემი მოვალეობაა, ამიტომ გულმოდგინე უნდა ვიყო. რას იზამ, ყველა ხომ ვერ იმუშავებს მის საყვარელ და შესაფერ საქმეზე?

6. ვერ შევიცვლი პროფესიას, რადგან ძალიან მიჭირს გადანაცვლება. თუმცა მაქვს სურვილი უკეთეს ხელმძღვანელთან ვიმუშაო.

7. არ მიყვარს ჩემი საქმე, ოჯახს უნდა (სჭირია) და იმიტომ ვაკეთებ. საერთოდ, იმ საქმის მოწონება, რომელსაც ყოველთვის შევსწირავ, ძალიან ძნელია.

8. მზად ვარ ახალ საქმეზე გადავინაცვლო, საერთოდ, უბედურებაა, ჩაცი-ჯდე ერთ საქმეს.

25. 1. არ ვიცი, როგორ გითხრა, რომ ეს ავირჩიე, ალბათ ოჯახმა ან სკოლამ მიბიძგა.

2. მე თავიდან მქონდა ასეთი ინტერესი, ავირჩიე საკუთარი გატა-ცებით.

3. არავის არ დაუძალებია, სხვის რჩევას კი ყურს ვუგდებდი.

4. თავიდან ძალიან მიყვარდა წიგნი, მეცნიერება, გამიტაცა ფი-ზიკამ.

5. ავირჩიე იმიტომ, რომ მიყვარს მოგზაურობა.

6. როცა ვკითხულობდი გამოჩენილ ადამიანებზე წიგნებს, ეს ჩემში დიდ ინტერესს იწვევდა, ეგზიუპერის წიგნების კითხვამ გადამაწყვეტინა გავხდე კარგი სპორტსმენი, მფრინავი.

7. მამაჩემის რჩევით შევედი ამ დარგზე.

8. სწავლა, ცოდნის მიღება ყველა დარგზე კარგია, რადგანაც მოვხვე-დი, ამით კმაყოფილი ვარ.

9. ავირჩიე ექიმობა, რადგანაც ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსა-დეგია.

26. 1. მაინტერესებს სპორტი, კერძოდ, ფეხბურთი.

2. მაინტერესებს და ვთამაშობ ჭადრაკს.

3. მაინტერესებს სათავგადასავლო წიგნების კითხვა.

4. მიტაცებს ტურისტული მოგზაურობა.

5. ნადირობა გარეულ ღორებზე.

6. მაინტერესებს შინაარსიანი გამოკვლევების კითხვა. მიყვარს წიგნები, სადაც გამოთქმულია ღრმა ფილოსოფიური აზრები.

7. მიტაცებს ბუნების წიაღში ყოფნა, ხშირად მარტო ვსეირნობ.

8. მიტაცებს გართობა, დროსტარება.

9. ფოტოსაქმე.

10. კოლექციების შედგენა.

27. 1. კარგად არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

2. ვერ გეტყვით, ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ღირდეს სალა-პარაკოდ.

3. ძალიან მიყვარს პრაქტიკული საქმე, ოჯახში მე ვაკეთებ ყვე-ლაფერს, რაც გაფუჭდება.

4. შემიძლია ყოველგვარი ხელსაწყოს (აპარატის) შეკეთება, კარ-გად ვერკვევი ელექტრონულ აპარატურაში, მიყვარს ჩხიკინი.

5. მიყვარს, როცა საზოგადოებრივ საქმეს დამავალებენ. შემიძლია საქმის ორგანიზაცია. ჩემზე ამბობენ, კარგი ორგანიზატორის ნიჭი აქვსო.

6. მიყვარს და შემიძლია ვიყო მსახიობი, ახლაც ვღებულობ მონაწილეობას ინსტიტუტის კლუბში.

7. კარგი მონადირე ვარ. ფრინველს, [illegible] ტყვიას არ ავაცდენ.

8. კარგად ვცურავ.

9. ვმღერივარ კარგად.

10. მიყვარს დეკლამაცია, კარგად მეხერხება.

28. 1. განსაკუთრებული ნიჭი არაფრის არა მაქვს. ისე ცოტა-ცოტას ყველაფერს ვაკეთებ, რაც საჭიროა ოჯახში, დაწესებულებაში.

2. მე მგონია, ყველაზე უკეთ მე შემიძლია ვიყო ბევრი წამოწყებების ორგანიზატორი, კიდევაც მანდობენ ამ საქმეს.

3. ნიჭი მაქვს ადამიანს დავუახლოვდე, მისი ავკარგი შევიტყო, კარგი მეგობარი ვიყო.

4. კარგად ვაკეთებ სხვადასხვა ხელსაწყოებს, შემიძლია ახალი ხელსაწყოს შექმნა.

5. მაქვს პოეტის ნიჭი, ვწერ ლექსებს, თუმცა არ ვაქვეყნებ.

6. ვხატავ კარგად. ჩემთვის ჩავიკეტები ხოლმე და ვხატავ.

7. მაქვს მათემატიკის ნიჭი, ამას სხვებიც ცნობენ.

8. მაქვს არტისტული ნიჭი, თუმცა ეს ვერ განვავითარე.

9. კარგად ვერკვევი ელექტრულ აპარატურაში, შემიძლია საკუთარი კონსტრუქციის ელექტროაპარატის შექმნა.

29. 1. მიყვარს კარგი ტკბილი ცხოვრება.

2. უდარდელად დროს გატარება, კარგი სუფრა, ქეიფი.

3. ჩემი ოჯახის კარგად მდიდრულად მოწყობა.

4. სექსუალური ცხოვრება.

5. საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მიღწევები.

6. მიღწევები სწავლაში.

7. მიღწევები მეცნიერულ მუშაობაში.

8. დიდ ბედნიერებას მანიჭებს, როცა გავიგებ ჩემი სამშობლოს სიკეთეს, ქართველების წინსვლას, სულ ერთია ეს რა დარგში იქნება.

9. დიდ სიამოვნებას მგვრის ყოფნა ბუნების წიაღში, ტყეში ან მთაში.

10. ყველაზე დიდ სიამოვნებას მგვრის საუბარი მეგობრებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც მომწონს.

30. 1. არ ვიცი (ყოყმანობს). ალბათ არაფერი მნიშვნელოვანი.

2. სამწუხაროდ არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ საამაყო მქონდეს.

3. კარგად ვსწავლობ. ბევრი რამ ვიცი ჩემ სპეციალობაში უკვე, თუმცა უმაღლესი სასწავლებელი არ დამიმთავრებია.

4. მაქვს საინტერესო პროფესია, სადაც გარკვეული მიღწევები მოვიპოვე.

5. კარგი ხელმძღვანელი ვარ, ეს იქედან ჩანს, რომ ყველას უნდა ჩემთან იმუშაოს.

6. შემიძლია ადამიანებს ვუთანაგრძნო—ადამიანები შევაკავშირო, შევარიგო წაჩხუბებული ადამიანები, ბევრი წაჩხუბებული შემირიგებია.

7. საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩამიგდია სხვისი გულისათვის. გადავარჩინე ადამიანი დახრჩობას; გარდა ამისა, გადავარჩინე მოხუცი, რომელიც მანქანას უნდა გაეტანა.

8. მხსახელებია ჩემი სამშობლო, სასწავლებელი.

9. წარმატება მაქვს მათემატიკაში. ფიზიკაში მივაღწიე გარკვეულ წარმატებას.

10. შემიძლია დასახული მიზნისათვის შეუდრეკელი მოქმედება.

31. 1. არ შემიდგენია, არც მიფიქრია.

2. მასწავლებლის დავალებით შემიდგენია, მაგრამ არ შემინახავს.

3. მიყვარდა კოლექციის შედგენა-მარკების, მწერების, სურათების და სხვა. ეხლა კოლექციას აღარ ვაგროვებ.

4. ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს კოლექციის შედგენა, ეხლაც ვადგენ მსახიობების, ლამაზი ქალების სურათების კოლექციას, ალბომი მაქვს შედგენილი.

5. მიყვარს უნიკალური ნივთების შეძენა, კოლექცია მაქვს ასეთი ნივთების.

6. მინდა სახლში მქონდეს ძველი მხატვრების სურათები, ყველაფერს ვაკეთებ ამისათვის.

7. რაც კარგია ყველაფერი მინდა მქონდეს, მიყვარს, როცა ჩემთან ვინმე მოვა და კოლექციას ვუჩვენებ.

32. 1. ღელვა-წუხილი ადვილად მიჩნდება, მცირე გამეხარდება, პატარა რამ მომგვრის სიამოვნებას, ზოგჯერ აღტაცებას.

2. მე არ ვარ ისეთი, რომ მცირე რამემ წონასწორობა დამირღვიოს, მაგრამ ჩემი გახარება, აღტაცებაში მოყვანა, გაბრაზებაც ადვილია.

3. ხშირად ვარ დაღიზიანებული, საკმარისია მცირე საბაბი (დაბრკოლება), რომ ავღელდე, როცა ვსაქმიანობ, სულ აგზნებული ვარ.

4. ჩემი მოქმედება, განსაკუთრებით სერიოზული საქმიანობა სულ აგზნებულ მდგომარეობაში მიმდინარეობს.

5. უფრო ხშირად მშვიდი ვარ, აუღელვებელი, ჩემში ძლიერი გრძნობების გამოსაწვევად საჭიროა დიდი დაბრკოლება ან ძალიან სასიხარულო რამ.

6. მახასიათებს ერთბაშად აფეთქება, ერთბაშად დადგები ცუდ გუნებაზე, მაგრამ საქმის კეთების უნარს არ ვკარგავ.

7. სიხარული, მწუხარება ჩემში მშვიდად მიმდინარეობს, არ ვღელავ, არც ვკარგავ წონასწორობას.

8. ღრმა ხანგრძლივ გრძნობებსაც ვერ გამოვყავარ წონასწორობიდან.

9. წყენა, თავმოყვარეობის შელახვა დიდხანს არ მშორდება, ჩემთვის თითქმის მიუშორებელი გრძნობებია.

10. უფრო შინაგანი მოუსვენრობა მაქვს, ერთხელ რამე თუ მეწყინა, რამე განვიცადე, ღრმად ჩაჯდება ჩემში, არ მშორდება, რამდენიმე კვირის, ზოგჯერ თვეების განმავლობაშიც კი.

11. ხშირად მეცვლება გუნება-განწყობილება დღის განმავლობაში, ხანდახან რამდენიმეჯერ. თანაც ყველაფერი ეს ჩემდაუნებურად ხდება, რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე.

34. 1. არ მიჭირს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ადვილად შევეგუები ახალ ადგილს.

2. ჩემთვის ადვილია, თუ ეს საჭიროა, სამუშაოს გამოცვლა, ახალ დაწესებულებაში გადასვლა და ა.შ.

3. არ ვარ მიჯაჭვული საგნებზე, არ მაწუხებს, თუ ჩემს ოთახში შეიცვლება დგამი, მოწყობილობა...

4. ძველ ამხანაგს ადვილად ვერ ვთმობ, ამავე დროს ახალ ადგილას ადვილად ვერ ვპოულობ ამხანაგს.

5. ადვილად შემიძლია შეყვარება და გადაყვარება.

6. ძალიან მიჭირს ერთხელ შერჩეული საცხოვრებელი ადგილის დატოვება (სოფელი დავტოვე და დღესაც მას მივტირი).

7. რაც უნდა შემაწუხონ, ვერ ვცილდები სამსახურს, თანამშრომლებს, ვისთანაც შეჩვეული ვარ.

8. მყარი ინტერესები მაქვს, ძნელად მიჩნდება ახალი ინტერესი.

9. ერთხელ თუ ვინმე შემიყვარდა, დიდხანს არ მცილდება, ძნელად ვიშორებ გრძნობას.

3. ექსპლოზიურობა (3); აგრესია (3); იმპულსურობა (3).

4. აგრესია (3); ექსპლოზიურობა (3); იმპულსურობა (3); შინაგანი კონფლიქტურობა (3).

5. იმპულსურობა (3); აგრესია (3); ექსპლოზიურობა (3). შინაგანი კონფლიქტურობა (3).

6. ამბიციის დონე (3); უპირატესობის კომპლექსი (3); დამცირებულობის უკმარობის განცდა (3); აგრესია (3); ექსპლოზიურობა (3); დომინან-ტობის ტენდენცია (3). ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3).

7. დომინანტობის ტენდენცია (2); უპირატესობის კომპლექსი (2).

8. აქტიურობა (1); შინაგანი კონფლიქტურობა (3).

9. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (ამით გამოწვეული შინაგანი კონფლიქტები (3,.

10. ინტერესების სიმტკიცე, კონსტანტობა, კონსისტენტობა (1). იმ-პულსურობა (3).

15. 1. თვითკმაყოფილება (2); დარწმუნებულობა (2).

2. ნებელობის სიმტკიცე, შეუპოვრობა (3).

3. სენზიტიურობა (3); მორიდებულობა, სიმორცხვე (3).

4. ემოციური ლაბილობა (3%), იმპულსურობა (3); გუნება-განწყობილების ცვალებადობა (3); ჭარბი ფლექსიბილობა (3).

5. პატივმოყვარეობა (3); აგრესია (3); ემოციური წონასწორობა (1)

6. ისტერიული ხასიათის ნიშნები (3); იმპულსურობა (3);

7. ნებელობის ენერგია, სიმტკიცე (1); მიღწევის მოთხოვნილება (2).

8. ემოციური ლაბილობა (3); შფოთვები და ფიქსირებული შიშები (3).

9. ნებელობის ენერგია, სიმტკიცე (1).

10. მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა (1).

11. ინტროვერსია (3); სენზიტიურობა (3); შფოთვები და ფიქსირებული შიშები (3); შინაგანი კონფლიქტურობა (3).

16. 1. აფილაცია (3); ექსტრავერსია (3); სინტონურობა (3); სოციალური ადაპტაცია (3).

2. ექსტრავერსია (2); აფილაცია (2); სინტონურობა (2); სოციალური ადაპტაცია (2); ექსტრაცეფცია (2); ალტროფილია, დახმარების გაწევის მოთხოვნილება (2).

3. ალტროფილია (3); სხვებისათვის დახმარების გაწევის მოთხოვნილება (3).

4. ინტროვერსია (3); შემეცნების ინტერესი (3); მიღწევის მოთხოვნილება (3); ენერგიულობა-ძალა (3); ნებელობის სიმტკიცე (3).

5. აფილაცია (3); ინტროცეფცია (3); ალტროფილია (სიკეთე) (3); ესთეტიკური ღირებულებები (2).

6. ექსპოზიცია (3); შემოქმედებითობა (2); მიღწევის მოთხოვნილება (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ესთეტიკური ღირებულებები (2).

7. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ექსპოზიცია (3); დამცირებულობის უკმარობის გრძნობა (2).

8. ალტროფილიის ტენდენცია (2); სხვებისათვის დახმარების გაწევის მოთხოვნილება (2).

9. ექსტრავერსია (3); ალტროფილია (3); დახმარების გაწევის მოთხოვნილება (2); სანგვინიკური ტემპერამენტი.

10. ნებელობის ენერგია (3); სიმტკიცე (3); კონსისტენტობა-თანმიმდევრობა (3); დარწმუნებულობა (3).

11. დამცირებულობის, უკმარობის გრძნობა (2); რეპუტაციის კომპლექსი (2).

17. 1. გულჩვილობა-სიკეთის დისპოზიცია (2); პროექციულობა (2).

1,3. გულგრილობა-ინდიფერენტულობა (3).

4. აგრესია (3).

18. 1. ნევროტიზმი (1); შიშები (1).

2. ზიზღის გრძნობა (3); ნევროტიზმი (2).

3,4. ფიქსირებული შიშები და შფოთვები (3); ნევროტიზმი (3).

5. ისტერიული პიროვნული ნიშნები (3); ნევროტიზმი (3).

19. 1. ევკოლიური ემოციები (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3); ემოციური წონასწორობა (2); ოპტიმიზმი (3);

2. ემოციური წონასწორობა (3). ევკოლიური ემოციები (3); ოპტიმიზმი (3).

3. ევკოლიური ემოციები (2); ემოციური წონასწორობა (2); ფარული შინაგანი კონფლიქტები (2);

4. ევკოლიური ემოციები (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (2).

5. ემოციური წონასწორობა (2); ევკოლიური ემოციები (2); ფარული შინაგანი კონფლიქტები (2).

6. დისკოლიური ემოციები (3); დარდიანობა (3) მელანქოლიკური ტემპერამენტი (2);

7. დისკოლიური ემოციები (3); ცხოვრების ფიქსირებული შიში (3); პესიმიზმი (3); შინაგანი კონფლიქტები (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (3).

8. დარდიანობა (3); დისკოლიური ემოციები (3); პესიმიზმი (3); ემოციური ლაბილობა (2); შინაგანი კონფლიქტები (3); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (3); დაურწმუნებლობა (3); იმპულსურობა (3).

19. 10. ემოციური ლაბილობა (3); დისკოლიური ემოციები (2); შინაგანი კონფლიქტები (2); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (2); იმპულსურობა (2).

11. შინაგანი კონფლიქტები (3); დაურწმუნებლობა (3).

20. 1. დაურწმუნებლობა (3); მიღწევის მოთხოვნილება (3); ოპტიმიზმი (3); ენერგიულობა, ძალა (3); ნებელობის სიმტკიცე (3); ნებელობის პოზიტიური მხარე (3);

2. დომინანტობის ტენდენცია (3); დომინანტობის ფარული კომპლექსი (2); პატივმოყვარეობა (3); მიღწევის მოთხოვნილება (3).

3. მიღწევის მოთხოვნილება (3); დომინანტობის ტენდენცია (3); ოპტიმიზმი (3); დარწმუნებულობა (3); ქოლერიკული ტემპერამენტი (2).

4. დარწმუნებულობა (3); ოპტიმიზმი (3); ენერგიულობა; ძალა (3); ნებელობის სიმტკიცე (3); ნებელობის პოზიტიური მხარე (3);

5. დარწმუნებულობა (2); დომინანტობის ფარული კომპლექსი (2); შინაგანი კონფლიქტურობა (2); იმპულსურობა (2).

6. ემოციური წონასწორობა (2); იმპულსურობა (2); ემოციური წონასწორობა (2); ნებელობის ნეგატიური მხარე (2).

7. ემოციური წონასწორობა (2); ნებელობის სიმტკიცე (2); ნებელობის ნეგატიური მხარე (2).

8. დაურწმუნებლობა (3); პესიმიზმი (3); შინაგანი კონფლიქტები (3); მიღწევის ფარული მოთხოვნილება (2).

9. შინაგანი კონფლიქტურობა (3); თვითანალიზი (3); ინტროვერსია (3); დისკოლიური ემოციები (3).

10. დაურწმუნებლობა (3); შინაგანი კონფლიქტები (3); დომინანტობის ფარული ტენდენცია (2); იმპულსურობა (2).

21. 1. სიმპათია (2); აფილაცია (2); ექსტრავერსია (2).

2. აფილაცია (2); ექსტრავერსია (2); სხვებისათვის დახმარების გაწევის მოთხოვნილება (2); სიმპათია (2).

3. სიმპათია (2); ექსტრავერსია (3); იმპულსურობა (3); ჭარბად მიმნდობი (3).

4. ზიზღის გრძნობა (2); იმპულსურობა (2); ისტერიული ნიშნები (2).

6.7. უკუგდების ტენდენცია (3); ანტიპათია (3); ისტერიული ხასიათი, ნიშნები (2); იმპულსურობა (3).

8. ზიზღის გრძნობა (3); ანტიპათია (3); რიგიდობა, გულღვარძლიანობა (3); პატივმოყვარეობა (3); განდგომილობა (3).

9. იმპულსურობა (3); ზიზღის გრძნობა (3); უნდობლობა (3); უკუგდების ტენდენცია (3); ანტიპათია (3); განდგომილება (3).

10. ეჭვიანობა (3); უნდობლობა, უკუგდების ტენდენცია (3); განდგომილობა (3); გაწრიდების ტენდენცია (3).

22. ა. 1 ემოციური წონასწორობა (3); დარწმუნებულობა (3).

2. გუნება-განწყობილების მერყეობა (3); ემოციური ლაბილობა (3); იმპულსურობა (3); ისტერიული ნიშნები (3).

3. ემოციური ლაბილობა (3); ისტერიული ნიშნები (3); აღიარების მოთხოვნილება (3); სენზიტიურობა (3).

4. ემოციური ლაბილობა (3); იმპულსურობა (3); სენზიტიურობა (3)

ბ. 1. სოციალური ადაპტაცია (3); ჭარბი ექსტრავერტობა (ქცევის გარემოებითი განსაზღვრულობა) (3); კომფორმულობა (3).

2. ეგოცენტრიზმი (3); იმპულსურობა (2).

3-4. სოციალური ადაპტაცია (1); კომფორმულობა (1); იმპულსურობა (2); რეზისტენტობა (3).

გ. 1. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ნარცისიზმი (3); ისტერიული ნიშნები (3).

2-6. სიმორცხვე (ფსიქასთენიური) (2); ყურადღების ცენტრში ყოფნის ფარული ტენდენცია (2).

3.4.7.8. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); დომინანტობა (3); ნარცისიზმი (3); ეგოცენტრიზმი (3); იმპულსურობა (2).

5. დომინანტობის ტენდენცია (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (1).

23- 1. ინტიმური მაგისტრალური ინტერესები (2); ინტერესების კონსტანტობა და სიმტკიცე (2).

2. სოციოფილია (3); ექსტრავერსია (3); ექსტრაცეფცია (3);

3. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); დარწმუნებულობა (3); ინტერესების სიმტკიცე (3).

4. სოციოფილია (3); ექსტრავერსია (3); ექსტრაცეფცია (3).

5. ინტროცეფცია (3); ინტროვერსია (3); ავტონომია (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3).

6. ექსტრაცეფცია (3); ექსტრავერსია (2); ყურადღების ყოფნის ფარული ტენდენცია (2).

7. ინტროვერსია (2); მიღწევის მოთხოვნილება (2); ავტონომია (2).

8. ავტონომია-დამოუკიდებლობა (3).

9. აგრესია (3); დარწმუნებულობა (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილება (3).

10. ინტროცეფცია (3); ესთეტიკური ღირებულებები (3).

11. აგრესია (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); მიღწევის მოთხოვნილება (2);

24. 1. ინტერესების სიმტკიცე (2); ინტერესების კონსტანტობა და კონსისტენტობა (2).

2. ინტერესების სიმტკიცე (3); კონსისტენტობა (3).

3. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (3); შინაგანი კონფლიქტი (3); მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა (3).

4. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (3); შინაგანი კონფლიქტები (3).

5. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (3); მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა (3); შინაგანი კონფლიქტი (3).

6. რიგიდობა (3); შინაგანი კონფლიქტი (2).

7. მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა (3); შინაგანი კონფლიქტი (3); მოთხოვნილებასა (ინტერესსა) და საქმეს შორის განსვლა (3).

8. ინტერესების სიმტკიცე (1); კონსტანტობა (1); ფლექსიბილობა (2); იმპულსურობა (3).

25. 1. ავტონომია-დამოუკიდებლობა (1).

2. ავტონომია-დამოუკიდებლობა (3); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (3).

3. ავტონომია, დამოუკიდებლობა (2); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (2).

4. ავტონომია (3); დამოუკიდებლობა (3); ინტროცეფცია (3).

5. ავტონომია (2); დამოუკიდებლობა (3); აქტიურობა (3).

6. მიღწევის მოთხოვნილება (3). ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3).

7. სხვაზე დამოუკიდებლობა (3).

8. მიღწევის მოთხოვნილება (2); საკუთარი მიღწევებისადმი დამო-

კიდებულება-კმაყოფილება (2).

9. ავტონომია (2); დომინანტური ღირებულებები ეკონომიური (3).

26. 1. აგრესია (აგრესიისაგან განტვირთვის ტენდენცია) (2); ექსტრავერსია (2).

2. ინტროვერტული ტენდენცია (2); ინტელექტუალური ატიტუდი (2);

3. ავტონომია (ფარული) (3).

4. ავტონომია, დამოუკიდებლობა (2); ცნობისმოყვარეობა (3).

5. აგრესია (3); ავტონომია (3).

6. ინტროცეფცია (3); ინტელექტუალური ატიტუდი (3); საკუთარი თავის შელამაზების ტენდენცია (3); ინტელიგენტობის კომპლექსი (2).

7. ინტროვერსია (2); განდგომილობა (2).

8. ექსტრავერსია (3); გართობის, თამაშის მოთხოვნილება (3).

9. ცნობისმოყვარეობა, დამკვირვებლობა (2).

10. თანამიმდევრულობა (3); პედანტურობა (2).

27. 1.2. უნარების მიმართულება და მათი გამოკვეთილობა (1).

3.4. პრაქტიკული (საოჯახო) საქმეების კეთების უნარი (3); ინტროვერსია (2); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (2); მიწესრიგებულობა (2); ექსჰიბიცია (2).

5. ექსტრავერსია, დომინანტობის ტენდენცია (3); მიწესრიგებულობა (3); სოციოფილია (2).

6. ექსჰიბიცია (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილება (3);.

7. ავტონომია (3); აგრესია (3).

8.9.10. გართობის, თამაშის მოთხოვნილება (2); ექსჰიბიცია (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3).

28. 1. ნიჭიერება ზოგადად, ნიჭის თავისებურებები, მიმართულება.

2. ნიჭი-ორგანიზაციული (3); სოციალური ადაპტაცია (3).

3. აფილაცია (3); სოციალური ადაპტაცია (3); დახმარების გაწევის მოთხოვნილება (3); სოციოფილია (3); სინტონურობა (3).

4. ნიჭის მიმართულება-კონსტრუქციული, პრაქტიკული, ექსტრაცეფცია (3).

5.6. ინტროცეფცია, (3); ექსჰიბიცია (3); ნიჭის მიმართულება-პოეზია. შემოქმედებითობა (3); ესთეტიკური ღირებულებები (3).

7. ინტროცეფცია (2); შემეცნების ინტერესი (2); მიღწევის მოთხოვნილება (3); დომინანტობის ფარული კომპლექსი (2).

8. კ-ის ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ნარცისიზმი (2); მიუღწევლობის კომპლექსი (2).

9. ნიჭის თავისებურებანი კონსტრუქციული; პრაქტიკული; ექსტრაცეფცია (3); შემოქმედებითობა (3).

29. 1.2.3.4. დომინანტური მოთხოვნილებების სფერო.

5. სოციალურ სფეროში მიღწევის მოთხოვნილება, სოც.-საზოგადოებრივი ღირებულება (3).

6.7. მიღწევის მოთხოვნილება (3); ინტელექტუალური ატიტუდი-თეორიული ღირებულება.

8. დომინანტური მოთხოვნილებები: სოციალურ-პატრიოტული (3).

9. ინტროვერსია (2); ავტონომია (3); ესთეტიკური ღირებულებები (3)

10. ექსტრავერსია (3); აფილაცია (3); სოციალური ღირებულებები (3).

30. 1.2. თავმდაბლობა (2); შინაგანი კონფლიქტი (2); საკუთარი რეპუტაციის ობიექტივაციის სისუსტე (2); რეპუტაციის ფარული კომპლექსი (2).

3. დარწმუნებულობა (3); დამოკიდებულება საკუთარი მიღწევებისადმი; თვითკმაყოფილება (3); მიღწევის მოთხოვნილება (3); დომინანტური მოთხოვნილება-შემეცნების მოთხოვნილება (3); დომინანტობის ტენდენცია (2).

4. საკუთარი რეპუტაციის ობიექტივაციის უნარი (3). დარწმუნებულობა (2); მიღწევის მოთხოვნილება (3).

5. სოციალური ადაპტაცია (2); დარწმუნებულობა საკუთარ რეპუტაციაში (3); სინტონურობა (2); აფილაცია (2); ექსპოზიცია (3); დომინანტობის ტენდენცია (3).

6. სოციალური ადაპტაცია (3); აფილაცია (3); დარწმუნებულობა საკუთარ რეპუტაციაში (3); სინტონურობა (3); დახმარების (თანაგრძნობის) გაწევის მოთხოვნილება (3).

7. დახმარების გაწევის მოთხოვნილება (3); მაღალი სოციალური მოტივები (3); ექსპოზიცია (3).

8. ექსპოზიცია (3); მიღწევის მოთხოვნილება (2); ამბიციის დონე; (3); დომინანტობის ტენდენცია (3).

9. მიღწევები თეორიულ სფეროში; დარწმუნებულობა-თვითკმაყოფილება (2); ინტრაცეფცია (2).

10. ნებელობის სიმტკიცე, ენერგია (3); თანამიმდევრულობა-კონსისტენტობა (3).

31.1.2. პუნქტუალობა (1); შემეცნების ინტერესი (1);

3. თანამიმდევრულობა (2); პუნქტუალურობა (2). ინტერესების სიმტკიცე (2), კონსტანტობა, კონსისტენტობა (1); შემეცნების ინტერესი (2).

4. თანამიმდევრულობა (3); პუნქტუალობა (3); ინტერესების სფერო, სიმტკიცე, კონსტანტობა; კონსისტენტობა (3); სექსუალური კომპლექსი (2); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (2).

5. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); თანამიმდევრულობა (3); დომინანტური ღირებულებები-ეკონომიური (3).

6. დომინანტური ღირებულებები: სოციალურ-საზოგადოებრივი, ესთეტიკური, პატრიოტული, თანამიმდევრულობა (3); კონსერვატიულობა (2).

7. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); პატივმოყვარეობა (3); დომინანტური ღირებულება-ავტორიტური (3).

32. 1. ემოციური აგზნებადობის მაღალი დონე (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3); ევკოლიური ემოციები (3).

2. ემოციური წონასწორობა (2); ემოციური აგზნებადობის მაღალი დონე (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3).

3.4. ემოციური აგზნებადობის მაღალი დონე (3); ემოციური ლაბილობა (3); ქოლერიკული ტემპერამენტი (3); ექსპლოზიურობა (3).

5. ემოციური წონასწორობა (3); ფლეგმატიკური ტემპერამენტი (3); ემოციური აგზნებადობის დაბალი დონე (3).

6. ემოციური წონასწორობა (3), ემოციური აგზნებადობის დაბალი დონე (3); გულგრილობა-ინდიფერენტულობა (3); ფლეგმატიკური ტემპერამენტი (3); ევკოლიური ემოციები (2).

7. ემოციური წონასწორობა, ემოციური აგზნებადობის მაღალი დონე (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (2), ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (3); შიშები (3).

8. ემოციური აგზნებადობის მაღალი დონე (3); სენზიტიურობა (3); ტკივილის, ცხოვრების და ა.შ.
ფიქსირებული შიშები (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (3); დისკოლიური ემოციები (3); ემოციური ლაბილობა (3); ემოციური სტრესების მიდრეკილება (3).

33.1.2.3.4. ემოციების ინტენსივობა (1); სანგვინიკური ტემპერამენტი (2); ევკოლიური ემოციები (2).

5.6. ემოციების მაღალი ინტენსივობა (3); სიღრმე (3); ხანგრძლივობა (2); ექსპლოზიურობა (3); ქოლერიკული ტემპერამენტი (3); ემოციური ლაბილობა (3).

7.8. ემოციური წონასწორობა (3); ფლეგმატიკური ტემპერამენტი (3).

9.10. ემოციების მაღალი ინტენსივობა (3); სიღრმე (3); დიდი ხანგრძლივობა (3); შფოთვები (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (3); დისკოლიური ემოციები (3).

11. გუნება-განწყობილების ხშირი ცვალებადობა (3); ისტერიული ნიშნები (3); მელანქოლიკურ-ქოლერიკული ტემპერამენტი (2); ემოციური ლაბილობა (3).

34.1.2.3. გადანაცვლებადობა (ფლექსიბილობა) (3); ადაპტაცია (3); ემოციური წონასწორობა (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3).

4. სენზიტიურობა (2); ადაპტაცია (1); ფლეგმატიკური ტემპერამენტი (2);

5. გადანაცვლებადობის (ფლექსიბილობა) (3); ადაპტაცია (2); ემოციური წონასწორობა (2); სანგვინიკური ტემპერამენტი (2).

6.7. სენზიტივობა (2); ცვალებადობისადმი ადაპტაცია (1); ქოლერიკულ-ფლეგმატიკური ტემპერამენტი (2).

8.9. რიგიდულობა (ინტერესების სიმტკიცე) (3); სენზიტივობა (3); ემოციების ხანგრძლივობა (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (2);

10. ცვლილებებისადმი, სიახლისადმი ადაპტაციის მაღალი დონე; (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3).

35. 1. გადანაცვლებადობა (3); ადაპტაციის (შეგუების) დონე (3); სანგვინიკური ტემპერამენტი (3).

2. გადანაცვლებადობა (1); დისკოლიური ემოციები (2); სენზიტივობა, ფლეგმატიკური ტემპერამენტი.

3. გადანაცვლებადობა (2); დისკოლიური ემოციები (2); ქოლერიკული ტემპერამენტი (2).

4. "რიგიდულობა" (3); მელანქოლიკური ტემპერამენტი (2).

36. ამ კითხვაზე მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა უნდა გამოარკვიოს შორეული და უახლოესი მიზნებისა და მოტივების გამოკვეთილობა, შინაარსი. გარდა აღნიშნულისა, შესაძლოა რიგი ქარაქტეროლოგიური თავისებურებების დადასტურება. მაგ.:

1.2. მაგისტრალური მიზნები-მიზნების გარკვეულობა (2); შემეცნების ინტერესი-ინტელექტუალური ატიტუდი (2).

3. მაგისტრალური მიზნები - მიზნის გარკვეულობა (3); დომინანტური მოთხოვნილება-პირადი ცხოვრების მოწყობა (3); აფილაცია (2); სოციოფილია (2); დომინანტური ღირებულებები - ეკონომიური (ოჯახი) (3).

4. მიღწევის მოთხოვნილება (3); ექსპოზიცია (3).

5.6.7. მაგისტრალები მიზანი-მიზნის გარკვეულობა (1) და ა.შ.

37.1. ნებელობის ენერგია (3); სიმტკიცე (3); ნებელობის პოზიტიური მხარე (3); დარწმუნებულობა (3); თანმიმდევრულობა (3); ობიექტივაციის უნარი (3).

2. ნებელობის ენერგია, სიმტკიცე (3); მიზანსწრაფულობა (3); დარწმუნებულობა (3); ოპტიმიზმი (3); აქტიურობა (3).

3. ნებელობის პოზიტიური მხარე (2); დაურწმუნებლობა (2); ობიექტივაციის უნარი (2).

4. პესიმიზმი (3); დაურწმუნებლობა (3); ნებელობის პოზიტიური მხარე (1).

5. ნებელობის ენერგია, სიმტკიცე (2); აქტიურობა (1); მიზანსწრაფულობა; ენერგია, ძალა (1); იმპულსურობა (3).

38. 1. ნებელობის ნეგატიური მხარე (3); ნებელობის სიმტკიცე, ენერგია (3); თანმიმდევრულობა (3).

2. ნებელობის სიმტკიცე, ძალა (3); ენერგიულობა (3); ნებელობის ნეგატიური მხარე (3); მიზანსწრაფულობა (3); თანმიმდევრულობა (3).

3. იმპულსურობა (2); ნებელობის ნეგატიური მხარე (2).

4. ნებელობის ნეგატიური მხარე (1); გართობის; თამაშის მოთხოვნილება (3); იმპულსურობა (3); დომინანტური მოთხოვნილება: დროსტარება (3); მიზანსწრაფულობა (1).

5. ნებელობის ენერგია, სიმტკიცე (1); აქტიურობა (1); მიზანსწრაფულობა; ენერგია, ძალა (1); იმპულსურობა (3).

38. 1. ნებელობის ნეგატიური მხარე (3); ნებელობის სიმტკიცე, ენერგია (3), თანმიმდევრულობა (3).

2. ნებელობის სიმტკიცე; ძალა (3); ენერგიულობა (3); ნებელობის ნეგატიური მხარე (3); მიზანსწრაფულობა (3); თანმიმდევრულობა (3);

3. იმპულსურობა (2); ნებელობის ნეგატიური მხარე (2).

4. ნებელობის ნეგატიური მხარე (1); გართობის; თამაშის მოთხოვნილება (3); იმპულსურობა (3); დომინანტური მოთხოვნილება: დროსტარება (3); მიზანსწრაფულობა (1).

5. შინაგანი კონფლიქტები (3); ნებელობის ნეგატიური მხარე (1); მიზანსწრაფულობა (1); იმპულსურობა (3); თანმიმდევრულობა (1).

6. იმპულსურობა (3); ნებელობის სიმტკიცე (4); თანმიმდევრულობა (1); ნებელობის ნეგატიური მხარე (1).

39. 1. ემოციების (იმპულსების) შეკავების უნარი (3); შინაგანი კონფლიქტები (3); ნებელობის ნეგატიური მხარე (2).

2. შინაგანი კონფლიქტურობა (2); სენზიტიურობა (2); ნებელობის სიმტკიცე (2).

3. ნებელობის სიმტკიცე (2); თანმიმდევრულობა (2); იმპულსურობა (2).

4. ემოციების შეკავების უნარი (1); ნებელობის სიმტკიცე (1); ენერგიულობა, ძალა (1); იმპულსურობა (3).

5.6. დახმარების მიღების მოთხოვნილება (თანაგრძნობის მოთხოვნილება) (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილება (3).

40. 1. დარწმუნებულობა (3); ოპტიმიზმი (3); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (3); დარწმუნებულობის (3); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (2).

3. ეჭვიანობა (2); შინაგანი კონფლიქტურობა (2); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (2).

4. დაურწმუნებლობა (3); შინაგანი კონფლიქტურობა (3); თანმიმდევრულობა (1); აქტიურობა (1).

5. ეჭვიანობა (3); გადახრები გადაწყვეტილების გამოტანაში (3).

6. შინაგანი კონფლიქტურობა (3); ეჭვიანობა (არასრულფასოვნების კომპლექსი) (2).

41. ამ კითხვაზე მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აფასებს ნებელობის თავისებურებებს, კერძოდ, აქვს თუ არა ადგილი

გადახრებს გადაწყვეტილების გამოტანაში და ა.შ.

1.2.3 გადახრები გადაწყვეტილების გამოტანაში (1); ადაპტაცია (3);

4.5. გადახრები გადაწყვეტილების გამოტანაში (3); შინაგანი კონფლიქტები (3); შფოთვები და ფიქსირებული შიშები (3).

42. 1. მიზანსწრაფულობა (3); ნებელობის ნეგატიური და პოზიტიური მხარე (3); ნებელობის სიმტკიცე (3); ენერგიულობა, ძალა (3), აქტიურობა (3);

2. ნებელობის სიმტკიცე (1); ნებელობის პოზიტიური მხარე (1); პასიურობა (2).

3.4.5. ეჭვიანობა (2); პასიურობა (2); ნებელობის სიმტკიცე (1); ნებელობის პოზიტიური მხარე (1).

43. 1.2. გადაწყვეტილების შეცვლის უნარი (3); ფლექსიბილობა (3); ობიექტივაციის უნარი-კონიუქტივობა (3).

3.4. რიგიდობა (3); სიძნელეები გადაწყვეტილების შეცვლაში (3); სენზიტივობა (3); რეზისტენტობა, სიჯიუტე (3).

44. 1. ემოციური წონასწორობა (3); კონიუქტივობა (3).

2. ემოციური წონასწორობა (2); ობიექტივაციის უნარი (3); გეგმიანობა (3); კონიუქტივობა (2).

3. დისკოლიური ემოციები (3); შინაგანი კონფლიქტურობა (3); თვითანალიზი (3); ეჭვიანობა (3); სენზიტივობა (3); ავტოაგრესია (2);

4. საკუთარი მიღწევებისადმი დამოკიდებულება (დაუკმაყოფილებლობა (3); შინაგანი კონფლიქტები (2); აგრესია (3); შფოთვები (2); მიღწევის მოთხოვნილება (3).

45. 1. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის შეწყობა (კონიუქტივობა) (3); მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა (3); მოთხოვნილების იმპულსსა და მოვალეობას შორის შეწყობა (3).

2. 3. მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობა (3); მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (დისკონიუქტივობა) (3).

4. მოთხოვნილებასა და საქმეს შორის განსვლა (დისკონიუქტივობა (3); დისკოლიური ემოციები (3); მოთხოვნილების იმპულსსა და ნებელობის მიზნებს შორის განსვლა (3).

46. 47. ამ კითხვაზე მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი არკვევს პიროვნების მაგისტრალურ მიზნებს, დომინანტურ იდეალებს, ღირებულებებს და აზუსტებს რიგ ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებს.

48. 49. აღნიშნული კითხვების დისკრიმინაციული ღირებულება მეტად ფართოა. ცდისპირთა მიერ შექმნილი მოთხრობების ანალიზი რიგი ქარაქტეროლოგიური თავისებურებების დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა; დომინანტური იდეალები და ღირებულებები, შემოქმედებითობა, აგრესია, დომინანტობის ტენდენცია, შინაგანი კონფლიქტები, ინტიმური მისწრაფებები, დამთრგუნველი მოტივები, კომპლექსები, ფიქსირებული შიშები, პესიმიზმი-ოპტი-

შიშში და ბევრი სხვ.

50. 1. მე-ს გამოკვეთილობა (2); მიღწევის მოთხოვნილება (3); ამბიციის დონე (3); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებაში (3); აღიარება მოთხოვნილება (3).

2. 12. მე-ს გამოკვეთილობა (1); მიღწევის მოთხოვნილება (1); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებაში (1).

3. მე-ს ხატის გამოკვეთილობა (1); მიღწევის მოთხოვნილება (2); ნარცისიზმი (2); დომინანტობის კომპლექსი (3).

4.8.9. მე-ს ხატის გამოკვეთილობა (1); მიღწევის მოთხოვნილება (2); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებაში (ძალებში) (2).

5. მე-ს ხატის გამოკვეთილობა (2); მიღწევის მოთხოვნილება (2); ამბიციის დონე (1); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებებში (1).

6.10.13.15. მე-ს ხატის გამოკვეთილობა (3), მიღწევის მოთხოვნილება (3); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებაში (3).

7.11.14.16.17. მე-ს ხატის გამოკვეთილობა (3); მიღწევის მოთხოვნილება (3); დომინანტობის ტენდენცია (3); დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებებში (3); განდიდების კომპლექსი (3); ნარცისიზმი (3); აღიარების მოთხოვნილება (3).

51. 1. სოციოფილია (3); სოციალურ-საზოგადოებრივი ღირებულებები (3);

2. დომინანტური მოთხოვნილებების სფერო: საკუთარი კეთილდღეობა (3); ეგოცენტრიზმი-ეგოცენტრული ალტრუიზმი (3).

3. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); მიღწევის მოთხოვნილება (3); ავტონომია (3).

4. ინტიმური მისწრაფება შემეცნებით სფეროში წარმატებების მოპოვება (3); ინტროცეფცია (3); მიღწევის მოთხოვნილება (3).

5. განდგომილობა (2); ავტონომიისაკენ სწრაფვა (2); ფიქსირებული შიშები (2); ინტროცეფცია (2).

6.7.8. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ექსპლოზიცია (3); ექსპოზიცია (3).

52.ა.ბ. ამ კითხვებზე მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი კიდევ ერთხელ ავლენს და აზუსტებს ცდისპირის დომინანტურ მოთხოვნილებებს, ღირებულებებს, იდეალებს.

ბ.1.2. ოპტიმიზმი (3); პრეტენზიის დონე (3); დარწმუნებულობა (3); ავტონომია (3).

3.4. პესიმიზმი (3); სენზიტიურობა (3); ავტონომია (1); შინაგანი კონფლიქტები (3); დარწმუნებულობა (3); პრეტენზიის დონე (1);

53.1.1. ემოციური წონასწორობა (3); გულგრილობა - ინდიფერენტულობა (3).

3.4.5.6. სენზიტიურობა (3); შინაგანი კონფლიქტები (3); კომპლექსები (არასრულფასოვნების და სხვა).

54.1.2.6. მოწესრიგებულობა (1); იმპულსურობა (3); გეგმიანობა (1);

3.4. მოწესრიგებულობა (3); გეგმიანობა. (3); პედანტურობა (3);

5.7. მოწესრიგებულობა (2); გეგმიანობა (2); პედანტურობა (2); შინაგანი კონფლიქტები (3); პესიმიზმი (3).

55.1.2. მოწესრიგებულობა (2); ემოციური წონასწორობა (3).

3. შინაგანი კონფლიქტები (2); ობიექტივაციის დონეზე შინაგანი კონფლიქტების მოწესრიგება, ამ გზით გარემოსთან შეგუება-კონიუქტივობა (2); ემოციების შეკავების უნარი (2).

4. შინაგანი კონფლიქტები (3); ემოციური ლაბილობა (3); შფოთვები (3); ნევროტიზმი (3); მოუწესრიგებლობა (3); გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (1); ობიექტივაციის უნარი (1); კონიუქტივობა (1).

56.1.2. სოციალური ადაპტაცია (2); სტრესტოლერანტობა (2); ნევროტიზმი (2).

3.4. შინაგანი კონფლიქტები (3); შფოთვები, ფიქსირებული შიშები (1); სოციალური ადაპტაცია (1); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (3); იმპულსურობა (3); ნევროტიზმი (3); ემოციების შეკავების უნარი (1).

57.1.2. გამბედაობა (2); ემოციური წონასწორობა (2); სტრესტოლერანტობა (2).

3. გაუბედაობა (3); სენზიტივობა (3); ეჭვიანობა (3); ნევროტიზმი (3); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (3); დამცირებულობის უკმარობის გრძნობა (3).

58.1.2. სოციალური ადაპტაცია (3); ემოციური წონასწორობა (3); ობიექტივაციის უნარი (2).

3.4. თვითანალიზი (3); ეჭვიანობა (3); დაურწმუნებლობა (3); ობიექტივაციის უნარი (2); შფოთვები (3); ემოციური ლაბილობა (3); დამცირებულობის უკმარობის გრძნობა (3).

59.1.2 ემოციური წონასწორობა (2); დარწმუნებულობა (2).

3.4. ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3), შფოთვები (3); ემოციური ლაბილობა (2); ექსპოზიცია (3); ნარცისიზმი (3).

60.1.2. სტრესტოლერანტობა (2); დარწმუნებულობა (2).

3. შინაგანი შფოთვები (3); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (3); არასრულფასოვნების (ან სხვა) კომპლექსი (2).

4.5. დარწმუნებულობა საკუთარ ღირსებაში (3); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია (3); ექსპოზიცია (3).

61. 1.2.3. მოწესრიგებულობა (3); ადაპტაცია (3); ობიექტივაციისა და გადაწყვეტილების გამოტანის უნარი (3).

.4. ობიექტივაციის უნარი (2); სიძნელე გადაწყვეტილების მიღებაში (3); შინაგანი კონფლიქტურობა (2); ემოციური სტრესებისადმი მიდრეკილება (2).

5. მოუწესრიგებლობა (3); იმპულსურობა (3); ობიექტივაციის უნარი (2)

62[*]. 1.2. ემოციური წონასწორობა.

3.4. სენზიტივობა (3); ემოციური ლაბილობა (3).

5.6. ფიქსირებული შიშები (3); ნევროტიზმი (3); ემოციური ლაბილობა (3); სენზიტივობა (3); კომპლექსები.

3.4. სენზიტივობა (3); ემოციური ლაბილობა (3).

5.6. ფიქსირებული შიშები (3); ნევროტიზმი (3); ემოციური ლაბილობა (3); სენზიტივობა (3); კომპლექსები.

7.8. რელიგიურობა (3); ცრუმორწმუნეობა (3); ნევროტიზმი (2); სენზიტივობა (3).

9. ემოციური წონასწორობა (3); შფოთვები (1); ნევროტიზმი (1); სენზიტივობა (1).

63. 1.2.3. სენზიტივობა (3); ემოციური ლაბილობა (3); იმპულსურობა (3).

4. ემოციური წონასწორობა (2); ობიექტივაციის უნარი (2);

5.6. აგრესია (2); ობიექტივაციის უნარი (2); იმპულსურობა (2); ემოციური ლაბილობა (3); პატივმოყვარეობა (3); ძალა, ენერგიულობა (3).

7. სენზიტივობა (3); ძალა, ენერგია (1); უმწეობის განცდა (3);

64. 1. დარწმუნებულობა საკუთარ რეპუტაციაში (2); თვითკმაყოფილება (2).

2. დარწმუნებულობა საკუთარ რეპუტაციაში (3); თვითკმაყოფილება (3); განდიდების ტენდენცია (3).

3.4. ნევროტიზმის (3); უმწეობის განცდები (3); თვითანალიზი (3); არასრულფასოვნების კომპლექსი (3); უკმარობის გრძნობა (3).

---

* ცდისპირის მიერ მოყოლილი სიზმრის შინაარსის ანალიზის საფუძველზე მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს გამოსაკვლევი სუბიექტის რიგი მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური თავისებურებები: შფოთვები; წუხილები, აგრესიის მიმართულება, სოციალური დამოკიდებულებები და ბევრი სხვა.

## IV

## პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი

ჩვენ ვეცდებით ზემოთ აღწერილი პრინციპის გათვალისწინებით დავახასიათოთ ერთი პიროვნების განწყობის სტრუქტურა.

ცნობილმა ქართველმა მხატვარმა შოთა მეტრეველმა პატივი დაგვდო ყოფილიყო ჩვენი ცდისპირი. ჩვენ 6 დღის განმავლობაში, დღეში საშუალოდ ორი საათი, ვმუშაობდით მასთან. კვლევის დროს ვსარგებლობდით ჩვენ მიერ დადგენილი კომპლექსური მეთოდით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ მეთოდში შეტანილი იყო ერთი სიახლე, კერძოდ, ვსარგებლობდით ჩვენ მიერ ახლად შედგენილი კლინიკურ-ბიოგრაფიული საუბრის მეთოდით. ეს უკანასკნელი თავის წინამორბედთან შედარებით უფრო ვრცელია და, ჩვენი აზრით, გაცილებით უკეთ წვდება პიროვნების სტრუქტურის შინაარსეულ-მოტივაციურ ასპექტს. ცდისპირის პასუხები კლინიკური საუბრისა და თემატიკური აპერცეფციის ტესტებზე იწერებოდა მაგნიტოფონზე. მთელი გამოკვლევა მიმდინარეობდა ერთ უცვლელ სიტუაციაში, მხატვრის სახელოსნოში, რომელშიც გამოფენილი იყო როგორც მისი ნამუშევრები-მრავალი წლის დაუღალავი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, აგრეთვე მისი მეუღლის შესანიშნავი მხატვრის მარგო მეტრეველის სურათები და მათი ვაჟის ნიჭიერად შესრულებული სკულპტურები. ამრიგად, ცდები ტარდებოდა სტრუქტურის შესაფერის გარემოში, სადაც შესაძლებლობა გვქონდა დავკვირვებოდით მის ქცევას, მის ოჯახურ, შემოქმედებით გარემოს და ჩვენი ცდებით მიღებული მასალები განგვეხილა მისი შემოქმედების ნაყოფთან მიმართებაში.

პირველ რიგში განვიხილოთ ფიქსირებული განწყობის მეთოდით ამ პიროვნების კვლევის შედეგები. როგორც აღნიშნული იყო, ამ მეთოდით ჩვენ ვიკვლევთ პიროვნების განწყობის ფორმას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დამოუკიდებელი ცვლადის – განწყობის სტრუქტურის ადეკვატურ სქემას, რომელიც სრული სახით მაშინ იქნება გააზრებული, თუ კი მოინახება ამ ფორმის (კონკრეტული სქემის) შესატყვისი შინაარსი. ფორმა და შინაარსი რეალურ ქცევაში ერთმანეთისაგან განუყოფელია. მათი ცალ-ცალკე რეალური არსებობა შეუძლებელია. ყოველი ფორმა შეიცავს თავის შინაარსს. თუ ფორმალურ ლოგიკაში ფორმალური მსჯელობების დახასიათება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სწორი თუ არასწორი შინაარსების საფუძველზე, ამიტომ განწყობის ფორმის კვლევა, ფაქტიურად მოვლენის მეცნიერული ანალიზის მთლიანობიდან მისი ცალკეული კომპონენტების აბსტრაქციის გზაა. განწყობის მიმდინარეობის ყოველი ფორმა თავის შესატყვის შინაარსს გულისხმობს, განწყობის დინამიკურობა თუ სტატიკურობა ერთიანობაშია შესატყვისი ქცევის შინაარსთან გარკვეული პიროვნული თვისებების გამოვლენასთან (აფილაცია, დომინანტობა და სხვა). უფრო მეტიც, გარკვეული კატეგორიის ფორმა შეიცავს შესატყვისი კატეგორიის შინაარსს, მაგალითად, ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ

გარკვეული კატეგორიის განწყობის ფორმა (მაგ.; დინამიკური განწყობა) გულისხმობს სოციალური დამოკიდებულებების გამომსახველ ისეთ შინაარსს, რომელიც სოციალურობის, კონტაქტურობის, გულღიაობის, ადვილი დაკავშირებადობის, სამყაროს მოვლენებისადმი ადაპტაციის უნარის, ექსტრავერსიის და სხვა ამ სახის შინაარსის მაჩვენებელია, როცა განწყობის სტატიკურობას შეესატყვისება სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის დამოკიდებულებები (შინაგანი ჩაკეტილობა, ადაპტაციის სიძნელე, რიგიდულობა, ინტროვერსია, აუტისტური ტენდენცია, დისკოლური ემოციები და ა.შ.). ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორის განწყობის ფორმა არის გარკვეული შინაარსების განზოგადების შედეგი (ფორმა წარმოადგენს განზოგადებულ შინაარსს), ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განწყობის ფორმის შესწავლას. განწყობის ფორმა უკვე მიგვანიშნებს იმ შინაარსების თავისებურებებზე, რომელიც პიროვნების განწყობისათვისაა დამახასიათებელი. პიროვნების განწყობის ფორმალური ასპექტის დადგენის საშუალებით შესაძლებელია ბევრი რამ ვთქვათ პიროვნების ზოგად-ტიპოლოგიურ თავისებურებებზე და იმ შინაარსეულ მოტივაციურ მომენტებზე, რომელნიც, როგორც დისპოზიცია, შეიძლება იყოს პიროვნებისათვის ნიშნეული.

მაგრამ განწყობის ფორმის კვლევის შედეგები ამის იქით ვერ მიდის, იგი ვერაფერს გვეუბნება კონკრეტული ინდივიდუალობის ინტიმურ-(შინაარსეულ-მოტივაციურ) ცხოვრებაზე, რეალური სუბიექტის შინაგან სულიერ სამყაროზე, მის შინაგან კონფლიქტებსა თუ ჰარმონიაზე. პიროვნების დახასიათება-მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა-სწორედ ამ უნიკალური ინდივიდუალობის, შინაგანი სამყაროს ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი. ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ჩვენი ცდისპირის განწყობა ფორმის მხრივ.

პირველ რიგში ვიკვლიეთ განწყობის აგზნებადობის მინიმუმი, ე.ი. შევისწავლეთ რამდენად აგზნებადია მისი განწყობა, ექსპერიმენტულ პირობებში რამდენი საგანწყობო ექსპოზიციაა საჭირო განწყობის წარმოქმნისათვის. გამოირკვა, რომ ცდისპირის განწყობა ძნელად აგზნებადია-აგზნებადობის დონე მეტად დაბალია, ცდისპირს მრავალი საგანწყობო ექსპოზიცია სჭირდება, რომ მასში პირველად ჩაისახოს გამღიზიანებლის შესატყვისი ცვლილება, რომ გამღიზიანებელს უპასუხოს ამ ცვლილების (მოდიფიკაციის-განწყობის) ნიადაგზე. ჩვენ შემთხვევაში 2, 5, 10, 15, 20 საგანწყობო ექსპოზიცია არ აღმოჩნდა საკმარისი განწყობის საფიქსაციოდ. განწყობის საფიქსაციო ცდების ისეთ დიდ რაოდენობაზეც, როგორიცაა 20-ჯერ საგანწყობო მასალის მიწოდება, ცდისპირი არ იძლევა განწყობის ეფექტს, მაგრამ ერთბაშად 25 საგანწყობო ექსპოზიციაზე მას უმუშავდება მტკიცე განწყობა. 25-ჯერ ზედიზედ ავლენს კონტრასტის ეფექტს და ერთბაშად ყოველგვარი ფაზების გავლის გარეშე გადადის ადეკვატურ აღქმაზე. ასეთი განწყობის ფორმა მტკიცე, ტლანქი დინამიკურია. საგანწყობო ექსპოზიციების შემდგომი გაზრდა (30,35) ვერ

ცვლის განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობის თავისებურებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ცდისპირის განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი 25 საგანწყობო ექსპოზიციაა საკმარისი, რომ მას შეუმუშავდეს მისთვის დამახასიათებელი მტკიცე განწყობა. როგორც ვხედავთ, ჩვენი ცდისპირის განწყობის აგზნებადობის მინიმუმი და ოპტიმუმი ერთმანეთს ემთხვევა. ეს უკანასკნელი უნიკალურ თავისებურებას წარმოადგენს.

დამახასიათებელი და ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც; ასეთი განწყობა მოკლებულია სიღრმეს. ცდისპირი აღასტურებს, რომ მას აქვს ილუზიები, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ილუზიები მეტად ზერელე-განსხვავებული სფეროებით შექმნილი განწყობის ზეგავლენით მათ უჩნდება განცდა, რომ კრიტიკულ ცდებში მიწოდებული ტოლი სფეროები განსხვავებულია, მაგრამ განსხვავების განცდა ძლიერ სუსტია; ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცდისპირის განწყობა მტკიცეა, ტლანქია, მაგრამ არაა ღრმა და პირობების მიმართ დამყოლი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პირობების მოდიფიკაცია შედარებით ზერელეა; აგზნებადობის ცდებში გამოვლენილი მტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობა არაა კონსტანტური. თუ პირველი ორი დღის განმავლობაში შეუძლებელი გახდა 25 და მეტი საგანწყობო ექსპოზიციით მტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის შემუშავება, რომელიც 25 კონტრასტულ ილუზიაში ასახულა, მესამე დღეს ერთბაშად საგანწყობო ცდების ოპტიმუმზე ცდისპირს უმუშავდება ტლანქი სტატისტიკური განწყობა. იგი 40-ჯერ ზედიზედ აღასტურებს კონტრასტულ ილუზიას (ისევ არაღრმას). ე.ი. ცდისპირი რჩება ერთხელ ფიქსირებული განწყობის ტყვეობაში. შემდეგ დღეებშიც გრძელდება მისი განწყობის შესწავლა. მეოთხე დღეს მას სრულად არ უფიქსირდება განწყობა. ეხლა 25 საგანწყობო ექსპოზიცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მასში შემუშავებულიყო თუნდაც განწყობა. სხვათა შორის იმ დღეს არც 35 საგანწყობო ექსპოზიცია აღმოჩნდა საკმარისი განწყობის შესამუშავებლად. მომდევნო დღეს კი მას ისევ უმუშავდება საკმაოდ მტკიცე, მაგრამ არაღრმა განწყობა, ამ შემთხვევაში საგანწყობო ილუზიათა ოპტიმუმით. მას უჩნდება ტლანქი დინამიკური განწყობა (12 კონტრასტული ილუზია). ამრიგად, კონსტანტობის ცდებში გამოირკვა, რომ ცდისპირის განწყობა ვარიაბილურია; მას ერთსა და იმავე პირობებში, ერთი და იმავე სიტუაციის ზეგავლენით უჩნდება განსხვავებული სიმტკიცისა და ჩაქრობის მიხედვითაც განსხვავებული ფორმის განწყობა. ერთ შემთხვევაში კი სულაც არ უფიქსირდება იგი.

ჩატარდა სტაბილობის ცდებიც. იმის გამოსარკვევად, რომ დროში რამდენად გამძლეა ერთხელ ფიქსირებული განწყობა, ცდისპირს 25 საგანწყობო ექსპოზიციით ვუფიქსირებდით უტოლობის განწყობას, კრიტიკულ ცდებს კი ვატარებდით მეორე დღეს; გამოირკვა, რომ ფიქსირებული განწყობა დროში არაა გამძლე. განწყობის ფიქსაციიდან მეორე დღეს ცდისპირი სრულიად არ ავლენს განწყობის ეფექტს. მომდევნო დღეს ჩვენ კვლავ შევუმუშავეთ ცდისპირს განწყობა და ახლა უკვე, ფიქსაციიდან ორი საათის შემდეგ, ვცადეთ გვენახა,

სტაბილური იყო თუ არა იგი, მაგრამ ასეთ მოკლე დროშიც ვერ მივიღეთ განწყობის ეფექტი. ამრიგად გამოირკვა, რომ ჩვენი ცდისპირის განწყობა ლაბილურია. ვცადეთ განწყობის ირადიაციის თავისებურების შემოწმებაც; ცდისპირს 25 საგანწყობო ექსპოზიციით შევუმუშავეთ განწყობა (ერთი კრიტიკული ცდით შევამოწმეთ განწყობა ნამდვილად შემუშავებულია თუ არა), შემდეგ თვალილურს მოვაწოდეთ ტოლი სფეროები, განწყობის ეფექტი ვერც ამ შემთხვევაში მივიღეთ. ამ გზით ცდების განმეორების შედეგად დადასტურდა, რომ მისი ფიქსირებული განწყობა ლოკალურია. ერთ გრძნობად მოდალობაში შემუშავებული განწყობა ვერ ვრცელდება სხვა გრძნობად მოდალობაზე.

ამრიგად, თუ მთლიანში განვიხილავთ ჩვენი ცდისპირის ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის სტრუქტურის ანალიზის შედეგებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: მისი განწყობა სტრუქტურის მიხედვით ძნელად აგზნებადი, ვარიაბილურ-ლაბილურია, ვარიაბილობა გამოიხატება მტკიცე ტლანქი დინამიკური, ტლანქი-სტატიკური და ნულოვან განწყობათა შორის მონაცვლეობაში. შემუშავებული მტკიცე ტლანქი და სტატიკური განწყობა სიღრმის მიხედვით სუსტია (შესადარებელი ტოლი ობიექტების განსხვავების განცდა სუსტია, ცდისპირი არაა დარწმუნებული სიდიდეების შეფასების სისწორეში).

ახლა დგება საკითხი, განვიხილოთ რას ნიშნავს განწყობის ამგვარი სტრუქტურა, როგორი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს ამგვარ განწყობას. თუ კი განწყობა ფუნდამენტური მთლიანობითი ფენომენია, რომლის სტრუქტურა განაპირობებს პიროვნების ქცევის სტრუქტურას, თუ პიროვნების თვისებების და ღირებულებების სისტემები, მისი მოტივაციის სფერო, ნებელობის დინამიკა და ტემპერამენტის ქცევაში გამოვლენა განწყობის სტრუქტურის თავისებურებითაა განსაზღვრული, აგრეთვე ფიქსირებული განწყობის მეთოდით მოპოვებული მასალა მართებულია და ადეკვატურად ასახავს საქმის ვითარებას, იკვლევს განწყობის სტრუქტურას, მაშინ დადასტურებული განწყობის სტრუქტურა იმპლიციტე, ზოგად ხაზებში (სქემის შესაბამისად) უნდა გულისხმობდეს პიროვნების ძირითად მიმართულებას, მისი სამყაროსადმი დამოკიდებულების ძირითად პოზიციას, რომელიც შეიძლება გაიშალოს ცნობიერების სახით ცნობიერ დამოკიდებულებაში, გამომდინარე აქედან, განწყობის ფორმის სტრუქტურის ცოდნის ნიადაგზე შესაძლებელი უნდა იყოს პიროვნების მთლიანი განწყობის შემდგომი ქცევის მიმართულების მიმცემი სქემის დახასიათება.

როგორც ვნახეთ, ჩვენი ცდისპირის განწყობის სტრუქტურა ვარიაბილურ-ლაბილურია. განწყობის ვარიაბილობა გულისხმობს განწყობის სტრუქტურაში, მის მთლიანობაში გარკვეული სახის დისჰარმონიის შექმნას – მისი რღვევის ტენდენციას. განწყობის ნორმალური სტრუქტურა შეიცავს სტრუქტურაში შემავალ ყველა კომპონენტს. მაგალითად, ფიქსირებული განწყობის ყველა კომპონენტის ურთიერთმიმართების რაოდენობრივმა ანალიზმა უჩვენა[1], რომ გან-

---

[1] ა. გრიგოლავა, განწყობის ტიპოლოგიური თავისებურებების როლი ადამიანის სენსომოტორულ აქტივობაში. თბ., 1979.

წყობის ცალკეულ მხარეთა შორის მიმართება ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას–განწყობის დინამიკურობა დაკავშირებულია შედარებით დაბალ აგზნებადობასთან; განწყობის საშუალო სიმტკიცესთან, კონსტანტობასთან, სტაბილობის სისუსტესთან და ა.შ. ამ კომპონენტების ასეთი ერთიანობა ქმნის ერთ სტრუქტურას–დინამიკური განწყობის სტრუქტურას (ამას შეიძლება დაერქვას განწყობის ერთი პოლუსი), მეორე პოლუსზეა სტატიკური განწყობის სტრუქტურა, რომელიც შეიცავს შემდეგ შენიშვნებს; მაღალი აგზნებადობა, განწყობის [illegible] და სტატიკურობა, სიმტკიცე, კონსტანტურობა, მტკიცე სტაბილობა და ა.შ. განწყობის სტატიკურობასთან დაკავშირებული ეს ნიშნები ქმნიან ახალ სტრუქტურას. ამ ორ პოლუსს შორის ზოგჯერ ადგილი აქვს განწყობის ცალკეული კომპონენტების ცვლილებას, მთლიანად რომელიმე მათგანის ამოვარდნას, მაგალითად, სიმტკიცის, სტაბილობის ძლიერ შესუსტებას, აგზნებადობის გაძლიერებას ან შესუსტებას; ხშირად ამგვარი ცვლილებები, ნაწილობრივ ამოვარდნები ვერ არღვევენ მთლიან სტრუქტურას, მთელი მაინც ინარჩუნებს თავის ბუნებას, ახდენს ნაწილების ცვლილებების კომპენსაციას და ამის გამო განწყობისეულ ქცევაში; მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ადგილი არა აქვს შესამჩნევ გადახრებს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სრულიად იცვლება მთლიან სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები, კონსტანტობის ნაცვლად თავს იჩენს ვარიაბილობა, სტაბილობის ნაცვლად ადგილი აქვს სრულ ლაბილობას, იცვლება აგზნებადობაც–განწყობა ხდება მეტად აგზნებადი, ან, პირიქით, ძნელად აგზნებადი, ან კიდევ ექსპერიმენტულ პირობებში სრულებით ვერ ხერხდება განწყობის შემუშავება და ა.შ. თავისთავად ამ შემთხვევებშიც ადგილი აქვს განწყობის გარკვეული სტრუქტურის სახით მოცემულობას, მაგრამ იგი, გეშტალტფსიქოლოგიის ტერმინი რომ ვიხმაროთ "ცუდი" სტრუქტურაა–მასში ხასხულია დეზინტეგრაციის ტენდენცია. ამ ორ პოლუსს შორის მოქცეული მრავალი განსხვავებული სახის განწყობის სტრუქტურა განაპირობებს პიროვნების ქცევის და განცდების გარკვეული მიმართულებით სუსტ თუ ძლიერ პათოლოგიურ გადახრებს, შინაგან და გარეგან კონფლიქტებს. გარემოსთან ადაპტაციის თვალსაზრისით ყველაზე ადეკვატურია (ნორმალური) პირველ პოლუსზე მდებარე განწყობის სტრუქტურა. ადაპტაციის მიხედვით, ყველაზე დიდი სიძნელე ახასიათებს სტატიკური განწყობის პიროვნებას. მიუხედავად ამისა, სტატიკური განწყობა, როგორც სტრუქტურა მთლიანად, თუმცა იგი თავის ბუნებით რიგიდულია, პლასტიკურობას, ელასტიკურობას, გადანაცვლების უნარს მოკლებულია, ხშირად ამიტომ ცვალებად სიტუაციებში ასეთი განწყობის მქონე პიროვნება რიგ სიძნელეებს განიცდის, რომლის დასაძლევად მას სჭირია მიმართოს მძლავრად განვითარებული ობიექტივაციის უნარს და ამის საფუძველზე წარმართოს გარემოსთან დამოკიდებულება, წონასწორობა აღადგინოს და ჰარმონიულად შეეწყოს გარემოს. ამ ორ პოლუსს შორის მოქცეული განწყობის სტრუქტურები შეიცავენ ყველა იმ კომპონენტს, რომელიც მოწინააღმდეგე პოლუსებზე მდებარე განწყობის სტრუქტურებისათვისაა ნიშნეული, მაგრამ ამ

ნიშანდა ურთიერთობას არ ახასიათებს ისეთი სიმეტრიულობა, შეწყობა, რაც დინამიკური და სტატიკური განწყობის მქონე სუბიექტებისათვისაა ნიშნეული. ამიტომ ასეთი განწყობის სტრუქტურის ნიადაგზე მიმდინარე ქცევა და განც-დები ასიმეტრიულია, წინააღმდეგობების შემცველი, შინაგან ლოგიკას მოკლე-ბული, რომლის კომპენსაცია გაძნელებულია. ასეთი პიროვნება ხასიათდება ქრონიკული შინაგანი კონფლიქტებით, რომელიც ხშირად გარეგანი კონფლიქტის ან ფსიქოპათის სახით იჩენს თავს (ნევროტიკის ან ფსიქოპათის ქცევა).

სწორედ ამ კატეგორიის განწყობის სტრუქტურა აღმოაჩნდა ჩვენს ცდის-პირს (ვარიაბილურ–ლაბილური განწყობა). ასეთი განწყობის ბუნება აღწერი-ლია ჩვენ მიერ სპეციალურ გამოკვლევებში. აქ მივუთითებთ მხოლოდ ძირითად ასპექტზე. ასეთ სუბიექტებს, პირველ რიგში, დარღვეული აქვთ განწყობის კონსტანტობა–რაც იმას ნიშნავს, რომ მას ერთი და იგივე სახის სიტუაცია-ში (ექსპერიმენტულ სიტუაციაში), ერთსა და იმავე შინაარსებზე, სხვადასხ-ვა დროს უფიქსირდება განსხვავებული სახის განწყობა; იგი მოკლებულია უნარს ერთნაირ კრიტიკულ სიტუაციებს დაუპირისპიროს შესაფერისი განწყო-ბით. განწყობის ვარიაბილობის ცნება თავისთავად ნიშნავს, რომ ასეთი გან-წყობის პიროვნება მოკლებულია შინაგან დამოუკიდებლობას, მას უჭირს თავი-სთავის მართვა, თვითრეგულაცია–იგი იმპულსური პიროვნებაა; როდესაც გარ-კვეული მოვლენების მიმართ მისი განწყობა ადვილად აგზნებადია, ადვილად მუშავდება სტატიკური განწყობა, მისი ქცევა რიგიდულია, ჯიუტური, დაჟინე-ბული, დაძაბული. მიმდინარეობს შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების, დის-კოლიური ემოციების ფონზე, იგი ემორჩილება ერთხელ გაბატონებული განწყო-ბის იმპულსს. პიროვნების ქცევის მიმართულება განპირობებულია იმით, რა სახის განწყობა ჭარბობს მასში გარკვეულ კონკრეტულ მომენტში; იგი შეიძ-ლება მიმდინარეობდეს სტატიკურად; ერთხელ დაწყებულ საქმიანობაში თავდა-ვიწყებამდე იყოს ჩართული, განიცდიდეს გადანაცვლებაში დიდ სიძნელეს, ან, პირიქით, შეიძლება იყოს დინამიკურ-ჰარმონიული, სიტუაციის ადეკვატური. ხშირად ასეთი სუბიექტი ახერხებს თავის განწყობისეული ქცევის ობიექტივა-ციას, მან იცის თავისი ქცევის მიზანშეუწონლობის შესახებ, მაგრამ უჭირს განწყობის იმპულსიდან თავის დაღწევა.

ვარიაბილობასთან ერთად ჩვენი ცდისპირის განწყობას ახასიათებს ლა-ბილობაც, რომელიც მისთვის დამახასიათებელ განწყობის ვარიაბილობას თავი-სებურ იერს აძლევს. ვარიაბილური განწყობა შეიძლება იყოს სტაბილური და ლაბილურიც. ამ შემთხვევაში სტაბილობა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ ვა-რიაბილობა სტაბილურია – სხვადასხვა დროს ცნობილ სიტუაციებში მან შეიძ-ლება დაიკავოს განსხვავებული პოზიცია, არამედ იმასაც, რომ ბოლოჯერ ერთხელ ფიქსირებული განწყობა შეიძლება იყოს დროში გამძლე ან იქცეს არარეალი-ზებულ სტაბილურ განწყობად. ასეთი განწყობები ინარჩუნებენ შემდგომში იმ-პულსურად აღმოცენების ძალას. გარემოსადმი არაადეკვატური ასეთი განწყო-ბის სიმრავლის გამო პიროვნებას უჭირს ნებელობითი გადაწყვეტილების გამო-

ტანის დროს რომელიმე მოთხოვნისათვის უპირატესობის მინიჭება, უჭირს გა-ხადოს რომელიმე მათგანი მოტივაციის საფუძვლად, ამიტომ ნებელობითი აქტი-ვობა მიმდინარეობს კონფლიქტების ფონზე, ეს კი აძნელებს მტკიცე გადაწყვე-ტილების მიღებას, ამას ხელს უწყობს მასში მრავლად ფიქსირებული არარეალი-ზებული განწყობებიც. იმპულსური ქცევის არაადეკვატურობა (ასეთი ქცევა ხშირად ვერ აღწევს მიზანს მისი ბოლომდე მოფიქრებულობის – ობიექტივაციის აქტის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობის გამო), ნებელობის ნეგატიური მხარის (იმპულსების შეკავების) სისუსტე იწვევს შინაგან დაურწმუნებლობას, მრავალ დისკომფორტულ ემოციას, მერყეობას დეპრესიულ და აგზნებულ მდგომარეო-ბებს შორის, ეგოცენტრულობას, ოცნების სამყაროში ყოფნას, ე.ი. ისეთ ქცე-ვასა და განცდებს, რომელიც თავს იჩენს ფიქსირებული განწყობის რეალიზა-ციის სიძნელის პირობებში.

იმპულსური ადამიანები (ვარიაბილური განწყობის ადამიანები) ერთმანე-თისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ნიშნით, განწყობის ლაბილობით. მათ ახასიათებთ ყველა ის თვისება, რომელიც ვარიაბილური ადამიანისათვისაა ნიშნეული, მაგრამ ამავე დროს ასეთ პიროვნებაში შეჭრილია ის თვისებებიც, რომლებიც განწყობის ლაბილობიდან შეიძლება აღმოცენდნენ. ასეთ სუბიექტს არ ახასიათებს კონსტანტური ტიპის განწყობა, ზოგჯერ ექსპერიმენტის პირო-ბებში ფიქსირებული განწყობის ლაბილობა იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას არ აქვს შინაგანი დასაყრდენი წინ აღუდგეს გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებას. ჩვენი ცდისპირისათვის დამახასიათებელი განწყობის ფიქსაციის სიძნელე და განწყობის ლაბილობა განაპირობებს ქცევის არათანმიმდევრულობას, ალოგი-კურობას. დ. უზნაძის მიხედვით, "ესენი ის ადამიანებია, რომლებსაც შინა-განი წარმმართველი ძალა არ გააჩნიათ, რომელნიც ცხოვრობენ გარეგანი შთა-ბეჭდილებების ზეგავლენით და ხასიათდებიან ჭარბი ექსტრავერტულობით", ში-ნაგანი იმპულსი არ იწვევს ასეთ პიროვნებაში აქტიურობას, მხოლოდ სიტუა-ციას შეუძლია გამოიწვიოს იგი, მოახდინოს მისი მოთხოვნილების აქტივობა. ასეთ ადამიანში განწყობის შემუშავებაში პრიორიტეტი ენიჭება სიტუაციას. მისი ფიქსირებული განწყობები, სიტუაციის პრიორიტეტით ფიქსირებული გან-წყობებია. მასში ნაკლებადაა მოცემული მძლავრი მოთხოვნილებების პრიორი-ტეტით ფიქსირებული განწყობები, სწორედ ამიტომ ეს განწყობები, მიუხედა-ვად სტატიკურობისა და სიტლანქისა, არ არიან ღრმა (გავიხსენოთ ექსპერი-მენტის პირობებში გამოვლენილი ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის თა-ვისებურება), მძლავრ შინაგან იმპულსად ქცეული თვისებები, რის გამოც უპი-რატესად სპონტანურად ისწრაფვიან რეალიზაციისაკენ; ყოველივე ეს განაპი-რობებს რთულ სიტუაციებში შეგუების სიძნელეს, რაც, თავის მხრივ, ავითა-რებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ეგოცენტრიზმი, ყურადღების ცენტრში ყოფ-ნის ტენდენცია, საკუთარი "მე"-ს დემონსტრაცია და სხვა. ე.ი. ავითარებს ისეთ ზოგიერთ ისტერიულ ნიშანს (ე.წ. თავდაცვის მექანიზმებს), რომელთა საშუალებით შესაძლებელია საკუთარი არასრულფასოვნების კომპენსაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნიშნებისა, ჩვენი ცდისპირის განწყობას ახასიათებს თავისებურება, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი უნიკალური ნიშანია, ასეთია მკვეთრად გამოხატული განწყობის ფიქსაციის სიძნელე და სიღრმის მოკლებულობა; ჩვეულებრივ, როდესაც ცდისპირს განწყობა არ უმუშავდება 2,5,10 საგანწყობო ექსპოზიციით, მაშინ აღნიშნავენ, რომ განწყობა ხასიათდება დაბალი აგზნებადობით. ჩვენი ცდისპირის განწყობის აგზნებადობის მინიმუმი კი უდრის 25 საგანწყობო ექსპოზიციას. ასეთ პირობებში შექმნილი განწყობა მერყევა, მას ეჭვი ეპარება ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე მიმდინარე ქცევის ადეკვატურობაში, ფიქრობს, რომ შესადარებელი ობიექტები უტოლოა, მაგრამ ეს განსხვავება მეტად უმნიშვნელოა და საეჭვოა. სუბიექტის მიერ გამოვლინებული განწყობის ეს თავისებურება უფრო სანდოს ხდის ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის იმ დახასიათებას, რომელიც ზემოთ იყო მოცემული.

დ. უზნაძემ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ ნიშანთა შორის ხაზი გაუსვა განწყობის დიფუზურობას და დიფერენცირებულობას. დ. უზნაძის თქმით უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგჯერ განწყობა მისი ჩასახვის დასაწყის სტადიაში ერთბაშად არ ხდება როგორც ინდივიდუალურად გარკვეული ფაქტის გამოკვეთილი პროცესი; იმისათვის, რომ განწყობა გამოიკვეთოს, გამოდიფერენცირდეს, როგორც ისეთი მდგომარეობა, რომელიც ადექვატურია მოცემული ქცევის პირობებისათვის, რომ მის ნიადაგზე გაიშალოს ადექვატური ქცევა, ამისათვის საჭიროა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პროცესი. განწყობის დიფერენციაციის, მისი დიფუზურობის აღკვეთისათვის აუცილებელია საგანწყობო სიტუაციის განმეორება (ექსპერიმენტის პირობებში საგანწყობო ცდების განმეორება). ასეთ შემთხვევაში საგანწყობო ცდების განმეორებას აქვს სრულიად გარკვეული, ფიქსაციის მიზნისაგან განსხვავებული დანიშნულება. იგი ასრულებს განწყობის დიფერენციაციის როლს. დ. უზნაძე დასძენს, რომ განწყობის მადიფერენცირებელი ცდები განსაკუთრებით საჭიროა ახალი, სუბიექტისათვის ჯერ კიდევ უცნობი განწყობის ჩასახვისათვის. როდესაც ადამიანზე ზემოქმედებას იწყებს რომელიმე ახალი, პირველად შეხვედრილი ობიექტი, მისგან გამოწვეული განწყობა უნდა ატარებდეს დიფუზურ, ჯერ კიდევ გაურკვეველ ხასიათს. ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი ჯერ კიდევ არასაკმარისად დიფერენცირებულია, რის გამოც სუბიექტს არ შეუძლია ზუსტად ამ ობიექტის იდენტიფიკაცია; მხოლოდ დროთა სვლაში, ამ ობიექტის მრავალჯერ განმეორების ზემოქმედების შედეგად, მისგან გამოწვეული განწყობა თანდათანობით დიფერენცირდება და იღებს გარკვეულ სახეს, როგორც განწყობა, რომელიც სპეციფიკურია სწორედ ამ შემთხვევისათვის.

როგორც ჩანს, არიან ადამიანები, რომელთაც ობიექტის ადეკვატური განწყობის შესამუშავებლად დიდი დრო, ამ ობიექტის მრავალჯერ ზემოქმედება სჭირდებათ. ექსპერიმენტულ პირობებში მათ ამისათვის არ ჰყოფნით მცირე რაოდენობის საგანწყობო ცდები, სჭირდებათ მისი მრავალჯერ განმეორება,

რათა ტვინში ობიექტის შესატყვისი განწყობა აისახოს. ამის შემდეგ ობიექტის ახალი განმეორება საჭიროა უკვე დიფერენცირებული განწყობის ფიქსაციისათვის, მისი ჩვევად ან განსაკუთრებული ღირებულების განწყობად გარდაქმნისათვის. ამრიგად, როგორც ჩანს, არსებობს მტკიცე განწყობის შექმნის ორი სახის სიძნელე–დიფუზური განწყობის დიფერენციაციისა და დიფერენცირებული განწყობის ფიქსაციის სიძნელე. ზოგჯერ ადამიანი ადვილად ახერხებს განწყობის დიფერენციაციას, უკვე 1 ან 2 საგანწყობო ექსპოზიციაა საკმარისი იმისათვის, რომ დამახასიათებელი განწყობა გამოიკვეთოს. იგი ემთხვევა მაღალი აგზნებადობის მინიმუმს, როდესაც აღმოცენებული დინამიკური ან სტატიკური განწყობა, მიუხედავად ცდების განმეორებისა, ოპტიმუმის ძიების ცდებში ბოლომდე ინარჩუნებს თავის ფსიქოლოგიურ თავისებურებას. ამის შემდეგ ცდების გამეორება მხოლოდ იმისათვისაა საჭირო, რომ შემუშავებული განწყობა განმტკიცდეს (ეს სწარმოებს აგზნებადობის ოპტიმუმის ძიების პროცესში). მაგრამ არის შემთხვევები, როცა მცირე რაოდენობის ცდებით სრულიად არ ფიქსირდება განწყობა ან შექმნილი განწყობის ტიპი სუსტია, ჩანს განწყობის ჩაქრობის ფაზები და ა.შ. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ საგანწყობო ცდების შემდგომი გაზრდის შემდეგ გამოიკვეთება გარკვეული ტიპის განწყობა (ხდება განწყობის დიფუზური მდგომარეობის დიფერენცირება). საგანწყობო ცდების გაზრდა იწვევს განწყობის განმტკიცებას, ტიპის ცვლილებას და საბოლოოდ ყალიბდება ობიექტისადმი ის დამოკიდებულება, რომელიც სპეციფიკურია სუბიექტისათვის.

ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში დამახასიათებელია ზემოთ აღნიშნული ორივე სიძნელე, როგორც დიფერენციაციის, ისე ფიქსაციის სიძნელე. ცდისპირს ან სრულიად არ უმუშავდება განწყობა, ან კიდევ საჭიროა საგანწყობო ცდების 25-ჯერ განმეორება, რომ მასში წარმოიქმნას ობიექტის შესატყვისი განწყობა. შემუშავებული განწყობა ვარიაბილურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტებისადმი დამოკიდებულება ცვალებადია – მსგავსი ობიექტი, მსგავსი სიტუაცია სხვადასხვა დროს განსხვავებული ტიპის განწყობას იწვევს სუბიექტში. ზოგჯერ ამ ობიექტებისადმი იგი სავსებით ინდიფერენტულია–არ უფიქსირდება განწყობა, მტკიცე ფიქსირებული განწყობაც არაა მთლიანად დიფერენცირებული, მას ეჭვი ეპარება ობიექტების აღქმის სისწორეში, არაა დარწმუნებული, რომ თავისი ქცევა სიტუაციის ადეკვატურია. ამგვარად, სუბიექტს ახასიათებს ორმაგი სიძნელე–როგორც განწყობის ფიქსაციის, ისე მისი დიფერენციაციის სიძნელე. როგორც აღნიშნული იყო, ექსპერიმენტულ პირობებში განწყობის ფიქსაციის სიძნელე ან შეუძლებლობა ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი მომენტის მონაა, განწყობა, რომელიც მას უჩნდება სიტუაციის ზემოქმედებით, სწრაფად რეალიზდება ადეკვატურ ქცევაში ან შთაბეჭდილებებში, იგი ვერ მოდის "პირველადი განწყობის იქით", ვერ იწვევს პიროვნებაში ღრმა ცვლილებას, არ ხდება მისი ფიქსაცია, პიროვნება ვერ იძენს ახალ ანალოგიურ სიტუაციაში ადვილად შეგუების უნარს, ამიტომ მომავალში გარემოსთან ადაპ-

ტუაციის პრობლემის გადასაჭრელად მიმართავს ძველ, სტერეოტიპულად მოქმედ განწყობას. ამას ხელს უწყობს განწყობის დიფერენციაციის სიძნელე, რაც ახალი განწყობის შექმნის სიძნელეს განაპირობებს; სუბიექტში ახალი, რთული, ცვალებადი გარემოს შესატყვისი განწყობების შექმნა მეტად ძნელად და დაგვიანებით ხდება. ყოველივე ამის გამო, გარე სამყაროს სუბიექტი ზოგჯერ განიცდის როგორც საშიშს, მტრულად დაპირისპირებულს, რომლის მიმართ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყოველივე ეს წარმოშობს დარწმუნებულობას, ახალი მოქმედების არჩევის სისწორეში შეეჭვებას და ა.შ.

სპეციალური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ განწყობის ზოგიერთი თავისებურება, რომელიც აღმოაჩნდა ჩვენს ცდისპირს, დამახასიათებელია ფსიქასთენიკის განწყობისათვისაც. ქ. მძივანის გამოკვლევებით[2] გამოირკვა, რომ ფსიქასთენიკის განწყობა ძნელად აგზნებადია, მრავალი საგანწყობო ექსპოზიციაა საჭირო, რომ მასში მოხერხდეს განწყობის ფიქსაცია. ფსიქასთენიკში ძნელად ფიქსირდება განწყობა ამ ფაქტის უშუალო ინტერპრეტაციის მიხედვით; ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ აქ საგანწყობო ცდების განმეორების შემთხვევაში, პირველ რიგში, მათი დიდი წილი ხმარდება დიფუზურად მოქმედი განწყობის დიფერენციაციას, რომ არასდროს მთავრდება ბოლომდე მტკიცე განწყობის ფიქსაცია. თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია ფსიქასთენიკი დავახასიათოთ, როგორც სუსტად დიფერენცირებული განწყობის მქონე ადამიანი, რის გამოც მისი განწყობა რჩება ძნელად აგზნებადი, სუსტი, ლოკალური და ლაბილური[3].

- რა თქმა უნდა, ჩვენი ცდისპირის განწყობა მთლიანად არ ემთხვევა ფსიქასთენიური წესრიგით დაავადებულთა განწყობის სტრუქტურის ტიპს. ფსიქასთენიკის განწყობა ძნელად აგზნებადია (თუმცა არც ისე ძნელია, როგორც ეს ჩვენი ცდისპირისთვისაა ნიშნეული), შემუშავებული განწყობა სუსტია (ხშირად ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით არ აღემატება 2-5 ილუზიას). მაშინ როდესაც ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა ზოგჯერ მტკიცე ტლანქი დინამიკურია ან სტატიკური; მართალია, მას აკლია სიღრმე, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ცდისპირის განწყობას განსხვავებით ფსიქასთენიკის განწყობისაგან, აქვს სიტლანქის ტენდენცია, მიუხედავად ამ განსხვავებისა, მისი განწყობის სტრუქტურა უთუოდ შეიცავს ისეთ კომპონენტს, რომელიც დამახასიათებელია ფსიქასთენიკისათვის (ძნელად აგზნებადობა, ლაბილობა, დიფუზურობა), ამიტომ განწყობის ამ მონაცემების მიხედვით, ჩვენი ცდისპირის პიროვნების სტრუქტურაში უთუოდ შეჭრილი უნდა იყოს ფსიქასთენიური ელემენტები.

---

2 ქ. მძივანი, ფსიქასთენიის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. საკანდიდატო დისერტაცია, 1946.

3 დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ტ.VI, 1949, გვ. 202.

ამრიგად, ჩვენი ცდისპირის განწყობა, როგორც ეს მისმა ანალიზმა უჩვენა, ძალიან რთულია და უნიკალური. მიუხედავად მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტების, როგორც განწყობის ნიშნების, ჰეტეროგენულობისა, ისინი მაინც ერთი მთლიანი განწყობის სტრუქტურის ცალკეული მხარეებია, ეს მთლიანი განწყობა განაპირობებს ამ ცალკეულ, ერთი შეხედვით ჰეტეროგენული კომპონენტების თავისებურებას, თითოეული მათგანი აღბეჭდილია ამ მთლიანის თავისებურებებით. ამ მთლიანის ძირითადი ღერძია განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა. ეს უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული განწყობის ძნელად აგზნებადობასთან, დიფერენციულობის სინაკლებესთან, არაორმა ფაქტი – დინამიკური განწყობის ფიქსაციასა და ზოგჯერ განწყობის ფიქსაციის შეუძლებლობასთან. განწყობის დიფერენციულობა და ფიქსაციის სიძნელე იწვევს განწყობის ლაბილობას; განწყობის ვარიაბილობისა და ლაბილობის გაგება შეუძლებელია ზემოთ აღნიშნული კომპონენტების ამ მთლიან სტრუქტურაში გულისხმობის გარეშე.

ექსპერიმენტულ პირობებში დადასტურებული აღნიშნული კომპონენტების შემცველი განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა არის პიროვნების სტრუქტურის ის ძირითადი ფორმა (სქემა), რომელიც მიგვანიშნებს, რომ პიროვნების ძირითადი მახასიათებლების ღირებულებათა სისტემა, ნებელობის დინამიკა, თვითრეგულაციის უნარი, ემოციური დისპოზიცია, რომლის ნიადაგზე იშლება ცნობიერი ქცევა და მთლიანად ამ მახასიათებლების ერთიანობა–განწყობის სტრუქტურის თავისებურებებითაა განსაზღვრული. ამ სტრუქტურის ძირითადი სქემა მიუთითებს, რომ პიროვნების მახასიათებლები ჰეტეროგენულია, რაც ადასტურებს მისი პიროვნების გარკვეული სახის დეზინტეგრაციას, ხასიათის შინაგანი ლოგიკის შესუსტებას – როგორც შინაგან, ისე გარე სამყაროსა და პიროვნებას შორის მწვავე კონფლიქტს, მიუთითებს რიგ იმ თვისებებზე (თანდაყოლილი ან შეძენილი თვისებები–ტალანტი, ცხოვრების სტილი და ა.შ.), და "დაცვით მექანიზმებზე" (ეგოცენტრიზმი, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია და სხვა), რომლებიც პიროვნებაში წარმოიქმნებიან თავისი შინაგანი სიჯიუტის საკომპენსაციოდ. ეს მახასიათებლები ერთიანობაშია განწყობის სტრუქტურის ფორმასთან. შემდგომმა კვლევამ უნდა უჩვენოს, თუ რამდენად სწორია ეს სქემა, რომელიც წინასწარ გულისხმობს ისეთ მახასიათებლებს, რომელიც ზოგადი სახით მაინც მოერგება ამ ფორმას.

მხატვრის პიროვნების შინაგანი სამყაროს ბუნების შესასწავლად გამოყენებული იყო ბიოგრაფიულ–კლინიკური საუბრის, პროექციული და კიდევ სხვა მეთოდები. ამ მეთოდების კვლევის შედეგებში ასახულია მისი ხასიათის უნიკალური შინაარსეულ–მოტივაციური მხარე და რიგი ფორმალური მომენტებისა, რომელიც ძნელად მისაწვდომია ფიქსირებული განწყობის მეთოდისათვის. კვლევის ეს გზა საშუალებას იძლევა ვწვდეთ პიროვნების ბუნებას. ვნახოთ, რამდენად შეესატყვისება მოცემული მახასიათებლები ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილი პიროვნების სტრუქტურას.

პირველ რიგში დავახასიათოთ ბიოგრაფიული მეთოდის კვლევის შედეგები: ჩვენ ვეცადეთ შეგვესწავლა მხატვრის ცხოვრების გზა, ამისათვის, პირველ რიგში, მივმართეთ ავტობიოგრაფიის შედგენის მეთოდს. ამ მეთოდით მიღებული მასალები შევავსეთ ცდისპირის ახლო ადამიანებისაგან მიღებული ცნობებით, პირად დღიურებში, მოგონებებზე მოცემული მასალებით. პიროვნების ცხოვრების გზის კვლევისას აუცილებელია ბიოგრაფიული მასალების, დოკუმენტების მკაცრი კრიტიკული ანალიზი, მათგან ისეთი მასალების შერჩევა, რომელიც შედარებით სანდოა. მიუხედავად ავტობიოგრაფიის სუბიექტურობისა, დაკვირვებული მკვლევარი შეძლებს მასში ამოიკითხოს პიროვნების სტრუქტურის მნიშვნელოვანი მხარეები, მისი ცხოვრების ძირითადი მიმართულებანი, რაც გაადვილებს ექსპერიმენტული და პროექციული მეთოდებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას. გორდონ ოლპორტი გვაწვდის სქემას, რომლის გათვალისწინების ნიადაგზე ფსიქოლოგს შეუძლია შეაფასოს ამგვარი მასალის ინტერპრეტაციის საფუძვლიანობა: 1. სუბიექტური დარწმუნებულობის გრძნობა. თუმცა ასეთი გრძნობა ინტერპრეტაციის სისწორის საფუძვლიანობის ობიექტური კრიტერიუმია, მიუხედავად ამისა, მას ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ და მიგვაჩნია, რომ იგი უთუოდ ღირებულია სხვა კრიტერიუმებთან ერთად; 2. გონებრივი ექსპერიმენტი. ფსიქოლოგმა უნდა შეძლოს მასალების ინტერპრეტაციის ნიადაგზე გამოყოს ისეთი არსებითი ფაქტორი, რომლის გამორიცხვის შემთხვევაში პიროვნების დახასიათება შეუძლებელი იქნება, ფსიქოლოგიის ჰიპოთეზი პიროვნების რაგვარობის შესახებ აზრს დაკარგავს. ეს ჰიპოთეზი სწორი იქნება, თუ კი პიროვნების ცხოვრების ჭეშმარიტი გზის გააზრება შეუძლებელია ამ ჰიპოთეზის გათვალისწინების გარეშე; 3. თუ ინტერპრეტაციას ექნება, სავარაუდო მაინც, პროგნოზირების ვადა; 4. თუ ეს ინტერპრეტაცია ემყარება საკვლევ პიროვნებაზე ცდისპირის ახლობლების აზრს. 5. ცხოვრების ყველა ფაქტი გასაგები უნდა იყოს მიღებული ინტერპრეტაციის საფუძველზე; 6. მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის შინაგანი თანმიმდევრულობა–როცა გამოირიცხება შინაგანი წინააღმდეგობები; რაც უფრო უახლოვდება ინტერპრეტაცია პიროვნების ქცევის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს – "ცხოვრების წყაროს", მით უფრო საფუძვლიანი იქნება იგი.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ უკანასკნელ მომენტს. მიღებული კვლევის მასალები, რომელიც ძირითადში მოპოვებულია მეთოდით, რომელიც ემყარება თვითშეფასების პრინციპს, საჭიროებს ობიექტური მეთოდებით მიღებული კვლევის შედეგებთან მიმართებაში განხილვას და ამ გზით მისი ობიექტურობის დონის შეფასებას. ჩვენთვის ასეთი ობიექტური მეთოდია ფიქსირებული განწყობის მეთოდი, რომლითაც ხდება სუბიექტის განწყობის ფორმალურ-სტრუქტურული კანონზომიერების დადგენა. რაც უფრო მეტად იქნება შესატყვისი თვითშეფასების შედეგები განწყობის ფორმალურ ასპექტთან, მით უფრო სარწმუნო იქნება იგი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების კვლევა (ექსპერიმენტში-

ბა და ტესტებით-ფსიქომეტრული და ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტები) პირადი ცხოვრების ძირითადი წყაროსაგან განცალკევებით ამოუვსებელი ხარვეზის შემცველია; ე.წ. ობიექტური მეთოდებით მიღებული მასალების სწორი ინტერპრეტაცია ამის გარეშე მყარ საფუძველს მოკლებულია.

ჩვენი კვლევის ამოცანის შესაბამისად ცდისპირს ვთხოვთ დაწეროს ავტობიოგრაფია. ამ პროცედურის მიზანია საიმედო ინფორმაციის მიღება სუბიექტის წარსულზე, მისი პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ცდისპირს რომ გაუადვილოთ საკუთარი ცხოვრების გზის მოგონება, აღდგენა, წინასწარ ვაძლევთ გარკვეულ სქემას. ამ სქემაში მითითებულია, თუ როგორ წარმართოს, რა შინაარსებს მიაქციოს ყურადღება თავისი წარსულის დასახასიათებლად. ეს სქემა, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, შეიცავს შემდეგ მითითებებს; ოჯახის ისტორია, პირადი ცხოვრების ისტორია, ბავშვობის ასაკში სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში, მისწრაფებების და იდეალების გენეზისი, სექსუალური ინტერესები, ამჟამად მისი მიზნები, მისწრაფებები, მიღწევები, საკუთარი თავის და გარე სამყაროს შეფასება. სქემის თითოეული ნაწილი შეიცავს გარკვეულ კონკრეტულ კითხვებს. ცდისპირს ვთხოვთ გაეცნოს ამ სქემას და შემდეგ დაწეროს თავისი ავტობიოგრაფია. ნავარაუდევია, რომ პიროვნების მეხსიერებაში პირველ რიგში აღსადგენია თავისი ცხოვრების ის ფაქტები, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი იყო მისთვის. როდესაც ცდისპირი დაამთავრებს ავტობიოგრაფიის წერას, მას ხელმეორედ ვაძლევთ აღნიშნულ სქემას და ვთხოვთ შეავსოს იგი იმ ცნობებით, რომელიც მას გამორჩა. ნაგულისხმევია, რომ სქემა დაეხმარება მას ახალი ფაქტების მოგონებაში. ავტობიოგრაფიის შედგენის დრო განუსაზღვრელია, მას შეუძლია ზმუშაოს 2-3 საათი და მეტიც.

გარკვეული მიზეზების გამო ჩვენ ვერ მოგვყავს ცდისპირის მიერ შედგენილი ვრცელი ბიოგრაფია. მაგრამ შევეცდებით, ბიოგრაფიული მონაცემები ჩავრთოთ და გამოვიყენოთ მისი ცხოვრების გზის ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციაში.

## ბიოგრაფიის ანალიზი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანის ბიოგრაფია ასახავს, დაბადებიდან ფსიქოლოგიური გამოკვლევის დღემდე, პიროვნების ცხოვრების გზის შინაარსს, მის დამოკიდებულებებს საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან (ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, იმ სოციალური ჯგუფის წევრებთან, სადაც მოღვაწეობს იგი), საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ღირებულებებთან და ა.შ. ბიოგრაფიულ მასალას პიროვნების დასახასიათებლად მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება, თუ იგი უჩვენებს ცხოვრებაში მის მრავალმხრივ დამოკიდებულებებს; რაც მთავარია, ბიოგრაფიულ მასალაში ეს დამოკიდებულებები იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ მასში ამოვიკითხოთ პიროვნების ხასიათის

თვისებები. ამიტომ საჭიროა ბიოგრაფიაში ვეძიოთ შედარებით უცვლელი, განმეორებადი, კონსტანტური ქცევის ფაქტები, რომელნიც შეიძლება წარმოადგენდნენ შინაგანი ინტიმური სამყაროს პროექციას.

მხოლოდ ბიოგრაფიული მეთოდით შეუძლებელია პიროვნების ხასიათის სტრუქტურის წვდომა, იგი პიროვნების კვლევის სხვა მეთოდების დამხმარე მეთოდია. როდესაც მკვლევარის მიერ პიროვნების კვლევის სხვა მეთოდებით მიღებული შედეგები ემთხვევა მისი ცხოვრების ფაქტებს—ცხოვრების მსვლელობაში დამოკიდებულებებს, ამ დამოკიდებულებებში გამოვლენილი ქცევის ფორმებსა და შინაარსს, მაშინ კვლევის შედეგები უფრო სანდოა. ჩვენ მიერ გამოყენებულ კომპლექსურ მეთოდში ბიოგრაფიულ მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი პიროვნების კვლევის დასაწყისია. ბიოგრაფიის შესადგენად მოწოდებულ სქემაში მოცემული კითხვები ძირითადში გამიზნულია ყველა იმ თვისების გამოსავლენად, რომელიც კომპლექსურმა მეთოდმა სხვა ასპექტში უფრო ღრმად და მრავალმხრივად უნდა გამოავლინოს. ბიოგრაფიის ანალიზი, როგორც მეთოდი, იძლევა ადამიანის ქცევის გენეზისის, მთელი სიცოცხლის მანძილზე განვითარების თანმიმდევრულ განვითარების სურათს, რომლის ინტერპრეტაცია ექსპერიმენტული და პროექციული მეთოდებით, კლინიკური საუბრის კითხვებით მიღებულ მასალასთან მიმართებაში შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით სწორად ვწვდეთ პიროვნების განწყობის სტრუქტურას. როგორც მის ფორმალურ, ისე შინაარსეულ მოტივაციურ ასპექტებს.

როგორც აღნიშნული იყო, სქემის საფუძველზე, ცდისპირის მიერ იწერებოდა საკუთარი ბიოგრაფია, რომელიც შეიცავს ცხოვრების გზის შემდეგ ასპექტებს: ოჯახური გარემო, პირადი ცხოვრების გენეზისი — ბავშვობის, მოზარდობის, უმაღლეს სასწავლებელში ყოფნისა და ამის შემდეგ მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოღვაწეობის პერიოდების დახასიათება, ამ პერიოდებში პიროვნების მიერ გამოვლენილი მისწრაფებების, ინტერესების, იდეალების გენეზისი; ამჟამად მისი მიღწევები, მსოფლმხედველობა-სამყაროსა და სოციალური ცხოვრების მისეული გაგება, შეფასება, მომავლის პერსპექტივები, მაგისტრალური მიზნები. ჩვენმა ცდისპირმა, როგორც ვნახეთ, თავის ცხოვრების მსვლელობისა და ამჟამად თავის მიზნების შინაარსის შესახებ ვრცელი ანგარიში წარმოადგინა. ახლა საკითხი დგება მიღებული მასალის ინტერპრეტაციისა. არსებობს ამგვარი მასალის ინტერპრეტაციის ორი გზა: ერთი სინთეზური - მთელი მასალის როგორც მთლიანის გააზრების ნიადაგზე პიროვნების სტრუქტურის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა, გარკვეული ფსიქოლოგიური პორტრეტის მოხაზვა; მეორე გზა-ანალიზური გზაა-პასუხების ცალკეული კატეგორიების ცალ-ცალკე ანალიზი, მათი ინტერპრეტაციის ნიადაგზე დამახასიათებელი თვისებების გამოყოფა იმ სახით, რომ შეიძლებოდეს ამ თვისებების გააზრება ექსპერიმენტულ და ტესტურ მონაცემებთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, ალბად, უფრო ხელსაყრელია მესამე გზა - ესაა მოცემული მასალების ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შესწავლა-მასალის მთლი-

ანი წაკითხვის შედეგად მიახლოებით მოვხაზოთ პიროვნების სტრუქტურის ძირითადი სქემა, შევიმუშაოთ პიროვნების ხასიათის შესახებ საორიენტაციო კონცეფცია. შემდეგ მასალის ცალკეული ნაწილების ანალიზის გზით გამოვყოთ პიროვნების ნიშნები, შევამოწმოთ, შევაფასოთ პიროვნების ბუნების შესახებ ჩვენი ჰიპოთეზები, და, საბოლოოდ, ვცადოთ, მთლიანი მასალის ნიადაგზე პიროვნების დახასიათება.

პირველი მთლიანი შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება გაგვიჩნდეს ჩვენი ცდისპირის ბიოგრაფიის ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად, ასეთია: აქ საქმე გვაქვს შინაგანად კონფლიქტური ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციით აღვსილ პიროვნებასთან. მას აქვს დიდი შემოქმედებითი მიზნები, მაღალი წარმატების მოთხოვნილება, ძალაც შესწევს იბრძოლოს წარმატებისათვის; ამ მხრივ მას არ აკლია ენერგია, ნებელობის პოზიტიური მხარე საკმაოდ მაღალია, მაგრამ ნებელობის ნეგატიური ასპექტი მეტად სუსტია — მას უჭირს თავისთავის დაუფლება, შინაგანი კონფლიქტების, ჭარბი ემოციების, ფსიქასთენიური შიშების, დაურწმუნებლობის შეკავება, ამიტომ მარად აღვსილია წუხილებით, მიუწვდომლობის მძიმე განცდით, შინაგანი ცხოვრების მოწესრიგების უუნარობის შეგნების გამო შეშფოთებულია, დატვირთულია უმოტივაციო შფოთვებით, სტრესულ სიტუაციაში წარმოშობილი მძიმე კონფლიქტური განცდებით. მასში თითქოს ორი პიროვნებაა — ერთი მაღალი მიზნების, მისწრაფებების, დიდი წარმატების იმედით გამსჭვალული პიროვნება, მეორე მხრივ, მასში შეჭრილია თავის ძალებში დაურწმუნებლობა, ცხოვრების შიში, შინაგანი უწონასწორობა, ემოციური ლაბილობა, ჭარბი იმპულსურობა. გვებადება შთაბეჭდილება, რომ შემოქმედებითი მიზნებისათვის ენერგიული ბრძოლის ძირითადი ბიძგი-მოტივი, სათავე უნდა ვეძიოთ მის ნიჭში, ტალანტში, რომელიც მოუწოდებს მას, მოახდინოს თავისი შინაგანი სულიერი მონაცემების, შემოქმედებითი პროცესში შექმნილი ხატების რეალიზაცია, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მის შემოქმედებაში ენერგიული მოღვაწეობა უფრო იმპულსური ქცევაა, ვიდრე ნებელობითი აქტი. მისი ბიოგრაფიისა და კლინიკური საუბრის მასალების ანალიზის შედეგად გვებადება შთაბეჭდილება, რომ პასუხები ზოგჯერ გამოხატავენ საკუთარი პიროვნების იდეალს, ხატს, და არა იმ რეალურ პიროვნებას, რასაც ეძებს კვლევის დროს ფსიქოლოგია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების დასახასიათებლად თვითხატს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მიუთითებს იმ ღირებულებების სფეროზე, რომლისკენაც ისწრაფვის პიროვნება. გვიმტკიცდება რწმენა, რომ ცდისპირის ხასიათში ძნელია ვიპოვოთ შინაგანი ლოგიკა — თუ კი იგი ნებელობის მიზნების მხრივ ნათელი და გარკვეულია (ცხოვრების გზა შემოქმედებაში უწყვეტი წარმატების გამომსახველია), მისი შინაგანი ინტიმური სამყარო, განსაკუთრებით ემოციურ-აფექტური სფერო უაღრესად იმპულსურია, შეუთანხმებელია ენერგიულ ნებელობით მოქმედებასთან, რაც იწვევს შინაგანი მთლიანობის დარღვევას, ობიექტივაციის დონეზე ცხოვრებას, ყოველივე ეს შინაგანი და ზოგჯერ გარეგანი კონფლიქტის წყაროა.

ესაა ჩვენი ცდისპირის პიროვნების შესახებ ის მოკლე სქემა, რომელიც მისი ბიოგრაფიის გაცნობის ნიადაგზე შეიძლება გაუჩნდეს ფსიქოლოგს.

ახლა ვნახოთ, რას მოგვცემს მისი ბიოგრაფიის დაწვრილებითი ანალიზი. ცდისპირმა შინაარსიანად და თანმიმდევრულად დაახასიათა თავისი ცხოვრების გზა, აღწერა ცხოვრების ყველა ფაქტი, რომელიც მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ამ მასალების ანალიზისათვის ხელსაყრელია გამოვიყენოთ დ. უზნაძის მიერ დაფუძნებული განწყობის ცნება. როგორც ვიცით, პიროვნების განწყობა ორი ფაქტორის ნიადაგზე იქმნება, - ესაა მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების შესაფერისი გარემო-სიტუაცია. პიროვნების ხასიათის ნიშნები წარმოადგენენ დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობების ერთიანობას-მთლიანობას, სტრუქტურას. განწყობის თეორიით, პიროვნების ცხოვრების გზის ანალიზისათვის აუცილებელია განწყობის ბუნების განმსაზღვრელი ამ ორი ფაქტორის გათვალისწინება. ადამიანის პიროვნების ფორმირება ხდება ცხოვრების მიმდინარეობაში, სწავლ-აღზრდის გარემოში მწიფდება და ვითარდება თანდაყოლილი თვისებები, ხდება მიდრეკილებების აქტივაცია, ახალი განწყობილების ფიქსაცია; პიროვნების ფიქსირებული განწყობების-ქცევის მოტივების, ღირებულებების განმტკიცება. ამ უკანასკნელთა შინაარსის გაგება შესაძლებელია მათი განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლის ნიადაგზე.

პირველ რიგში შევჩერდეთ ჩვენი ცდისპირის პიროვნების განვითარების განმსაზღვრელი გარემოს ფაქტორების ანალიზზე; შემდეგ კი აღვნუსხოთ ის ძირითადი მოთხოვნილებები, რომელიც აძლევდნენ იმპულსს სუბიექტს მიემართა აქტივობისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს ორი ფაქტორი არაა ერთმანეთს მოწყვეტილი. პიროვნების დასახასიათებლად აუცილებელია მათი ერთ მთლიანობაში გააზრება. სუბიექტისათვის გარემოს იმ ობიექტებს, სიტუაციებს ენიჭება მნიშვნელობა, რომელიც მისი მოთხოვნილების შესაფერისია, მას აკმაყოფილებს. გარემოში არსებობენ ობიექტები და სიტუაციები, რომლებიც იზიდავენ სუბიექტს, მისთვის ინტიმურია და, პირიქით, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც მისთვის სრულიად ან მეტნაკლებად ინდიფერენტულია. ამიტომ სუბიექტის გარემოს განხილვა ფაქტიურად გულისხმობს პიროვნების მოთხოვნილებების განხილვას. ჩვენ გარემოს ანალიზით იმიტომ ვიწყებთ, რომ ცხოვრებაში ადამიანზე ხშირად ზემოქმედებენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ არიან მისი მოთხოვნილების შესაფერისი, პირიქით წარმოადგენენ პიროვნების ნორმალური ფორმირებისათვის უარყოფით ფაქტორებს - იწვევენ რიგი უარყოფითი თვისებების ფიქსაციას-ნევროზებს, შიშებს და რიგ პათოლოგიურ ნიშნებს, რომელთა დაძლევა, კომპენსაცია სიძნელეებს უქმნის პიროვნებას გარემოში მიზანშეწონილი ადაპტაციის პროცესში. არც ეს უარყოფითი ფაქტორები არსებობენ სუბიექტური ფაქტორების-მოთხოვნილების გარეშე. ისინი არღვევენ სუსტ ორგანიზმს, სუსტი ფსიქიკის, სუსტი დადებითი მოთხოვნილებების მქონე სუბიექტებს. იმ პერიოდში, როცა ბავშვის ორგანიზმის, მისი ფსიქიკის, მოთხოვნილებების ჩამოყალიბება დასაწყის ფაზაშია მოცემული, თანდაყოლილი

ტენდენციები საჭიროებენ შესატყვის ასაკობრივ გარემოს, უარყოფითი პირობები იწვევენ უარყოფითი თანდაყოლილი ტენდენციების აქტივაციას და პათოლოგიური თვისებების სახით ჩამოყალიბებას. უარყოფით ფაქტორებში იგულისხმება ანტიპედაგოგიური გარემო, ავადმყოფობანი, რომელნიც, როგორც მძიმე პრესი, მოქმედებენ სუბიექტზე და იწვევენ მისი ნორმალური მიმართულებით ფორმირების შეფერხებას. გარემოს ზეგავლენისადმი სუბიექტს ექმნება დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, ეს დამოკიდებულება გარკვეული განწყობის სახით აისახება პიროვნებაში და გავლენას ახდენს მის ფორმირებაზე.

ამრიგად, გარემოს ფაქტორები შეიძლება იყოს ორი კატეგორიის – ერთნი აკმაყოფილებენ პიროვნების დადებითი მიმართულებით ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ მოთხოვნილებებს-ხელს უწყობენ შექმნან მასში დადებითი ფიქსირებული განწყობები და "პრესი", რომელიც სუბიექტისათვის ზიანის მომტანია, იწვევენ ისეთი განწყობის ფიქსაციას, რომელიც აძნელებს ან არღვევს ნორმალური ჯანსაღი აქტივობის უნარის ფორმირებას. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც განვითარებისათვის შესატყვისი ფაქტების, ისე მოთხოვნილებების დიაგნოზი მეტად რთულია და ძნელი; სათანადო მასალების ანალიზის პროცესში უნდა ჩავწვდეთ მათ დინამიკას, დინამიკურ ორგანიზაციას, შევაფასოთ მათი ძალა. მაგალითად, შეუძლებელია ბავშვის მიერ უარყოფით ფაქტორებზე რეაქციის ბუნების ცოდნა, თუ კი გვეცოდინება უარყოფითი ფაქტორების ძალაც. ხშირად ამისათვის მიმართავენ ამ ფაქტორების გაზომვას გარკვეული (0-დან 5-მდე) სკალის საშუალებით. ეს სკალა შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ძალა მოთხოვნილებათა ძალასთან მიმართებაში (თვით სუბიექტის შინაგანი ძალები შევაფასოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად იჩენს თავს იგი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებისადმი გამძლეობას).

პირველ რიგში შევჩერდეთ ჩვენი ცდისპირის ოჯახურ გარემოზე. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი და მასთან არსებითად დაკავშირებული მოვლენები შეადგენს პირველ ხანებში ადამიანის ყველაზე ინტიმურსა და აუცილებელ გარემოს, ბავშვის ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელია მას გარედან ეხმარებოდნენ. ეს დახმარება უნდა იყოს უწყვეტი, მყარი. ბავშვი უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას. მხარდაჭერის დაკარგვა არა თუ ბავშვებში, არამედ ზრდასრულებშიც იწვევს ფსიქიკურ ტრავმას, ამიტომ ბავშვის განვითარებისათვის ოჯახის სტრუქტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. უპირველეს ყოვლისა, დედა არის უახლოესი ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს ბავშვის ყველა ძირითად მოთხოვნილებას, იგი კვებავს და უვლის მას. თუ ოჯახი მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს ბავშვის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მასში მტკიცდება იმედი, რომ ამ სამყაროში მას აქვს მტკიცე დასაყრდენი, რაც ხელს შეუწყობს ხასიათის დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას. ბავშვის ზნეობრივი ხასიათის ფორმირებისათვის აუცილებელია ოჯახის სიმტკიცე-მშობლები უნდა იყვნენ მოწესრიგებულნი, ერთმანეთთან

სიყვარულით, მეგობრობით დაკავშირებული და მატერიალურადაც შედარებით უზრუნველყოფილნი. ნერვულ, უხეშ ოჯახში, სადაც ადვილად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, ბავშვში ადვილად ვითარდება ნევროზი. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნორმალური ურთიერთობის ოჯახში, თუ ბავშვებისადმი სიყვარული სუსტადაა გამოხატული (ან სულ არაა), ბავშვი განიცდის მხარდაუჭერლობას, რის გამოც შეიძლება განვითარდეს ნევროზი. ნევროზი შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, თუ ოჯახში ბავშვს ზედმეტად ანებივრებენ.

ოჯახის ისტორიის აღწერაში ცოლისძმა თავიდანვე ხაზს უსვამს ბებიასა და ბაბუას, აგრეთვე მისი მშობლების ხელმოკლეობას, სიღარიბეს, ბებიას, როგორც ოჯახში ნაბოლარა შვილს, მაგის მზრუნველობა ჰქონდა დავალებული, ბაბუას ბედი კი უფრო მწარე ყოფილა. ისინი ერთსა და იმავე დღეს დაღუპულან. ბაბუა კახეთში, სადაც იგი სამუშაოდ იყო წასული, ბებია კი მიწის გველის ნაკბენის გამო. ობლად დარჩენილ მამას მძიმე ცხოვრება გაუვლია. ყოფილა მოჯამაგირე, რკინიგზის მუშა, საკმაოდ ხელმოკლეობის პირობებში დაოჯახებულა და ცოლის შერთვიდან მხოლოდ 6 წლის შემდეგ შესძენია შვილი – ჩვენი ცოლისძმა. დედა ფიზიკურად სუსტი იყო, იგი ხშირად უჩიოდა ავადმყოფობას (ნერვები არ უვარგოდა). მამა კი იყო ჯანმრთელი. ცოლისძმას მამისი მეტად დინჯ, ჯანმრთელ, ყოჩაღისმეტყველ კაცად ეჩვენებოდა. მისი იდეალი იყო მამა, რომელსაც ფიზიკურ ძალასთან ერთად ახასიათებდა სულიერი წონასწორობა, სიკეთე-სიფაქიზე, გულკეთილობა. ცოლისძმა ოჯახში იყო ერთადერთი შვილი, ამიტომ იმყოფებოდა ოჯახში ყურადღების ცენტრში. ამ გარემოებას (ყურადღების ცენტრში ყოფნას) ხელს უწყობდნენ ოჯახთან დაახლოებული უშვილო მეზობლები, რომლებიც ფერებით, ფაქიზი მოპყრობით ანებივრებდნენ ბავშვს; კარგ ზნეობრივ თვისებებთან ერთად უწერგავდნენ და აძლიერებდნენ ისეთ პიროვნულ თვისებებს, რომელიც ნიშნეულია ერთადერთი შვილისათვის – ეგოცენტრიზმი, სუბიექტურობა, სენზიტიურობა, რეზისტენტობა, აფილაციის, სინტონურობის სინაკლებე, ფარული დომინანტობა და ზოგჯერ ფარული აგრესია. ოჯახში შექმნილი გარემო მთლიანში იყო კეთილი, ფაქიზი, თბილი ოჯახური გარემო ავსებდა ბავშვს მრავალი მაღალზნეობრივი თვისებით, ამავე დროს ხელს უწყობდა ერთადერთი შვილის თვისებების განვითარებასაც.

იგი დაბადებულა მძიმე მშობიარობის პირობებში (გაჭიანურებული, დამხრჩვალი), ბებია ქალმა 10-ჯერ დაიქნია ბავშვი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიყვირა ბავშვმა. იგი თავიდანვე ფიზიკურად სუსტი იყო. ბავშვობაში მას გადატანილი აქვს ყბაყურა, წითელა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა და სხვა. ქუნთრუშის გართულების გამო გაუკეთეს ყელის მძიმე ოპერაცია. ავადმყოფობებმა მას დაუტოვა საერთო ფიზიკური სისუსტე, რაც მთავარია ნევროზისადმი მიდრეკილება.

ავადმყოფობანი ითვლება ორგანიზმის შიგნითა გარეშიდ. ესაა სხეულის უუნარობა, შეუფერებლობა იმ გარემოსადმი, რომელსაც იძულებით უნდა შეეგუოს, ან იბრძოლოს მათ წინააღმდეგ. ავადმყოფობა, ოპერაციები, აგრეთვე ინტელექტუალური უმწეობა, არასრულფასოვნება, ყოველივე ეს ისეთი ფაქტორებია, რომელნიც მძიმე დაღს ასვამს ბავშვის ხასიათის ფორმირების პროცესს. შენიშნულია, რომ ხშირმა ან ხანგრძლივმა ავადმყოფობამ შეიძლება წარმოშვას ან გაამყაროს სუბიექტში მხარდაჭერის, სხვისი დახმარების ძიების ყურადღების ცენტრში ყოფნის ნევროზული თვისებები. ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი ბავშვი, რომელიც ხანგრძლივად მშობლების განსაკუთრებულ ხანგრძლივ მზრუნველობაში იმყოფება, განიცდის ერთგვარ რეგრესიას-ძლიერდება ინფანტილობის ტენდენცია. ავადმყოფობით გამოწვეული ტკივილები, ტანჯვა მცირე ბავშვში ავითარებს კაპრიზულობას; ბავშვი ხდება ბუზღუნა, ჭარბად გრძნობიერი, სუსტდება ფიზიკურად და ფსიქიკურად, რაც აძნელებს მის კონტაქტს თავის თანატოლებთან. ყოველივე ეს წარმოშობს გაუბედაობას, მორცხვობას და სხვა არასრულფასოვნების გრძნობებს. შემჩნეულია, რომ ბავშვებში, რომლებმაც გადაიტანეს მძიმე ავადმყოფობანი, ქირურგიული ოპერაცია, ადვილად ვითარდება ნარცისიზმი, სენზიტივობა. ლოგინში ხანგრძლივად წოლა ხელს უწყობს ცალმხრივ გონებრივ აქტივობას-თვითანალიზს, ეგოცენტრაციას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ შინაგანი (ვისცერალური) დაავადებანი ადამიანში იწვევს ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებებს (სხვისი დახმარების, ჭარბი მზრუნველობის მოთხოვნილება). ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაში (ავადმყოფი ბავშვის მოვლა, პატრონობა, ლოგინში წოლა და ა.შ.) მასში მტკიცდება მრავალი, ინფანტილობის გამომხატველი ფიქსირებული განწყობები, რომელთაგან ბევრი იქცევა დიდი პიროვნული ნიშნის განწყობებად-პიროვნულ თვისებებად (სენზიტივობა, ეგოცენტრიზმი, პრეტენციულობა, ინტროვერსია და სხვა). ისინი შემდგომში იქცევიან პიროვნების ქცევის მოტივებად, თავს იჩენენ გარემოსთან ადაპტაციის აუცილებელ კონკრეტულ სიტუაციაში, ან კიდევ, ქცევის შეფერხების-დეპრივაციის, კონფლიქტის პირობებში ყალიბდებიან არარეალისტურ ფიქსირებულ განწყობებად, რომელნიც განაპირობებენ უცნაური ილუზიების, სიზმრების, ზმანებების წარმოშობას, რეალობის შეფასებაში ჭარბ პროექციულობას, არაადეკვატურ ქცევას, ნევროზულ განცდებს..

ფსიქოანალიტიკოსების მიერ შესწავლილია სხვადასხვა სახის ავადმყოფობათა გავლენა ბავშვის ფსიქიკის განვითარებაზე. ეს ავადმყოფობებია ინფანტილური დაავადებები, ნერვული სიმპტომები, შფოთვა, ისტერია, ნერვული აშლილობა, ფსიქოპათიური მდგომარეობა და სხვა; სასუნთქი ორგანოების (ყივანახველა, ბრონქული პნევმონია, ასთმა და სხვა), გულსისხლძარღვთანი სისტემის, ინფექციური, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და სხვა დაავადებანი. ყველა ზემო ჩამოთვლილი დაავადება განსაკუთრებით მძიმე დაღს ასვამს სუსტ ორგანიზმს, ფიზიკურად სუსტ ბავშვს. ფიზიკური სისუსტე შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან დაბადების პირველ წლებში ავადმყოფობების გამო შე-

ქმნილი. ორივე შემთხვევაში ფიზიკური სისუსტე ხელს უწყობს ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხებებს და ინფანტილური თვისებების განვითარებას. ფიზიკური არასრულფასოვნება—პატარა ტანი, ფიზიკური ძალის, სიმკვირცხლის დაქვეითება, მოუხეშაობა (როდესაც ბავშვს უჭირს დაიცვას თავი მისი თანატოლი აგრესორისაგან), წარმოშობს კომპლექსურ განცდებს. ასეთ ბავშვს ხშირად აქვს მიუღწევლობის (ფრუსტრაციის) განცდა, რაც განაპირობებს თავისთავში ჩაკეტილობასა და ფარული აგრესიის ჩასახვასა და განვითარებას. თუ ფიზიკურ სისუსტესთან ერთად ბავშვს ახასიათებს ინტელექტუალური სისუსტე-სწავლაში ჩამორჩენა, დაბალი ერუდიცია ან კიდევ გონებრივი სიბლუნგე, არასრულფასოვნების განცდა და მასთან დაკავშირებული ნევროზული თვისებები უფრო ძლიერდება. ჩვენი ცდისპირის დაბადების პროცესი და ბავშვობის პირველი წლების გარემო შეიცავდა ისეთ პირობებს, რომ მასში ჩასახულიყო როგორც მაღალზნეობრივი თვისებები, ისე ფიზიკური და ფსიქიკური სისუსტე, კერძოდ არასრულფასოვნების კომპლექსური განცდებისადმი მიდრეკილება. მისი ასაკობრივი გარემოს დახასიათებისას საჭიროა ხაზი გაესვას ისეთ ფაქტორებსაც, რომელსაც შეიძლება მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მისი ხასიათის ფორმირებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ცდისპირის გარემო, რომელშიც იგულისხმება მისი ოჯახი და ახლო მეგობრები, უფრო წარმოადგენდა ბავშვში სიცრუის, ადილაციის ჩამნერგავ გარემოს. ასეთ გარემოცვაში იგი გრძნობდა მხარდაჭერას, ოჯახი მისთვის იყო საიმედო დასაყრდენი, რაც მასში ბრმა რწმენას და ხელს უწყობდა დადებითი კომუნიკაციური თვისებების განვითარებას. ამავე დროს, ხშირმა ავადმყოფობებმა, ფიზიკურმა სისუსტემ, ერთადერთი შვილის მდგომარეობაში ყოფნამ მძიმე გავლენა მოახდინა ბავშვის პიროვნების სტრუქტურის გენეზისზე. მშობლები ცდილობდნენ შეექმნათ მისთვის, მათი გაგებით, შესაფერისი ასაკობრივი გარემო. მშობლებისა და ახლობლების მიერ შექმნილი გარემო მართლაც ხელს უწყობდა მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩასახვას. მისი ბავშვობის და ჭაბუკობის ასაკში ჩვენ ვერ ვპოულობთ ისეთ ფაქტორებს, რომელთაც შეეძლოთ რაიმე სულიერი ტრავმა მიეყენებინათ მისთვის, მაგრამ თავიდანვე უკვე სენზიტიურ არსებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ცხოვრების ისეთი ფაქტები, როგორებიც, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოა. მაგალითად, ოჯახში თუ მისი მამა იყო წინასწორი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, დედა, პირიქით, ხასიათდებოდა ფიზიკური სისუსტით, ნერვულობით, იგი ხშირად ავადმყოფობდა. ცდისპირმა განიცადა სკოლაში ფიზიკურად სუსტი ბავშვის ბედი. პირველ ხანებში საჭირო შეიქნა მასწავლებლის ჩარევა, დახმარება, რომ დაეცვა იგი აგრესორი მოსწავლეებისაგან, შემდეგში იგი თავდაცვისა და საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებას ახერხებდა კარგი სწავლით, გულკეთილობით, ადილაციური ქცევით, სწავლაში სუსტი მოსწავლეებისადმი დაუზარებელი დახმარებით.

ბავშვობაში ჩვენი ცდისპირი ბევრჯერ მოხვედრილა ისეთ სიტუაციებში,

რომელსაც განიცდიდა როგორც საფრთხეს, რომელიც მის სიცოცხლეს ემუქრებოდა (რკინიგზის ლიანდაგზე ან ვიწრო ბილიკზე გადასვლა). ასეთ პირობებში იგი დახმარებას ეძებდა, ავადმყოფობის გამო მას ორჯერ მოუხდა სკოლის დატოვება, რამაც გამოიწვია თავის თანატოლებისაგან ჩამორჩენა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგი იზრდებოდა მშრომელ და პატიოსან ოჯახში, რომელიც მეტწილად განიცდიდა ხელმოკლეობას. ბავშვს ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა ბავშვობის ხანისათვის დამახასიათებელი სურვილები (სათამაშოები, გართობა და სხვა). რაც უფრო შეიძლება გამხდარიყო შინაგანი უკმარისობის, მძიმე დამცირებულობის, უგულებელყოფის ან ფარული აგრესიის წყარო.

ყოველივე ამის გვერდით, უფრო მეტი სიძლიერით მოქმედებდნენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მისი პიროვნების დადებითი მიმართულებით ჩამოყალიბებას. მას ადრე აღმოაჩნდა მხატვრობისადმი მიდრეკილება, რომელიც წარმოადგენდა ნამდვილ თანდაყოლილ ნიჭს და არა ყველა ბავშვისათვის გარკვეულ პერიოდში დამახასიათებელ ხატვით თამაშს. სკოლის გარეთ, სამხატვრო სასწავლებელი, ბოლოს სამხატვრო აკადემია-მასწავლებლები, პროფესორები, რომლებიც მუშაობდნენ ამ დაწესებულებებში, წარმოადგენდა ისეთ კულტურულ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა მისი ტალანტის გაშლას და მაღალი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას; სასკოლო და ჭაბუკობის ასაკში, აგრეთვე ზრდასრულებულობის პერიოდში. ის, თუ როგორ განიცდიდა იგი ზემოთ აღნიშნულ გარემოს, რამდენად ეგებოდა მას, როგორი იყო მისი აქტიური ადაპტაციის თვისებურება თავის საცხოვრებელ პირობებში, უკვე დამოკიდებული იყო იმ მოთხოვნილებებისა და ფიქსირებული განწყობების თვისებურებებზე, რომლებიც მასში ყალიბდებოდნენ ამ ქვეყნად მისი მოსვლის დღიდან.

როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მხოლოდ პიროვნების ფორმირებაში მონაწილე შესატყვისი ან ნეგატიური გარემოს ფაქტორების ცოდნა სრულიად არაა საკმარისი პიროვნების განწყობის სტრუქტურის თვისებურების დასადგენად. ამისათვის აუცილებელია იმ მოთხოვნილებების შესწავლა, რომლებიც შესატყვის სიტუაციებთან შეხვედრის ნიადაგზე იქცევიან ქცევის წარმმართველ განწყობებად-დიდი პიროვნული ღირებულებების ფიქსირებულ განწყობებად. ეს უკანასკნელნი შეიძლება არსებობდნენ არარეალიზებული განწყობების სახითაც.

ახლა ვნახოთ, რა სახის მოთხოვნილებები იყო ნიშნეული ჩვენი ცდისპირისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილებების ცალკე გამოყოფა მხოლოდ ანალიზის – მთლიანიდან ნაწილის აბსტრაქციის შედეგია.

გავარჩიოთ რა სახის დადებით ან უარყოფით სუბიექტურ დამოკიდებულებებს ავლენს ცდისპირი ოჯახის წევრებისადმი, აგრეთვე ოჯახთან დაახლოებული ადამიანებისადმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლებისადმი მისი დამოკიდებულება. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ცდისპირის სიტყვები, რომლებიც შესანიშნავად ცხადყოფენ ბავშვის ოჯახის წევრებისადმი დამოკიდე-

ბულებას. დედა მეტად სუსტი შესახედაობის ქალი იყო, ხშირად უჩიოდა ამა თუ იმ ავადმყოფობას, მესმოდა ხოლმე, ნერვები არ მივარგაო, სამაგიეროდ მამა უჩვეულოდ ჯანმრთელი და ღონიერი მეჩვენებოდა, ყოვლისშემძლე. ასეთი იყო იგი ჩემს წარმოდგენაში და ახლაც ვაჟკაცი კაცის ნიმუშად ვთვლი მას. იმ ტანმორჩილ კაცს არაჩვეულებრივად ფაქიზი, მგრძნობიარე გული ჰქონდა.. მამის ასეთი ხასიათის გამო იგი მე (და არა მარტო მე) სიგიჟემდე მიყვარდა. დაახლოებით ასეთსავე დამოკიდებულებას ავლენს იგი არა მხოლოდ დედოსადმი, არამედ მისი კეთილი მეგობრებისადმი. ასეთივე სიმპათიით აღავსე-იგი თავისი მფარველი პირველი მასწავლებლებისადმი როგორც ცეკვაში, ასევე სამხატვრო სასწავლებლისა და სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებისადმი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას თავიდანვე ჰქონდა გამოხატული პიროვნების (ეგოს) იდეალი. მან ასეთ იდეალად გაიხადა მასზე ასაკით უფროსი მამაკაცები - მამა, მასწავლებელი, (რომელიც ხშირად მამის მაგიერია), ასეთი იდეალის ზეგავლენა დადებითად მოქმედებდა მის ზნეობრივ განვითარებაზე, სოციალურ გარემოში შეგუებაზე (სოციალიზაციაზე), ავითარებდა აფილაციას და წარმატებისადმი მიდრეკილებას, მაგრამ ბავშვობაში უფროს ადამიანებში ტრიალი, მათ ყურადღების ცენტრში ყოფნა ავითარებდა ეგოცენტრულობასაც. პირველი გამოხატული მოთხოვნილება, რომელიც მიცემულია ჩვენს ცდისპირში, ესაა აფილაცია შერწყმული ეგოცენტრულობასთან. ასეთ ამბივალენტურ მდგომარეობას აძლიერებდა ფიზიკური სისუსტის ნიადაგზე წარმოშობილი სხვების დახმარების ძიების, შინაგანი სისუსტის, ნაკლოვანების, დამცირებულობის ტენდენცია, რომელსაც კომპენსაცია ხდებოდა საკუთარი ტალანტის დემონსტრაციით, რითაც იგი ახერხებდა ყურადღების ცენტრში ყოფნას.

შევჩერდეთ უფრო ვრცლად აფილაციის, როგორც მოთხოვნილებისა და შემდეგ ფიქსირებული განწყობის თავისებურებაზე. ამ თვისების ფიქსაციას ხელს უწყობდნენ მის ირგვლივ მყოფი ადამიანები: მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, აფილაცია თანდათანობით მტკიცდებოდა სამხატვრო სასწავლებელში და აკადემიაში კეთილისმსურველი მასწავლებლების ზეგავლენით, აგრეთვე იმ ბავშვების გავლენითაც, რომელნიც მან თავის მიმართ დადებითად განაწყო სწავლაში დახმარების მეშვეობით. მაგრამ თანდათანობით აფილაცია, როგორც მეგობრობის კეთილი ნების გამოვლინებები, შეერწყა სხვა თვისებებს, მაგალითად, დახმარების ძიების ტენდენციას (სიტყვიერი პროტექციის გამწევი უფრო ძლიერი ადამიანების მიმართ - მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, აგრეთვე თანატოლები). მასში შემუშავებული აფილაციის განწყობა ავითარებდა ზემდგომი ადამიანებისადმი მოწიწებას, ავტორიტეტისადმი პატივისცემას (ასიამოვნოს უფროსებს, მეგობრებს, ხელმძღვანელებს), მზადყოფნას თანამშრომლობისა და დათმობისადმი. ამასთან არის დაკავშირებული მისი ერთგვარი კონფორმულობაც (დათმობა, მაამებლობა, კეთილსმყოფელი ავტორიტეტისადმი, მინდობა, სურვილი იყოს ერთგული და შემსრულებელი).

აფილაცია ბავშვობის დროს მასში თავს იჩენდა (ისე როგორც ეს ხდება

ყოველ ბავშვში) საჭირო შემთხვევაში დახმარების მიღების მოთხოვნილების სახით; მაგალითად, ტირილი, რომ სწრაფლი მისცეს დედას, დაეხმაროს მას, გამოიწვიოს მისი სიმპათია, ე.წ. ანაკლიტიკური სიყვარული. ეს თვისება გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაიზარდოს, განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციად (უფროსთა ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში კი განავითარებს ფარულ შურის ან პროტესტის ძიების მოთხოვნილება). ჩვენი ცდისპირის ტრანსვესტიზმისა და ცხოვრების გზის ანალიზი ადასტურებს, რომ მისი ხასიათის განვითარების ხაზი სწორედ ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციის, ერთგვარი ეგოცენტრიზმის მიმართულებით განვითარდა და განმტკიცდა.

ამ შემთხვევაში სხვებისაგან დახმარების მიღების ფიქსირებული განწყობა აღმოცენდება და უკავშირდება ფიზიკური თუ მორალური ზიანის თავიდან აცილების ჭარბ ტენდენციას. მკვლევრები ამ ჯგუფში ათავსებენ ყველა სახის "შიშურ" რეაქციებს მოულოდნელ ცხოველების მიმართ—ტკივილების გამომწვევი ან შიშის მომგვრელი მდგომარეობები, ფიზიკური საფრთხისაგან განრიდების, გაუბედაობის, მორიდებულობის, შიშის ნევროზები, ფობიები და სხვა. ცდისპირში განვითარებული ფიზიკური არასრულფასოვნების გრძნობა იწვევდა ფიზიკურად ძლიერი თანატოლებისაგან განრიდებას, გაურბოდა სპორტს. როგორც ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, ჩვენს ცდისპირს ჰქონდა ისეთი პერიოდებიც, რომ მასში განვითარებულიყო შემდეგ აღნიშნული თვისებები; ცდისპირში ფობიები განვითარდა მხარდაჭერილობის მდგომარეობიდან, რომელიც დაბადების პროცესში მიღებულ ტრავმებთან იყო დაკავშირებული, ან კიდევ ბავშვობისას ისეთ მოქმედებებთან კავშირში, რომელიც მისთვის ძნელი, მიუღწეველიც კი იყო (მაგალითად გადახტომა, სადმე აღვილებში სიარული და სხვ.). როგორც აღვნიშნეთ, ცდისპირის დაბადება იყო მეტად მძიმე. გადაიტანა მძიმე ავადმყოფობები, სკოლაში სწავლისას იგი თავის თანატოლებთან შედარებით უმცროსი იყო და თანაც ფიზიკურად სუსტი და ა.შ. ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, ვავიგოთ, თუ რამ განაპირობა ბიჭური გარეგან სტიმულებზე და შინაგანი სოციალური ტკივილების მიმართ შიშები და იპოქონდრიული ჩივილები. ამჟამად მას უჩნდება შიშის განცდა უცნობ ხალხში – "ბრბოში" მარტო დარჩენის დროს. ასეთ პირობებში იგი მოითხოვს ახლობლებისაგან მხარდაჭერას. ახლაც, ფარულად თუ გამოვლენილად ახასიათებს მას ჭარბი სიმორცხვე მორიდებულობა. ამ თვისებასთან დაკავშირებულია ცდისპირისათვის დამახასიათებელი ბრალეულობისაგან თავის არიდების ჭარბი ტენდენცია, (სექსუალურ საკითხში თავიდანვე შეზრდილი მორიდებულობა, პრიმიტიული იმპულსების შეკავება, ამ იმპულსებისადმი დამოკიდებულება, სექსუალური ცდუნების უარყოფა, თვითკონტროლი, ეთიკური კონტროლი, სინდისის ქენჯნის კონფლიქტები, ჭარბი მგრძნობელობა შენიშვნების, ცილის, საზოგადოების, სოციალური ჯგუფის მიერ გაკიცხვის მიმართ, დანაშაულის გრძნობა, დანაშაულის აღიარება, ამის ნიადაგზე შინაგანი კონფლიქტები.

ცრისპინს შეუძლია კონტროლი გაუწიოს თავის ასოციალურ იმპულსებს, იცხოვრის კულტურული გარემოს მოთხოვნის დონეზე, ამრიგად, სოციალურ გარემოსთან მიმართებაში მასში ჩამოყალიბებულია ე.წ. "სოციალური ხასიათი", რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს როგორც თავის შინაგანი კონფლიქტური არსის, შინაგანი სისუსტის ჭარბი კომპენსაციით.

ავტობიოგრაფიის ანალიზი ადასტურებს, რომ ასეთი კომპენსაციის ტენდენციის საფუძველზე ცრისპინში განვითარდა რიგი თვისებებისა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენისათვის. ეს თვისებებია-მიღწევის-წარმატების, დომინანტობის, აღიარების, გაგების, წესრიგის, ავტონომიის, შენახვის, აქტიურობის, რომელიც მოქმედებაში დაჟინებულობისა და ინტენსივობის სახით იჩენს თავს (მხოლოდ ამ ინტენსივობას ხშირად აკლია ენთუზიაზმი, პათოსი), ემოციური ლაბილობა, ქცევითი რიგიდობა, რომელშიც შეფარულია ვარიაბილობა.

ამრიგად, ცრისპინს გააჩნია პიროვნების თვისებად ქცეული ფიქსირებული განწყობები, რომლებიც, მიუხედავად მასში შეფარული წვრილმანი ნიშნებისა, მას აქცევენ სრულყოფილ, შემოქმედ, საზოგადოებრივ პიროვნებად.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით მისი ამ თვისებების სრულ დახასიათებაზე, მათ მნიშვნელობაზე პიროვნების განწყობის სტრუქტურაში. ბიოგრაფიული მასალები აშკარად მიუთითებენ ამ თვისებების არსებობაზე; სხვა მეთოდები, კითხვარები, პროექციული ტესტები, ალბათ მოგვცემენ ისეთ მასალებს, რომლებიც უფრო ნათლად გაარკვევენ მათ ბუნებას. აქ მხოლოდ ზოგად ხაზებში მივუთითებთ, მისი ცხოვრების რომელ ფაქტებში უნდა ვეძიოთ აღნიშნული თვისებების არსებობა.

პირველ რიგში აღსანიშნავია ცრისპინისათვის დამახასიათებელი მიღწევის მოთხოვნილება, რომელიც განსაკუთრებული სიმკვეთრით მჟღავნდება თანდაყოლილი სპეციალური ნიჭიერების ნაყოფში-მხატვრობაში. შემოქმედების მოთხოვნილების და შესაფერისი გარემოს (მშობლების დახმარება, სამხატვრო სკოლა) ერთიანობის ნიადაგზე მასში განვითარდა და განმტკიცდა რიგი სპეციფიკური განწყობები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მაღალი პიროვნული დონის მქონე ღირებულებებისადმი; შინაგანი მისწრაფების რეალიზაციას იგი ახდენს დიდი ენერგიით; მაღალი ღირებულებებისადმი სამსახურის განწყობასთან დაკავშირებულია ერთგვარი დომინანტობა, უპირატესობის ტენდენცია (მას დიდი მიღწევების გამო აქვს უფლება უპირატესობისა), თვისებად ქცეული აღიარების წყურვილი, რომელიც ჩანს მისი სწრაფვიდან-გამოსამზეურის, გამოფინოს თავისი ნამუშევრები. იგი უაღრესად ცნობისმოყვარეა. ეს უმთავრესად ეხება ინტელექტუალურსა და ესთეტიკურ ღირებულებებს. თავის სახელოსნოში მის მუშაობაზე დაკვირვება გვიდასტურებს, რომ მას ახასიათებს აკურატობა და თანამიმდევრობა ქცევაში, რომელსაც ზოგჯერ არღვევს მასში შეფარული წვრილმანი ვნებები. იგი უაღრესად აქტიურია (ამას ადასტურებს მისი ნამუშევ-

რების სიმრავლე), მისი მოქმედება ინტენსიურია და ენერგიული. მხოლოდ მასში შეჭრილი შინაგანი კონფლიქტების, ჰიპოქონდრიის და მელანქოლიის გამო მის მოქმედებას ხშირად აკლია ენთუზიაზმი.

ავტობიოგრაფიაში ნათლად ჩანს, რომ მისთვის ნიშნეულია ემოციურობა-ჭარბი ემოციური აგზნებადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წონასწორობის დარღვევა, უძილობა, სომატიკური სიმპტომები და სხვ. ქცევის რიგიდობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მისი ჩვეული ეთიკის, ზნე-ჩვეულების, დღის წესრიგის დადგენილი მოქმედების დარღვევა, მკვეთრი გადანაცვლება მასში შეიძლება იწვევდეს შინაგან კონფლიქტებს, ემოციურ ლაბილობას, მელანქოლიას.

ავტობიოგრაფიაში მრავლადაა ისეთი მასალა, რომლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი პიროვნების სხვა თვისებებზეც, ან ვცადოთ აღნიშნული თვისებების გარკვეული მიმართულებით ინტერპრეტაცია; ამის კარგი მაგალითია ბავშვობაში მისი ინტერესი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის "ჩვენი ქვეყნის რაინდისა" და მისი თვითონ მიერ შესრულებული ამ მოთხრობის ილუსტრაციებისადმი, კერძოდ, სპირიდონ მცირიშვილისადმი დიდი პატივისცემა, რაც შეიძლება მიუთითებდეს ფიზიკური სისუსტის, დამცირებულობის გრძნობის, ჭარბ კომპენსაციაზე ამ ნაწარმოებში, ფარული აგრესიის პროექციაზე. ამავე კატეგორიისაა მისი აღტაცება "მგლის ნუკრის ნაამბობის" სიუჟეტისადმი. ამ ფაქტის ილუსტრაციამ შეიძლება მიგვიყვანოს მოსაზრებამდე, რომ მასში ბავშვობიდან შემუშავდა მოთხოვნილებები, რომელიც ე.წ. "ომის თემის შინაარსს წარმოადგენს". ასეთივეა სკოლის ბავშვებთან თამაშის დროს მისი ექსცენტრიკული ქცევა. იგი ყველასაგან მოულოდნელად გადავლება მაღალ ღობეს, რასაც მისგან არავინ მოელოდა, რამაც თვით მასწავლებლების განცვიფრებაც გამოიწვია, ყოველივე ეს ალბათ ძლიერების, დომინანტობის, თავის პრესტიჟის ამაღლების იმპულსის ბიძგით გამოწვეული მოქმედებაა, რომელსაც საფუძველი აქვს კომპენსაციის მექანიზმში.

ავტობიოგრაფიიდან ზემოთ მოყვანილი მაგალითები საბოლოოდ უნდა იქნენ განხილული კითხვარების, ფიქსირებული განწყობის მეთოდის და პროექციული ტესტების მონაცემებთან მიმართებაში. ჩვენ აქ მხოლოდ მოცემული მასალის ანალიზის ძირითად მიმართულებაზე მივუთითებთ, რომელიც უნდა აწარმოოს ფსიქოლოგმა პიროვნების ბიოგრაფიის შესწავლის შედეგად.

მართალია, ნაადრევად მიგვაჩნია (სანამ კვლევის დანარჩენი მასალები არაა განხილული) ბიოგრაფიული ცნობების ანალიზის ნიადაგზე მიღებული შედეგები მოვიყვანოთ მიმართებაში სუბიექტის ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგებთან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზერელე დაკვირვებაც კი საკმარისია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მათ შორის არის არსებითი მიმართება, დაბალი აგზნებადობის ვარიაბილურ-ლაბილური, ლოკალური განწყობის სუბიექტს სწორედ ამგვარი ცხოვრების გზა და სულიერი შინაარსი შეესატყვისება.

## კლინიკური საუბრის მეთოდით მიღებული კვლევის შედეგები

ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა მთლიანად მოვიტანოთ კლინიკური საუბრის მეთოდით მოპოვებული მასალა. მოვიყვანთ მხოლოდ კვლევის იმ შედეგებს, რომლებიც ეხებიან პიროვნების ემოციურ-ნებელობითი სფეროების დისპოზიციებს და ღირებულებათა ორიენტაციებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კლინიკური საუბრით პიროვნების კვლევა შემდეგ პრინციპს ემყარება. პირველ რიგში ვცდილობთ ექსპერიმენტული გზით ვწვდეთ პიროვნების სტრუქტურის ფორმალურ ასპექტს – პიროვნების სტრუქტურის სქემას. შემდგომ კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით ვსწავლობთ ხასიათის შინაარსეულ-მოტივაციურ მხარეს. ბიოგრაფიულ მეთოდში მოცემული კითხვების უმრავლესობა სხვადასხვა ასპექტში მეორდება კლინიკური საუბრის პროცესშიც – საუბრის მიზანია გამოვარკვიოთ პიროვნების მიმართულობა (მისწრაფებების, მიდრეკილებების, ინტერესების სოციალური განცდების თავისებურება) და ამ გზით დავადგინოთ შედარებით მყარი პიროვნული თვისებები-დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები, აგრეთვე არარეალიზებული განწყობების რაგვარობა. ვგულისხმობთ, რომ ამ სახის განწყობები წარმოადგენენ პიროვნების ხასიათისეული ქცევის მოტივაციის საფუძვლებს. პიროვნების თვისებების დიდი პიროვნული წონის განწყობების ქცევაში გამოვლენის თავისებურება დამოკიდებულია ისეთი ორი სახის ფუნდამენტურ დისპოზიციაზე, როგორიცაა ტემპერამენტი (ემოციის დისპოზიცია) და ნებელობა პიროვნების თვისებებზე; ქცევის თავისებურების მოტივაციურ საფუძველზე რეალური წარმოდგენის შესამუშავებლად აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ემოციური დისპოზიციის ფონზე მიმდინარეობს პიროვნების სოციალური ქცევა, ე.ი. როგორია პიროვნების ტემპერამენტი.

პიროვნების ტემპერამენტის დასახასიათებლად ჩვენ ვიყენებთ ფსიქოლოგიაში ყველაზე პოპულარულ სქემას, რომელიც მომდინარეობს ჰიპოკრატედან, რომლის ნერვულ-ფიზიოლოგიური საფუძველი საკმაოდ დამაჯერებლობით დადგენილია პავლოვისა და მისი სკოლის წარმომადგენლების მიერ.

ჩვენი ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად დადგენილია გარკვეული სანდო მიმართება ტემპერამენტის ტიპსა და ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის. საუბრის კითხვები ტემპერამენტის ზემოთ აღნიშნულ კონცეფციაზეა აგებული.

ტემპერამენტის თავისებურებათა საკვლევად მოწოდებული კითხვებიდან პირველი ასეთია: ადვილად, მცირე საბაბით იწყებთ ღელვას, ადვილად გიჩნდებათ სიხარული, აღტაცება, თუ ამისათვის ძლიერი გამღიზიანებელია საჭირო? საუბარი გრძელდება შემდეგი მიმართულებით. მცირე დაბრკოლებები იწვევს თქვენში ღელვას, თუ პირიქით, ხართ მშვიდი, აუღელვებელი? პასუხი: მე ძალიან ადვილად მიჩნდება შემაწუხებელი გრძნობა; სახლიდან, რომ სად-

ღაც უნდა წავიდე, ეს უკვე შემაწუხებელია ჩემთვის. მოგახსენებდით, როგორ მიყვარს მუსიკა, მაგრამ მე რამდენი წელიწადია, რაც თეატრში არ ვყოფილვარ, იმიტომ, რომ სახლიდან გასვლა მიჭირს, ვფიქრობ, მაღელვებს, რომ უნდა წავიდე, დავჯდე, იქ შეიძლება ცუდად გავხდე, უეცრად გავხდები ცუდად. ასეთი განწყობით რომ მივდივარ, ესეც საკმარისია... აი, როგორი ვარ მე. კითხვა: ამასთან დაკავშირებით მითხარით პატარა რამ გეწყინებათ, ისე, რომ იტყვიან "დაქრის", და შემდეგ დიდხანს გრძებათ ეს წყენა თუ, პირიქით, მალე თავისუფლდებით ასეთი განცდებისაგან (?) პასუხი: სახლის გარეთ მე ძალიან არ განვიცდი. დავუშვათ ქუჩაში ვინმემ შემაგინოს, ასეთი არ ყოფილა, მაგრამ თუ მოხდება, მოვითმენ; სახლში ადვილად ვღიზიანდები, შემაწუხებელ მოვლენებს მწვავედ განვიცდი, მაგ., ბავშვმა რაღაც ტრავმა მიიღო, ან რაღაც ისე არ გააკეთა, როგორც საჭირო იყო და სხვა ასეთი წვრილმანები საკმაოდ ძლიერ მაღიზიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთებს მძიმედ განვიცდი, ვცდილობ, არ გამოვამჟღავნო, ვახერხებ კიდეც ამას, მინახავს შემთხვევები, როცა ადამიანი აფეთქდება ხოლმე ერთბაშად, მე ასეთი რამ არ მემართება; ყოველთვის თავდაჭერილი ვარ. თუმცა შიგნით ძლიერ მაწუხებს. ეს თავდაჭერა, შეკავება ძვირად მიჯდება. მე რომ ასეთი ავადმყოფი გავხდი, ეს ბევრი თავშეკავების ბრალია... ბევრ რამეს ვითმენ ხოლმე... გარეგნულად მშვიდი ვარ, შიგნით კი... კითხვა: ამგვარი განცდები მძლავრად გიპყრობთ, ხანგრძლივია, მოუშორებელი, თუ ზერელე და ხანმოკლეა? პასუხი: ამას წინათ ნაშუადღევს დარეკა ტელეფონმა. მე ნამძინარევი, მაშინვე ყურმილი ავიღე, გისმენთ მეთქი, ვიღაცას სახელი თქვა, ბელას თხოვეთ. ძალიან ხშირად აკეთებენ ასე, ვითომ სხვის ოჯახში ხვდებიან... ჩვენ გავიგეთ ბელას ტელეფონის ნომერი გავიგეთ მისიდან, ვინც ბელას ურეკავდა და მთ ვაცნობეთ... მიუხედავად ამისა, მაინც მერ-რება ეს ამბავი... საშინლად ავღელდი, მოთმინებიდან გამოვედი, ვფიქრე ვიღაც სასაცილოდ მიგდებს თქო, გამიხშირდა და მომიმატა წნევამ, ამიჩქარდა მაჯისცემა... კარგა ხანს გასტანა ამ მდგომარეობამ... ვერაფრით ვერ დავიწყნარე თავი. კითხვა: თქვენი ფიქრით, ის ვიღაც განზრახ აკეთებდა ამას, განზრახ გაღიზიანებდათ, თუ ტელეფონის ხაზის გაუმართაობის მიზეზით იყო ეს გამოწვეული? პასუხი: ამის დასაბუთება მე არ შემიძლია, ერთი და იგივე ხმა, გაუთავებლად ერთი და იგივეს იძახის, რა უნდა ვიფიქრო... მეუბნებიან სხვასთანაც არის აგრე, ამას არ უნდა აყვეო...

კითხვა: ადვილად იცვლით თუ ძნელად საცხოვრებელ ადგილს, სამუშაოს, ამხანაგს, საგნებს? (საუბარი მიმდინარეობს ძირითადი კითხვის ირგვლივ) ხშირად ხომ არ გეცვლებათ ინტერესები, შეგიძლიათ თუ არა სწრაფად მოიცილოთ ძველი ჩვეულებები, შეითვისოთ ახალი იდეები, შეეგუოთ ახალ ადამიანებს? ცვალებადი ხომ არ ხართ ადამიანის მიმართ დამოკიდებულებებში. პასუხი: მე მეორედ გამოვიცვალე საცხოვრებელი ადგილი. ბორჯომში გავატარე ბავშვობა, მერე აქ ჩამოვედი. ეს არ განმიცდია მწვავედ, პირიქით, მე

ეს მიხარია... უფრო ადამიანებთან დაშორებამ მატკინა გული. მერე ამ 30 წლის წინ ამ უბანში გადმოვსახლდი, ამან დიდი სიხარული მომიტანა, იმიტომ, რომ აქ ისეთ პირობებში ვიყავი, რომ ნახევარმა ქალაქმა იცოდა ჩემი გაჭი-რვება, რა თქმა უნდა, ახალმა ბინამ დიდი შვება მომცა. სამსახურში (ვმსა-ხურობდი სამხატვრო აკადემიაში უფროს მასწავლებლად) ყველასთან კარგი ურ-თიერთობა მქონდა... მერე აღარ მიმსახურია... სკოლაშიც ვმსახურობდი, იქაც ყველასთან კარგად ვიყავი. ჩემი ინტერესები, ჩემი ძირითადი საქმიანობის მიმართ არ შეცვლილა, არც ჩემი ნაცნობ ადამიანთა წრე შეცვლილა.

ემოციური ცხოვრების თავისებურებების გამოსარკვევად ჩვენ დამატებით ვსვამთ კიდევ ერთ კითხვას: შეგიძლიათ თუ არა მძიმე განცდების გარეშე ერ-თი საქმიდან მეორეზე გადასვლა-გადანაცვლება? პასუხი: შემიძლია დიდი შე-წუხების გარეშე. ეს არ იწვევს ჩემში კონფლიქტებს. მე ისეთ ოჯახში ვცხო-ვრობდი, სადაც სრულიად ხალხი ნაკლებად შეიძლება ყოფილიყო. მამა უბრალო კაცი იყო; ოჯახის ახლობელი ადამიანები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან სტუმ-რად, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. მე სახლში ერთი პატარა კუთხე მქონდა. ხშირად მიხდებოდა მუშაობის მიტოვება, მაგრამ საქმის შეწყვეტი-სას დიდი წუხილი არ მიპყრობდა. მიჩვეული ვიყავი, ახლაც არ გამიჭირდება ამას [illegible].

ცდისპირის ეს უთუოდ გულწრფელი პასუხები ნათლად მეტყველებენ მისი ტე-მპერამენტის თავისებურებებზე, რა ემოციური დისპოზიციის ფონზე მიმდინარე-ობს იმპულსური და ნებელობითი ქცევა. ადამიანის ტემპერამენტის თავისებუ-რებებზე ძვირფას ინფორმაციას იღებს კლინიკური საუბრის პროცესში ცდის-პირის გამოსახულებით მოძრაობებზე, მეტყველებაზე, კითხვებისადმი ემოციურ დამოკიდებულებებზე დაკვირვების საშუალებით.

ტემპერამენტის ცნება ასახავს პიროვნების ემოციური სფეროს აგზნებადო-ბის ინტენსივობას, სასიამოვნო და უსიამოვნო ემოციებისადმი მიდრეკილებას, ემოციური აგზნებადობის და თავშეკავების უნარს შორის დამოკიდებულების თა-ვისებურებას, ერთი სახის განცდიდან მეორე სახის განცდაზე გადანაცვლების უნარს. ყველა ეს პიროვნების თანდაყოლილი, შედარებით მყარი კონსტიტუციური თვისებებია, რომლებიც განუყრელად თანსდევენ პიროვნების ცენტრალურ თვი-სებათა კომპლექსის ქცევაში გამოვლენას; ტემპერამენტის თავისებურებები მაღალ კორელაციაშია პიროვნების ხასიათისეული ქცევის განმსაზღვრელი გან-წყობის სტრუქტურასთან. ჩვენ ვნახეთ, რომ ცდისპირის პიროვნულ თვისებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიღწევის, წარმატების აღიარების, ფარული დომინანტობისა და მასთან შერწყმული აფილაციის სოციოფილიის თვი-სებებს. პიროვნების ტემპერამენტის მახასიათებლები მიუთითებენ იმაზე, თუ პიროვნების აქტივობა, მიზნისათვის ბრძოლა, თვითგანმტკიცების, თვითდამკ-ვიდრების ტენდენციათა გამოვლენა, რომელიც გულისხმობს წინააღმდეგობების დაძლევას, სოციალური ადაპტაციის სიძნელეების გადალახვას, რა სახის ემო-ციების ფონზე მიმდინარეობს; ცნობილია, რომ მიზნისათვის ბრძოლაში წარ-

მატება, თუ წარუმატებლობა სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანში განსხვავებულ ემოციურ განცდებს აღძრავს, რაც ქმნის პიროვნების აქტივობის სტილს. შემოქმედებითი აქტივობა შეიძლება მიმდინარეობდეს აგზნებული, დისკოლიური, პესიმისტური, ასთენიური ემოციის ან პირიქით, წონასწორი, ევკოლიური, ოპტიმისტური, პათეტიკური და ენერგიით აღსავსე განწყობილების ფონზე, აქ ადგილი შეიძლება ჰქონდეს მრავალ განსხვავებულ ,,ვარიანტს". ემოციურობა, რომელიც ტემპერამენტის გამოვლენას წარმოადგენს, გავლენას ახდენს პიროვნების გარემოსთან აქტიური ადაპტაციის ყოველი სახის აქტივობაზე, დაწყებული ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებისადმი ანგარიშის გაწევიდან, დამთავრებული მაღალი, სოციალური ღირებულებისადმი ბრძოლის დროს საჭირო ნებელობის აქტივობით.

ჩვენი ცდისპირის ტემპერამენტს, ცნობილი კლასიფიკაციის მიხედვით, ვერც ერთ ტიპს ვერ მივაკუთვნებთ. იგი უფრო შერეული ტემპერამენტის ადამიანია, რაც ემთხვევა მისი პიროვნების განწყობის სტრუქტურას, ვარიაბილურ-ლაბილურ განწყობას. შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო იხრება შერეულ ქოლერიკულ-მელანქოლიკური ტემპერამენტის ტიპისაკენ. განსხვავებულ საცხოვრებო სიტუაციებში იგი ავლენს ტემპერამენტს, რომელშიც ჭარბობს ხან ქოლერიკული, ხან კი მელანქოლიკური ტემპერამენტი. ცენტრალური მიზნების, გაბატონებული თვისებების ნიადაგზე მოქმედების დროს ცდისპირის ემოციური ცხოვრება უფრო სთენიურია, აგზნებული, ენერგიულია, რომელშიც შეჭრილია მელანქოლიის ელემენტები (დისკოლიურ-პესიმისტური ემოციები, შინაგანი პათოსის ნაკლოვანება), წარმატების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თავისი ჩანაფიქრის, შემოქმედების პროცესში წარმოქმნილი წარმოსახვის ხატების ობიექტივაცია, მხატვრულ ღირებულებად მათი ქცევა მოითხოვს სთენიურ განცდებს, ქოლერიკულ ტემპერამენტს — აგზნებული, შეუკავებელი, მოუსვენარი, დისკოლიური ემოციის ფონზე მიმდინარე ემოციურ განცდებს; მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ცენტრალური მამოძრავებელი იმპულსები, რომლენიც აზრს, შინაარსს აძლევენ მის ცხოვრებას — მეორე პლანზეა, ეს ტენდენციები ნაკლებად აქტიურია; ყოველდღიური ოჯახური, საყოფაცხოვრებო საქმიანობის დროს თავს იჩენს მელანქოლიკური და ქოლერიკული ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნები — მძაფრი ემოციურობა, იმპულსურობა, ემოციურ-აფექტური ცხოვრების შეკავებისათვის დიდი ენერგიის ხარჯვა, ძლიერი აგზნებულობა. უმნიშვნელო გარეგანი ფაქტორი ცდისპირში იწვევს გუნების მერყეობას, შეშფოთებას, სულმოკლეობას, პანიკას, გადაჭარბებულ სიფრთხილეს, მერყეობას, ანუ ყოველივე იმას, რაც ნიშნეულია მელანქოლიკურ-სენზიტიურ-შიზოიდური ტემპერამენტის ადამიანისათვის. ცდისპირის ემოციური აგზნებადობა, რომელიც უფრო ასთენიური აფექტის სახით იჩენს თავს, შეიძლება გამოწვეულ იქნეს სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნორმალური შეგუებისათვის აუცილებელი მოქმედებებით. ცდისპირის მწვავე ჰიპოქონდრიული განცდები, ავადმყოფობის, სიკვდილის, ფსიქიკური აშლილობის შიშები, კოშმარები, ჭარბ ემოციურ აგზნებადობასთან დაკავშირებული ყველა

ზემოთ აღნიშნული სიმპტომი ხშირად შეკავებულია; იგი, მართალია, ახერხებს შინაგანი უწონასწორობის დაფარვას, დაძლევას, მაგრამ ამისთვის საჭიროება ნებელობის ენერგიის ჭარბი ხარჯვა, ეს კი იწვევს გადაქანცვას, აპათიას, შემოქმედებაში პაუზის, ენთუზიაზმის შენელებას.

ამრიგად, ჩვენი ცდისპირის ტემპერამენტის არსებითი ნიშნებია–მაღალი ემოციური აგზნებადობა, ციკლოიური ემოციები, პესიმისტური განცდების სიჭარბე. ჩვენი ცდისპირის აქტივობის პროცესი ზოგადად ამგვარი ემოციებით არის გამსჭვალული, მაგრამ მხატვრული შემოქმედების პროცესში, როცა წინა პლანზეა მაღალი ღირებულებებისადმი სამსახურის მზაობა, მაშინ აგზნებადი, ციკლოიური ემოციები რეგულირებულია, შერწყმულია პიროვნებაში გაბატონებულ–ცენტრალურ თვისებებთან და ხელსაც კი უწყობენ აქტიურ შემოქმედებით მუშაობას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პიროვნება, მეცნიერული, მხატვრული შემოქმედების პროცესში ახერხებს თავისი პოზიტიური ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას, მთელი შესაძლებლობების ერთი მიმართულებით კონცენტრაციას, ხელისშემშლელი თვისებების, კერძოდ, სულიერი უწონასწორობის, მელანქოლიის, შინაგანი კონფლიქტების, პათოლოგიური სიმპტომების დამორჩილებას, საკუთარი თავის მართვას. რა თქმა უნდა, პიროვნების თვისებები გარკვეულ ასახვას პოულობენ შემოქმედებაში–შემოქმედება ძირითადში წარმოადგენს შემოქმედის სულიერი ცხოვრების, მისი ძირითადი მიმართულების პროექციას. მაგრამ ეს პროექცია არაა მთლიანად პიროვნების კონტროლს გარეშე დარჩენილი, იგი ერწყმის შემოქმედის მე–ს იდეალს, და ამ ადგილის ემოციურ–აფექტური აკომპანიმენტის სახითაა მხატვრულ შემოქმედებაში წარმოდგენილი.

ცდისპირის ტემპერამენტში ჩვენ ვერ ვამჩნევთ სხვა რაიმე განსაკუთრებულს. ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში იგი არაა რიგიდული, ერთ ქცევაზე მიჯაჭვული; მოქმედებაში გადანაცვლება არ იწვევს მასში მწვავე კონფლიქტებს, პირიქით, ამ მხრივ მისი ემოციები, გარემოსთან კარგად შეგუებული ადამიანის ემოციებს უფრო მიგვაგონებს. ცდისპირის ემოციური ცხოვრების ამგვარი "ლოგიკა", ჩვენი აზრით, გასაგებია იმ ცენტრალური ფაქტორის გათვალისწინების ნიადაგზე, რომელიც აერთიანებს და გასაგებს ხდის მის დისპარატულ–ერთმანეთის საწინააღმდეგო პიროვნულ თვისებათა თანაარსებობას, მრავალი განსხვავებული (დისპარატული) თვისების ერთიანობას, შეიძლება ითქვას, მთლიანობასაც.

საუბარი გრძელდება. მას შემდეგ, რაც გაირკვა ჩვენი ცდისპირის მოთხოვნილებების, ინტერესების, მისწრაფებების ბუნება, მათი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ხასიათის რიგი თვისებები, და ცდისპირის სოციალური ქცევის ემოციური (დისპოზიციური) ფონი, ჩვენს წინაშე დგება პიროვნების ნებელობის თავისებურებათა შესწავლის საკითხი. როგორც აღნიშნული იყო, ნებელობა სპეციფიკურ-ადამიანური ფუნქციაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი სახის მიზანშეწონილი სოციალური ქცევა. იგი ცნობიერი მოტივით გამყარებული ქცევაა და გარკვეული ცნობიერი მიზნის მიღწევას ემ-

სახურება. ნებელობის მექანიზმი მეტად რთულია, მისი აქტივობა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებების, ფიქსირებული განწყობების სტრუქტურის თავისებურებასთან. ნებელობის სიმტკიცე და სისუსტე არა მხოლოდ ნებელობის აქტივობის ფორმალური მხარეა, არამედ გამოხატავს პიროვნების შინაგან სამყაროს - მის მიმართულებას-ღირებულებათა სისტემის რაგვარობას, მათ ინტენსივობას, ცხოველმყოფელობას. ამიტომ პიროვნების ნებელობის თავისებურებების განხილვა პიროვნების სხვა მაგისტრალური თვისებების გათვალისწინების გარეშე არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ჩვენ შევჩერდებით ნებელობის მხოლოდ ფორმალურ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეზე.

განწყობის ფსიქოლოგიის თეორიით, პიროვნების ქცევა ორი დონისაგან აიგება - იმპულსური და ობიექტივაციის დონე. იმპულსური ქცევისათვის სპეციფიკურს პირველ რიგში მისი უშუალობა შეადგენს; სუბიექტი, ისევე როგორც მისი აქტები, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული, იმდენადვე როგორც ეს ცხოველისთვისაა დამახასიათებელი. მარტივ სიტუაციებში ადამიანი შეიძლება მიზანშეწონილად მოქმედებდეს იმპულსური ქცევის დონეზედაც. მაგრამ გაჩნდება თუ არა დაბრკოლება, იმპულსური ქცევის პროცესი შეიძლება შეჩერდეს და მაშინ, - დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ-მისი აქტუალური რგოლი, რომელიც ქცევის მიმდინარეობის პროცესში პირველად პოულობს თავის ფსიქიკურ ასახვას, შეიძლება პრაქტიკული ქცევის აქტთა უწყვეტი ჯაჭვიდან გამოვარდეს და საგანგებო დაკვირვების საგნად გადაიქცეს, ობიექტად, რომელზედაც ჩვენს შემეცნებით ფუნქციებს მივმართავთ, მისი ასახვის იმდენად ნათელი და დეტალური ფორმის მისაღებად, რამდენადაც ეს შეჩერებული ქცევის მიზანშეწონილი დასრულებისათვისაა საჭირო[4]... ეს, სპეციფიკური აქტი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას გამოჰყოფს, შეაჩერებს და დაკვირვების საგნად, დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს, შეიძლება ობიექტივაციის აქტის სახელწოდებით აღინიშნოს"[5].

განწყობის მოქმედების ობიექტივაციის პლანში გადასვლა გულისხმობს აზროვნების აქტივაციას. აზროვნება ობიექტივაციის ნიადაგზე წარმოებული ფსიქიკური აქტივობაა, რომელიც აღძრული თეორიული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამ თეორიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ობიექტივაციის დონეზე) მუშავდება ახალი განწყობა, რომლითაც ეს თეორიული მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილოს'. "ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განწყობასთან, რომელიც არა აქტუალური მოთხოვნილების და სიტუაციის ნიადაგზეა აღმოცენებული, არამედ მეორადს, ასე ვთქვათ, წარმოსახული მო-

---

4 დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ტ. VI, 1977, გვ. 238.

5 დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ტ. VI. თბილისი, 1977, გვ. 138-139.

თხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე. ცალკე შემთხვევაში სუბიექტს სატანდო საკითხი და მისი გადაჭრის სიტუაციის წარმოდგენა უჩნდება, რაც მასში სრულიად გარკვეული შინაარსის განწყობას აღძრავს. აზროვნების თითოეული დამოუკიდებელი აქტი ამ განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება და, მაშასადამე, მისი რეალიზაციის ცალკე შემთხვევას წარმოადგენს"[6]. ამრიგად, დ. უზნაძის მიხედვით, აზროვნება ობიექტივაციის პირობებში წარმოჩნდება, ასე ვთქვათ, თეორიული ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება, მაგრამ ეს ამოცანა საბოლოოდ მაინც პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის მსახურად არის განკუთვნილი: "ობიექტივაცია ყოველივე საქმის გართულების თუ ამოცანის გაძნელების შემთხვევაში იჩენს თავს და აზროვნების აქტები მის ნიადაგზე მიმდინარეობენ. როგორც კი გადაწყდება საკითხების რიგი თუ ცალკეული საკითხი, რომელიც ჩვენს აზროვნებას ამოძრავებს, სუბიექტის წინაშე ახალი ამოცანა დგება, ამოცანა ინტელექტუალურად გადაწყვეტილი საკითხის პრაქტიკულად განხორციელების, მისი მიხედვით პრაქტიკული ქცევის გაშლისა, სხვანაირად: როცა სუბიექტი პრაქტიკული ამოცანის წინაშე დგება-მან ქცევის აქტს უნდა მიმართოს, რომელიც თეორიული შედეგის სრულ პრაქტიკულ განხორციელებას მოგვცემდა. საკითხი ახლა ობიექტივაციის პლანიდან აქტუალურ პლანში გადართვას ეხება. სუბიექტის წინაშე ამოცანა დგება: რაც მიზანშეწონილად სცნო, მისი განხორციელება მოახერხოს - მოკლედ ნებისმიერი აქტი შეასრულოს", განწყობა, რომელიც ობიექტივაციის პლანში გაჩნდა, ნებელობამ უნდა აქციოს აქტუალურ განწყობად; "ნებელობის უშუალო ამოცანას სწორედ ეს საქმე შეადგენს, მეორე პლანზე შემუშავებული განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს, რათა იგი ნამდვილ ძალად იქცეს განცდილ, ძალად, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს"[7]. ნებელობის ამგვარი მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნებისათვის დამახასიათებელ მოთხოვნილებებსა და დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებთან, რომლებიც წარმოადგენენ ნებელობითი ქცევის მოტივაციის საფუძველს. ნებელობის ამ ფუნქციის გამო ადამიანის ქცევაში ორი მიმართულებით იჩენს თავს. 1) რამდენად შეძლებს პიროვნება ინტელექტის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული მიზნებისათვის (თეორიული თუ პრაქტიკული იქნება ეს მიზანი) ბრძოლას, ამ მიზნებისათვის მოქმედების აქტუალური განწყობის შინაარსად ქცევას (ნებელობის პოზიტიური მხარე); 2) რამდენად შეძლებს იგი დაბრკოლების გადალახვას და ასეთი აქტივობის პროცესის წარმომშობი შინაგანი ბარიერების, სუბიექტური ფაქტორების - მობეზრება, შიში, დაღლა, სტრესები და სხვა, დაძლევას (ნებელობის ნეგატიური მხარე), ჩვენი კლინიკური საუბარი სწორედ ამ მიმართულებით წარმოებს; პირველ რიგში მოკლედ მოვხაზოთ ცდისპირის პა-

----------

6 დ.უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ტ. VI. თბილისი, 1977, გვ. 162.

7 იქვე.

სახეების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები.

თავდაპირველად ცდისპირს ვეკითხებით, გაგაჩნიათ თუ არა შორეული მიზნები და მასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები? პასუხი: – ჩემთვის შორეული და ახლობელიც მომდინარეობს საერთო მიზნიდან... ჩემი შორეული მიზანია მხატვრობაში წარმატება, ბავშვობიდან მომდევს ეს მიზანი. ამისათვის ყველაფერს ვაკეთებ; ამ საერთო მიზანში არის კონკრეტული მიზნები... უნდა დავხატო სურათი: მეფე ერეკლეს ყოფნა სიღნაღში. იგი გვიყვება უახლოესი და შორეული მიზნების შესახებ, მოჰყავს კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითები. შემდეგ საუბარი გადაგვყავს მისი შემოქმედებითი მუშაობის წარმმართველი ძირითადი კონცეფციის საკითხებზე, ცდისპირის მსჯელობა ასეთია – "მე დაინტერესებული ვარ ვუჩვენო ადამიანის განცდები – პორტრეტში ჩანდეს ადამიანის სულიერი სამყარო; ბუნების სურათებში ჩანდეს განწყობილება-სევდიანი, მინორული თუ მაჟორული... ეს ძალზე რთულია, შეიძლება ეს ჩემს ძალ-ღონესაც აღემატებოდეს... ვანო სარაჯიშვილის სურათი ამის ნათელი ილუსტრაციაა. აქ მე ადამიანის შინაგან სამყაროს გამოვხატავ ფრიად დამახასიათებელ, არაშესატყვის გარემოში. სურათში მომაკვდავი ვანო სარაჯიშვილი მღერის, რეალურად ასეთი ქცევა–მომაკვდავი ადამიანი იწვეს და მღეროდეს, ძნელად წარმოსადგენია, რამდენი წვალება, მხატვრული ხერხების ძიება დამჭირდა, რომ ეს სიტუაცია დამაჯერებლად გამომეხატა. ამ სურათით მე გადმოვცემ დიდ სევდას... აქ ნაჩვენებია ზაქარია ფალიაშვილის ღრმა მწუხარება (მას ცრემლებიც კი მოერია), აქვე არიან ბავშვები, რომლებსაც არ ესმით არსი და უხარიათ, რომ ვანო სარაჯიშვილი მღერის... ხედავთ რა სირთულეა? აი, ამ პრობლემას ვეჭიდებოდი... მე განზრახული მაქვს დავხატო "სასაფლაო". პირველად თქვენ გიმხელთ ამას. "საღამოა, ძალიან სუსხიანი... ღამდება, შვილის საფლავთან დედა ზის, რომელიც ამ გარემოებას (სუსხს, ღამდებას) არ განიცდის, იგი თავის ღრმა სევდაშია ჩაძირული, ყოველივე ამის გამოხატვა მეტად სათუთი და რთულია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს მოვსინჯო... აი, ამგვარია ჩემი პრობლემები. ისე ცხოვრებისეული ყოველდღიური პრობლემებიდან მთავარია ჩემი სახელოსნო, რომელიც ცოტა დაზიანებულია და მინდა შევაკეთო...

ცდისპირის ნებელობის ბუნების გასაგებად ვსვამთ დამატებით კითხვას: როგორია თქვენი შინაგანი დარწმუნებულობა? გყოფნით თუ არა ძალა დასახული მიზნის მისაღწევად? პასუხი: ყოველთვის ნაკლები ძალა მგონია ჩემში, ვიდრე ეს ნამდვილად არის – ხშირად ყოფილა, რომ ახალი საქმის დაწყებისას ვყოყმანობდი, მეშინოდა, ვკანკალებდი, ვფიქრობდი, რომ ვერ გავაკეთებდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამიკეთებია... ჩემი ცხოვრება ძალიან დაღდასმულია ჩემი ავადმყოფობით. მაგ., გარეთ გამოსვლის შიში, სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ არა მაქვს საკუთარი ძალების რწმენა, მაგრამ ვინმეს ძალით რომ წავუყვანივარ, მაგალითად სოსოს (გულისხმობს პროფესორ იოსებ ბჟალავას, მის მკურნალ ექიმსა და მეგობარს),

ჩავრთულვარ საქმეში; მიგრძვნია, რომ მაქვს მეტი ძალა, ვიდრე მე მეგონა... ალბათ ძალიან კარგია, როცა ადამიანს უფრო მეტი ჰგონია თავისი თავი, ვიდრე ნამდვილად არის.

შემდეგი ჩვენი კითხვა ეხება ნებელობის ნეგატიურ მხარეს: შეგიძლიათ თუ არა საკუთარი სურვილების შეკავება? რომელი სურვილის შეკავება გიჭირთ? პასუხი: შეკავების უნარი მაქვს. ჩემი საცხოვრებო სურვილები ზოგადად შეზღუდულია, ბევრი მათგანი შეკავებულია; მათ ზღუდავს ჩემი გონება, ცდისპირს მოჰყავს მაგალითი, რომელიც ეხება სურვილს, გადააკეთოს სახელოსნო, იგი ამბობს: სახელოსნო რომ უფრო ფართო გახდეს, მისი გაუმჯობესებაა საჭირო. ოჯახის წევრები ამის წინააღმდეგნი არიან. მე ვთმობ ამ სურვილს. ოჯახში ძალიან თავშეკავებული ვარ გარეგნულად, შიგნით, რა თქმა უნდა, მწვავედ განვიცდი. საშინელი გულისცემა მაქვს, წნევა ამიწევს, თითქმის მაკანკალებს, მაგრამ გარეგნულად სიმშვიდეს ვინარჩუნებ. შეიძლება ყველამ ვერ შენიშნოს ეს, თუ ჩემს გაფითრებას ან გაწითლებას არ მიაქცია ყურადღება; არის წუთები, როცა ამას ვერ ვითმენ და ვვარდები პანიკაში, ვცდილობ შევიკავო თავი, მაგრამ მაინც წამომცდება ხოლმე-მიშველეთ, მიშველეთ... მამშვიდებენ, ხან გამიწყრებიან, წამალს მომიტანენ... აი, ასეთ წუთებში ვეღარ ვიმორჩილებ თავს.

გადაწყვეტილების გამოტანის დროს თქვენი განცდები როგორია, გაქვთ თუ არა შინაგანი დარწმუნებულობა, რომ რაც გადაწყვიტეთ, მისი შესრულება შეგიძლიათ? თუ იჭვი გეპარებათ საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცეში? ამ საკითხზე ჩვენ შორის იმართება ვრცელი საუბარი. საუბრის შედეგად ირკვევა, რომ გადაწყვეტილების მიღება ჩვენი ცდისპირისათვის მტკივნეული პროცესია, მაგრამ როცა გადაწყვეტს, მას შემდეგ შეუძლია აქტიური მოქმედება ("მე ისეთ დიდ საქმეს არ გადავწყვეტ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია"). ერთხელ ვერ მოვზომე ჩემი გადაწყვეტილების შესრულების შესაძლებლობა: გადავწყვიტე ამ სახლის აშენება... მე ყველაფერი ვერ გავითვალისწინე მაშინ და ძალიან გამიძნელდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს საქმე მაინც გავაკეთე... როცა რაიმეს გადავწყვეტ, უკან დახევა არ მიყვარს, თუ ეს, რა თქმა უნდა, არ აყენებს წყენას და ზიანს სხვა ახლო ადამიანს.

მაშ, თქვენ შეგიძლიათ დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლა? პასუხი: დაბრკოლებებიცაა და დაბრკოლებებიც. შეიძლება გადაულახავი იყოს იგი, მაშინ უგნურება იქნება მასთან ჭიდილი.

ირკვევა, რომ ჩვენ ცდისპირს ნებელობის პოზიტიური მხარე, ნებელობის მიზნებისათვის ბრძოლა, გადაწყვეტილების შესრულების პროცესში წარმოშობილი დაბრკოლებების გადალახვა არ უძნელდება, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მას შესწევს ძალა იმოქმედოს მიზნის მისაღწევად. ნებელობის აქტის სიძნელეები მხოლოდ მისი ნეგატიური ფუნქციის შესრულებაში იჩენს თავს. გადაწყვეტილების აქტის თავისებურების შესასწავლად ჩვენ მას ისევ ვუსვამთ ასეთ კითხვას: ყოველდღიური აქტების, საქმეების შესასრულებლად

ხომ არ გიხდებათ გადაწყვეტილებების გამოტანა? პასუხი: მე ტიპიური სუსტი ვარ, ეს ყოველთვის მიშლიდა ენერგიულ საქმიანობას, მიუხედავად ამისა, მაინც ვდგები ღამით და ვმუშაობ, თუმცა დიდი წნევაც მაქვს, მაგრამ ,მეორე დილას მაინც ჩემს კალაპოტში ვარ.

კითხვა: თუ გადაწყვეტილების შეცვლა საჭიროა, მაშინ როგორ იქცევით? პასუხი: ჩემი მუშაობის სფერო ძირითადად მხატვრობით განისაზღვრება, ამ სფეროში კი გადაწყვეტილების მიღება და შეცვლა ხშირადაა საჭირო (მოჰყავს მაგალითები); ისეთი გადაწყვეტილებები, რომელნიც მხატვრობის სფეროშია საჭირო, ადვილად სრულდება, ზოგჯერ სრულიად დაუზარებლად, დიდ ნაშრომს მოვხსნი მთლიანად და ახალს დავიწყებ. კითხვა: როგორ ეპყრობით საკუთარ ქცევას–ნამოქმედარს მას შემდეგ, როცა იგი დამთავრებულია? ფიქრობთ, აანალიზებთ, ჯავრობთ, წუხხართ ქცევის შედეგზე? მისი პასუხებიდან ჩანს, რომ მას აქვს ასეთი წუხილები: ცხოვრებაში ჰქონია შემთხვევა, როცა აგრესორის მიმართ გამოუყენებია ა.წ. ვერბალური აგრესია, რის გამოც ახლაც ნანობს. მაგრამ ძირითადში იგი თავშეკავებულია, ცდილობს, რომ მისი მოქმედება ყოველთვის აწონდაწონილი იყოს ("მე ძალიან თავშეკავებული ვარ, აწონდაწონილად ვფიქრობ, ამიტომ ისეთს არ ჩავიდენ, რომ შემდეგ ვინანო").

იმის გამოსარკვევად, თუ რა მიმართებაშია მოვალეობის ნიადაგზე მიმდინარე ნებელობითი ქცევა მის ინტიმურ მოთხოვნილებებთან, დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებთან, ჩვენ მას ვაძლევთ შეკითხვას: "ხშირად ხომ არ გაქვთ განცდა, რომ თქვენ აკეთებთ იმას, რაც აუცილებელია, რაც სავალდებულოა, თუმცა იგი არ გიყვართ და უსიამოვნებასაც კი გგვრით? პასუხი: რამდენიც გნებავთ, ეს ბევრ რამეს ეხება, მაგალითად, სამუშაოს, რომელსაც ვასრულებ იმის გამო, რომ ვიცხოვრო, რომ ჰონორარი მივიღო (საკითხი ეხება ისეთ დასკვნებს, რომელნიც მას შემოქმედებით სიხარულს არ ჰგვრის), ასეთ საქმეში მე მშველის ჩემი მოთმინება.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კითხვები უმთავრესად ეხება პიროვნების ნებელობის ფორმალურ მხარეს, კერძოდ იმას, თუ როგორია ჩვენი ცდისპირის ნებელობის პოზიტიური და ნეგატიური მხარე–რამდენად ახერხებს იგი თავის მიზნებისათვის ბრძოლას, დაბრკოლებების გადალახვას, შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობების დაძლევას და, საერთოდ, როგორ ავლენს იგი ნებელობის პროცესისათვის დამახასიათებელ განცდებს. ამ გზით შეიძლება ვნახეთ იმას, თუ რამდენად ახერხებს სუბიექტი ობიექტივაციის დონეზე მოქმედებას, –ინტელექტუალური აქტით არჩეული მიზანშეწონილი ქცევის განმსაზღვრელი განწყობის (იდეურ სფეროში შემუშავებული განწყობის) ფიქსირებული განწყობებისა და მოთხოვნილებების სფეროში ჩართვას, მის აქტუალურ განწყობად გადაქცევას და გონების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული მიზნებისათვის შესატყვისი განწყობის ნიადაგზე მოქმედებას.

პიროვნების ნებელობის ამ მიმართულებით შესწავლის პროცესში ბუნებ-

რიგია მკვლევრის წინაშე დადგეს საკითხი: პიროვნების ნებელობის მამოძრავებელი დიდი პიროვნული ძალის ფიქსირებული განწყობების იმ კატეგორიების შესახებ, რომელნიც პიროვნებაში მოცემულია სხვა გაბატონებულ თვისებებთან ერთად და ახასიათებს პიროვნების საერთო მიმართულებას, რომლის დაღით აღბეჭდილია პიროვნების ქცევა-ესაა ძირითადი ღირებულებების სისტემაში შემავალი თვისებები.

საუბრის პროცესში თანდათანობით გამოიკვეთა ცდისპირის ნებელობითი ქცევის ძირითადი შინაარსი, მაგრამ ამ საკითხების კიდევ უფრო ღრმად გასაშუქებლად ჩვენ მას დამატებით ვკითხეთ: დაასახელე თქვენი მიზნებიდან ის სამი მიზანი, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია; პასუხი: კარგი სურათები დავხატო, მეორე, რომ ეს კარგი სურათები მხოლოდ ჩემთვის კი არ იყოს კარგი, არამედ მოსწონდეს სხვებს და მესამე, რაც შეიძლება მეტხანს ვიყო მხნედ, მეტხანს ვუყურო ამ ქვეყანას. კითხვა: ეხლა ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შეკითხვა, პირადად თქვენთვის კი არა, არამედ, საერთოდ, ადამიანისათვის, რა მიგაჩნია ყველაზე ღირებულად? პასუხი: საერთოდ ადამიანისათვის? პირველი—პატიოსნება, ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს; მეორე ისეთ საქმეს აკეთებდეს, რომელიც მხოლოდ მის პირად მოთხოვნილებას კი არ აკმაყოფილებდეს, არამედ სხვასაც, სხვისთვისაც კარგი იყოს. მესამეს ცდისპირი ვერ ასახელებს. კითხვა: რა არის ის სამი რამ, რაც თქვენ გინდათ ასწავლოთ, ჩაუნერგოთ თქვენს უახლოეს ადამიანებს? პასუხი: ჩემს შვილს პატარაობიდანვე ვეუბნებოდი, ვინც გინდა იყავი, გინდა დალაქი, გინდა აკადემიკოსი, მთავარია იყავი ადამიანი. აი, ეს ძირითადი მისწრაფება ადამიანში მთავარია, მე ვგულისხმობ—პატიოსნებას, შრომას.

ჩვენი აზრით, მიღებული მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ცდისპირის ხასიათის სტრუქტურის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეზე, როგორიცაა პიროვნების ნებელობის დინამიკა. ამ მასალის საფუძველზე შეგვიძლია საკმაო დამაჯერებლობით გამოვყოთ მისი ნებელობის თვისებურებები – პირველ რიგში მიუთითოთ ნებელობითი ქცევის საფუძვლებზე, როგორიცაა პიროვნების მიმართულება, მისი ცხოვრების მიზნები, მისწრაფებები, სოციალური იდეები, ინტერესები, რომელთა განხორციელებისათვის უნდა იბრძოლოს პიროვნების ნებელობამ. გარდა აღნიშნულისა, შესაძლებლობა გვეძლევა გავარკვიოთ, გააჩნია თუ არა პიროვნებას ისეთი მოთხოვნილებები და ფიქსირებული განწყობები, რომელნიც გონების მიერ მიზანშეწონილად მიღებული ქცევის ადეკვატური არიან, ე.ი. შეგნებული მიზნები ჩართულია თუ არა პიროვნების ღრმა ფენებში ფიქსირებულ განწყობათა სისტემაში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ნებელობის, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ მხარეს, ადვილად, კონფლიქტების გარეშე შეასრულოს თავისი ამოცანა.

როგორც ირკვევა, ჩვენს ცდისპირს გააჩნია შორეული მიზნები, ეს მიზნები მჭიდრო კავშირშია მთელი მისი ცხოვრების მანძილზე განმტკიცებული მისი წარმატების, მიღწევის განწყობასთან, რომელიც კონკრეტულად თავს

იჩენს შემდეგში: მიაღწიოს წარმატებას მხატვრობაში, სრულყოს ამ მიმართულებით ოსტატობა და მოახდინოს თავის შესაძლებლობათა სრული რეალიზაცია. აქ მისი შექმნილი მიზნები ემყარება მოტივაციის საფუძვლებს-მოთხოვნილებებს და ფიქსირებულ განწყობებს. სწორედ ამიტომ აქტივობის ამ სფეროში მისი ნებელობის, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ასპექტების ფუნქციობა ყოველთვის წარმატებით მიმდინარეობს. ცრისპინის პიროვნების ყველაზე მთავარი თვისებაა, როგორც ამას თვითონ ხაზს უსვამს, საკუთარი თავის სრულყოფა, მაღალი ზნეობრიობა-პატიოსნება, სინდისი, ჭარბი სენზიტივობა, ამავე დროს ფარული დომინანტობა, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია, რომელიც შერწყმულია სოციოფილიასა და აფილიაციასთან; ყოველივე ეს იმპულსს აძლევს ნებელობას, რომ მისი პოზიტიური მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდეს. თავის ყველაზე საყვარელ, ინტიმურ სფეროში ენერგიული შემოქმედებითი მუშაობის დროს ჩვენ ცრისპინს არა აქვს შესამჩნევი შინაგანი დაბრკოლებები, ამიტომ, როგორც ეს მისი პიროვნების სხვა ასპექტების კვლევის დროსაც დადასტურდა, მას აქვს თავის სულიერ სამყაროში ისეთი სფერო, სადაც სუფევს სრული კონიუქტივობა (ურთიერთშეწყობა), სადაც ნებელობის მიზნები, მოვალეობის ნიადაგზე მიმდინარე ქცევა შეწყობილია მის ყველაზე ინტიმურ პიროვნულ შინაარსთან-ღრმა პიროვნული წრის ფიქსირებულ განწყობებთან. აღნიშნულის დამადასტურებელია ის, რომ სახვითი ხელოვნების სფეროში მას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, ცრისპინის მხატვრული ტილოები აღბეჭდილია დიდი ენერგიით, ნებისყოფით. ამ სფეროში მას ყოფნის შინაგანი ძალა დასახული მიზნის მისაღწევად. შეუძლია ისეთი სურვილების შეკავება, რომელიც ხელს უშლის ნებელობის მიზნებისათვის ბრძოლას, ადვილად გამოაქვს გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების შესრულების პროცესში შეუძლია დაბრკოლებების გადალახვა, მას ძალუძს სურათი, რომელიც მისი თვალსაზრისით არ გამოხატავს ჩანაფიქრს, გააუქმოს, თავიდან დახატოს. აქტივობის ამ სფეროში მისი ქცევის მიმდინარეობა უფრო "იმპულსური" ხასიათისაა, მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა, თუ როგორ მოიქცეს და შეძლოს ინტელექტის მიერ ობიექტივაციის დონეზე მიღებული მიზანშეწონილი მოქმედების შესატყვისი განწყობის შემუშავება-ასეთი განწყობა ნებელობის პლანში იქცა აქტუალურ განწყობად. ამის შემდეგ ასეთი განწყობის ნიადაგზე გაშლილი პიროვნების მოქმედება ენერგიული და პლასტიკურია. რა თქმა უნდა, ასეთ ქცევას უფრო მეტად თან ახლავს მელანქოლიკური ტემპერამენტის ნიშნები-მიუღწევლობის, სულიერი ენერგიის უკმარისობის განცდა, დაურწმუნებლობის შიშები, ემოციური ლაბილობა, გუნება-განწყობილების მერყეობა და სხვა მელანქოლიკური ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი განცდები, რომელშიც შეჭრილია ემოციური აგზნებადობის შეკავების სიძნელე, მაგრამ პიროვნებაში გაბატონებული მიღწევის, დომინანტობის და მასთან შერწყმული სხვა სოციალურად ღირებული თვისებების ფონზე ასეთი ტემპერამენტით განსაზღვრული

იმპულსურობა ძირითადში მოწესრიგებულია; პიროვნება მოქმედების ამ სფეროში ძირითადში თავისთავს დაუფლებულია.

ცრისპირის პიროვნების განწყობის სტრუქტურის ვარიაბილობა თავს იჩენს ყოველდღიური ცხოვრების სფეროში. აქ თითქოს ნებელობის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტი მეტად შესუსტებულია. მისთვის დამახასიათებელი იმპულსურობა, მწვავე შიშები, იპოქონდრიული განცდები, ფსიქასთენიური დაუწმუნებლობა, აფექტურობა და სხვა იმ კატეგორიის ფსიქიკური ფენომენები, რომელნიც უფრო მეტად მელანქოლიკური ტემპერამენტის უარყოფითი ნიშნების გამწვავებას, შეიძლება ითქვას, პათოლოგიურ გადახრებს იწვევენ, ხშირად იჭრებიან მის ცნობიერებაში და წარმოშობენ მწვავე შინაგან კონფლიქტებს. ჩვენი ცრისპირი ამას მწვავედ განიცდის. მან კარგად იცის თავისი იმპულსურობის შესახებ–აღწერს მას, არც მალავს, ებრძვის კიდევაც; ნებელობას უხდება დაძაბული მუშაობა მათ შესაკავებლად, ეს კი ხშირად იწვევს დეპრესიას, გადაქანცვას, მოთენთილობას. ემოციურ–აფექტურ სფეროში პესიმისტური ტენდენციების შეჭრა მეტად ამძიმებს მის ყოველდღიურ ცხოვრებას; არც მისი ახლობელი ადამიანებისთვისაა ამ თვისებათა ქცევაში გამოვლენა ადვილად ასატანი, მაგრამ ეს ტენდენციები მისი პიროვნების სტრუქტურაში მაინც ასრულებს გარკვეულ როლს–იგი ეხმარება მას შემოქმედების შინაარსის ორიგინალური სტილის შემუშავებაში. ცრისპირის ტემპერამენტის აღნიშნული თვისებებით აღბეჭდილია მხატვრის ბევრი ნამუშევრის თემატიკა, აგრეთვე მისი შემოქმედების შორეული მიზნებიც. შინაგანი კონფლიქტები, განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობის გამო მასში ფიქსირებული არარეალიზებული განწყობები, რაც მწვავე განცდათა კომპლექსების (მიუღწევლობის, დამცირებულობის, ფარული დომინანტობის, ავტონომიის და სხვა) წყაროს წარმოადგენენ, მხატვრის პიროვნებას უბიძგებს ისეთი თემების დამუშავებისაკენ, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის შინაგან ცხოვრებას – მის მარტოობას, უმწეობას, ჩვენ სამყაროში ადამიანის სიცოცხლისათვის მყარი დასაყრდენის არარსებობას. დიდი შემოქმედებითი შრომა, ენერგიის ხარჯვა, მიღწევები ამაოა, ისეთი მარადიული, გადაულახავი ბედისწერის წინაშე, როგორიცაა სიკვდილი; ცრისპირში დაბუდებული ჰიპოქონდრიულობა, მელანქოლია, დიცკოლიური ემოციები წარმართავს მის არჩევანს, ეძიოს ისეთი თემები, რომლებიც ეხება ამ მტკივნეულ მარადიულ პრობლემას. ჩვენ სხვაგან კიდევ შევეხებით საკითხს, თუ რამდენადაა ჩვენი ცრისპირის პიროვნება ასახული მის შემოქმედებაში, აქ მიუთითებენ მხოლოდ იმას, რომ მხატვრის ნამუშევრები, შემოქმედებითი ჩანაფიქრი, გამსჭვალულია მისი პიროვნების ღრმა ფენებში ფიქსირებული განწყობებით. შემოქმედებით სფეროში პიროვნების მიზანია ადამიანის ბუნების ჰუმანურობის, მისი შემოქმედებითი შრომის, მიღწევის, კეთილი ბუნების, მაღალი ადამიანობის იდეის მხატვრულ სურათებში ასახვა. ასეთი შეგნებული მიზნების მიღწევას ემსახურება პიროვნების ნებელობა, როგორც გონიერი ჩანაფიქრის განმახორციელებელი საშუალება; ნებელობა ახერხებს პიროვნე-

ბაში განზოგადებული მოთხოვნილებებისა და ფიქსირებული განწყობების აქტივაციას. სწორედ ამ თვისებებითაა აღბეჭდილი ჩვენი ცდისპირის მხატვრული შემოქმედება, მისი ნახატების შინაარსი (პორტრეტები, სცენები, პეიზაჟები და სხვა). ისინი ასახავენ ადამიანის მიღწევისაკენ სწრაფვას, ქცევაში კულტურობას, ბუნების პეიზაჟებიც უთანაგრძნობენ ადამიანის მოღვაწეობას, მაგრამ ყოველივე ამაში შეჭრილია სევდა, რაც იწვევს ერთგვარ ამბივალენტურ გრძნობას, რომელიც თვითონ შემოქმედის პიროვნული თვისებაა, ამ თვისების პროექცია მის მხატვრულ შემოქმედებაში.

ჩვენი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მხატვრის განწყობის სტრუქტურა (ძნელად აგზნებადი, ვარიაბილურ-ლაბილური განწყობა) განაპირობებს პიროვნების იმპულსურობას, მის სხვადასხვა სისტემებს (თვისებები, მოთხოვნილებები, ფსიქიკური ფუნქციები) შორის ინტეგრაციის შესუსტებას, შინაგანი ლოგიკის რღვევის ტენდენციას, ამავე დროს, ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა (ერთსა და იმავე სიტუაციაში განწყობის მოქმედების დისპოზიციის – კონსტანტობის დარღვევა) გამოვლინდა ორი საწინააღმდეგო მიმართულებით. პიროვნების ერთი მხარე, რომელიც ინტელექტუალური და ნებელობითი ძალების აქტივობის სფეროა, ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს და ძირითადში ინარჩუნებს წონასწორობას, კონსისტენტობას, იგი კონფლიქტური ემოციების ფონზე მარად იბრძვის ობიექტივირებული მიზნების მიღწევისათვის. ჩვენი ცდისპირი შემოქმედია, მაღალი ღირებულებების სამსახურშია, ის არა მხოლოდ იღვწის მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია (თვითრეალიზაცია), არამედ აქვს შორეული მიზნებიც, რომელთა მისაღწევად ცდილობს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფას. მისი ნებელობა ახერხებს თეორიული ინტერესების დაკმაყოფილებას. ინტელექტის მიერ ობიექტივაციის დონეზე შექმნილი განწყობის აქტუალურ განწყობად მიღებას – პიროვნების ინტიმური მოთხოვნილებებისა და ფიქსირებული განწყობების სისტემაში ჩართვას, და მიზნისათვის აუცილებელი ძალების მობილიზაციას. შემოქმედებით სფეროში იგი სოციალური, [illegible], მაღალი იდეების მატარებელი პიროვნებაა. აქ მისი განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა თავს იჩენს მხოლოდ ემოციურ-აფექტურ სფეროში ტოლერანტობის დაქვეითებაში, ნებელობითი ქცევის, კონფლიქტური განცდების თანხლებით მიმდინარეობაში. ამავე დროს მისავე პიროვნებაში მოცემულია ვარიაბილური განწყობის ყველა ის უარყოფითი ნიშანი, რომელიც განწყობის კონსტანტობისა და სტაბილობის რღვევის შედეგადაა წარმოშობილი (ჭარბი იმპულსურობა, ფობიები, ფეთქადი აფექტური რეაქციები, საერთოდ თვითრეგულაციის შესუსტება). ეს თვისებები ბატონობს პიროვნების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობაში. ამ სფეროში პიროვნების იმპულსურ დონესა და ობიექტივაციის დონეს შორის ხშირად ირღვევა წონასწორობა, რაც კონფლიქტებით, მწვავე განცდებით ავსებს მის პიროვნებას.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა გავლენას ახდენს პიროვნების იმპულსურობა, ტემპერამენტის უარყოფითი მხარეების მართვის შეუძლებლობა მთლიანად პიროვნების ნებელობით აქტივობაზე; შემოქმედებაში, მოღვაწეობაში, ნარკომანებისათვის ბრძოლაში, თვითრეალიზაციაში მას ახასიათებს თანამიმდევრულობა, ენერგიული აქტივობა, მაშინ როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მისთვის ნიშნეულია ძლიერი იმპულსურობა. ყოველივე ზემოთქმულს, ჩვენი აზრით, გასაგებს ხდის დამახასიათებელი განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა.

კლინიკური საუბრით შემდეგში ჩვენი კვლევა ეხება პიროვნების განწყობის სტრუქტურის იმ კომპონენტს, რომელსაც უწოდებენ პიროვნების ღირებულებათა სისტემას, პიროვნების მიზნებს. "მე"-ს იდეალს, საკუთარი პიროვნების ხატს და მათ მნიშვნელობას ხასიათის ფორმირებაში. ამ მიზნით ცდისპირს დამატებით ვაძლევდით კითხვებს, რომლებიც ავსებდნენ ჩვენს ცოდნას პიროვნების ამ სფეროს შესახებ. მაგალითად: ჩვენ ვეუბნებოდით ცდისპირს: აიღე ფანქარი, ქაღალდი და სწრაფად ჩაწერე ამ ქაღალდზე სახელი და გვარი იმ ადამიანებისა, რომელთაც თქვენ აფასებთ. ისინი შეიძლება იყვნენ ცოცხალნიც და გარდაცვლილნიც. საკმაო ყოყმანის შემდეგ იგი სწრაფად წერს: დედა, მამა, მიხე თოიძე, ოსებ ბჟალავა, გიციანი, ფალიაშვილი, ვაჟა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, რემბრანდტი, რუბენსი, გალაკტიონი, ვანო სარაჯიშვილი. ისევ ვაძლევთ დავალებას. სწრაფად აირჩიე რომელიმე ცნობილი ადამიანი და შექმენით მასზე მოთხრობა. იგი სწრაფად წერს: ბავშვობაში მიყვარდა ცხენების თვალიერება, წიგნებიდან უკვე ვიცოდი ბევრი მხატვრის გვარი, სახელი, წინათ მოგახსენეთ, ეგნატე ნინოშვილის წიგნში შევხვდი "ჩვენი ქვეყნის რაინდს" ილუსტრაციებს, ეს მოთხრობა მე მაშინ ძალიან მომწონდა, რადგან სპირიდონ მცირიშვილი (მოთხრობის გმირი) ჩემი საყვარელი გმირი იყო. ამის გამო ეს ილუსტრაცია ძალიან მომეწონა. მისი ავტორი, მანამდე ჩემთვის უცნობი მხატვარი, მიხე თოიძე ყველაზე საყვარელი მხატვარი გახდა ჩემთვის. ვოცნებობდი მენახა ეს მხატვარი, გავცნობოდი მას და მის შემოქმედებას. შემდეგში მე მისი მოწაფე გავხდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამის შემდეგ ძალიან ბევრ მხატვარს გავეცანი, ბევრი მხატვრის შემოქმედებაც ცნობილი გახდა ჩემთვის, მათ შორის მხატვრობის ტიტანებიც არიან, რომელთა მიმართ ისე ვარ განწყობილი, როგორც ალბათ მორწმუნენი თავის ღმერთების მიმართ, მაგრამ მიხე თოიძისადმი სიყვარული ამით არ შემცირებულა, ისე როგორც ვერაფერი შეამცირებს დედისა და მამის სიყვარულს.

ცდისპირს ვაძლევთ სუფთა დაუწერელ ქაღალდს და ვეუბნებით: დააკვირდით ამ ფურცლის შუა ადგილს, წარმოიდგინეთ რაიმე სურათი (მოქმედება) და აღწერეთ იგი, მხოლოდ რაც შეიძლება სწრაფად. პასუხი: აი, აქ არ მზე ამოდის. ამ მთაზე უკვე მზის ნახევარი სფერო ჩანს, რომლის აქეთ, კიდევ უფრო აქეთ ბუჩქები და ხეებია. ბუჩქებში მდინარე ლაპლაპებს, უფრო წინ გზა მიიკლაკნება. ამ გზაზე ორი გლეხი მიდის, მხარზე გადადებული აქვთ თოხები.

ტილაა და სამუშაოდ ეშურებიან... მიდიან, უფრო მოგვახლოვდნენ და, აგერ, მე შემხვდნენ. მე სახატავი ყუთი მიჭირავს და ვაპირებ მათ დახატვას... სოფლის ორღობეში შევედი, გადავუხვიე მარჯვნივ, ძაღლები აყეფდნენ, მე ძაღლების არ მეშინია. ერთი ძაღლი გადმოხტა და შემომიტია... მარგალიტას ვთხოვე სურათი გადაეღო ამ მდგომარეობაში... ასე დავტოვეთ ეს სოფელი...

სამივე კითხვა ავლენს პიროვნების "მე"-ს იდეალს. პირველ ორ კითხვაზე გამოკვეთილად ჩანს ვინაა მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, რომელიც მიბაძვის ღირსია. მესამე კითხვა ავლენს მის ყველაზე ინტიმურ მიმზიდველ საგნებს და მოვლენებს. იგი შეიძლება ეხებოდეს საკუთარ განცდათა სამყაროს, აგრეთვე გარე სამყაროს ისეთ ობიექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მის ყველაზე ინტიმურ მისწრაფებებს. ამ კითხვებზე პასუხები ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მხატვრის სულიერი სამყაროს შესახებ. მას იტაცებს პირველ რიგში ის ადამიანები, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში–დედ-მამა, მასწავლებელი, მკურნალი ექიმი და ოჯახის მეგობარი (იოსებ ბჟალავა); ამის შემდეგ პოეზიის და ხელოვნების მსახურნი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პიროვნება, რომელიც მოქმედებს ობიექტივაციის დონეზე, ახორციელებს ცნობიერ ნებელობით აქტებს, გამოაქვს გადაწყვეტილება, რასაც უთანხმებს თავისი მოთხოვნილებებისა და ფიქსირებული განწყობის სისტემას; ირჩევს მოღვაწეობის სფეროს, რომელიც უფრო შეესატყვისება სოციალური გარემოს ზეგავლენით ფიქსირებულ იდეებს, აგრეთვე თანდაყოლილ უნარებს, თავის პიროვნების იდეალს–იმ ადამიანის ხატს, როგორიც მას უნდა იყოს, უპირატესად ახერხებს შეაკავოს ის ტენდენციები, რომლებიც კონფლიქტშია მის განზრახვასთან, მიზნებთან, მომავალი ქცევის გეგმასთან. პიროვნების ნებელობის ძალის მაჩვენებელია, თუ როგორ ახორციელებს იგი შეგნებულ მიზნებს, რამდენადაა შეთანხმებული მიზნებისათვის ბრძოლა გარემოს მიერ მასში ფიქსირებულ თვისებებთან–ინტიმურ–ზნეობრივ კატეგორიებთან. პიროვნებაში ფიქსირებული ზნეობრივი შინაარსის მქონე განწყობები განაპირობებენ პიროვნების იდეალის შინაარსს–იმას, რაც იგი არის და როგორიც უნდა გახდეს, გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მის სოციალურ ქცევაზე, როდესაც პიროვნების მიზნები და "მე"-ს ცნობიერი ხატი მასში განმტკიცებული განწყობების შესატყვისია, ნებელობას თავისი პოზიტიური ამოცანების გადაჭრა უადვილდება; მაგრამ როდესაც ფიქსირებული თვისებები ეწინააღმდეგება ნებელობის მიზნებს, მაშინ ჩნდება მძიმე შინაგანი კონფლიქტები, თავს იჩენს დანაშაულის გრძნობა, ავადმყოფური წუხილი, უსაგნო შიში, მძიმე დეპრესია, აკვიატებული იდეები, წესრიგისათვის გადაჭარბებული ზრუნვა, იძულებითობა, ფიქრებში, ოცნებებში ჩაძირვა და სხვა.

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენი ცდისპირის ნებელობის მიზნები, რომლებიც მის პროფესიასთანაა დაკავშირებული, ემთხვევა მასში ფიქსირებული ეთიკური პრინციპების სქემას. ამის ერთ-ერთი საბუთია ჩვენს ცდებში ცდისპირის მიერ სპონტანურად ისეთი ადამიანების დასახელება, რომელნიც ქეშმა-

რიგად მისი მეს იდეალია. მისთვის საყვარელი პიროვნებები, რომელიც ჩამოთვალა მან, მიუთითებენ მის აფილაციურ თვისებებთან შერწყმულ ნარცისისტულ-ეგოცენტრულ ტენდენციებზე. მისთვის ყველაზე საყვარელია ის ადამიანები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მიღწევებში, ესენია დედ-მამა, მასწავლებელი და მისი მკურნალი ექიმი. ეს მიუთითებს იმაზეაც, რომ მას აქვს მადლიერების გრძნობა იმ პირებისადმი, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ცხოვრებაში. მისი სწრაფვა მაღალი იდეალებისადმი ჩანს იმ პირების დასახელებაში, რომლებსაც ეროვნული და საკაცობრიო ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამ პასუხებიდან ისიც ნათელია, რომ მას, როგორც შემოქმედს, ახასიათებს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, მოვალეობის ტვირთის დროებით მოშორების, ბუნების წიაღში გაჭრის მოთხოვნილება. იგი ერთბაშად სუფთა ქაღალდზე ხედავს ბუნების სურათებს. სოფელს მისი ყველა აქსესუარებით-გლეხები, ურმები, ხარები, ორღობეში ღობის ძაღლები. ამ სფეროში მისი წარმოდგენათა ასოციაცია შეუზღუდავია, მიმდინარეობს თავისუფლად, კონფლიქტური განცდების გარეშე. იგი თითქოს თავშესაფარს ეძებს ბუნების წიაღში, სოფლის იდილიაში; მისი იდეალია, იყოს ჯანმრთელი, წონასწორი, ენერგიული, ოპტიმისტური ემოციებით აღვსილი პიროვნება, აქვს სურვილი შექმნას ადამიანის შრომის, ყოფაცხოვრებაში ჰარმონიის გამომხატველი ნაწარმოები.

იმის გასარკვევად, თუ როგორია ცდისპირის წარმოდგენა საკუთარ "მე"-ზე, ჩვენ დამატებით ვაძლევთ ასეთ კითხვას: ვინ ხართ თქვენ? ამ კითხვის დამატებითი კითხვებია, რომლებიც კლინიკური საუბრის დროს შეიძლება მიეცეს ცდისპირს: შეგიძლიათ თუ არა საკუთარ თავზე თქვათ, მე მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ? რა გინდოდათ გაეკეთებინათ, რა მიღწევები გინდოდათ გქონოდათ და რას მიაღწიეთ?

პასუხი: ქუჩაში რომ მკითხოს კაცმა, იმას ვიტყვი, რომ მე ვარ მოთა მეტრეველი, თბილისის მოქალაქე და სხვა. თქვენ, ალბათ, სხვა აზრით მეკითხებით, ალბათ, გაინტერესებთ, მე ჩემს თავზე რა შეხედულებისა ვარ; თუ ეს ასეა, მე ერთი ქართველი მხატვარი ვარ, რომელსაც ბავშვობიდან უყვარს ეს საქმე და ბოლომდე ვემსახურები მას, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ. მე ახლა არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ იმის შემდეგ, რაც დაკითხვა ჩამოატარეთ და მერე ის პასუხები მაგნიტოფონიდან მოვისმინე, თვითონვე მივხვდი, რომ ბევრ რამეს ვცრუობ თავმდაბლობის, თუ მორიდებულობის გამო, ჩემი პრეტენზიები დიდი არაა, მინდა ამ ქვეყანაზე ვიცხოვრო იმის შესაბამისად, რასაც მე წარმოვადგენ; რასაც მე ვაკეთებ, იმის ტოლფასი ვიყო; ასეთი შეხედულება რომ ჰქონდეთ, საერთოდ, ჩემზე, უკეთესი იქნებოდა. რას მიაღწიეთ თქვენ? ისევ ის მბოჭავს ბატონო (იგულისხმება მორიდებულობა); მე იმას მივაღწიე, რომ ვინც კი ნახა ჩემი ნამუშევრები, ისინი ძალიან ბევრმა ნახა... დიდ უმრავლესობას მოეწონა. დიდი ნაწილი აღტაცებული დარჩა... ბევრი მადლობა მითიდე, აი, ამას მივაღწიე. მე იმედ-

ნად არ ვაფასებ მას, რაც მე გამიკეთებია, რამდენადაც უცნობმა ადამიანებმა დაინახეს და შეაფასეს. მე ვფიქრობ, რომ იმათ გაცილებით მეტად შემაფასეს, ვიდრე ამას ვიმსახურებ, ამას გულწრფელად მოგახსენებთ.

რა არის თქვენი ოცნების საგანი? რაზე ოცნებობთ? (საუბრის პროცესში ცდისპირს ვაძლევთ შემდეგ კითხვებს) — რა გსურთ ყველაზე უფრო ამქვეყნად? რისი გეშინიათ ყველაზე უფრო? (გაიხსენეთ ის სასიამოვნო გრძნობა, რომელიც თქვენ ოდესმე გქონიათ?) პასუხი: ვოცნებობ დიდი მიღწევა მქონდეს მხატვრობაში, კარგად შევასრულო ჩემი ჩანაფიქრი; ვისურვებდი პატიოსანი კაცის სახელის და, რა თქმა უნდა, კარგი მხატვრის სახელსაც. ყველაზე უფრო მე მეშინია ჯანმრთელობის ღალატის, საკუთარი ჯანმრთელობის ღალატის, სხვა შიში მე არ გამაჩნია... ჩემი შიშები ფსიქიატრიის ენაზე რომ ვთქვათ—სიკვდილის შიშია, მე ცხოველურ შიშს დავარქმევდი ამას. გონებით ვიცი, რომ ბიოლოგიურად უნდა წავიქცე ერთხელ და მოვკვდე, ამასთან შერიგებული ვარ გონებით, მაგრამ თვითონ სხეულს აქვს ამის გამო კანკალი; ცხოვრებაში სასიამოვნო მოვლენები საკმაოდ მქონია. მაგალითად, სამხატვრო სტუდიაში ყოფნა, აკადემიაში ჩარიცხვა, მიღწევები მხატვრობაში, ოჯახში ბავშვის გაჩენა, თუ სცვედაზე მკითხავთ, რომელიც მე მუდამ თან მდევს... მაგრამ ეს არ გიკითხავთ... კითხვა: ზოგჯერ რაიმე უცნაური და უჩვეული აზრები ხომ არ გიჩნდებათ ხოლმე? პასუხი: აზრების აკვიატება მახასიათებს ზოგჯერ, მაგალითად საკმაოდ ხშირად სახლიდან გამოსული ვფიქრობ, გაზქურა ხომ არ დამრჩა სახლში ჩაუქრობელი. მაქვს შიშები — მაგალითად, მეშინია ქუჩაში მარტო გასვლა, ტრამვაის ორ გაჩერებასაც კი ვერ გავივლი მარტოკა. მიყვარს, მაგრამ, რომ წარმოვიდგენი, — რა გაჭირვებაში შეიძლება ჩავვარდნილიყავი, ხელი ჩამიქნევია, მითქვამს არ ღირს მეთქი და თავი დამინებებია... ხშირად მაქვს მელოდიის აკვიატების განცდა, მე თვითონაც გამიკვირვებია, ვაზროვნებ რაღაცაზე, ამავე დროს რაღაც მელოდია ჟღერს ჩემში... იგი ფიქრს, საქმეს ხელს არ უშლის, პირიქით.

ვაგრძელებთ, ჩვენი ცდისპირის პიროვნების იდეალების კვლევას. ვეკითხებით: თქვენი ცხოვრების იდეალურად წარმართვისათვის რა პირობები მიგაჩნიათ ხელშემწყობად (ჯანმრთელობა, სიმდიდრე, სამუშაოთი კმაყოფილება, ოჯახური ბედნიერება და სხვა). აქ ჩამოთვლილი პირობებიდან რომელი არ გაქვთ თქვენ? პასუხი: ყველაზე ხელისშემშლელი ჩემი ჯანმრთელობის საკითხია. ეს რომ მოხსნილი იყოს, ჩემი ცხოვრების პირობებიც სულ სხვაგვარი იქნებოდა, ჩემი შრომის ნაყოფიერებაც გაცილებით მეტი იქნებოდა... ეხლა ასეთ პირობებში მხოლოდ სიმშვიდე მინდა, მეტი არაფერი... მატერიალურად გაჭირვებული არა ვარ, უზრუნველყოფილი ვარ ასე თუ ისე. დანარჩენი ყველა წვრილმანია.

კითხვა: ყველაზე ცუდ პირობად რა მიგაჩნია? პასუხი თითქმის ისეთივეა, რაც წინა კითხვაზე, მხოლოდ აქ ირონიულად უმატებს — იდეალური მიზნების მიღწევაში ხელს მიშლის უნიჭობა (სიცილით). ამ შემდეგ ცდისპირს

ვუჩვენებთ კიბე-სქალას და ვეუბნებით - წარმოიდგინეთ, რომ ეს არის მიზნების („მიღწევათა“) ამსახველი იდეალური კიბე: ციფრი პირველი უჩვენებს, რომ არავითარი მიღწევა არ გაქვთ; ციფრი მეათე კი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის ძირითადი იდეალები მიღწეულია. ამჟამად ამ კიბურის რომელ საფეხურზე იმყოფებით, თქვენი აზრით? დიდი ყოყმანის შემდეგ იგი თითს ადებს ციფრ ექვსიანს და ამბობს? ეს მოკრძალებული საფეხური კობია. კითხვა: სად იყავით ამ კიბურზე ორიოდე წლის წინათ? პასუხი: ძალიან დიდი განსხვავება არაა... აქ რომ დავცვათ... ვაი თუ შორს იყოს; იყოს ხუთიან. კითხვა: ეხლა ეს მითხარით, რომელ საფეხურზე იქნებით თქვენ ხუთი წლის შემდეგ? პასუხი: ცოცხალი ვიქნები კი? ვთქვათ ცოცხალი დარჩით. პასუხი: შეიძლება ერთი ორი საფეხურით ავიწიო, მეტის რწმენა არა მაქვს - დაახლოებით რვაზე.

საუბარს ოცნებების სფეროზე ვაგრძელებ. შეკითხვაზე - ამჟამად რა არის მისი ოცნების საგანი. პასუხი ასეთია, შვილი იყოს კარგი ადამიანი, ისეთი, როგორსაც შთავაგონებ; წარმატებები ჰქონდეს ცხოვრებაში, იყოს პატიოსანი, მომავლის კარგი მუშაკის სახელი, ჰქონდეს კარგი ოჯახი, გარდა ამისა, ვოცნებობ წესრიგში მოვიყვანო ის, რაც გაკეთებული მაქვს, ზოგი სურათი შეიძლება ხელახლა დავხატო, განვავითარო, ზოგი შევავსო. მე სხვა ოცნებებიც მაქვს, რომლებსაც არავის ვუმჟღავნებ, მაგრამ თქვენ ისეთი გასაღები მომარგეთ, რომ დაფარვა არ შემიძლია. მე იცით გადაცემული ვარ მუსიკით, ბავშვობიდანვე მინდოდა მუსიკაში რაღაც გამეკეთებინა. ძალიან გვიან მე ფორტეპიანოს მივუჯექი და ერთბაშად დავიწყე დიდი ნაწარმოებების გარჩევა... ნოტები შევისწავლე... რაღაცას მივაღწიე (მან შექმნა მუსიკალური ნაწარმოები კიდეც). ძალიან მინდოდა სიმღერა. ჩემი უახლოესი ნათესავი ლადო გერმესაშვილი იყო ცნობილი მომღერალი. აქ ისევ ჩემმა მორიდებულობამ იჩინა თავი და მე მასთან კრინტიც არ დამიძრავს. ბოლოს, როგორც იყო, თვითონ მიხვდა იგი... რამდენიმე გაკვეთილი წამიმეცადინა და რაღაცას მაინც მივაღწიე. მაქვს ჩემი ჩანაწერები, მაგრამ ეს არავინ იცის. მინდა ვინმეს გავუზიარო და ვთხოვო, რომ მას აკომპანიმენტი გაუკეთოს, ჩემთვის, ჩემი კმაყოფილებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს... ესაა ახლა ჩემი ოცნება. მე ნაწერებიც მაქვს, ეს ნაწერები მინდა წესრიგში მოვიყვანო... აი, კიდევ ჩემი პატარა ოცნება.

კითხვა: ეხლა მინდა შეგეკითხოთ: ჩემ მიერ დასმული კითხვებიდან რომელი იყო ყველაზე უსიამოვნო? პასუხი: ავტობიოგრაფიის შესადგენად მოწოდებულ საქმეში იყო ერთი უხერხული კითხვა, რომელიც ეხებოდა სექსუალურ გადაცემას. ახლა ჩემთვის ამაზე წერა ძალიან საჩოთირო. ჩვენს შორის საუბარი გრძელდება ამ თემაზე. ცდილობდი ვერ დავარწმუნე, რომ ამ თემაზე საუბარს პიროვნების ხასიათის ბუნების კვლევისათვის მნიშვნელობა აქვს. ვილაპარაკეთ „ფროიდის თეორიაზე“, რომლის მიხედვით, სექსუალური კომპლექსების შესწავლას დიდი ღირებულება აქვს პიროვნების დასახასიათებლად,

ხუმრობით ისიც ვუთხარით, რომ ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ადამიანის ოცნებების, ფიქრების უდიდესი ნაწილი სექსუალური საკითხის ირგვლივ ტრიალებს, ამიტომ საინტერესო იყო ჩემთვის ამ საკითხზე თქვენი ოცნებების, ფიქრების შეტყობა. მიუხედავად ასეთი შესავლისა, ცდისპირი მაინც არ გამოგვიტყდა. საუბარში. კითხვა: ცხოვრებაში ხომ არ გქონიათ ისეთი პერიოდები, როდესაც არავითარი გეგმა არ გაგაჩნდათ – ახალი მიზნები, კონკრეტული ამოცანები არ გქონდათ. პასუხი: ცხოვრებაში შემხვედრია ძალიან დიდი წყენა... მწუხარება ბევრი გადამიტანია. სამწუხაროდ ადამიანმა, რომელიც ჩემთვის იდეალი იყო და დიდ პატივს ვცემდი, შემახვედრა უდიდესი წყენა. მეტად უსამართლოდ მომექცა, მატერიალურად შემავიწროვა. მისი მიზეზით სამი წელიწადი ვცხოვრობდით აუტანელ პირობებში... მართალია, ყველაფერი გამოსწორდა, მაგრამ ამ კაცმა დიდი სულიერი ტკივილი და იმედის გაცრუება მაგრძნობინა. აი, სწორედ ამ პერიოდში მე ლოგინად ჩავვარდი, მაშინ იჩინა თავი იმ ავადმყოფობამ, რომელზედაც გვქონდა საუბარი... იმ პერიოდში არავითარი გეგმები მე არ მქონია. კითხვა: ახლა შეგიძლიათ თუ არა საკუთარი თავის შესახებ თქვათ, რომ ჩემთვის ძნელია მოწესრიგებული ცხოვრება, რადგანაც ცხოვრების მძიმე პირობებს ან ამ პირობების შეცვლას შეუძლია ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა, რადგან ჩემი მოთხოვნილებები, სურვილები, მიზნები, პირადი მოვალეობანი ერთმანეთის საწინააღმდეგოა? პასუხი: სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე ვახერხებ არჩეული გზით სვლას, თუ კი ჩემი ძალ-ღონე და ცხოვრების პირობები ამის საშუალებას მომცემს. რა თქმა უნდა, ჩემი ცხოვრება არ მიმდინარეობს შეშფოთებების გარეშე, ბევრი რამ მიშლის ხელს, მაგრამ მაქვს შეგუების უნარი, შეიძლება ეს ძვირად მიჯდებოდეს, ჩემი ჯანმრთელობა ამით ზიანდებოდეს, მაგრამ მაინც ვახერხებ შეგუებას.

საუბარი გრძელდება ცდისპირის მიღწევების, "მე"-ს იდეალის, მიზნისათვის ბრძოლაში გამოვლენილი ქცევის სხვების მიერ შეფასებაზე და მის პირად რეაქციაზე. "ჩემი ნამუშევარი ზოგს არ მოსწონს... აკრიტიკებს, ამას მე არ განვიცდი ძლიერ იმიტომ, რომ იმ ფონზე, რომელიც აჩვენებს, რომ ჩემი ნამუშევარი მოწონთ, უარმყოფელის აზრი იმდენად საცოდავად, უსუსურად გამოიყურება, რომ ყურადღების ღირსი არაა, წყენად არ ღირს... იგი ღიმილს უფრო იწვევს". საუბარს მივყევართ საკითხამდე, რომელიც მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რამდენადაა ცდისპირში მოცემული საკუთარი გარეგნობის ხატი, როგორია მისი დაფარული სურვილები საკუთარი პერსონის დემონსტრაციისა, ყურადღების ცენტრში ყოფნისა? ირკვევა, რომ მას არ აქვს სურვილები გარეგნულად იყოს უკეთესი, ვიდრე არის, მაგრამ აქვს ფარული ძლიერი სურვილი, ჰქონდეს ისეთი შინაგანი სასიცოცხლო ენერგია, რომელსაც იგი გამოაჩენს ცხოვრების კრიტიკულ პირობებში: "ჩემი დაფარული სურვილი არის ის, რომ მე ცოტა იმაზე ნაკლები ვჩანდე, ვინემ ნამდვილად ვარ. ეგებ უცნაურია ეს, მაგრამ ასეთი სურვილი ნამდვილად მაქვს. მინდა მქონდეს

მკრაგი რადიკალი და საჭირო შემთხვევაში გამოვიჩინე; მიმიხვდით რას ვამბობ თუ არა? და ცოტა უფრო პატარა ვჩანდე, რათა საჭირო შემთხვევაში გამოჩნდეს, რომ მე ცოტა მეტიც ვარ. გაიგეთ? (სიცილი) არ ვიცი, ეგებ მახინჯი სურვილია", ასეთ პასუხთან დაკავშირებით ცდისპირს ვაძლევთ კითხვას: როცა ამას საჭიროება მოითხოვს, შეგიძლია თუ არა დაიცვა საკუთარი აზრები, მაგალითად, გამოხვიდე საჯარო სიტყვით? პასუხი: ეს ძალიან მძიმე დავალებაა ჩემთვის, ძალიან მძიმე, მაგრამ მქონია შემთხვევა, გამოვსულვარ კიდეც სხვათა შორის იქ გამოჩნდა, რომ მე იმაზე მეტი შემიძლია, რაც გარეგნულად ვჩანვარ, ეს სასიამოვნო იყო ჩემთვის". კითხვა: თქვენ ხომ არ ეკუთვნით ისეთი ადამიანების რიცხვს, რომელიც ბევრს ფიქრობს და ცოტას ლაპარაკობს? პასუხებიდან ირკვევა, რომ იგი სწორედ ასეთია: "როცა ავღელდები, ვკარგავ წონასწორობას, მე იჭვიანი კაცი ვარ, ეჭვი თან მდევს ხშირად, ამიტომ არის, რომ მეტს ვფიქრობ, ვიდრე ვლაპარაკობ". აქ ვამთავრებთ საუბარს პიროვნების "მე"-ს იდეალზე, ღირებულებების სფეროზე, დამოკიდებულებებზე, მისი ცხოვრების კონცეფციაზე.

პიროვნების "მე"-ს ცნების შესახებ, როგორც ფილოსოფიაში ისე ფსიქოლოგიაში მრავალი განსხვავებული შეხედულება არსებობს, მათი მთლიანად მიღება თუ უარყოფა ერთნაირად ძნელია. მიუხედავად აზრთა წინააღმდეგობისა, "მე"-ს ცნებაში მკვლევარების უმრავლესობა გულისხმობს პიროვნების თვითცნობიერების, თვითხატის და სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის იდენტურობის განცდის ერთიანობას. პიროვნების ხასიათის თავისებურებების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ: 1. რა მიაჩნია ადამიანს საკუთარი "მე"-ს კუთვნილებად, რაზეა კონცენტრირებული მისი თვითცნობიერება, 2. რას მიიჩნევს თავისთავში კონსისტენტურად და მყარად, რაც არწმუნებს მას საკუთარი პიროვნების რეალობაში, საკუთარი "მე"-ს უნიკალურობაში. 3. როგორია პიროვნებაში განმტკიცებული წარმოდგენა, უკეთ რომ ვთქვათ, ცნობიერი ხატი (სქემა) საკუთარ თავზე, რამდენად მყარია და ამავე დროს დინამიკური ეს სქემა. 4. რა კავშირი აქვს მას მთლიანი პიროვნების სხვა სისტემებთან (პიროვნების თვისებები, ნებელობა, ტემპერამენტი), საბოლოოდ, რა მნიშვნელობა აქვს მას პიროვნების გარემოსთან აქტიური ადაპტაციისა და პიროვნების სისტემის ინტეგრაციისათვის[8].

პიროვნების უნიკალური ბუნების, მისი ხასიათის სტრუქტურის გასაგებად ალბათ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თვითხატის გამოვლენას, იმის დადგენას, თუ რას გულისხმობს თვითონ პიროვნება საკუთარი მე-ს სქემაში[9]. პიროვნების ცნობილი მკვლევარები, კერძოდ, მაკქერდი, ოლპორტი და სხვ. აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია იმ რაღაც

------------

8 Кон И.С. Открытие "Я". М., 1978.

9 ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1975.

"რეგიონალური" მახასიათებლების ნაირობა, რომელნიც მიუთითებენ, რას გულისხმობს პიროვნება თავისი "მე"-ში - ყველაზე მკვეთრად განცდილი, როგორც "მე"-ს კუთვნილება - რაც ამავე დროს ექვემდებარება ცნობიერების კონტროლს. პიროვნებაში ერთდროულად მოცემულია ურთიერთისაგან განსხვავებული საგნების, გამღიზიანებლების, სოციალური მოვლენებისადმი ინტერესი (მეგობრები, შვილები, კულტურის საგნები, ხელოვნება, აბსტრაქტული იდეები, საკუთარი საყვარელი სამუშაო, დასვენების, გართობის სახეები და სხვ.) ეს ინტერესები ერთიანდებიან "მე"-ში და ქმნიან პიროვნების სქემას. ამ მოვლენებიდან ზოგი ახლოა საკუთარ "მე"-სთან, ზოგი უფრო დაშორებული, მაგრამ მეტნაკლებად მაინც შედიან ამ სქემაში, დაქვემდებარებული არიან ცნობიერების კონტროლს, და წარმოადგენენ გაშინაგნებულ ღირებულებებს, რომლებიც იმყოფებიან პიროვნების თვითრეგულაციის სფეროში.

მე-ს ანალიზს მივყავართ დებულებამდე, რომ პიროვნებაში იგი წარმოიქმნება, ვითარდება და ყალიბდება ობიექტივაციის უნარის აქტივაციის ნიადაგზე. სუბიექტი, რომელშიც დარღვეულია ობიექტივაციის უნარი (იმპულსური არსება), მოკლებულია თვითრეგულაციის, თავისი იმპულსების მართვის, გარემოსთან აქტიური ადაპტაციისა და თვითრეალიზაციის უნარს. ასეთ სუბიექტში დარღვეულია თვითცნობიერების, იდენტიფიკაციისა და თვით ხატის ერთიანობა-დარღვეულია ფენომენი, რომელსაც ეწოდება "მე" (ეგო), როგორც აღვნიშნეთ, ობიექტივაციის დონეზე, აქტივობის შემთხვევაში სუბიექტის წინაშე ისმის პრობლემა ცნობიერების დონეზე ისეთი მომავალი ქცევის არჩევისა, რომ იგი პასუხობდეს არა მხოლოდ გარემოს მოთხოვნებს და საკუთარი პიროვნების მაგისტრალურ მიზნებს, არამედ ეთანხმებოდეს დიდი პიროვნების წინის ფიქსირებულ განწყობებს (მოტივაციის საფუძვლებს), ე.ი. ადეკვატური იყოს როგორც ცნობიერი თვითხატის, ისე არაცნობიერი მოცემული მოტივაციის საფუძვლების, რომელთა ერთიანობაში ცნობიერი მიზანი იძენს ცხოველმყოფელ ძალას.

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, იმპულსური ქცევის ობიექტივაციის შედეგად აზროვნება აკისრებს ნებელობას, ცნობიერების დონეზე შექმნილი "იდეური" განწყობა ჩართოს პიროვნების მოტივაციის საფუძვლების-ფიქსირებული განწყობის სისტემაში. სწორედ აქ იჩენს თავს პიროვნების, როგორც "მე"-ს სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლის, ნებელობის აქტივობის როლი-პიროვნების "მე"-ს რეგიონში მყარი ინტიმური ღირებულებებისადმი ანგარიშის გაწევა, გარემოს მოთხოვნათა და სუბიექტის შინაგანი პოზიციის ერთიანობის ნიადაგზე მიზანშეწონილი ქცევის არჩევა და წარმართვა. უფრო სწორი არიან ავტორები, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ნებელობა თვითცნობიერების არსია; ნებელობის აქტივობის დაქვეითება ან მოშლა ნიშნავს საკუთარ "მე"-სა და "არა-მე"-ს შორის განსხვავების განცდის მოშლას: ობიექტები, ადამიანები, ღირებულებები მე-ს უკავშირდებიან ამ საზღვრამდე, სა-

ნამ ისინი კონტროლირებულნი არიან, ექვემდებარებიან "ეგოს" მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზე იქმნება ნებელობის აქტები. "მე"-ს ვეძახით, რომელიც შეიცავს პიროვნების ყველაზე ინტიმურ ღირებულებებს, ემყარება ცხოვრების განმავლობაში-სოციალური გარემოს ზემოქმედების საფუძველზე-პიროვნებაში ფორმირებულ არაცნობიერ მზაობებს. ისინი წარმოადგენენ დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს-პიროვნების თვისებებს. ხასიათის თვისებები (რომელთაც ფროიდი ათავსებდა სუპერეგოს შინაარსში), როგორც დისპოზიციური განწყობები, განაპირობებენ პიროვნების ნებელობით ქცევას, განსაკუთრებით ცნობიერი გადაწყვეტილების პროცესს (შეგნებული გადაწყვეტილება არამარტო გამოხატავს დიდი პიროვნული წონის განწყობების მიმარ-თულების საფუძველზე). და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო შეთანხმებულია ერთმანეთთან პიროვნების ცნობიერი და არაცნობიერი სფეროები, მით უფრო ადაპტირებულია პიროვნება, რაც უფრო ემყარება "მე"-ს შეგნებული იდეალი დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს-ცნობიერ ღირებულე-ბათა სისტემა ადეკვატურია ფიქსირებული, თვისებრივ ქცევის დისპოზიციური განწყობებისა – მით უფრო ჰარმონიული, მთლიანია პიროვნება, მით უფ-რო კონტროლირებულია ნებელობით პიროვნებით "მე"-ში შემავალი ყველა კო-მპონენტი, ე.ი. ნებელობა (ეგოს ძალა) მტკიცეა და პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ნებელობის სისუსტე, "მე"-ს დეზინტეგრაციაა.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენი ცდისპირის "მე"-ს კომპონენ-ტებს, რომლებიც საუბრის შედეგად მიღებულ მასალებშია წარმოდგენილი, ჩვენს წინაშე შემდეგი სურათი გადაიშლება: მისი "მე"-ს ყველაზე ცენტ-რალური ღირებულებაა ესთეტიკური სფერო. მართალია, ამ ღირებულების ირგ-ვლივ თავს იყრის მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი სხვა ღირებულებები, იდეალები, ინტერესები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ცდისპირის "მე" ძლიერია, რომ მისი "მე"-ს ხაზის რეალიზაცია მთ-ლიანად ემორჩილება ნებელობის კონტროლს, რომ ესთეტიკური ღირებულებები-სადმი სამსახური, რომელიც თითქოს მის პიროვნებას უნდა ავსებდეს ში-ნაგანი ჰარმონიით, ინტეგრირებულია "მე"-ს სხვა ღირებულებებთან, ანუ განწყობებთან.

პიროვნების ღირებულებების მკვლევარების (შპრანგერი, ოლპორტი, მა-კქერდი და სხვა) მიხედვით, იდეალური ესთეტიკური ადამიანი უმაღლეს ღი-რებულებას ჭვრეტს სამყაროს მოვლენების ფორმასა და ჰარმონიაში. მოვლე-ნებს იგი აფასებს გრაციის, სიმეტრიის, ჰარმონიის მიხედვით. ცალკეული შთაბეჭდილება განიცდება ესთეტიკურ ასპექტში, ასეთი ადამიანისათვის ჭეშმარიტება ეკვივალენტურია სიმშვენიერის (სამყაროს მშვენიერების წვ-დომა მილიონჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჭეშმარიტების"). ცხოვრე-ბაში ესთეტიკური ადამიანი ისწრაფვის მშვენიერებისაკენ, ხელოვნებისა-კენ, იგი თავისუფალია თეორიული რეფლექსიისაგან, შეუძლია აუღელვებლად მიჰყვეს ცხოვრების დინებას, მისი მიზანია სიხარული და შემოქმედების

პროცესში წარმოშობილი განცდებით ცხობა.

ჩვენი ცდისპირის ესთეტიკური ღირებულებები ჭეშმარიტად "მე"-ს ღირებულებებია, იგი ასეთ ღირებულებათა პასიურად განმცდელი სუბიექტი კი არ არის, არამედ პირიქით თვითონაა შემოქმედი. მისი ძირითადი მიზანია ესთეტიკური ღირებულებებისადმი სამსახური – კარგი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა, რომლითაც იგი ისწრაფვის დაიკმაყოფილოს მიღწევის მოთხოვნილება, აგრეთვე მასში განმტკიცებული და ურთიერთშეწყობილია აფილაციის, დომინანტობის, ფარული აგრესიის, ნარცისიზმის, აღიარების, ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციები; მოახდინოს მასში ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდან ფიქსირებული უარყოფითი თვისებების კომპენსაცია, რომლებსაც იგი განიცდის, როგორც მის ძირითად ღირებულებებთან შეუთავსებელს, შინაგანი და ზოგჯერ გარეგანი კონფლიქტების წყაროს.

ჩვენ ცდისპირს ადრე აღმოაჩნდა მხატვრობისადმი მიდრეკილება, რომელიც იყო ნამდვილი თანდაყოლილი ნიჭი და არა ყველა ბავშვისათვის გარკვეულ პერიოდში დამახასიათებელი ხატვით თამაში. მშობლები, სასწავლებელი, მთელი სამხატვრო აკადემია – ამ სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ქმნიდნენ იმ კულტურულ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა მისი ტალანტის გაშლას, პიროვნების ზნეობრივ ჩამოყალიბებას. ჩვენ ცდისპირს, როგორც პიროვნებას, აქვს დიდი შემოქმედებითი მიზნები, ხელოვნებაში წარმატების მიღწევის ძლიერი მოთხოვნილება, ძალა შესწევს იბრძოლოს ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ მას არ აკლია სულიერი ენერგია, მისი ნებელობის პოზიტიური მხარეც მაღალია, მაგრამ შინაგანი სულიერი მღელვარების, კონფლიქტების მართვა მისთვის გაძნელებულია, ახასიათებს ჭარბი ემოციურობა, შფოთვები, აღვსილია შემოქმედი ადამიანისათვის ნიშნეული საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობის, მიუღწევლობის წუხილით. ნებელობის მიზნების მიხედვით, ცდისპირი ძლიერი პიროვნებაა, ამის დასტურია მისი ცხოვრების გზა, რომელიც მოქმედების უწყვეტი წარმატების გამომხატველია. რაც შეეხება შინაგან ემოციურ-აფექტურ სფეროს, იგი ამბივალენტურია, ურთიერთში შეჭრილია პესიმისტური და ოპტიმისტური ემოციები, რომლებიც შეთანხმებულია ენერგიულ-ნებელობით მოქმედებასთან, რაც თავისთავად იწვევს შინაგან კონფლიქტებს, ზოგჯერ უმიზეზო შფოთვებს. მასში გამოკვეთილად არის მოცემული მოვალეობის შესრულებაში, მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში, ზნეობრივი კატეგორიების მიხედვით მოქმედებაში ჭარბი სიზუსტე და ცრუპულოზურობა, რაც თავისებურად აღბეჭდილია მის შემოქმედებაში. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ხასიათის, თავის შინაგანი ინტიმური მიზნების, პესიმისტური და ოპტიმისტური განცდების, მძიმე შეშფოთებების პროექციას. მისი ფერწერული სურათები ძირითადში ასახავენ საქართველოს პეიზაჟების ფონზე მშრომელი ადამიანების შრომას და ყოფაცხოვრებას, საქართველოს წარსულის ძეგლებს, ბატალურ სცენებს. პორტრეტებში გამოირჩევა დედისა და მამის პორტრეტი. მხატვრის შემოქმედებაში ასახულია საქართვე-

ლის ცხოვრებაში მომხდარი პროგრესული მოვლენები. მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული წარწერები და სურათები, რომლებშიც ასახულია ვანო სარაჯიშვილი და ვაჟა ფშაველა; სიკვდილის სარეცელზე და ბევრი სხვა.

ყველა ამ სურათში განხორციელებულია მხატვრის ძირითადი მიზანი–წვდეს ხალხის ცხოვრების არსებით, ტიპურ ეპიზოდებს, წვდეს იმ ძირითად მამოძრავებელ მოტივს, რომელიც ბადებს ადამიანის შრომას და შემოქმედებას. იგი გამოყოფს ცხოვრების ცალკეული მოვლენებიდან შედარებით დამახასიათებელ მომენტებს და ცდილობს აქციოს იგი მაღალმხატვრულ ღირებულებად. ამ მხრივ ყველა მისი სურათი ჭეშმარიტად რეალისტურია. იგი ახერხებს შეხამებით, ფერთა ლაქების მონაცვლეობით გადმოსცეს, გამოაქანდაკოს მოქმედი და შემოქმედი ადამიანების გამოკვეთილი ფიგურები, მასიური სცენები, გადმოსცეს ადამიანთა სულისკვეთება, მოქმედ ადამიანთა ჯგუფის გამაერთიანებელი განწყობილება, ამავე დროს ამ ჯგუფში მონაწილე ცალკეული კონკრეტული ადამიანების გამომეტყველება, პოზა, ჟესტები, სულიერი ინტერესები. მის სურათებში ადამიანების შრომისა და დასვენების ეპიზოდები მიმდინარეობს შესაფერისი ბუნების წიაღში; იგი აქსესუარი კი არაა ადამიანის მოქმედების, არამედ მისი შრომისა და შემოქმედების ნაწილია. ყველა სურათი განმსჭვალულია ადამიანის შრომის, შემოქმედების სიყვარულის, უბრალოების, ადამიანის მაღალი ღირსების ტრფიალით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მხატვარი ცდილობს დიდი მონდომებით დაამუშაოს და გამოკვეთოს სურათის ყველა დეტალი, ამიტომ მის ნახატებში წინა პლანზე გამოკვეთილია ფორმა, იგი ვერ ურიგდება ფორმის მცირედენ დაუმთავრებლობას. თვითონ მას ეჭვი ეპარება სურათის აღმქმელი სუბიექტის უნარში, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია დაეხმაროს მხატვარს დაუმთავრებელი ფიგურის სრულყოფაში (გეშტალტური აღქმის კანონი). იგი დიდი მონდომებით ცდილობს მაშინაც კი, როცა ნახატში წამყვანია ფერწერული მომენტი, არ მოსწყვიტოს თემას, დაიცვას სრული წონასწორობა სურათის შესრულებაში ამ ორ განსაზღვრულ მომენტს შორის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხატვრის სურათების დიდი ნაწილი ეხება ცხოვრების სერიოზულ, კომიკურ ეპიზოდებს, სიძნელეების დაძლევას, ტრაგიკულ სიტუაციებს; გართობა, ე.წ. "დიონისური აღტყინება", ქეიფისტური ემოციები, სულისა და სხეულის სიხარულით აღსავსე ზეიმი იშვიათია მის ნამუშევრებში. მხატვრის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სურათი, რომელიც აღბეჭდილია შეშფოთებით (სერიოზული საქმით გართული ადამიანების შფოთვა მოულოდნელ ან მოსალოდნელ სტრესულ სიტუაციებში), ამ მხრივ ტიპურია მისი კარგ სტილში შესრულებული სურათი, რომელსაც ეწოდება "მოულოდნელი შეშფოთება". დაღამების ჟამს მწყემსები ცხვრის ფარას მირეკავენ. ამ სიტუაციის ფონია საქართველოს მთიანი პეიზაჟი, რომელიც დაფარულია მთებით, ხეობებით, ბორცვებით და დასახლებული ადგილებით, ციხე-კოშკებით. მოჩანს ცაში დაკიდული ღრუბლების ქულები, ყოველივე ამას საღამოს ბინდი-

მუქი ფერები მოსავს, რაც ქმნის სევდის მომგვრელ განწყობილებას. ბუნების იდილიაში გაშლილი მწყემსის კეთილი შრომის სიტუაციაში ერთბაშად იჭრება ცხენის ფარისკენ მომავალი მანქანის სინათლის შუქი, რაც იწვევს მთელი ფარისა და მწყემსის შეშფოთებას, რომელიც ვრცელდება და გადაეცემა ახლო გარემოს, ერთბაშად იქმნება სრული, მოულოდნელი შეშფოთების მდგომარეობა (სტრესის მიზეზია შიში, რომ ფარას შეიძლება მანქანამ ზიანი მიაყენოს). მხატვარი დიდი ოსტატობით ახერხებს ამგვარი სიტუაციების შერჩევას და გამოსახვას. ასეთი ფაბულები უმთავრესად შეადგენს მისი შემოქმედების იმპულსის მიმცემ წყაროს. ბრწყინვალე და უთუოდ დიდი ხელოვნებით არის შესრულებული "ურმულები": პატრიარქალური საქართველოს ნაგებობების და ჭარბი მუქი ფერებით პეიზაჟების ფონზე მსრბოლი ურმის კოფოზე მჯდარი ქართველი გლეხი ღიღინებს, თუ გოდებს სულისშემძვრელ "ურმულს" და გვავსებს ამაღლებული პოეტური სევდით. ამგვარივე სევდითაა აღსავსე მხატვრის შედევრები "უკანასკნელი თავი ჩემო" და "უკანასკნელი მოაღერსება"; მისი სხვა ბევრი დიდი ტილო და პორტრეტული ჟანრის ნაწარმოებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი ცდისპირის პიროვნების შემოქმედების პროცესში მისი ფსიქიკის აქტივობა (შემოქმედების იდეის ჩაფიქრება, ინსპირაცია, შთაგონების პროცესში შექმნილი მხატვრული ხატის ობიექტივაცია, ფერწერული ხერხებით მის მხატვრულ ღირებულებად გარდაქმნა) წარმართულია "მე"-ს ძირითადი და უმაღლესი ღირებულების აქტივაციის ნიადაგზე, ასეთი აქტივობის პროცესში მობილიზებულია პიროვნების ყველა ჯანსაღი, შემოქმედებისათვის აუცილებელი ძალები, უკანა პლანზე დგება ყველა მისი შინაგანი დეზინტეგრაციის გამომწვევი, ნევროზული თვისებები-ისინი დაძლეულია პიროვნების იმ ძალებით, რომელიც მხატვრული ჩანაფიქრის ობიექტურ ღირებულებად ქცევისთვისაა აუცილებელი, მისი შემოქმედება აღბეჭდილია ხელოვნების კონცეფციით - ცხოვრებაში სიკეთის და მშვენიერების მოპოვება შეიძლება ადამიანში დაბუდებული კეთილი ძალების აქტივობით - შრომით, შემოქმედებით, ცხოვრება წარმოადგენს ადამიანის მზეობის, მისი კეთილი ბუნების გამოცდას; ხელოვნება ერთგული დარაჯია ადამიანში დასადგურებული კეთილი ძალებისა, ხელოვანი მისი მხატვარია. ეს იდეა ღრმად შეჭრილია მხატვრის სულიერ სამყაროში, ქცეულია მისი შემოქმედების მამოძრავებელ მოტივად. ამ მოტივის პროექციაა მისი მხატვრობა; ავტორის პერსონაჟები (ადამიანები, ცხოველები), ბუნება აღბეჭდილია შრომის, შემოქმედების დინამიკით; მიზნებისათვის ბრძოლით, ამ ბრძოლაში მარცხით, მიუღწევლობით გამოწვეული სევდით, მძიმე შეშფოთებით, მელანქოლიით, ზოგჯერ დეპრესიით, ემოციური ვარიაბილობით, სევდანარევი სიხარულით. ამრიგად, ჩვენი ცდისპირის შემოქმედება საკუთარი პიროვნების სტრუქტურის თავისებურების დაღითაა აღბეჭდილი; თვითონ, როგორც პიროვნება, ხელოვნებისათვის სამსახურს თავისი ცხოვრების აზრის მიმცემ უმაღლეს ღირებულებად თვლის. მას თავის უცვლელ, კონსტანტურ ნიშნად მიაჩნია, რომ იგი მხატვარია, რომელიც ემსახურება

ყველაზე სანუკვარ უმაღლეს ღირებულებას. "მე"-ს ეს ღირებულება აძლევს მას დარწმუნებულობას, რომ იგი უნიკალური მიზნების, მისწრაფებების მატარებელი ინდივიდუალობაა. მაგრამ "მე"-ს წინაშე სუბიექტური კომპონენტები, როგორიცაა აღიარების, ყურადღების ცენტრში ყოფნის, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, დომინანტობის, ავტონომიის და სხვა ამ რიგის მეტნაკლები ინტენსივობის სწრაფვები, შერწყმულია ხელოვნებაში მიღწევისათვის სწრაფვასთან, რომელიც მისი "მე"-ს ხატის ძირითადი ბირთვია. ეს უკანასკნელი შერწყმულია ყველა ზემოთ აღნიშნულ ტენდენციებთან, რომლებიც პიროვნებაში მოცემულია ფიქსირებული განწყობების - ტრეიტების სახით. ეს ტრეიტები შესაფერის პირობებში - წარმატების, თუ ფრუსტრაციის სიტუაციებში, იმპულსურად იჩენენ თავს მოქმედებაში. მისი მელანქოლიური ტემპერამენტი, რომელიც შერწყმულია ქოლერიკის იმპულსურობასთან, აძლიერებს აღნიშნული ტრეიტების იმპულსურ მოქმედებას, ამის გამო ნებელობა, როგორც "მე"-ს ძირითადი აქტივობის მარეგულირებელი ძალა, ვერ მოიცავს "მე"-ს რეგიონში მოქცეულ ყველა ღირებულებას, ვერ ახერხებს მათი იმპულსური მომდინარეობის შეკავებას, რაც იწვევს პიროვნების დისჰარმონიას. მაშინ როდესაც ნებელობა ახერხებს თავისი პოზიტიური მოქმედების უნარის მთელი სიმძლავრით ამოქმედებას, სუბიექტი აღწევს წარმატებას (მხატვრობაში, როგორც შემოქმედი, აღწევს მიზანს, კმაყოფილია კიდეც თავისი შემოქმედების შედეგით); მაგრამ როცა თვითგანხორციელებისათვის მოწოდებული ზემოთ აღნიშნული ტრეიტები ძნელად ემორჩილება ნებელობის კონტროლს, მაშინ ნებელობა იძულებულია შეაკავოს ისინი, რაც იწვევს პიროვნების არარეალიზებული განწყობებით გადატვირთვას. აქ პიროვნების ნებელობის ნეგატიური მხარე გამოდის "ცენზორის" როლში. მისი გავლენით პიროვნების განწყობები რჩებიან არარეალიზებული განწყობების სახით. ეს უკანასკნელი ხდება წყარო პიროვნების ისეთი დაცვითი მექანიზმების ამოქმედებისა, როგორიცაა: სუბლიმაცია, კომპენსაცია, რეგრესია, კონვერსია, რაციონალიზაცია და პროექცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დაცვითი რეაქციების წარმოშობა, როგორიცაა ფობიები, ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში, ფსიქასთენიური შიშები, ეჭვები, დაურწმუნებლობა, ჰიპოქონდრიული ჩივილები და სხვა.

ამრიგად, ჩვენი ცდისპირის "მე"-ს ხატის, როგორც პიროვნების მიზნის განმახორციელებელი აგენტის, მაინტეგრირებელი როლი ყოველთვის არაა სრულყოფილი, იგი ვერ მართავს პიროვნებისათვის ღირებულების მქონე ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევას, ვერ ახერხებს ცნობიერი და არაცნობიერი შინაარსობის ინტეგრაციას, ურთიერთთან შეთანხმებას, რაც მის სოციალურ ქცევაში, განსაკუთრებით ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში გამოვლენილ დამოკიდებულებებში ხასიათდება ქცევის კონსისტენტობის, კონსტანტობის რღვევით-ვარიაბილობით და ემოციური ცხოვრების ლაბილობით.

განსაკუთრებით ეს თავს იჩენს ცდისპირის შფოთვებში, მძიმე დისკომფორტულ ემოციებში, რომელნიც ხშირად მთლიანად მოიცავენ მის პიროვნებას (სიკვდილის შიში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ პიროვნების "მე" ვერ მართავს მელანქოლიკური ტემპერამენტის თვისებების იმპულსურ გამოვლენას. იმპულსურად მოქმედი ტემპერამენტის თვისებები და არარეალიზებული განწყობები გამოვლენას ახერხებენ მის შემოქმედებაში; ცდისპირის შემოქმედება, მხატვრული ნაწარმოებები, კერძოდ მისი პერსონაჟების "განწყობილება" წარმოადგენენ მათ პროექციას. შემოქმედ პიროვნებაში ეს "განდევნილი" განწყობები გარკვეულ როლს ასრულებენ პიროვნების მიზნების მიღწევისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ვუპასუხოთ კითხვაზე, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცდისპირის დასახასიათებლად მისი "მე"-ს ხატის რაგვარობის გათვალისწინებას, რომელიც გულისხმობს პიროვნების ძირითად ღირებულებებს, ცნობიერ და არაცნობიერ სწრაფვებს და ა.შ. ამ საკითხზე შეიძლება მოკლედ ვუპასუხოთ: პიროვნების "მე"-ს არსებითი კომპონენტებია – თვითცნობიერება, "მე"-ს ხატი და იდენტიფიკაცია. როგორც ორგანიზმის სიცოცხლეა წარმოუდგენელი უჰაეროდ, ისე პიროვნებაც ვერ იარსებებს "მე"-ს აღნიშნული თვისებების გარეშე. როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ორგანიზმზე, გვაინტერესებს არა ჰაერის შემადგენლობა და მისი როლი სიცოცხლის არსებობისათვის, არამედ თვითონ ორგანიზმის შინაგანი პროცესების კანონზომიერება. როცა პიროვნებას ვსწავლობთ, ჩვენ გვაინტერესებს მისი წყობა, სტრუქტურა, ამ სტრუქტურის ცალკეული კომპონენტების ბუნება, მათი ურთიერთმიმართება და მაინტეგრირებელი ფაქტორები, ფაქტორთა შორის რა როლი აკუთვნის "მე"-ს, კერძოდ მის ხატს. მართალია, "მე"-ს ხატი პიროვნების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშე პიროვნება არ არსებობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცნობიერ – "მე"-ზე, მის ხატზე, კერძოდ თვითცნობიერებაზე, პიროვნების სტრუქტურის დაყვანა შეუძლებელია. ცნობიერ "მე"-ს, ხატს, ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნებისათვის ბრძოლაში, როგორც იტყვიან, მიღწევების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში; აქ ეგოს ძალა და "მე"-ს მიზნების განმახორციელებელი საშუალება – ნებელობა თავის პოზიტიურ ფუნქციას ასრულებს; მაგრამ, როგორც ვნახეთ, ნებელობის აქტივობა ემყარება პიროვნების ფიქსირებულ განწყობებს (არარეალიზებულ განწყობებს), პიროვნების ქცევის ტენდენციებს – თვისებებს; პიროვნების ცნობიერი ქცევა–წარმატებისათვის ბრძოლა, წარუმატებლობის დაძლევა, მომდინარეობს ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთმჭიდრო თანამშრომლობის, თუ კონფლიქტების ნიადაგზე. ჩვენი ცდისპირი ამ მხრივ კონფლიქტური პიროვნებაა: მისი ცნობიერი "მე" ყოველთვის არ ემყარება ფიქსირებულ არაცნობიერ განწყობათა სისტემას; "მე"-ს ცნობიერ ხატს ცდისპირისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია წარმატებისათვის ბრძოლაში, მაგრამ წარმატებისათვის მებრძოლი პიროვნების ქცევა, იმის მიხედვით, თუ როგორია მისი პიროვნების სტრუქტურა, ცნობიერსა და არაცნობიერს

შორის ურთიერთობა, განსხვავებულად მიმდინარეობს. ამიტომ სანამ შევუდგე-ბოდეთ კლინიკური საუბრით მიღებული მასალების შედეგებს, აუცილებელია ჩავიხსენოთ რა თვისებებია ნიშნეული ამ პიროვნებისათვის; რა მიმართება-შია ეს კომპონენტები ურთიერთთან და მთლიანად პიროვნების სტრუქტურასთან (მთლიანი განწყობის სტრუქტურასთან).

ბიოგრაფიული და კლინიკური საუბრის შედეგებით კვლევის შედეგად გამო-იკვეთა, რომ ჩვენი ცდისპირისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: შემეცნებისა და წარმატების მიღწევის მოთხოვნილება, სენზიტიურობა, აფილა-ცია (შერჩეული ხასიათის), რომანტიკული სექსუალობა, ჭარბი მორიდებულო-ბა, სიმორცხვე, შესაფერის გარემოში ადაპტაციის სიადვილე, არაშესაფერის-ში კი დიდი სიძნელე, ქცევის რიგიდულობა, ზოგჯერ კი პლასტიკურობა, ფარუ-ლი დომინანტობა, კომპენსაციისა და პროექციის გამომხატველი რეაქციები, მარტოობის შიში, უმოტივაციო ფობიები, შფოთვები (სიკვდილის შიში), ყურა-დღების ცენტრში ყოფნის ტენდენცია, სხვისი დახმარების (თავდაცვითი) მო-თხოვნილება, მელანქოლიური ტემპერამენტი, რომელსაც შერწყმულია ქოლე-რიკის იმპულსურობა, ექსცენტრიულობა, ნებელობის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეთა ვარიაბილობა, მაღალი სოციალური ღირებულებები, ხელოვნების, მხა-ტვრობის, მუსიკის სფეროში წარმატების მძლავრი იმპულსი (ღირებულებების მიხედვით ესთეტიკური ტიპის ადამიანის ნიშნები). განსაკუთრებით აღსანიშ-ნავია ნებელობის ნეგატიური მხარის სისუსტე; და ამასთან დაკავშირებით თვითრეგულაციის დაქვეითება-იმპულსურობა; "მე"-ს ხატში შემავალ ცენტრა-ლურ ღირებულებებს შორის შეუთავსებლობა, პიროვნების იდენტიფიკაციის დონე-ზე მიმდინარე იდეალებსა და არაცნობიერ დიდი პიროვნული წინის ფიქსირებულ, არარეალიზებულ განწყობათა შორის დისჰარმონია-შინაგანი კონფლიქტები.

ზემოთ აღნიშნული თვისებები, მართალია, საკმაოდ მკაფიო სურათს გვაძ-ლევს იმის შესახებ, თუ გარკვეულ სიტუაციაში როგორ შეიძლება მოიქცეს სუ-ბიექტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელია ამ სურათიდან პიროვნების მთ-ლიანი სტრუქტურის დადგენა, პიროვნების იმ ძირითადი ბირთვის წვდომა, რო-მელიც განაპირობებს ამ თვისებების მატარებელ სუბიექტში მათ ერთიანობას. როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენი კვლევის სუბიექტს აქვს მძლავრი შემეცნების და მხატვრული ინტერესი, ამ სფეროში წარმატების მოთხოვნილება, იგი ჭარ-ბად სენზიტიურია, მას მცირე რამ "დაჭრის", დიდ წყენას აყენებს გამოძი-ანებელი, რომელიც არაფაქიზად ეხება მის "მე"-ს, ახასიათებს არჩევითი მეგობრობა, ეძებს ადამიანების ვიწრო წრეს, რომლებთანაც შეძლებს თავისი განცდების გაზიარებას, ამ მხრივ იგი ექსტრავერსიულია; მაგრამ ამავე დროს თავსვე აქვს მეტად წუხილები, მიმართულია საკუთარი შინაგანი სამყაროსკენ, ხშირად მიმართავს ფანტაზიორობას, ე.ი. ახასიათებს ინტროვერსიულობაც. ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით პიროვნების დახასიათება, - ვუჩვენოთ რა სიტუაციაში რა თვისებას გამოავლენს იგი,

ე.ი. ვამტკიცოთ, რომ იმ თვისებებს აქვთ ფსიქოდიაგნოსტიკური მნიშვნელობა; თვისებათა შორის შეიძლება ვნახოთ ურთიერთკავშირის მომენტებიც, მაგალითად, ხელოვნებაში წარმატების მიზანი დაკავშირებულია ნებელობის ძალასთან, სუბიექტი, მიუხედავად დაბრკოლებისა, განუხრელად ისწრაფვის მიზნის მიღწევისათვის; მიღწევის მოთხოვნილება უკავშირდება დომინანტობისა და კომპენსაციის ტენდენციებს – მოიპოვოს უპირატესობა და ამით მოახდინოს თავისი შინაგანი სისუსტის კომპენსაცია. ნევროზული რეაქციები (შინაგანი შიშები, ფსიქასთენიური იჭვიანობა), გარკვეულ სფეროში წარმატების მძლავრი მოთხოვნილება შერწყმულია მის ინტროცეფციულობასთან და მელანქოლიკურ ტემპერამენტთან. შემოქმედების პროდუქტები აღბეჭდილია ამ თვისებებით, მისი შემოქმედებითი ქცევა დისკოლიური ემოციების ფონზე მიმდინარეობს და ა.შ. როგორც ვხედავთ, სავსებით შესაძლებელია ვუჩვენოთ, რომ წარმატების მოთხოვნილება გარკვეულ პირობებში მჭიდრო და ლოგიკურად გასაგებ მიმართებაშია პიროვნების სხვა თვისებებთან; იგივე შეიძლება ითქვას პიროვნების სხვა თვისებების შესახებაც. მაგალითად, რომანტიკული სექსუალობა შეიძლება დამახასიათებელი იყოს სენზიტიური, ინტროცეფციული, ესთეტიკური ღირებულებებისადმი მისწრაფებების, მძიმე ნევროზული რეაქციების, მელანქოლიკური ტემპერამენტის და სხვა თვისებების მქონე სუბიექტისათვის. სრულიად სამართლიანია "მე"-ს ენერგიის სისუსტე, პიროვნების ხატის დიფუზურობა, "მე"-ს ცენტრალურ ღირებულებებს შორის დისოციაცია, შეიძლება დავუკავშიროთ პიროვნების ნებელობის ნეგატიური მხარის სისუსტეს, ცნობიერ და არაცნობიერ "მე"-ს შორის ჰარმონიის დარღვევას, ნევროზულ ნიშნებს – დაცვით რეაქციებს (მიშებს, პროექციას, კომპენსაციას და სხვა); ყურადღების ცენტრში ყოფნის ტენდენციას, წარუმატებლობის ღრმა განცდას და ა.შ.

ჩვენ ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პიროვნებაში დადასტურებული რომელიმე ცალკეული თვისება ან თვისებათა კომპლექსი შეიძლება მივიღოთ ამოსავალ პუნქტად პიროვნების დახასიათებისას მისი პორტრეტის შესაქმნელად, ამ გზით შესაძლოა მივაღწიოთ გარკვეულ დადებით შედეგს პიროვნების ბუნების გაგებაში; მაგრამ ამით ვერ ვაღწევთ პიროვნების კვლევის ძირითად მიზანს, ვერ გადავწყვეტთ პიროვნების პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანას, ვერ ვუპასუხებთ კითხვას – რა აერთიანებს, რა განსაზღვრავს პიროვნების მრავალ თვისებას, რა არის პიროვნების ის ზოგადი ფაქტორი, რომელიც მრავალ ჰომოგენურ თუ ჰეტეროგენულ თვისებას ერთი მთლიანი სტრუქტურის სახით წარმოგვიდგენს. მაგალითად, ჩვენი ცდისპირის ჰეტეროგენული თვისებები ფსიქოლოგიური ანალიზის გზით შეიძლება დავუკავშიროთ ერთ რომელიმე თვისებას, მივიღოთ ეს უკანასკნელი ცენტრალურ მახასიათებლად და ვეძიოთ სხვა თვისებების მასთან კავშირი; ასეთი ცენტრალური თვისებების შერჩევა შესაძლებელია, მაგრამ თვისების როლი შეიძლება დავაკისროთ პიროვნების ნებისმიერ თვისებას – იგი, როგორც პიროვნების სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, შეიძლება ატარებდეს მთლიანი სტრუქტურის დაღს, სწორედ ამიტომ მისი ანალიზის სა-

შუალებით შესაძლოა ზოგიერთი რამ გავიგოთ პიროვნების ბუნების შესახებ, მაგრამ ამ გზით ჩვენი ცდისპირის არსის შესახებ ცოდნა მაინც მიუღწეველი რჩება. ჩვენი აზრით, თუ პიროვნების ჰეტეროგენულ თვისებებს განვიხილავთ პიროვნების განწყობის სტრუქტურის ასპექტში, სურათი სრულიად შეიცვლება; ჩვენთვის ნათელი გახდება ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს როგორც თვისებების აღმოცენებას, ისე, მიუხედავად ჰეტეროგენული ბუნებისა, მათ ერთ მთლიან სტრუქტურაში გაერთიანებას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ცდისპირის განწყობა საკმაოდ რთულია და უნიკალური. იგი ძნელად აგზნებადი, ვარიაბილურ-ლაბილური და ლოკალურია. ვარიაბილობა გამოიხატება მტკიცე ტლანქი დინამიკური, ტლანქი სტატიკური და ნულეულ განწყობათა ურთიერთმონაცვლეობაში. საგულისხმოა, რომ შემუშავებული მტკიცე ტლანქი სტატიკური განწყობაც კი სიღრმის მიხედვით სუსტია (ექსპერიმენტულ პირობებში შედარებული ტოლი ობიექტების განსხვავების განცდა სუსტია, სუბიექტი არაა დარწმუნებული სიდიდეების შეფასების სისწორეში). განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა პიროვნების განწყობის სტრუქტურის ის ფორმაა, რომელიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პიროვნების მახასიათებლები ჰეტეროგენულია, აქვს დეზინტეგრაციის ტენდენცია, ხასიათის შინაგანი ლოგიკა არამყარია, ვარიაბილურია. განწყობის სტრუქტურის ვარიაბილობა და ლაბილობა ის ძირითადი ბირთვია, რომლის საფუძველზე შეიძლება აღმოცენდეს პიროვნებაში ჩვენ მიერ დადასტურებული ყველა ჰომოგენური თუ ჰეტეროგენული ნიშნები. ფიქსირებული განწყობის ცდებით დადასტურდა ცდისპირის პიროვნების სტრუქტურის ბუნების ძირითადი სქემა, კლინიკური საუბრის მეთოდმა კი გამოავლინა ამ სქემის შემავსებელი შინაარსი და ზოგიერთი ფორმალური ასპექტი; ამით გამოიკვეთა პიროვნების სრული სურათი, მის გეშტალტი (დანაწევრებული მთლიანობა), რომლის ნაწილები აღბეჭდილია მთლიანით. ცალკეული ნაწილების თავისებურება, მისი უნიკალური ბუნება გასაგებია ამ მთლიანთან მიმართებაში. ჩვენი ცდისპირის პიროვნულ თვისებებს, მათ ჰეტეროგენულობას, ურთიერთმიმართებას, თითოეულის თავისებურებას და ღირებულებას, სავსებით გასაგებს ხდის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ძნელად აგზნებადი ვარიაბილურ-ლაბილური განწყობა. სწორედ ასეთი განწყობაა ის ზოგადი სტრუქტურული თვისება, რომელიც განაპირობებს ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების აღმოცენებას და მათ ერთ სტრუქტურაში გაერთიანებას. განწყობის სტრუქტურა არ დაიყვანება არც ერთ ზემოთ აღნიშნულ თვისებამდე, მისი ბუნების გაგება შეუძლებელია ცალკეული თვისებების საფუძველზე, ისინი პიროვნების მთლიანი სტრუქტურის ცალკეულ ნაწილებს, ცალკეულ კომპონენტს წარმოადგენენ, რომელთა ბუნების გაგება შეიძლება ისევ მათი განმსაზღვრელი ზოგადი ფაქტორის, ამ შემთხვევაში განწყობის მთლიანი სტრუქტურის, ნიადაგზე. სწორედ ძნელად აგზნებადი ვარიაბილური განწყობა, რომელიც გამოხატავს განწყობის სტრუქტურის დეზინტეგრაციის ტენდენციას - (ერთნაირ სიტუაციებში დიამეტრალურად განსხვავებული განწყობათა ფიქსაცია) მათი ლაბილობა და დიფუზურობა გან-

პირობებს პიროვნებაში მრავალი ჰეტეროგენული თვისების, დიდი პიროვნული წონის განწყობების შემუშავებას და მსგავს სიტუაციებში ფორმითა და შინაარსით განსხვავებული ქცევის გამოვლენას–ხასიათის ლოგიკის შესუსტებას, მისი რღვევის ტენდენციას, გარემოსთან ადაპტაციისათვის აუცილებელი ქცევის არჩევისას შინაგან კონფლიქტებს, ქცევის აღმძვრელი შესატყვისი მოტივის შემუშავების სიძნელეს, რიგი ფიქსირებული განწყობების რეალიზაციის შეუძლებლობას და არარეალიზებული განწყობების გადატვირთვას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განაპირობებს რიგი დაცვითი მექანიზმებისა და რეაქციების განვითარებას, კერძოდ, პროექციის, კომპენსაციის უნარების აქტივაციას და ნევროზული თვისებების გამოვლენას. სწორედ განწყობის ასეთი რაგვარობა განაპირობებს: ეგოს ძალის შესუსტებას, მიზნებისათვის ბრძოლაში ნებელობის ენერგიის ჭარბ ხარჯვას, თვითრეგულაციისათვის ნებელობის ნეგატიური ასპექტის დაძაბულ მოქმედებას, აძნელებს ობიექტივაციის დონეზე "მე"-ს მიზნების განხორციელებისათვის შემუშავებული იდეური განწყობის პიროვნების ფიქსირებულ განწყობებთან შეთანხმებას–მთლიანი პიროვნების განწყობებისა და მოთხოვნილებების სისტემებში ჩართვას და მისი აქტუალურ განწყობად ქცევას, "მე"-ს ცენტრალური ღირებულებებისათვის წარმართული აქტივობის პესიმისტურ, დისცოლიურ–ემოციურ ფონზე მიმდინარეობას.

ამრიგად, ჩვენი ცდისპირის განწყობის სტრუქტურაში ასახულია მისი პიროვნების ხასიათი – "მე"-ს მიზნები, ღირებულებების, დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობების, ტემპერამენტის, ნებელობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების ენერგიის (ეგოს ძალის), არარეალიზებული განწყობების მოქმედების შინაარსი და ინტენსივობა, პიროვნების ერთ მთლიან სისტემაში ყველა ამ თვისებათა ურთიერთმიმართება. ყოველივე ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ ფიქსირებული განწყობის კლინიკურ–ბიოგრაფიული მეთოდები საკმაოდ სანდო იარაღს წარმოადგენენ პიროვნების სტრუქტურის შესასწავლად, ასევე სანდოა მათი ფსიქოდიაგნოსტიკური მნიშვნელობა.

როგორც ირკვევა, პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევისათვის საკმარისი არ არის ცალკეულად აღებული არც ფიქსირებული განწყობის და არც კლინიკურ–ბიოგრაფიული მეთოდი. ფიქსირებული განწყობის მეთოდი, უფრო ობიექტური მეთოდია, რომელიც წვდება პიროვნების სტრუქტურის (დამოკიდებული ცვლადის) ფორმალურ ასპექტს, მის ზოგად სქემას; ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში ეს სქემაა: დაბალი აგზნებადობის ვარიაბილურ–ლაბილური ლოკალური განწყობა. ამ მეთოდით რომ დავკმაყოფილებულიყავით, ჩვენ გვეცოდინებოდა მხოლოდ ის, რომ პიროვნების სტრუქტურა რღვევას განიცდის, მასში შეჭრილია შინაგანი კონფლიქტები, რომ ობიექტივაციისა და იმპულსურ დონეზე ფსიქიკურ ცხოვრებას შორის დისჰარმონიაა და ა.შ.მაგრამ ჩვენ არ გვეცოდინებოდა ამ პიროვნების შინაარსი–მოტივები, ღირებულებები "მე"-ს ხატი, მისი არარეალიზებული განწყობების შინაარსი და ა.შ. ე.ი. ის, რაც პიროვნებას აძლევს თავის სახეს, რაც ავსებს და ქმნის ინდივიდუალობას, პიროვნებას როგორც

უნიკალურ, განუმეორებელ არსებას. პიროვნების სტრუქტურის ამ აუცილებელი ასპექტის შესწავლა ჩვენ მოვახერხეთ ბიოგრაფიული და კლინიკური საუბრის მეთოდით; ჩვენ ყოველთვის გვქონდა მხედველობაში ის გარემოება, რომ ეს მეთოდები შედარებით არაობიექტური არიან; მათ სუბიექტურობას განაპირობებს წარსული ცხოვრების მოვლენების სრულად, სწორად აღდგენის სიძნელე, რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები, თავის განცდების დაფარვის სიმულაცია-დისიმულაციის ტენდენციები; ჩვენი ცდისპირის პასუხებზე, კლინიკური საუბრის პროცესში, გავლენას ახდენდა ყველა ზემოთ აღნიშნული სუბიექტური ფაქტორი, მაგრამ მათი უარყოფითი გავლენის დაძლევა, შენელება და ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელია მიღებული პასუხების ურთიერთშემოწმების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის და, რაც მთავარია, მთელი მასალის, ობიექტური მეთოდით (ფიქსირებული განწყობის მეთოდით) მოპოვებული შედეგების საფუძველზე განხილვის გზით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა იმის ჩვენება, თუ რამდენად შეესატყვისება კლინიკური საუბრით და ბიოგრაფიული მეთოდით გამოვლენილი პიროვნების თვისებები ფიქსირებული განწყობის მეთოდით დადგენილი განწყობის მთლიან სტრუქტურას, რამდენად მიენდა პიროვნების უნიკალური, შინაარსეულ-მოტივაციური სისტემა, ან მისი ცალკეული კომპონენტები პიროვნების სტრუქტურის ფორმალურ მხარეს. ეს ქმნის ჩვენი კვლევის ერთგვარ საკონტროლო საშუალებას, სანდოობის მაჩვენებელს წარმოადგენდა; კვლევის შედეგები არ იქნებოდა სანდო, თუ მაგ., კლინიკური საუბრის შედეგებით აღმოჩნდებოდა, რომ ჩვენი ცდისპირის პიროვნების ყველა ძალა ინტეგრირებულია, ობიექტივაციისა და იმპულსურ დონეზე მიმდინარე ქცევათა შორის სრული ჰარმონიაა, ცნობიერ "მე"-ს ხატს, ეგოს ძალსა და არაცნობიერ ფიქსირებულ განწყობათა შორის სრული ერთიანობაა და ა.შ. რაც დამახასიათებელია დინამიკური, კონსტანტური, სტაბილური განწყობის მქონე ადამიანისათვის.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ორი მეთოდი ურთიერთს ავსებს, ფიქსირებული განწყობის მეთოდი საიმედო კონტროლს უწევს ცდისპირთან საუბრის დროს მიღებული პასუხების სანდოობას, ამ მეთოდებით მიღებული მასალების ანალიზის შედეგების განზოგადების ნიადაგზე, შესაძლებელია პიროვნების, შედარებით სრული, ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა.

სანამ დავამთავრებდეთ მსჯელობას ჩვენი კვლევის მეთოდების ვარგისიანობის (ვალიდობის) შესახებ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ჩვენი ცდისპირის კვლევის ის შედეგები, რომლებიც მიღებულია სხვა, საყოველთაოდ ცნობილი, ფსიქოლოგიური მეთოდებით. ეს მეთოდებია თემატიკური აპერცეფციის და რორშახის ტესტები, პიროვნების კვლევის მრავალფაზიანი კითხვარი (MMPI) და პიროვნების ფანტაზიის კვლევის გზით არარეალიზებული განწყობების შესწავლის მეთოდი. ამ მეთოდებით კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, წარმოადგენენ ერთგვარ კონტროლს, – დადასტურებას ან უარყოფას ჩვენი მეთოდის ვარგისიანობისა, მეორე მხრივ კი, ისინი შეიძლება იძლეოდნენ ისეთ მა-

ალებს, რომელიც ავსებენ საკვლევი პიროვნების შესახებ ჩვენს ცოდნას და შესაძლებლობას მოგვცემენ შევქმნათ უფრო სრული ფსიქოლოგიური პორტრეტი.

თემატიკური აპერცეფციის ტესტებით კვლევის შედეგები. ჩვენ აქ არ შევჩერდებით თემატიკური აპერცეფციის მეთოდის დახასიათებაზე, მის მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მეთოდთან. ეს ვრცლად წარმოდგენილია ჩვენს შრომაში: "პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები" (გვ. 77-158). აქ შეიძლება ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, თემატიკური აპერცეფციის მეთოდი ავლენს, სწავლობს პიროვნების განწყობის სტრუქტურის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიცაა, არაცნობიერად მოცემული არარეალიზებული განწყობები (ტესტების ავტორის-მურეის აზრით, იგი იკვლევს პიროვნების დომინანტურ იმპულსებს, ემოციებს, გრძნობებს, კომპლექსებს და კონფლიქტებს, განდევნილ არაცნობიერ მოტივებს, რომლების პაციენტს არ სურს გამოამჟღავნოს, ან არ შეუძლია გამოავლინოს, რადგანაც მათ ვერ იცნობიერებს). დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ის, რასაც ფროიდი განდევნა კომპლექსებს უწოდებს, არის არარეალიზებული ფიქსირებული განწყობები. განწყობის ცნების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია ავხსნათ და გავიგოთ განდევნა კომპლექსების ბუნება და მათი გენეზისი, როგორც ამას უ.ე. ჰენრი აღნიშნავს, თემატიკური აპერცეფციის ტესტის სურათებში მოცემულია "ზოგიერთი კლინიკური ადამიანური სიტუაცია", მისი ინტერპრეტაციის დროს ცდისპირი ავლენს ამ სურათების საკუთარ გაგებას-ფორმულირებას, მასში გულისხმობს იმ მნიშვნელობებს, რაც მის პიროვნებაშია ჩანერგილი გარკვეული კულტურის, სწავლის, ვარჯიშის გზით. მოთხრობის შედგენისას ცდისპირი იყენებს თავის გონებრივ და წარმოსახვით უნარებს, რომ თავისი აღქმის შინაარსი შეუხამოს როგორც სურათის ილუსტრაციის ფორმის მოთხოვნებს, სურათის აშკარა შინაარსს, ისე თავის პირად ტენდენციებს, ემოციურ კომპლექსებს, რომელიც თავს იჩენს ცდისპირის მიერ სურათში აღმოჩენილ "ფარულ" შინაარსში. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით ცდისპირის პასუხების ინტერპრეტაციის დროს ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ მურეის ძირითადი პრინციპი-გამოვყოთ მოთხრობაში მოცემული ძირითადი თემა 1. (მოთხოვნილებისა და "პრესის" ურთიერთობა), 2. როგორ მიმდინარეობს მოთხრობის გმირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება-წარმატებით თუ დაბრკოლებებით (ფრუსტრაციის ნიადაგზე), 3. როგორ სრულდება მოქმედება - აღწევს მიზანს თუ არა, 4. როგორი ემოციის ფონზე მიმდინარეობს მოქმედება-დისკოლიურის თუ ევკოლიურის, 5. მოთხრობაში მოცემული ძირითადი მოტივი მოთხოვნილება მოქმედებს დამოუკიდებლად, თუ შერწყმულია სხვა მოთხოვნილებებთან. ამ ხუთივე კომპონენტის ურთიერთმიმართების თავისებურების დადგენის გზით ვცდილობთ გავიგოთ პიროვნების ძირითადი ფარული სწრაფვანი, რომელნიც პიროვნებაში ფიქსირებულია არარეალიზებული განწყობების სახით.

ჩვენი ცდისპირის კვლევის შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენებას ჰქონ-

მელიც ეხება პიროვნების ფარულ არაცნობიერ ტენდენციებს, დაცვით რეაქციებს და ამასთან დაკავშირებით გამოავლინოს მისი პიროვნების სტრუქტურის შინაარსის ის მხარე, რომლის წვდომა ვერ მოახერხა კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით.

სულ ცდისპირს ჩვენ მივაწოდეთ 19 სურათი. ამ სურათების მიხედვით მან შექმნა მოკლე მოთხრობები. იგი ცდილობდა, თავისი აზრი გამოეხატა მოკლედ, ახასიათებდა შეკავება, გაუბედაობა, შეეჭვება, გამომწვევი კითხვები, ჩვენ ვცდილობდით აგვემოქმედებინა მისი ფანტაზია. ნაწილობრივ მივაღწიეთ კიდეც ამას. ცდისპირი ქმნიდა ისეთი შინაარსის მოთხრობებს, რომლებშიც შეიძლებოდა მისი განწყობილების ამოკითხვა, ამ მოთხრობებში მკვეთრად არაა გამოყოფილი კონკრეტული მოქმედი პერსონაჟი (გმირი), ყველგან ლაპარაკია ვიღაც ქალზე ან მამაკაცზე, რომელსაც რაღაც შეემთხვა. "პერსონაჟებს" აკლიათ ინდივიდუალობა, გარკვეულობა, ისინი რაღაც დიფუზური ფიგურებია, რომელთა არსებობაში, ქცევაში ავტორს ეჭვი ეპარება. თხრობა გამსჭვალულია დაურწმუნებლობით, უკმაყოფილებით, გაკვირვების შეძახილებით, ამიტომ ძნელია მოთხრობიდან გამოვყოთ გმირი, რომლისადმი ცდისპირი ადგენს თავისი "მე"-ს იდენტიფიკაციას. მოთხრობების უმრავლესობაში ნათლად ჩანს, რომ სურათებში მოცემული სიტუაციები მასში აღძრავს შეშფოთებას, პესიმისტურ ემოციურ განწყობილებას; ყველგან ხედავს ტრაგიკულ ვითარებას, გამოუვალ წარუმატებლობას. შეკითხვის შემდეგ (როთი შეიძლება დასრულდეს ეს ამბავი?) ავლენს ემოციურ დამოკიდებულებას, რომელიც უფრო გულგრილ პესიმიზმს, ან დეპრესიას გამოხატავს ("ალბათ დაიღუპება ყველაფერი, ცხოვრება თავის გზით წავა"). მას იჭვი ეპარება სურათის მისეულ ინტერპრეტაციაში. მოვიყვანოთ საილუსტრაციო ისეთი მაგალითები, რომლებშიც ცოტად თუ ბევრად ნათელია მოთხრობის გმირი. სურათის მიხედვით, იატაკზე ტახტის გვერდით ჩანს ბიჭის მოკრუნჩხული ფიგურა, მის გვერდით იატაკზე ვგონებ რევოლვერია, ამბობს ცდისპირი, ეს ადამიანი დატექსულია, შეიძლება ითქვას, სულიერად განადგურებულია. შესაძლოა ფიზიკური ტკივილიც კი ჰქონდეს რაღაც. ეს ჰგავს... აქ ხომ არის საწოლი, საწოლია ეს, საოჯახო საწოლს არ ჰგავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პატიმარიც არის, რომელსაც მიაყენეს ტკივილი და ეხლა ფიქრობს თავის ბედ-იღბალზე... როგორ გამოასწოროს იგი. შეკუმშული ხელიც იმას მიმანიშნებს, რომ მისი განცდა მწვავეა... მე მინდა, რომ მისი საქმე კარგად წავიდეს. უთუოდ იწვევს სიბრალულს, თავის გამომეტყველებით, პოზით, ...მოითმინეთ აქ რაღაცაა... აქ ამოსაცნობია, რაღაც გამოსაცნობია. ეტყობა მეტი დაკვირვება უნდა, აქ რაღაც ჩანს, რაღას ჰგავს. მე რეალისტი ვარ და ვერ ვატყობ, რომ რაღა იყოს. შეიძლება სცემეს, შეიძლება ვიფიქროთ სხვადასხვა ვარიანტები. ერთ შემთხვევაში პატიმრობა დავინახე, მეორე შემთხვევაში ვფიქრობ, ეს სადმე გარეთ მოხდა, ეს სკამივით რაღაცაა, ქუჩაში ხომ არ არის ასეთი ხიდზე, ბაღი არ არის ეს? რა თქმა უნდა, იქ ძალა იხმარეს

მასზე და ამას განიცდის, მის მომავალზე ვერაფერს გეტყვით. ჩემი სურვილი კია, რომ კარგად წავიდეს მაგის საქმე.

თუ გავიხსენებთ ცდისპირის ბიოგრაფიულსა და კლინიკური საუბრების მასალებს, ამ მოთხრობის გმირის მიმართ, იგი ახდენს თავისი პიროვნების ერთი ასპექტის პროექციას, იდენტიფიკაციას. მისი გმირი წარმოადგენს ფიზიკურად და სულიერად განადგურებულ, ცხოვრებაში დამარცხებულ, დამცირებულ სუბიექტს; თხრობა აღბეჭდილია მარტოობის, უმწეობის, დამცირებულობის განცდით. ყოველივე ეს გამოწვეულია გარეგანი პირობებით - "პრესით" - სექსუალური აგრესიით ან კიდევ სხვა ფაქტორებით. ცდისპირს არ შეუძლია თავისი გმირის მომავლის განჭვრეტა, ამ მხრივ იგი პესიმისტურადაა განწყობილი, თუმცა სურს, რომ მისი ბედი უკეთესი იყოს, მისი საქმე გაუმჯობესდეს. შეიძლება დავუშვათ, რომ აქ იგი ახდენს თავისი პიროვნების იმპულსურობის, შიშების, ფსიქასთენიური სიმპტომების პროექციას.

მეორე სურათის მიხედვით (სურათი მოგვაგონებს სასაფლაოს) იგი გვიამბობს: "ეს ადამიანი სასაფლაოზეა. ეს ჩემი თემაა. მე უკვე მოგახსენეთ, რომ სურვილი მაქვს დავხატო ასეთი. აქ მას ხელში რაღაც უჭირავს, თუ არა, არაფერი არ უჭირავს, მაპატიეთ, შეწუხებულია, ოდნავ წელშია მოხრილი. მას ვიღაც ახლობელი ჰყავს გარდაცვლილი, აქ არის უთუოდ დასაფლავებული; ან შეიძლება ყოყმანობდეს კიდეც, ფიქრობდეს აქ არის, თუ იქ არის დასაფლავებული. მისი მზერა თითქოს კითხვასაც ნიშნავს და წუხილსაც. ნუთუ მართლა სასაფლაოა ეს? სასაფლაო რომაა, ამაზე ეს ჯვრები მიმანიშნებს და ეს რაღაც დაყუდებული რამ არის. მართალია, ისეთი არ არის ეს სასაფლაო, როგორიც მე მინახავს ხოლმე, მაგრამ მაინც მე მგონია, ეს სასაფლაოა (?). ბოლოს რა იქნება? ეს წავა აქედან ისევ, წავა აქედან ცოტა ხნის შემდეგ. ცხოვრება თავისი გზით წავა. მის ბედ-იღბალს ცხოვრება თვითონ წარმართავს. (?) იგი საკუთარი განცდების გამოა მოხრილი, მოძუძგული, ამის მიზეზი თავისი განცდებია და არა სიცივე ან სხვა გარემოებანი".

აქაც, ამ მოთხრობაში ცდისპირი ახდენს საკუთარი განწყობილების პროექციას. გვიხატავს ისეთ ადამიანს, რომელიც ხასიათდება ინტროვერსიითა და ინტროსპექციით, შეპყრობილია თავისი შინაგანი სამყაროს ჭარბი ინტერესით - წუხილებით, შფოთვით, შინაგანი კონფლიქტებით, პესიმისტური განწყობილებით. თითქოს იგი აქაც ახდენს თავისი ფარული მისწრაფებების პროექციას (სიკვდილის შიში, სწრაფვა თავისი თავის შემოქმედებაში განსახიერის სასაფლაო), თვით თხრობის მანერაც აღსავსეა ეჭვებით, დაურწმუნებლობით, კონფლიქტური განცდებით. აქაც ჩანს მისი პიროვნული თავისებურებანი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ მოთხრობას (სურათი: ხიდი მდინარეზე, ქალის ფიგურა ხიდის მოაჯირთან), ეს უცნაური სურათია, ხიდს ჰგავს, მე ამას აღვიქვამ როგორც დიდ უზარმაზარ ხიდს, რომლის მიღმა მოჩანს შენობა, პატარა შენობა, დიდიც. მზიანი დღეა, ხიდზე მდგომი ადამიანი არაა ბედის კმაყოფილი,

იგი შეჩერებულია ამ ხიდის მოაჯირთან იმ განზრახვით, რომ დაამთავროს თავისი წამებული ცხოვრება და გადაეშვას ამ მაღალი ხიდიდან. მაგრამ წამით შეყოვნებულია, ფიქრობს, ფიქრობს, ფიქრობს; სიცოცხლის სიყვარული, რომელიც ადამიანში უთუოდ არის, რა წამებულიც არ უნდა იყოს, იგი თავისთავად არის, ეს აჩერებს მას ამ განზრახვის შესრულებისაგან. მაგრამ მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ის მობრუნდეს და წავიდეს, შეებრძოლოს თავის ბედს, წარმართოს იგი სასიკეთოდ (თვითონ რას გადაწყვეტს?) პასუხი: ეს ჩემი სურვილია, ბატონო, აქ ძნელია იმის გამოცნობა, ისეთი პატარა და სილუეტური ნახატია, რომ არ ჩანს მისი ნებისყოფა, მისი ხასიათი, ამიტომ მე მინდა გადაწყვეტილო ის, რაც მე მსურს – წავიდეს სახლში.

აქაც ძირითადი თემაა თვითაგრესია: ცხოვრებისაგან გაწამებულ ადამიანს უჩნდება თვითმკვლელობის სურვილი, მასში ერთმანეთს უპირისპირდება ეროსი (სიცოცხლის ინსტინქტი და თანატოს-სიკვდილისაკენ სწრაფვა-თვითაგრესია), ასეთი კონფლიქტიდან თვითონ სუბიექტი ვერ პოულობს გამოსავალს. ცდისპირი ვერ ახერხებს თემას, თუ საბოლოოდ როგორ მოიქცევა მისი გმირი. საბუთად მოჰყავს ის, რომ მისი გმირის ხასიათის ბუნება სურათის სიმცირის გამო არაა გამოკვეთილი. ამ შემთხვევაში სუბიექტი მიმართავს ერთგვარ "რაციონალიზაციას". მსჯელობით ფარავს თავისი გმირის სურვილებს, ასეთი სურვილის გამოხატვის ნაცვლად მსჯელობს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ადამიანი. ამრიგად, მოთხრობის თემაა თვითაგრესია, პრესი-მძიმე, გაწამებული ცხოვრება, მიზნის მიუღწევლობა, სუბიექტში მიმდინარე შინაგანი კონფლიქტები, გადაწყვეტილების მიღების სიძნელე. მოქმედება მიმდინარეობს მელანქოლიური ტემპერამენტიდან აღმოცენებული პესიმისტური ემოციების ფონზე. აქაც ადგილი აქვს, ოდნავ შემოვლილი გზებით, საკუთარი სულიერი სამყაროს-ფსიქიკურის პირველ დონეზე მიმდინარე იმპულსურ-აფექტური ცხოვრების თავისებურ პროექციას. აქ მკვეთრად ჩანს კლინიკური საუბრისა და ბიოგრაფიული მეთოდით დადასტურებული შინაგანი კონფლიქტები, ჰიპოქონდრიული ჩივილები, სიცოცხლის შიში, რომელიც შეკავებულია და რეგულირებულია პიროვნების "მე"-ს მიზნებით, "მე"-ს რეგიონში მოქცეული მაღალი ღირებულებისათვის ბრძოლის, მიღწევის მოთხოვნილებით.

ცდისპირის მიერ შედგენილი დანარჩენი მოთხრობები, თემის პერსონაჟის მიღწევის შედეგების (წარმატება და წარუმატებლობა), მისწრაფებების შეფერხებების (ბლოკირების), მოქმედების ემოციური ფონის თავისებურებათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მის მიერ შედგენილი 19 მოთხრობიდან 18 მოთხრობაში დაყენებულია ერთი ძირითადი დილემა, რომლის ირგვლივაა კონცენტრირებული თხრობის შინაარსი-რაოდა მიზნის მარცხი (მიზანი არაა მთლიანად გარკვეული), ფრუსტრაციის გამო შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები, დეპრესია, დისკოლიური ემოციები, დასჯა, შეურაცხყოფა, დამცირებულობა, შიშები, თვითაგრესია; მოთხრობებიდან ჩანს, რომ გმირის ეს თვისებების ქრონიკული, პოტენციური ძალებია,

რომელნიც თავს იჩენენ გარკვეული სუბიექტური ფაქტორებისა და პრესის ზეგავლენით. მოთხრობების გმირი ტრაგიკული პიროვნებაა, მისი ცხოვრების გზა შინაგანი და გარეგანი კონფლიქტებითაა აღსავსე, მისი სურვილები უმრავლეს შემთხვევაში ბლოკირებულია შინაგანი პრესით. მოთხრობის გმირის მოქმედება თითქმის ყოველთვის მიმდინარეობს პესიმისტური ემოციების ფონზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მის მიერ შექმნილ მოთხრობებში პროექცირებულია საკუთარი პიროვნების მე-ს ის მხარეები, რომლებიც იმპულსური ხასიათისაა-წარმოადგენენ არარეალიზებულ ფიქსირებულ განწყობათა აქტივაციის ნიადაგზე წარმოშობილ დაცვით რეაქციებს-შიშებს, ფარულ თვითაგრესიას და სხვ. მოთხრობებში სრულიად არ ჩანს ის ცენტრალური ღირებულებები, რომელნიც აქცევენ მას სოციალურად მაღალ ღირებულ პიროვნებად (მაღალი მიზნები, სწრაფვანი, რომელთა ნიადაგზე ჩნდება კონფლიქტები, მიღწევის მოთხოვნილებით გამოწვეული განცდები და სხვა). აქ თითქოს პიროვნება თავისუფალია მისი შინაგანი ინტიმური იმპულსების შემაკავებელი ძალისაგან, რაც აძლევს მას შესაძლებლობას, მოახდინოს ე.წ. დაცვითი რეაქციების სრული ემანსიპაცია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტესტებზე, ჩვენი ცდისპირის შემთხვევაში, ვწვდებით პიროვნების მხოლოდ ერთ ასპექტს-მის იმპულსურ აფექტურ სფეროს-ფსიქიკური პირველ დონეზე ფიქსირებულ არარეალიზებული განწყობების ბუნებას. მაგრამ მთლიანი პიროვნება, განწყობის მთლიანი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესებს, ამ დონეზე ფიქსირებული განწყობების ისეთ შინაარსსაც, რომელთა აქტივაცია ხელს უწყობს "მე"-ს მიზნების მიღწევისათვის ნებელობის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეთა მუშაობას, რაც აძლიერებს პიროვნების ნებელობის ძალას, მისი სოციალური ღირებულებებისადმი სწრაფვის დაკმაყოფილებას, ცდისპირის მიერ შექმნილ მოთხრობებში შეუძლებელია ამოვიკითხოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტესტებით კვლევის შედეგები ძირითადში ემთხვევა კლინიკურ-ბიოგრაფიული კვლევის შედეგებს; კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით დადასტურებული ის თვისებები, რაც ცდისპირის ფსიქიკური პირველ დონეზე ახასიათებს, ამ ტესტებით უფრო მკვეთრადაა გამოვლენილი, იგი შეუნიღბავად, ზედმეტი "რაციონალიზაციის" გარეშე, უშუალოდ, გამოვლენილია მოთხრობის გმირის ქცევაში, რაც, ერთი მხრივ, მეტყველებს ჩვენ მიერ შედგენილი-კლინიკური საუბრის მეთოდის და ამ მეთოდით კვლევის მასალების ინტერპრეტაციის კრიტერიუმის ვალიდობაზე, მეორე მხრივ, ადეკვატური ოპერაციის ტესტების ჩვენი მეთოდით მიღებულ მონაცემებს.

არარეალიზებული განწყობების თავისებურებათა შესასწავლად ჩვენ ცდისპირს ვთხოვეთ შეექმნა მოთხრობა შემდეგი სიუჟეტის სქემის ნიადაგზე: ერთი მღვდელი კვირა დილას მრევლის წინაშე წარსდგებოდა შავი რიდით და იწყებდა წირვას, ქადაგებას. ამის შემდეგ დიდხანს არ იშორებდა ამ რიდს. საინტერესო იქნებოდა ამ სიუჟეტის ნიადაგზე თქვენ თუ შექმნით და დაწერთ მოთხრობას. თქვენ შეგიძლიათ ამ სიუჟეტში შეიტანოთ ნებისმიერი ცვლილებები. თქვენ მიერ შექმნილი მოთხრობა შეფასდება მისი ლიტერატურული ღირებულების მიხედვით.

ცრიპერი ამ სიუჟეტის ნიადაგზე ქმნის შემდეგ მოთხრობას:

"ერთ სოფელში, მაღლა გორაკზე მოთავსებულ ეკლესიაში, მღვდელი ზოსიმე ღვთისმორწმუნეობას ქადაგებდა. ქადაგებდა დიდი შთაგონებით, გამომსახველობით და გატაცებით. ალბათ ამით და თავისი ახოვნებით, კარგი გარეგნობით, მრევლის სიყვარული და ნდობა ჰქონდა მოპოვებული. თუ ვინმეს რაიმე გაჭირვებაში მყოფს დახმარება და რჩევა სჭირდებოდა, მამა ზოსიმე მზად იყო ხელის გაწოდებისათვის. აი, ასეთ დროს, სოფლის ერთმა მკვიდრმა, ქვრივმა ივანემ მის წინ დამდგარი გადასაწყვეტი კითხვის გასარკვევად მამა ზოსიმეს მიმართა. იგი შინ არ დახვდა. იმავე საღამოს, შაბათის ლოცვაზე ზოსიმე ეკლესიაში აღარ გამოჩენილა და იმ დღიდან მის შესახებ არავინ იცოდა რამე. ბევრგვარი აზრი დაიბადა მისი "გაქრობის" შესახებ, მაგრამ სინამდვილეს ვერავინ მიაკვლია... გავიდა წლები. სოფელში ხმა დაირხა, რომ ეკლესიაში ახალი მღვდელი მოვიდა. ერთ კვირა დღეს წირვაზე მრევლმა ახალი მღვდელი იხილა და მოისმინა. დღეს დღე მისდევდა, მღვდელს თანდათან შეეჩვია მრევლი, მაგრამ იმ ზოსიმეს მსგავსი არავინ მისულა მასთან. ახალი მღვდელი, როგორღაც უნიათოდ ატარებდა წირვა-ლოცვას, ამიტომ მრევლიც ისე ახლო ვერ მივიდა მასთან, როგორც ზოსიმესთან იყო. გულჩათხრობილი, მავისთავში ჩაკეტილი კაცი ჩანდა იგი, იმასაც ამბობდნენ, რომ ამავე სოფელ მათეს მღვდელი ერთხელ ცრემლმორეული და თითქოს თავისთვის მობუტბუტე დანახა გალავნის ჩრდილში, ხის ძირას ქვაზე ჩამომჯდარი. თანდათან გახდა და გაილია ეს კაცი. ბოლოს ლოგინად ჩავარდა. მარტოხელა იყო და მოხუცმა პეტრემ შეიკედლა. პეტრე უვლიდა კიდეც. პეტრემ დაუხუჭა თვალები, მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ გაიგო სოფელმა, რომ "ახალი მღვდელი" ისევ ის მამა ზოსიმე ყოფილა, რომელიც ადრე მათი საყვარელი ადამიანი იყო. მხოლოდ პეტრესთვის გაემხილა საიდუმლო მისი სიკვდილის წინ, რომ ვეღარ გაუძლო ამ სოფლიდან წასვლას, სახეშეცვლილი, სხვა სახელით ისევ დაუბრუნდა ძველ მრევლს. აქ კი კვლავ ახალი ძალით შეიგრძნო მისი ცოდვა და დანაშაული, რომელიც უნებლიეთ, როგორც ადამიანს, მასაც შეემთხვა ერთხელ, და სწორედ ამან, ამის წუხილმა გააქრო და გალია მისი სიცოცხლე. ღმერთს მიტევებასა და შენდობას თხოვდა სიკვდილის წინ. რა დანაშაული ჰქონდა? ეს აღარ უთქვამს. ბოლოს კი წაიჩურჩულა მომაკვდავმა აღსარების მიღების დროს – "ღმერთო შემინდე, ეშმაკს რომ ვერ ვძლიე".

ამ მოთხრობაში ჩაქსოვილი ფანტაზიის ხატის დაკვირვებული ანალიზი უთუოდ მიგვანიშნებს, რომ მღვდელი ზოსიმე მისი სულიერი სამყაროს პროტოტიპია. მან, მისდაუნებლიეთ მღვდელ ზოსიმეს განცდებისა და ქცევის დახასიათებაში ჩააქსოვა თავისი არარეალიზებული განწყობების შინაარსი, რაც მასში ჩაისახა მისივე პიროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით ბავშვობის წლებში. მოთხრობის გმირი ადამიანების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა, ამას იგი იმსახურებდა კარგი გარეგნობით, გონიერებით, ცოდნით, და რაც მთავარია, გულკეთილობით. მაგრამ როგორც გამოირკვა, ყოველივე ის,

რითაც ახდენდა კეთილ შთაბეჭდილებას, მისი მთლიანი პიროვნების გამოვლენა, კი არ იყო, არამედ მხოლოდ მისი "მე"-ს რეგიონის ერთი რომელიმე კომპონენტის, მაღალი ღირებულებისადმი სამსახურის ტენდენციის (აფილაციის, სოციოფილიის, რომელიც შერწყმულია დომინანტობასთან, ნარცისიზმთან) გამოვლენას წარმოადგენდა, ე.ი. პიროვნების იმ კომპონენტის აქტივაციის შედეგი იყო, რომელიც პიროვნებაში ფიქსირებულია ობიექტივაციის დონეზე წარმოქმნილი განწყობის შინაარსის სახით (მაღალი სოციალური ღირებულებები), მაგრამ მას (მოთხრობის გმირს) მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა და აწვალებდა რაღაც გაურკვეველი, გამოუმჟღავნებელი, საიდუმლოებით მოცული "ბოროტი" იმპულსი (ეშმაკი); გმირის ქცევაში და მის ნათქვამში არ ჩანს, კონკრეტულად რა ხასიათის იყო ეს ბოროტი ძალა, მაგრამ ამ შინაგანმა იმპულსმა აიძულა იგი, ეღალატა "მე"-ს მაღალი ღირებულებისადმი... განდგომოდა მას, მასში წარმოიშვა "მე"-ს მაღალ ღირებულებებსა და არაცნობიერად მოცემულ იმპულსებს შორის კონფლიქტები: შფოთვები; პიროვნების მაღალი ღირებულებისადმი სამსახურის მზაობამ იგი აიძულა სახეშეცვლილი დაბრუნებოდა თავის საქმეს, მაგრამ მასში დაბუდებული ბოროტი იმპულსები, "ცოდვები" მოუშორებლად თან სდევდა მას, რამაც გამოიწვია მისი დაბეჩავება, დაკნინება, თავისთავში ჩაკეტვა, ცრემლიანობა, დაღვრემილობა-დეპრესია და ბოლოს დარდით გალევის გამო იგი გარდაიცვალა. მან ისე განუტევა სული, რომ იმ ადამიანსაც კი, რომელსაც შეჰკედლა, არ გაუმჟღავნა თავისი ღრმა მწუხარების მიზეზი.

თუ გავიხსენებთ ჩვენი ცდისპირის ბიოგრაფიული და კლინიკური საუბრის შედეგებს, ძნელი არაა დავინახოთ, რომ ზოსიმე მღვდლის სულიერი მდგომარეობა ანალოგიურია მისთვის დამახასიათებელი შინაგანი კონფლიქტებით აღსავსე სულიერი ცხოვრებისა. ბავშვობის პერიოდში და შემდეგაც, რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით, მასში ფიქსირებული იყო ისეთი ეგოცენტრული, ნარცისისტული შინაარსის განწყობები, რომელთა რეალიზაცია შეფერხებული იყო გარემოსთან მიზანშეწონილი შეგუების აუცილებლობით, ცირადი და გარემოს "პრესიდან" მომდინარე აკრძალვები იწვევდნენ განწყობების არარეალიზებულ განწყობებად ქცევას, რაც განაპირობებდა რიგი ნევროზული რეაქციების წარმოშობას (თვითაგრესია, ფსიქასთენიური გაუბედაობა, იჭვები, ჰიპოქონდრიული ჩივილები და სხვა). გარემოსთან შეგუებისათვის არაშესატყვისი განწყობების ნიადაგზე წარმოქმნილი დისკომფორტული ემოციები დიდ სულიერ ტანჯვას იწვევდა და იწვევს მასში. ცდისპირს თვითდაკვირვებით შეუძლია აღწეროს თავისი "პათოლოგიური" განცდები, მაგრამ მათი წარმოშობის მიზეზები მისთვის საიდუმლოებაა. ფიქსირებული არარეალიზებული განწყობების გაცნობიერება მას არ ძალუძს. სწორედ ამიტომ ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია, ეს მისთვის რაღაც "ეშმაკია", ბოროტი ძალა, შეჰკავებელი იმპულსია, რომელიც თრგუნავს და ჩრდილს აყენებს მის ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას. მისი ფანტაზიის ხატის, გმირის "მე"-ს ცენტრალური ღირებულე-

ბები მაღალი იდეებისათვის სამსახურია. ამ მიზნებისათვის მოღვაწეობაში მის ეგოს ძალას უხდება მიღწევის ტენდენციის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი იმპულსების დათრგუნვა, ეს პროცესი აღსავსეა კონფლიქტური განცდებით, ზოგჯერ კონფლიქტური იმპულსების ექსპანსია იწვევს პიროვნებაში თვითაგრესიის მოთხოვნილებასაც. მოთხრობაში ცდისპირი სულიერი ცხოვრების სწორედ ამ ასპექტის (იმპულსურობის გამარჯვებით გამოწვეული შინაგანი დრამა) პროექციას ახდენს. როგორც ვხედავთ, ფანტაზიაში გამოვლენილი არარეალიზებული განწყობების კვლევის ტესტიც ადასტურებს იმ შედეგების ნამდვილობას, რომელიც მიღებული იყო სხვა, ჩვენ მიერ რეკომენდებული მეთოდებით-ფიქსირებული განწყობის, კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით და თემატიკური აპერცეფციის ტესტებით.

დაახლოებით ანალოგიურ სურათს იძლევა ცნობილი რორშახის მეთოდით კვლევის შედეგებიც.

რორშახის ტესტების ფსიქოდიაგნოსტიკურ ღირებულებაზე, აგრეთვე ამ ტესტებისა და ფიქსირებული განწყობის მეთოდით კვლევის მონაცემების ურთიერთმიმართების საკითხზე აქ არ შევჩერდებით, ეს განხილულია ჩვენს წიგნში "პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები", 1975. ამ მეთოდით ცდისპირის კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია შემდეგ სურათს იძლევა.

გარე სამყაროს მიმართ მისი ინტელექტუალური ინტერესი ძირითადში ანალიტიკური ხასიათისაა, მასში ჭარბობს თვალსაჩინო გრძნობადი აღქმისათვის მისაწვდომი საგნებისა და მოვლენებისადმი ინტერესი, თუმცა მას საკმაოდ განვითარებული აქვს მოვლენათა სინთეზური წვდომის უნარი – თეორიული ინტერეს-ცალკეული საგნებისა და მოვლენების სინთეზური წვდომის შესაძლებლობა, მაგრამ, ძირითადად მაინც, მისი გონიერება კერძოსადმი არის მიმართული. აღსანიშნავია ერთგვარი დისოციაცია ინტელექტუალური მოქმედების ცალკეულ მხარეთა შორის-მთლიანის, კერძოს (დიდი დეტალების) და მცირე დეტალების მიმართ ინტელექტის აქტივობა არაა თანაბრად განაწილებული – ამ მხრივ დარღვეულია მათ შორის წონასწორობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე დეტალების პასუხების სიმცირე და თეთრი სივრცის პასუხების სიმრავლე, რაც მიუთითებს პიროვნების დაუმწიფებლობაზე, შფოთვებზე, დათრგუნვის ტენდენციაზე (ინტროვერტულ პიროვნებაში), გარემოსთან დაპირისპირებაზე, შინაგან კონფლიქტებზე. ცდისპირის გონებრივი აქტივობა არათანამიმდევრულია. ეს უკანასკნელი გონებრივი მოქმედების აქტივობის ვარიაბილობაზე – ერთნაირ გარემოში, ერთგვარი ამოცანების გადაწყვეტის დროს მის განსხვავებულად მოქმედებაზე მიუთითებს. ინტელექტში ჩასახული ამ დისოციაციის კომპენსაციას ახდენს ე.წ. გონებრივი მოქმედების ორგანიზაციის უნარი (ორგანიზაციის პასუხები). მისი გონებრივი აქტივობა ინტენსიურია და ღრმა, იგი ისწრაფვის ღრმად ჩაწვდეს კერძო მოვლენათა შორის არსებულ კავშირებს, მათ დამოკიდებულებას მთელთან, რაც გარკვეულად აქვეითებს თავის მოთხოვნილების შესატყვის გარემოში ადაპტაციას. რორშახის მიხედვით, ინ-

ტელექტის, როგორც გარემოსთან შეგუების იარაღის, დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ პიროვნების სხვა მონაცემებსაც.

აქ აღსანიშნავია ცდისპირის "მე"-ს ძალის თავისებურება, ემოციური ტოლერანტობის დონე, შინაგანი კონფლიქტების მაჩვენებლები და პიროვნების განცდის ტიპი, რომელიც მიუთითებს პიროვნების ემოციურ-აფექტურ სფეროსა და ნებელობის ძალას შორის მიმართებაზე (ინტროვერსია და ექსტრატენზია). ირკვევა, რომ ჩვენი ცდისპირის ემოციების სფეროს გამოვლენა იმპულსური ხასიათისაა. წმინდა ფერების და ფერ-ფორმის პასუხები უდრის 5.5-ს, როცა ფორმა-ფერის პასუხების მაჩვენებელი მხოლოდ 2.2-ის ტოლია, რაც მიუთითებს მისი ემოციური ტოლერანტობის შესუსტებაზე; ემოციურ უწონასწორობაზე, დისფორიული ემოციების სიჭარბეზე. აღსანიშნავია შავი, მუქი ფერების, ელფერების, პერსპექტივის, სიღრმის განცდის პასუხების სიმრავლე (10), რაც მიუთითებს ფრუსტრაციის შედეგად პიროვნებაში დაბუდებულ მძიმე განცდათა კომპლექსებზე. ამასთან ერთად ცდისპირს აქვს შინაგანი ძალა, შემოქმედების უნარი, ძალა, თავი გაართვას შინაგან კონფლიქტებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, საბოლოოდ, მასში მაინც ბატონობს არარეალიზებული განწყობების განპირობებული დისფორიული ემოციები, დაცვითი რეაქციები, ამის დამადასტურებელია ემოციურ-აფექტურ სფეროსა და ნებელობას შორის მიმართების გამომხატველი განცდის ტიპის მაჩვენებელი. ამ ორი მაჩვენებლის შეფარდებაა 8/4-თან, სადაც 8 გამოხატავს სუბიექტის ემოციური ცხოვრების ინტენსივობას, ციფრი 4-კი ეგოს ძალას (ნებელობის პოზიტიური, განსაკუთრებით ნეგატიური აქტივობის ძალას). ეს შედეგი ადასტურებს, რომ მისი განცდის ტიპი ექსტრატენზიურია. რორშახის განცდის ტიპი (ინტროვერსია და ექსტრატენზია) არ ემთხვევა იუნგის, ან აიზენკის ინტროვერსია ექსტრავერსიას. რორშახის ინტროვერტული ტიპის ადამიანი თავისთავში გრძნობს ძლიერ ძალას, მის ქცევას წარმართავენ გონიერი გადაწყვეტილებების ნიადაგზე წარმოშობილი მოტივები. ამიტომ მას გააჩნია ფრუსტრაციის პირობებში აღმოცენებული სტრესული ემოციების საკომპენსაციო საშუალებები, ექსტრატენზიურ პიროვნებას კი პირიქით, - აკლია ეგოს ძალა, იგი ლაბილური, ვარიაბილურია, ახასიათებს აფექტურობა, ჭარბი ექსპრესიულობა, შინაგანი კონფლიქტები, რომელსაც აღძრავს გარეგანი სტიმულები. რორშახის ტესტები მკვეთრად ავლენენ ჩვენი ცდისპირისათვის დამახასიათებელ ემოციურ ლაბილობას, დისფორიულ ემოციებს, განცდათა კომპლექსებს, რომელთა შეკავებას სუბიექტი ახერხებს მაშინ, როდესაც "მე"-ს ძალა თავისი სანუკვარი ღირებულებების სამსახურშია. ასეთ პირობებში მისი ნებელობის ნეგატიური მხარე ინტენსიურია და ახერხებს არარეალიზებული განწყობებიდან აღმოცენებული ნევროზული რეაქციების დათრგუნვას და ქცევის ობიექტივაციის დონეზე წარმართვას. მაგრამ, როდესაც შესუსტებულია "მე"-ს რეგიონში მყოფი აქტიური ძალები, მაშინ თავს იჩენს ექსტრატენზიურობა, გარეში სტიმულებისადმი ჭარბი დაქვემდებარება, ვარიაბილობა, ემოციური ლაბილობა და სხვა. ეს

უკანასკნელი რორშახის ტესტზე პასუხებში ასახულია განცდის ტიპში: გან-ცდის ტიპი ექსტრატენზიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ემოციურ აფექტურ სფეროს მიმართ ნებელობის კონტროლი შესუსტებულია, პიროვნება ჭარბად ექს-ტრავერტულია, იგი გარემოს სტიმულების და ფსიქიკურის პირველ რიგზე წარ-მოშობილი იმპულსების მონა. ამავე დროს, როგორც ირკვევა, პიროვნებას შერჩენილი აქვს დარღვეული ემოციური ტოლერანტობის კომპენსაციის საშუალე-ბები, ინტელექტის ორგანიზებულობის მაღალი დონე, ცალკეული მიღწევების გონებრივი ანალიზის უნარი, და, რაც მთავარია, საგნებისა და მიღწევების დიდი სიზუსტით აღქმის ტენდენცია, რომელსაც ემყარება ინტელექტის მიზან-შეწონილი მოქმედება, ახერხებს აღნიშნული დისოციაციის კომპენსაციას. ამის მაჩვენებელია ე.წ. ფორმის პასუხები. რორშახის ტესტში ფორმის პა-სუხები გამოხატავენ პიროვნების ქცევის შეგნებულ, კონტროლირებულ პოზიციურ პოზიციას, უნარს გონიერად გააკონტროლოს საკუთარი ემოციურ–აფექტური იმ-პულსები. იგი გამოხატავს ინტელექტუალური კონტროლის – "მე"-ს ძალას, გა-რემოსთან მიზანშეწონილი ადაპტაციის საშუალებას: მას შეუძლია დარჩეს ობიექტური, არ დაემორჩილოს სიტუაციით გამოწვეულ აფექტებს. ამავე დროს ფორმის პასუხების ღირებულება განხილულ უნდა იქნეს ტესტის სხვა მონაცე-მებთან მიმართებაში. თუ კი ფორმის პასუხების რაოდენობა ნორმალურია (მეტი პასუხების 50 %), არ ჭარბადაა მოცემული და, ამავე დროს, კინესთეზი-ური პასუხებიც საკმარისადაა წარმოდგენილი (4–პასუხი), მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნების ნებელობის ძალა ძლიერია, და, პირიქით, თუ კი-ნესთეზიის პასუხები მცირეა, ან სულ არაა, ან კიდევ დიდია არაზუსტი ფორ-მის პასუხები, აგრეთვე იშვიათია ადამიანის ფორმის პასუხები, მაშინ ფო-რმის პასუხების სიმრავლე ნიშნავს პიროვნებაში განვითარებულ მეტად ჭარ-ბი თვითკონტროლის უნარს, ერთგვარ რიგიდობას, მოქმედებაში პედანტურო-ბის, სპონტანურობის დაკარგვას, ჭარბი ნევროზული განცდების წინააღმდეგ მიმართული დაცვითი მექანიზმების აქტივობას, რაც, თავის მხრივ, განაპი-რობებს პიროვნების შინაგან კონფლიქტებს–დისფორიული ემოციების წარმოშო-ბას. ჩვენი ცდისპირის ფორმის პასუხების რაოდენობა ნორმალურია (70 %), არაზუსტი ფორმის პასუხებიც საკმაო დიდია (30 %), მოძრაობის პასუხებ-ში 4–დან 2 პასუხი ადამიანის ფორმის გამომსახველია, ხოლო ორი კი ცხო-ველის (ზოგი ავტორი ცხოველის მოძრაობების გამომხატველ პასუხს არ თვლის ნამდვილი მოძრაობის პასუხად).

ამრიგად, აქ ჩვენს წინაშე იშლება საკმაო რთული სურათი: ზუსტი და არაზუსტი ფორმები, მოძრაობის, ადამიანის ფორმის პასუხების ურთიერთმიმა-რთება მეტყველებს იმაზე, რომ ძირითადში პიროვნებას ახასიათებს თვითკონ-ტროლის, საკუთარი ქცევის მართვის, თვითრეგულაციის უნარი; "მე"-ს ძალას შეუძლია გარკვეულ სფეროში გამოავლინოს თავისი პოზიტიური და ნეგატიური მოქმედების უნარი. ამავე დროს მასში შეჭრილია შინაგანი რიგიდობა,

პლასტიკურობის, სპონტანურობის დარღვევის ტენდენცია, რომლებიც ხშირად თავს იჩენენ განდევნილ განცდათა კომპლექსების (არარეალიზებული განწყობების) ექსპრესიაში –. ნევროზული განცდების ბატონობაში. ჩვენს ცდისპირში ასეთი კომპლექსების ჭარბად არსებობაზე მიუთითებს რორშახის ტესტებზე პასუხებში ე.წ. თეთრი სივრცის პასუხების სიჭარბე (6). ეს უკანასკნელი ექსპერიმენტული განცდის პირობებში იმის მაჩვენებელია, რომ მას ახასიათებს ერთგვარი დამოუკიდებლობა-გარეშის ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია, რომელიც კონფლიქტურ სუბიექტს ეხმარება თავისი იმპულსების რეგულაციაში, თუმცა ზოგჯერ იგი შეიძლება იყოს ნეგატივიზმის წყარო და ხელს უშლიდეს მიზანმიმართული ქცევის გაშლას.

ჩვენი ცდისპირის პასუხები შინაარსების თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია. ამ შემთხვევაში რორშახის ლაქების ყველაზე ადრეული წარმოსახული სახეების შინაარსი გულისხმობს ადამიანს, ცხოველს, ხელოვნების საგნებს, აბსტრაქტულ კატეგორიებს, მცენარეებს, სხეულის ანატომიას, სათამაშოებს, მითოლოგიას, პეიზაჟებს და სხვა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი ფართო შინაარსის პიროვნებაა, მისი ინტერესების სფერო მეტად მრავალფეროვანია. ეს კი მეტყველებს, ცდისპირის, როგორც შემოქმედის, ფანტაზიის სიმდიდრეზე. ხასიათის თვისებურების გასარკვევად საინტერესოა, იმის გამოვლენა, თუ ობიექტების რომელი კატეგორიისადმი არის უფრო მიმართული ინტელექტუალური ინტერესი: ირკვევა, რომ ცდისპირი რორშახის ლაქებში უფრო ხშირად ხედავს, პირველ რიგში, ცხოველებს (36 პასუხი), შემდეგ სხეულის აგებულების ნაწილებს, მას მისდევს ხელოვნების ნიმუშები, მითოლოგია, აბსტრაქცია, მცირე ადამიანის ფორმები. რორშახის პასუხების შინაარსში მკვლევარები, გარდა ინტერესების სიფართოვისა, ხედავენ პიროვნების რიგ დამახასიათებელ თვისებებსაც, მაგალითად, ცხოველების პასუხების ნორმალური რაოდენობა (ყველა პასუხის 50 %) ნიშნავს, რომ სუბიექტს ახასიათებს ურთიერთგაგების, კოოპერაციის, საერთოდ, გარემოში ადაპტაციის შესაძლებლობა, გარემოსთან შეგუებისათვის შესაფერისი ქცევის მიგნების უნარი. ასეთი პასუხების სიჭარბე, პირიქით, მიუთითებს ერთგვარი სტერეოტიპულობის – ერთი მოვლენისადმი, მოქმედებისადმი ჭარბ ფიქსაციას, ზერელობას. ჩვენი ცდისპირის პასუხები ნორმას ცოტათი აჭარბებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას გააჩნია საკმაოდ მოქნილი გონებრივი აპარატი, მისთვის დამახასიათებელი იმპულსურობის, ნევროზული რეაქციების საკომპენსაციოდ. ამასვე ადასტურებს ე.წ. პოპულარული პასუხების სიმრავლე (7). ანატომიის პასუხების დიდი რაოდენობა მიუთითებს, რომ პიროვნებას აქვს "ინტელიგენტობის კომპლექსი", ამასვე მიუთითებს აბსტრაქციის პასუხები, ასეთივე პასუხები ხშირად გამოხატავენ ჭარბი აფექტურობის, ემოციური ტოლერანტობის დარღვევის მიმართ ერთგვარ დაცვას, მათ გადამუშავებას "რაციონალიზაციის" საშუალებით. ხელოვნებისა და მითოლოგიის პასუხების სიხშირე ადასტურებს პიროვნების "მე"-ს ღირებულებათა რეგიონში წამყვანი ღირებულებებისადმი- ხელოვნებისადმი ჭარბ ინტერესს.

ამრიგად, ჩვენი ცდისპირის რორშახის ტესტებზე პასუხების ანალიზი (ჩვენ აქ ვაწარმოეთ მხოლოდ ტესტის ძირითადი მაჩვენებლების ინტერპრეტაცია, რაც ბუნებრივია არაა ამომწურავი), ადასტურებს, რომ კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით, აგრეთვე, თემატიკური აპერცეფციისა და შემოქმედებითი ფანტაზიის კვლევის მეთოდებით დადგენილი ცდისპირის პიროვნული თვისებები ძირითადში ერთმანეთის შესაბამისია, ურთიერთს ამდიდრებს, ავსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რორშახის ტესტებზე პასუხებში არაა ისეთი მონაცემები, რომლებიც ეწინააღმდეგება კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით მიღებულ შედეგებს და რაც, ყველაზე მნიშვნელოვანია, ეწინააღმდეგებოდეს მისთვის დამახასიათებელ ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის ბუნებას. რორშახის ტესტების დადასტურებული ცალკეული თვისების ერთიანობა, მათი ერთი ან პიროვნულ კუთვნილებად მიჩნევა, ტესტებით გამოვლენილი მრავალი ჰეტეროგენული ნიშნის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ პიროვნების ზოგადი თვისების დაბალი აგზნებადობის ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის საფუძველზე. საილუსტრაციოდ ჩვენ შევეხებით მხოლოდ საკითხის ერთ ასპექტს: რორშახის ტესტებმა უჩვენა, რომ ჩვენს ცდისპირს ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომლებიც შეიძლება გახდნენ შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების წყარო, ეს ნიშნებია: აქრომატული ფერების, განსაკუთრებით წმინდა ფერების და ფერ-ფორმის, პასუხების სიმრავლე, განცდათა ტოლერანტობის გამომხატველი ფერების აღქმის (ფორმა-ფერი) სიმცირე, მუქი ფერების, ზედაპირის ფერების, სიღრმის, თეთრი სივრცის პასუხების სიმრავლე, ჭარბი ექსტრატენზიულობა, გონიერების ცალკეულ კომპონენტთა შორის დისოციაცია და ა.შ. ამავე დროს კვლევამ ისიც უჩვენა, რომ ჩვენს ცდისპირს გააჩნია კონფლიქტების კომპენსაციის გამოკვეთილი უნარი, ფორმის პასუხების სიმრავლე, ცხოველების პასუხების ნორმალური რაოდენობა, პოპულარული პასუხების სიმრავლე, მოძრაობის პასუხების საკმაო რაოდენობა, გონებრივი მოქმედების ორგანიზაციის ძალის საკმაოდ მაღალი დონე, ფართო ინტელექტუალური ინტერესები და დაჟინებულობა (თეთრი სივრცის პასუხები) და სხვა. ყველა ამ თვისების ნიადაგზე პიროვნება ახერხებს თავისი შინაგანი სისუსტის კომპენსაციას და შინაგანი კონფლიქტების ფონზე თავისი მიზნებისათვის წარმატებით ბრძოლას. უნდა აღინიშნოს, რომ რორშახის მონაცემებიც მიუთითებენ იმ ჰეტეროგენულ დადებით და უარყოფით თვისებებზე, რომლებიც დადასტურებული იყო კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდით, მაგრამ გაუგებარი რჩება, რა აერთიანებს ამ მრავალ განსხვავებულ, თუ ჰომოგენურ თვისებას. ამ მეთოდით კვლევის შედეგად არ ჩანს ის ზოგადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ამ თვისებების წარმოშობას და პიროვნების ერთ სტრუქტურაში ინტეგრაციას. ჩვენი ცდისპირის მაგალითის მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პიროვნების სტრუქტურის წარმომქმნელი ფაქტორია მისთვის დამახასიათებელი ვარიაბილურ-ლაბილური განწყობა. ესაა ის ზოგადი ფაქტორი, რომელიც გასაგებს ხდის კვლევის სუბიექტის პიროვნების სტრუქტურის ბუნების თავისებურებას.

ახლა შევჩერდეთ პიროვნების კვლევის მრავალფაზოვანი კითხვარით ( MMPI ) მოპოვებული კვლევის შედეგებზე. ფსიქოლოგმა ამირან გრიგოლავამ სრულიად დამოუკიდებლად (მას არ ჰქონდა ინფორმაცია სხვა მეთოდებით ჩვენი კვლევის შედეგებზე) გაანალიზა ამ ტესტების მიხედვით მხატვრის პიროვნების პროფილი. MMPI ძირითადში მიმართულია დიაგნოსტიკის პიროვნების პათოლოგიური ნიშნები, ასეთი ნიშნების ინტენსივობა. იგი, როგორც ფსიქომეტრული მეთოდი, საკმაო კარგად წვდება პიროვნების სტრუქტურის ცალკეულ კომპონენტებს, ე.წ. სინდრომებს, აგრეთვე იკვლევს პათოლოგიურ თვისებებს, რომლებიც ჩანასახის სახით მოცემულია ნორმალურ (ჯანმრთელ) ადამიანებში, ხოლო უფრო გამოკვეთილად ფსიქონევროზით შეპყრობილ სუბიექტებში. მეთოდი ხაზს უსვამს პიროვნებაში ჩასახულ პათოლოგიურ თვისებებს, ზომავს მათ ინტენსივობას იმ სახით, რომ შესაძლებელი იყოს სუბიექტის ქცევის პროგნოზირება. მოგვყავს ამ მეთოდით კვლევის შედეგები (იხ. პროფილი).

ცდისპირის პროფილი განეკუთვნება ნევროზული ტრიადის პროფილთა რიგს (პროფილში წამყვანია 1,2,3 და 7 სკალები), რაც იმის მაჩვენებელია, რომ მას გარკვეული სიძნელეები აქვს გარემოსთან და სხვა ადამიანებთან შეგუების თვალსაზრისით. ახასიათებს საკუთარი თავის კარგად წარმოდგენის (ჩვენების), შარავანდედით შემოსვის ტენდენცია, სოციალური ნორმების მკაცრი დაცვის-დემონსტრაცია. მისთვის ჩვეულია საკუთარი სიძნელეების, კონფლიქტური განცდების, ნაკლოვანებების დაფარვა. გულის სიღრმეში მიაჩნია, რომ უნარიანი, ნიჭიერი ადამიანია, თუმცა ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერ აღწევს საკუთარი მაქსიმალური მოთხოვნილებების (იყოს ხალხის მიერ აღიარებული) დაკმაყოფილებას, იჭვი შეაქვს საკუთარ შესაძლებლობებში. მისთვის დამახასიათებელია დომინირების ტენდენცია, გამუდმებით ზრუნავს საკუთარ სტატუსზე, საკუთარი სტატუსის შენარჩუნების ან ამაღლების ძირითად მექანიზმს მისთვის წარმოადგენს საზოგადოების მიერ მიღებული სოციალური ნორმების დაცვა, იგი თავის ქცევას უქვემდებარებს იმ სოციალურ ნორმებს, მოთხოვნებს, რომლებიც საზოგადოების მიერ აღიარებულია როგორც დადებითი. სხვების არაკონფორმული, კონვენციონალური ნორმებიდან გასული ქცევა იწვევს რეაქციებს, რამაც შეიძლება გააფუჭოს კიდეც ასეთებთან მისი დამოკიდებულება.

მხატვრის ცხოვრებაში განსაკუთრებული, წამყვანი ადგილი უკავია საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას, თუმცა მას სხვებთან ურთიერთობის დროს შეუძლია უჩვენოს საწინააღმდეგო. მისთვის დამახასიათებელია იპოქონდრიული ჩივილები, შფოთვის საკმაო მაღალი დონე სიძნელეებთან ადაპტაციაში. შესაძლოა ჰქონდეს მრავალი ნაცნობი, მაგრამ სინამდვილეში მას ღრმა კონტაქტების დამყარება უჭირს. სენზიტიური პიროვნებაა, ყოველთვის ვერ ახერხებს საკუთარი ემოციების რეგულირებას. მისთვის დამახასიათებელია ემოციური მდგომარეობის მკვეთრი ვარიაბილობა-საკუთარ თავში დარწმუნებულობას, ოპტიმიზმს ხშირად ცვლის მომავლისადმი რწმენის დაკარგვა, პე-

სიმისტური მდგომარეობა. საკმაოდ ჯიუტი, რიგიდული და გაღიზიანებული, ამავე დროს თავმდაბალი, მორიდებული, შთაბეჭდილებიანი პიროვნებაა. მისთვის მუდმივადაა დამახასიათებელი დაკმაყოფილებლობის განცდა, რადგან მის ძირითად მოთხოვნილებებსა და რეალობას შორის ჰარმონია უმეტეს წილად დარღვეულია. ძალიან უფრთხილდება გარშემო მყოფთა შეფასებას და ჩვეულებრივ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს. მისი ქცევა არაა კონსტანტური, იგი ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრულია, ახასიათებს ლაბილობა, საკუთარი თავის დემონსტრირება, ურთიერთობაში სპონტანურობა. იგი სენზიტიური, სენტიმენტალური, ცნობისმოყვარე, მრავალმხრივი ესთეტიკური ინტერესების და არტისტული უნარების მქონე სუბიექტია. მისი ინტერესები, მაგისტრალური განწყობები: გამოირჩევა გარკვეული სიმტკიცით— მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამ მიზნების განხორციელებისაკენ ისწრაფვის. ადეკვატური, შინაგანად კონფლიქტური, ჯიუტი, პატივმოყვარე, ამავე დროს მეტად შრომისმოყვარე, ბეჯითი ადამიანია. მეტისმეტად სინდისიერი და პუნქტუალურია მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში. მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე ფრუსტრაციის შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს შიშები და დეპრესიული მდგომარეობაც კი, ხშირად ამიტომ ისწრაფვის მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს იმ სიტუაციებისა და ადამიანების შესახებ (რათა წინასწარ შეადგინოს თავის სამოქმედო გეგმა), რომელ სიტუაციებშიც ან ადამიანებთან მოუხდება შეხვედრა. საკუთარ ქცევას გულმოდგინედ უწევს კონტროლს. მას ეშინია შეცდომის დაშვების გამო არ შელახოს თავისი რეპუტაცია და ხშირად ამიტომ წინასწარ აწყობს საკუთარი ქცევის, მოქმედების დეტალურ გეგმას. ამის გამო კი მისი მოღვაწეობა შეზღუდულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი თავს არიდებს ისეთ საქმიანობებს, რომლებშიც არ აქვს წარმატების მიღწევის სრული გარანტია. შემუშავებული აქვს შინაგანი სტანდარტი, რომელსაც უდარებს საკუთარ ქცევას. ხშირად ამ შინაგანი სტანდარტითაა მისი ქცევა კონტროლირებული. ისეთ სიტუაციებში მოხვედრისას, რომელთა წინასწარი გააზრება ძნელია, რომელთა წინასწარი დაგეგმვა შეუძლებელია, იგი შეიძლება ჩავარდეს სტრესში..

MMPI -ით მიღებული კვლევის შედეგები მთლიანად ემთხვევა კლინიკურ-ბიოგრაფიული და პროექციული ტესტების მიღებული კვლევის შედეგებს.

MMPI-ის მონაცემებში უფრო კრისტალიზებული და ხაზგასმულია პიროვნების ნევროზული და მასში ჩასახული პათოლოგიური ტენდენციები, რომლებიც პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანისათვისაც შეიძლება იყოს ნიშნეული. აქ ძირითადში, მითითებულია პიროვნებისათვის დამახასიათებელ იმ ნიშნებზე, რომელიც წყაროა კონფლიქტების, შინაგანი დისჰარმონიის ტენდენციის, განსაკუთრებით მითითებულია პიროვნების იმ ტენდენციაზე, რომელიც ნიშნეულია ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის სუბიექტისათვის. ამ ტესტის მიხედვით ჩანს, რომ მას ახასიათებს ორი, თითქოს ურთიერთისგამომრიცხველი, ტენდენცია. ადაპტაციის სიძნელე და ამით გამოწვეული შინაგანი და გარეგანი კონფლიქტები – თავის ნაკლო-

ვანების განცდა, ჰიპოქონდრიული ჩივილები, ეგოცენტრულობა, შფოთვის მაღალი დონე, ცვალებადობა, იმპულსურობა, დისფორიული ემოციები, რეზისტენტობა, რომელიც შეიძლება თავს იჩენდეს ნეგატივიზმის უმოტივაციო მიზეზების და სხვა სახის დაცვითი რეაქციების გამომხატველი განცდების სახით. ამავე დროს მისთვის ნიშნეულია, ბევრი აღნიშნული პიროვნული ნიშნებისაგან სრულიად საპირისპირო, მაგრამ მათ საკომპენსაციოდ მიმართებული ტენდენციები: მაღალი მიღწევის გრძნობა, ჭარბი სინდისიერება, საერთოდ ეს თვისებები, რომელსაც ფსიქოანალიტიკოსები უწოდებენ "სუპერეგოს" თვისებებს. MMPI -ის მონაცემებით გამოირკვა ისიც, რომ პიროვნების ინტეგრაციის დონესა და ფსიქიკურის პირველ, იმპულსურ. დონეს შორის დარღვეულია ჰარმონიული ურთიერთობა. მაღალი ღირებულებისათვის სწრაფვის ტენდენციის ნიადაგზე შექმნილი იდეური განწყობის აქტუალურ განწყობად ქცევას აძნელებს არარეალიზებული განწყობების სახით მოცემული მრავალი ფიქსირებული, ნევროზის გამომწვევი შინაარსი, რაც იწვევს მოტივაციის პროცესის შეფერხებას-შინაგან კონფლიქტებს, განცდათა ვარიაბილობასა და ლაბილობას; ისიც ირკვევა, რომ ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელია ყველა ის თვისება, რაც დადასტურებული იქნა კლინიკურ-ბიოგრაფიული და პროექციული მეთოდებით; და მით, რაც მთავარია, ტესტით დადასტურებულ პიროვნებაში მოცემული მრავალი ჰეტეროგენული თვისება ძლიერ აგზნებადი ვარიაბილურ-ლაბილური განწყობითაა განპირობებული. პიროვნების შინაგანი ლოგიკის შესუსტება, ვარიაბილობა-ერთი და იგივე სიტუაციაში სრულიად განსხვავებული ქცევის გამოვლენა-ამბივალენტობის დარღვევის ტენდენცია, სწორედ პიროვნების მთავარი თვისების ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის სტრუქტურითაა განსაზღვრული.

ამრიგად, პროექციული ტესტებით (თემატური აპერცეფციის, რორშახის და ფანტაზიის კვლევის ტესტები) და პიროვნების კვლევის მრავალფაზიანი კითხვარებით პიროვნების სტრუქტურის კვლევის შედეგები უფრო სარწმუნოს ხდიან, რომ ჩვენ მიერ შედგენილი კომპლექსური ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდი (ფიქსირებული განწყობისა და კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი) სანდო და ვალიდურია. ყველა ამ საყოველთაოდ ცნობილ, შედარებით სანდო მეთოდებით კვლევა-ძიებამ უჩვენა, რომ კლინიკური სახის მეთოდში შესული კითხვები ადეკვატური არიან იმ თვისებებისა, რომელთა შესასწავლადაც მიმართებულნი არიან ისინი. ამ კითხვარების უპირატესობა, ზემოთ აღნიშნულ მეთოდებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთდროულად ავლენს პიროვნების მთლიანი სტრუქტურის შემადგენელ ძირითად ცენტრალურ თვისებებს, დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს, როგორც ქცევის მოტივაციის საფუძველს, იკვლევს "მე"-ს ღირებულებათა სისტემას და უჩვენებს მის მიმართებას ფიქსირებულ განწყობასთან, ავლენს "მე"-ს ძალას, მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეს, - რამდენად ახერხებს სუბიექტი ინტეგრაციის დონეზე "მე"-ს მიზნების მიღწევისათვის შემუშავებული იდეური განწყობის, ნებელობის აქტივობის ნიადაგზე, აქტუალურ განწყობად გარდაქმნას, პიროვნების

მოთხოვნილებათა და განწყობათა სისტემაში ჩარევას. რა სახის ემპირიული დისპოზიციის დონზე მიმდინარეობს პიროვნების ნებელობითი და იმპულსური ქცევა. ამ მიმართულებით წარმართული კვლევის საფუძველზე შეიძლება დადასტურდეს, - როგორია პიროვნების სტრუქტურის ამ ცალკეულ ტენდენციათა შორის მიმართება: ჰარმონიულია სუბიექტი (მისი ყველა სისტემა შეწყობილია ერთმანეთთან), კონფლიქტური (პიროვნების სისტემათა შორის სუფევს დისოციაცია-მთლიანობის დარღვევის ტენდენცია), თუ ვარიაბილურია იგი (დარღვეულია ქცევაში პიროვნების თვისებათა გამოვლენის კონსისტენტობა). პიროვნების ამ სახით კვლევის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს, ვწვდეთ არა მხოლოდ მისი განწყობის სტრუქტურის სტატუსს, არამედ იმასაც, თუ როგორი ქცევაა მოსალოდნელი შეცვლილ სიტუაციაში, ახალ ექსტრემალურ პირობებში. ეს კი მიუთითებს მის ფსიქოდიაგნოსტიკურ ღირებულებაზე.

ირკვევა, რომ ამ მეთოდით მოპოვებული კვლევის მონაცემები შეესატყვისება ფიქსირებული განწყობის მეთოდით გამოვლენილი კვლევის მონაცემებს. ეს კი კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდის ვალიდობაზე მიუთითებს. თუ ფიქსირებული განწყობის მეთოდი იკვლევს პიროვნების განწყობის ფორმალურ მხარეს, მის სქემას, კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი არკვევს პიროვნების შინაარსეულ-მოტივაციურ მხარეს - იმ თვისებებს, რომელნიც წარმოადგენენ პიროვნების ქცევის მოტივაციის საფუძვლებს.

ჩვენ მიერ კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდის ვალიდობის შესამოწმებლად გამოყენებული ყველა სხვა მეთოდი ცალ-ცალკე მოკლებულია იმ შესაძლებლობებს, რომელნიც ახასიათებს ამ მეთოდს. თითოეული მათგანი იკვლევს პიროვნების პირველ დონეს - არაცნობიერში განდევნილ განცდათა კომპლექსებს, ისეთ მოტივებს, რომელთა გაცნობიერება სუბიექტს უჭირს, ან, საერთოდ, არ შეუძლია; მაგალითად, რორშახის მეთოდი იკვლევს პიროვნების შესწავლისათვის მეტად ღირებულ თვისებებს, მაგრამ მას არ ძალუძს წვდეს პიროვნების სტრუქტურას-თვისებათა მთლიანობის საფუძველს. იგივე შეიძლება ითქვას მრავალფაზოვანი კითხვარის შესახებ. საერთოდ, როგორც ფსიქოდიაგნოსტიკურ-პროექციული, ისე ფსიქომეტრული მეთოდების ნაკლს შეადგენს პიროვნების ცალკეული თვისებების შეჯამების ან სინთეზის ნიადაგზე, პიროვნების, როგორც მთლიანობის, წვდომის პრეტენზია, იმის უგულებელყოფა, რომ პიროვნება იმთავითვე წარმოადგენს მთლიანობას, სტრუქტურას, რომ ამ სტრუქტურის თავისებურებით აღბეჭდილია მისი ცალკეული სისტემები, თვისებათა კონფიგურაცია. ჩვენი მეთოდი ძირითადად ემყარება ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგებს, მისი ამოსავალია მთლიანობა-პიროვნების სტრუქტურის სქემა; კვლევის პროცესში თავიდანვე გათვალისწინებულია, რომ კვლევის მიზანია პიროვნების, როგორც მთლიანის თავისებურებით განპირობებული თვისებათა სისტემების, შესწავლა, რომ ეს სისტემები წარმოადგენენ ანალიტიკური მუშაობისათვის აუცილებელ აბსტრაქციის ნაყოფს, რომ მთელი კვლევის წარმმართველია არა მთელის ცალკეული ნაწილების, არამედ მთლიანი პიროვნების სტრუქტურის ბუნების შესწავლა.

## КЛИНИКО-БИОГРАФИЧЕСКИЙ МЕТОД ИССЛЕДОВАНИЯ СТРУКТУРЫ УСТАНОВКИ ЛИЧНОСТИ


### Резюме

В книге рассматривается клинико-биографический метод, предназначенный для исследования мотивационно-содержательного аспекта характера личности. Показаны способы установления и анализа биографии конкретного человека, его потребностей, целей, интересов, ценностных ориентаций, динамики воли, темперамента и других существенных свойств личности. Особенности использования метода клинической беседы продемонстрированы и путем психологической интерпретации результатов исследования основных аспектов характера одной конкретной личности.

Представленный в настоящей монографии опросник беседы подразумевает неальтернативные ответы(да, нет). В процессе клинической беседы испытуемому помимо основных вопросов, входящих в указанный опросник, нередко задаются и дополнительные вопросы с целью уточнения выявленных основными вопросами личностных свойств. Метод дает возможность категоризации и классификации ответов, выделения особых категорий свойств и их рассмотрения в соотношении с типом структуры фиксированной установки.

Путем количественного и качественного анализа результатов многочисленных экспериментальных исследований установлено, что разработанный нами метод клинической беседы является адекватным к тем личностным свойствам, для выявления и изучения которых он предназначен. Метод клинической беседы исследует:основные компоненты целостной структуры личности как на импульсивном уровне, так и на уровне объективации, центральные свойства личности - фиксированные установки большого личностного веса, как основу мотивации поведения субъекта, те ценностные ориентации, которые являются центральными в регионе "Я" личности и указывают на ее отношение с фиксированными установками; силу "Я", ее позитивную и негативную стороны - насколько удается субъекту включение установки, выработанной на уровне объективации, в систему актуальных потребностей и фиксированных установок личности; на фоне какой эмоциональной диспозиции (темперамента) протекает импульсивное или волевое поведение личности. Таким образом, метод клинической беседы хорошо выявляет роль активности воли, как центрального звена системы "Я" личности. Подбор вопросов беседы, направленных на выяв-

ление активности воли личности, опирается на концепцию Д.Н.Узнадзе, согласно которой вследствие объективации импульсивного поведения воля включает созданную на уровне сознания "идейную установку" в систему потребностей и фиксированных установок, являющуюся основой мотивационной сферы личности, и тем самым превращает ее в актуальную установку. С помощью воли учитываются находящиеся в регионе "Я" личности интимные ценностные ориентации, на базе единства требований среды и внутренней позиции субъекта осуществляется выбор и дальнейшая реализация целесообразного поведения. Методом клинической беседы хорошо постигается регулирующая роль воли. С помощью указанной методики возможно установление особенностей соотношений между отдельными аспектами структуры личности: гармоничен субъект (все системы личности гармонично взаимосвязаны), конфликтен (между системами личности определенная диссоциация, тенденция разрушения целостности) или вариабелен (разрушена консистентность проявления в поведении свойств личности). Посредством метода клинической беседы возможно выявление как статуса структуры установки личности, так и прогнозирование ожидаемого поведения субъекта в различных изменяющихся ситуациях, в экстремальных условиях и т.д. Все вышесказанное указывает на психодиагностическую ценность данной методики.

Исследования, проводимые нами на протяжении многих лет, показывают, что результаты, добытые методом клинической беседы, находятся в определенном соотношении с показателями, выявленными классическим методом фиксированной установки. Метод фиксированной установки исследует формальную сторону установки личности, ее схему, а методом клинической беседы постигается содержательная, мотивационная сторона личности - свойства, являющиеся основой мотивации поведения личности. Валидность метода клинической беседы может быть проконтролирована объективным методом фиксированной установки. Указанные методы взаимодополняют друг друга. С учетом результатов, добытых этими двумя методами, возможно создание сравнительно полного психологического портрета личности. В проводимых нами исследованиях в качестве контрольных методов применялись проективные (ТАТ, тест Роршаха) и психометрические (MMPI, опросник Айзенка и др.) методы исследования личности. Опираясь на опыт работы этими методами и богатый экспериментальный материал, можно отметить, что проективные и психометрические методы в отдельности лишены тех возможностей, которыми наделен клинико-биографический метод. Каждая из вышеуказанных методик изучает лишь первый уровень психики

личности, вытесненные в подсознательную сферу "комплекса переживаний", те мотивы, осознание которых трудно для субъекта или же вовсе невозможно. Так, например, метод Роршаха выявляет несомненно важные для диагностики личности свойства, но при этом он не может постичь структуру личности – основу целостности свойств. То же самое можно сказать и о многофазовом личностном опроснике MMPI. Основным недостатком как проективных, так и психометрических методов является их претензия на постижение личности как целого через суммирование и синтез отдельных ее свойств, игнорирование того факта, что личность изначально является целостностью, имеющей определенную структуру, отпечаток которой носят все ее системы, вся конфигурация личностных свойств.

Клинико-биографический метод основывается на данных исследования фиксированной установки; исходным при этом является целостность – схема структуры личности, в которой подразумевается установленная методом фиксированной установки многокомпонентная(возбудимость, прочность,,константность,стабильность, лабильность и типы затухания установки) формальная структура; типологические особенности этой последней определяют возникновение комплекса определенных свойств, их особую организацию – целостность, гармоничность, дезинтеграцию, вариабельность, лабильность и т.д. В процессе изучения личности с самого же начала учтено, что целью исследования является личность, как система свойств, обусловленных особенностями целого, что отдельные системы являются результатом абстракции,необходимой для аналитической работы, что определяющими и направляющими исследование являются не отдельные части целого, а изучение природы структуры целостной личности.

**Норакидзе Владимир Георгиевич**
**Григолава Амиран Владимирович**

КЛИНИКО-БИОГРАФИЧЕСКИЙ МЕТОД ИССЛЕДОВАНИЯ СТРУКТУРЫ УСТАНОВКИ ЛИЧНОСТИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1984

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ფსიქ. მეცნ. დოქტორი ზ. ხოჯავა
ფსიქ. მეცნ. კანდიდატი გ. ჯაფარიძე

სბ 2522

რედაქტორი ალ. ფრანგიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ფარქოსაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი მ. გიორგაძე
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 5.7.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.7.1984;
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,7;

უე 01175; ტირაჟი 700; შეკვეთა № 2325;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19